

290 / 3
1987



თბილისის უნივერსიტეტის შრომები
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

273

ISSN 0876—2637

აღმოსავლეთმცოდნეობა
ВОСТОКОВЕДЕНИЕ
ORIENTAL STUDIES

ბიბლიოთეკის
სტამბა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ВОСТОКОВЕДЕНИЕ
ORIENTAL STUDIES

ეფოსავდეთმცოდნეობა

სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ი. გოცირიძე (მდივანი), დ. კაციტაძე, ა. სილაგაძე, კ. ფაღავა (რედაქტორი), გ. ფუტურიაძე, კ. წერეთელი, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Дж. Ш. Гиунашвили, И. С. Готсиридзе (секретарь), Н. Н. Джанашиа, С. С. Джикия, Д. В. Кацитадзе, К. К. Пагава (редактор), Г. В. Путуридзе, А. А. Силагадзе, Г. К. Церетели

EDITORIAL BOARD

Z. Aleksidze, V. Gabashvili, J. Giunashvili, I. Gotsiridze (secretary), N. Jjanashia, S. Jjikia, D. Katsitadze, K. Phagava (Editor), G. Phuturidze, A. Silagadze, K. Tsereteli.



აღმოსავლური წარმოშობის სიბჰპათა ისტორიიდან. II*

სიბჰი ჯინია

1960 წელს ამავე სათაურით ჩვენ გამოვაქვეყნეთ „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომების“ (აღმოსავლურ ენათა სერია) III ტომში I სტატია, რომელშიაც ნათქვამია: „ქვემოთ წარმოდგენილია ცნობები ქართულ ენაში დამკვიდრებული რამდენიმე აღმოსავლური წარმოშობის საკუთარ და ზოგად სახელთა შესახებ. კარტოთეკაში დაგროვილი მასალიდან ამგვარად ჩვენ შევარჩიეთ სიტყვათა ერთი ჯგუფი, რომელთათვისაც აქ ნაჩვენებია წარმომავლობის წყარო და განხილულია ფონეტიკურ-სემანტიკური ვითარება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა ამგვარი ლექსიკური მასალის ვაწილვისა“ (1, გვ. 1). ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ მოვეგივროვდა მასალა, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (თვალების დაავადება) მისი დამუშავება და დასაბუთებად მომზადება აქამდე ვერ მოხერხდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მშობლიური ენის მეცნიერულად და სრულყოფილად შესწავლის აუცილებელად საჭიროა, სწავთა შორის, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ინტენსიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სათანადო სიზუსტით გარკვეს და გამოვლინდეს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა შედეგად ქართულ ენაში დაფუძნებულ არაბულ-სპარსულ-თურქულ ნასესობათა გარკვეული ფენა (2, გვ. 34). ასეთი ხასიათის სამუშაო ფრიად მუშუყობს ხელს აგრეთვე დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე, მაგრამ საკმაოდ დაგვიანებული ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისა და განოცემის საქმეს.

ხსენებულ ჩვენს წერილში (1, გვ. 1—13) ეტიმოლოგიურად შესწავლილია შემდეგი სიტყვები: სურამ-ი||სურამ-ი, ბეკ-ი (ბეგლარ-ი, ბეკთაბეკ-ი, ბეგლარბეკ-ი, ათაბეკ—ათაბაგ-ი, დიამბეკ-ი, ყაზბეგ-ი, ბეგუმ-ი), ალლო და ახ-ი („ახია მასხე“). ამგვარად ჩვენ გვატყვს ერთი ახალი მასალა, რომელიც გვინდა დავემატოთ წერილის იმ ადგილს, სადაც მსჯელობაა სურამ-სურამის შესახებ. ვფიქრობთ დამაჯერებლად დადგინდა, რომ სპარსული სამყაროდან მომდინარე პერსონალური სახელები სურამ-ი და სურამ-ი სპ. سرام-ის სხვადასხვა ეპოქისა და ენობრივ კონტაქტებში კანონზომიერად მოდიფიცირებული საკუთარი სახელებია. მავალითად იმისა, რომ „სურამ“ სახელი ძველად ფაქტიურად არსებობდა ქართულში, ჩვენ მოგვქონდა (სხვა მონაცემის გარდა) საგვარეულო სახელი სურამელაშვილი, სადაც სურამს დაბრუნებული

* წაიკითხე აქა მოხსენებლად აკად. გ. ახვლედიანის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სებაზე საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 1977 წ. 13 თებერვარს. აქ იბეჭდება ცოტაოდენი ცვლილებით.

ქაქ. სსრ კ. მარქსის
ხს. სს. რისაობ



აქვს ელა აფიქსი მსგავსად, მაგ. მაქსიმ-ელა-შვილი-სა (მაქსიმ+ელა), გვერდი → გიორგ-ელა-შვილი (იხ. გაზეთ „თბილისი“ 18. 06. 1980 წლის 1999-1999 წლები).
 კი ჩვენ მოვიბოვებთ მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ ზურაბის ვარდა არსებობდა ჩვენში წმინდა და უაფიქსო ფორმითაც პერსონული სახელი სურამ—იც. ასეა, მაგ., გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 1974 წ. 2 სექტემბრის ნომერში, სადაც წერია: „კალაშვილი ნათელა სურამის ასული“.
 „დოც. ვ. ჯანგიძის გადმოცემით „სურამ“ სახელი კახეთში ახლაც გავრცელებული ყოფილა. სოფ. ხოლაშენში არის თურმე მოქალაქე სურამ ჩანგაშვილი.

1. მაგ რამ, „მაგრამ“ მიღებულია „მაგრა“-საგან (მანის დართვით). „მაგრა“ ჩვეულებრივია „ამირანდარეჯანიანში“, „ვეფხისტყაოსანში“, მაგ.: „მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“, „ვეფხ.“ 15) ([3], გვ. 606). ვფიქრობთ, ქვემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მკითხველი დაგვეთანხმდება, რომ ქართულში არსებული შაპირისპირებული კავშირი მაგ რამ არ არის ქართული წარმომავლობის სიტყვა, იგი ნასესხებია სპარსულიდან. სპარსული *magār* ([4], გვ. 905) ქართულში საესეებით კანონზომიერი მოდიფიცირებული ფორმითაა გადმოსული „მაგარ“ ფორმით. *ā* — *a* და *e* ხმოვანთა საშუალო ხმოვანი სპარსულიდან და სხვა აღმოსავლური ენებიდან *a* — *d* გადმოიღის ხოლმე; ახერხაიჯანული გზით შემოსულმა არაბულმა *ع* *caḥāp* „დილა“მ ქართულში *საარ-ი* მოგვცა („დილის საარი“; ხმოვანთა შორის *ჰ-ს* ჩვეულებრივი ჩაგარდნით), სპ. *ع* |ფანჯ→ქ. ფანჯ-ი, სპ. *ع* |ფანდ→ქ. ფანდ-ი, სპ. *ع* |სწვწ→ქ. სანვარ-ი ([4], გვ. 476) და სხვა მრავალი. ამრიგად, სპ. *ع* |მწვწ→ქ. „მაგარ“ სიტყვას ქართულში დაერთო ამ (*a* და *m*) წანაზარდი ფეძისეული მეორე *a*ს ჩაგარდნით და მივიღეთ მაგ რამ. ასეთი წანაზარდები ჩვეულებრივია სხვა მსგავს სიტყვებშიც. ა). აყად. ა. შანიძის მიხედვით „თორემ“ მიღებულია თუ არა-საგან, უა ჯგუფისაგან შერწყმის გზით *o* მივიღეთ და ბოლოს დაერთო *m* (როგორც „მაგრამ“-ში): „თურამ—თორან—თორემ“ ([3], გვ. 606), ბ). ჯერ—ჯერამ და ჯერემ ([5], გვ. 399). ჯერამ ლიტ. ჯერ пока, пока ещё ([6], გვ. 383). მაგ რამ სიტყვის სესხებას ქართულში სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება არ ზედება. მნიშვნელობა თითქმის იგივეა, რაც სპარსულში. ეს არის მიღებით *magār* — *რავე; რავე только; но; кроме; если; может быть* ([4], გვ. 905). ანალოგიური ფორმითა და მნიშვნელობითაა ნახმარი ეს სიტყვა თურქულ ენებსა და დიალექტებში: *magar man korkhiram ke navakt yetaram dostime ävina' Aber ich fürchte, dass ich zu spät in das Haus meines Freundes kommen werde* ([7], გვ. 50, *magar mewa burde yokh' Aber es gibt hier kein Obst* (იქვე)). თურქული დიალექტოლოგიური მასალებიდან ამოწერილი მაქვს, მაგ., *magārām* ფორმა მაგ რამ სიტყვისა, რომელიც ეჭვსაც არ ტოვებს ჩვენი მაგ რამ და სხვა ენებშიც ნასესხებ ამ სიტყვის სპარსული წარმომავლობის შესახებ. ძველად ჩვენში მაგ რამ ის ფუნქციას გარნა სიტყვა ასრულებდა ([9], გვ. 91).

2. ბარე, ბარემ აგრეთვე სპარსული წარმომავლობისადა ჩანს. *بار-ی* *хоть раз, по крайней мере.* ([8], გვ. 220). ფრიად ცნობილ თურქ ლექსიკოგრაფს შამს-ედ-დინ სამინს სპარსულიდან თურქულში ნასესხები ამ სიტყვისათვის მ-დართული *بار* — ბარემ ფორმაც აქვს



მოტანილი. ([10], გვ. 262). ბარე — ბარემ სიტყვის სპარსულიდან წარმოშობა არც ფონეტიკურად და არც სემანტიკურად საეჭვო არ არის.

3. ქილიფთარ-ი. გურიაში (მახარაძის რ-ნი) გავრცელებული გვარსახელი. საფუძვლად უდევს ბერძნულიდან ნახესხები kleidos სიტყვა, რომელიც ბევრ ენაში ვგვხვდებოდა და მათ შორის ქართულშიც „კლიტე“ (გურული „კილტა, დუჟიკლიტაი“) თურქულსა და სპარსულში ეს სიტყვა კილიქლით — ქილიდ'ის ფორმით ვგაქვს. აქედან სპარსული کليدار, Ключарь при храме или гробнице святого' ([4], გვ. 677). kilid+dar სპ. დაშთან ზმნიდან საქმიანობის, პროფესიის, რისამე მქონებლის მნიშვნელობით სიტყვათმარმოებელია. (შდრ. ქართული ხაზინადარ-ი, „ხაზინის გამგე“; იჯარადარ-ი, „მოიჯარე“, დახლიდარ-ი და სხვ. kiliddar ამრავად „მეკლიტური“, კერძოდ „მეკუჭნავე“, საერთოდ კაცი, რომელსაც რაიმე საგანაშურის გასაღები, კლიტე აბარია). აქ უნდა აღინიშნოს, რომ თურქულში ბილიკიდური მუღურ-ხშული თანხმოვნები უსათუოდ ყრუვდებიან და იმავე რიგის ყრუ თანხმოვანს გვაძლევენ: kitab—kitap' წიგნი, meded—medet' დახმარება, aded→adet 'რიცხვი' და სხვ. ამდენად თურქულსა და შემდეგ ქილიფთ და ქილიფთარ-ქილიფთარ-ი ქილიფთარ-ი უნდა ყოფილიყო ქართულში, კერძოდ, გურულში „მეკლიტური“, „მეკუჭნავე“. კერძოდ ქართულში და საერთოდ სხვა ენებშიც ჩვეულებრივია გვარსახელები, რომლებიც თანამდებობისა და პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათაგანაა წარმოშობილი. მაგალითი ამისი ბევრია: მზარეულაშვილი, ხაბაზიშვილი (რაც „მებურთშვილს“ ნიშნავს), მემარნიშვილი, გეზირიშვილი, ამილახვარი და სხვ. მრ. ამრავად, ქილიფთარ-ი უნდა ყოფილიყო მთავრის სასახლეში ან რომელიმე მდიდარა კაცის ოჯახში საკუჭნაოს უფროსი, რომელსაც ჰქონდა გასაღები და იყო მეკლიტურის თანამდებობაზე. ქილიფთარ'იდან ქილიფთარ'ამდე ფონეტიკურად რთული ვზა არ არის გასაცვლელი. სწორ სმარებაში ქილიფთარში თრ ზედიზედ ხშული დენტალისაგან ერთი განემსავსება მეორეს და გადავიდა ამ შემთხვევაში უფრო მარტივად წარმოსათქმელ ბაგისმიერ ფ-ში, მივიღეთ ქილიფთარ-ი—ქილიფთარ-ი. ეს სიტყვა საერთოდ დადასტურებულია. მაგ., ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქულთარგმანებში წერია: საღაროთ მთლარე ქილიფთარ ([11], გვ. 170). ხოლო ქილიფთარის ფორმით იგი საერთო ქართულშიც ყოფილა. მაგ., იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, გვ. 324: ქილიფთარ-ი ძვ. დგინისა და, საერთოდ, სასმელების მწე; პირის მეღვინე (მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში) (დ. ჩუბინაშვილი). დავუმატებ იმასაც, რომ მოხსენების დროს ([17], გვ. 10. 1977) მიიხრებს „ქილიფთარი საერთოდ ხელმოკვერილ კაცს“ ნიშნავსო.

4. ყირქესალიშვილი. გვარსახელი მესხური წარმომავლობისაა. აწ განსვენებული იყანე ყირქესალიშვილი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი იყო*. გვარსახელი მასალობრივად თურქულ-სპარსული ელემენტებისაგან შედგება: ყირ—თურქ. kirk.

* ზოგჯერ ძლიერ დამახინჯებულად გვხვდება ეს გვარსახელი: „ღენა კირკესალი“, ეს შემოკლებულად თუ არის „ყირქესალი“ უნდა იყოს (იხ. გაზეთი „თბილისი“, 1976 წ. 3. 61), აგრეთვე „კირკესლოვა ფრანკისკა ბეტრეს ასული — პენსიონერა“, „თბილისი“, 1977 წ. 11. 11).



დიალექტიური kirk — ყირს (ხ-ს ჩაეარდნით). ყირს „ორმოცი“ სპ. — თურქ. kise „ქისა“. — ლი თურქ. li აფიქსი „ინი“, ე. ი. მთლიანი ზუსტი თარგმანი ყირქესალი სიტყვია „ორმოციქისანი“, „ორმოცი ქისის მქონე“.

საქმე ასეა, რომ თურქულში ქისა სიტყვა ნიშნავდა არა მარტო „პარკა“ (ტყვიანა ან რაიმე მსოვილსა) ფულს, ან სხვა წვრილმანი ნივთებისათვის, არამედ ოსმალებთან ქისა იყო თქროსა და ვერცხლის ფულის დიდი და დროთა მკვლევლობაში ცვალებადი რაოდენობა ერთეულიც. მაგ., სულთან მეჰმედ ფათიჰის დროს — მე-15 ს-ში ერთი ქისა 30 ათას ახჩას აღნიშნავდა. მე-16 ს-ს შუა წლებში — 20 ათასს, ხოლო მე-17 ს-ს აგრეთვე შუა ხანებში ერთი ქისა შეადგენდა 40 ათას ახჩას ([12], გვ. 344). ფულის ერთეულის აღმნიშვნელი ეს ქისა სიტყვა თამალთა მიერ დაპყრობილ წართულ ტერიტორიაზედაც ყოფილა ხმარებული ამ აზრით: „ლეკებთან მისი მტრობით ისარგებლა შერიფ-ფაშამ, საბითის თავის მოსაკვეთად 60 ქისა ფული ვაიღო და 1082 წ. შერიფისაგან მოსყიდულმა ლეკებმა საბითის თავი მოჰკვეთეს ([13], გვ. 64). ყირ-ქესა-ლი“ში ყირ-თურქ. kirk დიალექტიური ყირს „ორმოცი“, მაგრამ ჩახი უნდა გვესვას იმ გარემოებას, რომ თურქულში kirk მარტო 40-ს კი არ ნიშნავს, არამედ ნიშნავს აგრეთვე „ბევრს“; „kirk kerre söyledim“ „ნიშნავს არა ზუსტად „40-ჯერ ვთქვის“; არამედ „ბევრჯერ (ქართულად რომ იტყვიან თასჯერ) ვთქვი“. ([10], გვ. 1063). ამდენად, ყირ[ხ] ქესალი ნიშნავს მრავალქისიანს, ე. ი. ძლიერ ბევრი ფულის მქონე მდიდარ კაცს. ერთი ქისა, რომ ვთქვათ, 30000 ახჩიანი ფულის ერთეულია, ორმოცი ან მრავალქისიანი კაცი რომ უზომოდ მდიდარ კაცად მიიჩნევა. საინტერესოა რომ პროფ. შ. ლომაძის მიერ გამოცემულ „ახალციხურ ქრონიკებში“ ყირქესალი იხსენიება პერსონულ სახელად: „13 თიბათ. ყირქესალი გაუმეღავენეს. ფაფაშოლლი მამაჩანაც გაუმეღავენა“ ([14], გვ. 197). აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ წყაროში ყირქესალი კი არაა, ყირსქესალია, ე. ი. ყირსში (40) სიტყვა ზუსტადაა მოცემული თურქული 40. ჩვენ აქ მოვიტანთ რუსი მეცნიერის ბ. დ. ევლტიაკოვის აზრს „ქისას“ შესახებ, რომელიც საცხებით შესაბამისია „ქისას“ აქ დადგენილი შინაარსისა: Кошелек—по-турецки кесе или кисе /русск. кисет/. Кошелек для хранения золотых и серебряных денег и в то же время определенная их сумма. Иногда термин кесе употреблялся только для акче и курушей, а для алтунов — сурре. В 1660—1661 гг. в одном кошельке было 40 тыс. акче, в 1688 г. — 50 тыс. Курушей в одном кошельке в 1660—1661-гг. было 500. В финансовых операциях имели хождение три кошелька: румелийский акче; кошелек дивани /дивани кесе/ — 416 курушей, или 33,120 акче, и египетский кошелек /мысыр кесеси/ — 600 курушей, или 48 тыс. акче. Последний обращался только в Египте, а наиболее распространенной расчётной единицей был румелийский кошелек. Европейцы имели дело только с ним, почему во всех европейских словарях размер кесе определяется всего в 500 курушей, или пиястров ([15], გვ. 283). ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ ქისებოთ ნაანვარიშევი თანხა რუსული ფულებით: Таким образом вся пенсия, пожертвованная по сему фирману роду Тавдргиридзе, составляет в месяц 4 кисы /киса 25 руб./, равняющаяся 100 рублям серебром на наши деньги ([16], გვ. 168).

თურქოლოგია კათედრა



1. ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, I, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბილისი, 1960.
2. გ. წერეთელი, სემანტიკური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თსუ სამეცნიერო სესიები, № 1, მოხსენებთა კრებული (2-4, III, 46). თბილისი, 1947.
3. აკაკი შანიძე, ქართული ენა გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1973.
4. Проф. Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, Москва, 1950.
5. ალ. ლომსაძე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვას კონა, თბილისი, 1975.
6. კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967.
7. T. Kowalski, Sir Aurel Steins Sprachaufzeichnungen im Äinallu-Dialekt aus Südpersien, Krakow, 1937
8. Л. Будягов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, Спб., 1869
9. ალია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.
10. ش. سامی. قاموس ترکی. درسمادت. ۱۳۱۷
11. ც. აბულაძე, სელჩან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების თურქული თარგმანები, თბილისი, 1968.
12. O. S. Gökyaу, Kâtip Celebi den Seğmeler, Istaubul, 1963.
13. ხ. ანგუღიანი, თხზილი წლის წინათ, „ლიტერატურული აკროსი“, 4, 1958.
14. შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალი ენობრივი კრონიკები, თბილისი, 1979.
15. А. Д. Желтяков, Эвлия Челеби, Книга путешествия. (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века). Перевод и комментарии, Выпуск 1, Земли Молдавии и Украины, Москва, 1961.
16. Д. Бақрадзе, Кинтришский участок, ქართული ისტორიოგრაფია, 111, თბილისი, 1975

С. С. ДЖИКИЯ

ИЗ ИСТОРИИ СЛОВ ВОСТОЧНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ. II

Резюме

В статье, являющейся продолжением статьи, напечатанной в 1960 году (Труды Института языкознания АН ГССР, серия восточных языков, III), изучены происхождение, фонетика и семантика заимствованных в грузинском из восточных языков слов magram, barem, kiliptar и kirkesali.

S. JIKIA

FROM THE HISTORY OF WORDS OF ORIENTAL ORIGIN

Summary

The present paper, which is a continuation of one published in 1960 (Proceedings of the Institute of Linguistics, Acad. Sci. USSR, Series of Oriental Languages, III), deals with the origin, phonetics and semantics of the following words borrowed by the Georgian from Oriental languages: magram, barem, kiliptar, and kirkesali.

სიტყვა kǎzdom-ის (მორიელის) შესახებ სპარსულში

ჯავრიდ ბიუნაშვილი


თანამედროვე სალიტერატურო სპარსულ ენაში მორიელის აღსანიშნავად არაბ. āqrāb-ის გვერდით იხმარება სპ. kǎzdom-ი. მართლწერისა და ორთოეპიის თვალსაზრისით ამ სიტყვისათვის ნორმად მხოლოდ kǎzdom-ია მიხსნული ([1], 656; [2], 598; [3], 324). ზოგერთ ლექსიკონში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ამ სიტყვის სხვაგვარი დაწერილობა ან წარმოთქმა ითვლება შეცდომად ([4], 3405; [5], 702).

Kǎzdom სიტყვა შედგება ორი კომპონენტისაგან: kǎz ([kǎz̄]) — „მრუდე, მოხრილი, მოღუნული“ და dom (< donb) — „ბოლო, კუდი“. ანანდრაჯის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „āqrāb-ს მოხრილი ბოლოს გამო kǎzdom-ს ეძახიან“ ([4], 3405), ამრიგად, ეს სიტყვა გააზრებულია როგორც Krummschwanz ([6], 61), „having a crooked tail“ ([7], 82).

ერთი შეხედვით, kǎzdom სიტყვა თითქოს შესაფერის ადგილს იკავებს იმ სიტყვათა რიგში, რომელთა პირველ კომპონენტად kǎz ([kǎz̄]) ლექსემა გვევლინება (მაგალითად, kǎzbin, kǎzābru, kǎzpayāk, kǎzẖater, kǎzdel, kǎzrah და სხვა). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ პ. ჰორნმა ეჭვი შეიტანა kǎzdom სიტყვის თავილტურ k-ს მართებულობაში ([8], 197) და სწორ ფორმად მიიჩნია ამ სიტყვის g-იანი ვარიანტი ([6], 61): „Kǎzdom „Scorpion“ („Krummschwanz“) ist falsch statt gǎzdom „Beissschwanz“.

ითვალისწინებენ რა საშუალო სპარსულის მონაცემებს (gaz-dum — gaz < gǎzīdan-„კებნა“), პ. ნიბერგი ([7], 82), მ. მოინი ([9], 1638; [10] 2965) და ე. ლაზარი ([11], 150-151) იზიარებენ პ. ჰორნის მოსაზრებას. ეს სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებენ g-იან ფორმას, ხოლო kǎzdom-ი შეფასებულია მათ მიერ როგორც ხალხური ეტიმოლოგიზაციის ნაყოფი ([11], 151): „... g est originel et la prononciation kǎzdom rǎsulte d'une étymologie populaire“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ დიალექტებში დასტურდება gǎzdom/gǎzdom ფორმა.

კლასიკური პერიოდის ძეგლთა ხელნაწერებში g და z ბგერები ჩვეულებრივ გადმოიცემა k და z სიმბოლოებით. ამ ძეგლების გამოცემათა ავტორები ჩვენთვის საინტერესო სიტყვის გადმოცემისას ჩვეულებრივ მიმართავენ ორ ვნას: ან ხელნაწერებში დადასტურებულ kǎzdom-ს (kzdm کزدم). ამ სიტყვია თანამედროვე გააზრებისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად გადმოსცემენ kǎzdom (kzdm — کزدم) ფორმით, ან უცვლელად გადმოაქვთ ხელნაწერის kǎzdom-ი (kzdm کزدم). ორივე შემთხვევაში დარღვეულია კლასიკური პერიოდის ავტორთა მიერ ნახშიარი ლექსემის ბგერითი შემადგენლობა და მისი გააზრება.



ჯ. შათინის დაკვირვებით ([12], 8), X ს. მეორე ნახევარში ქ. ბუხარაში შედგენილი სააქიმო წიგნის ([15]) ხელნაწერის ტექსტი (გადაწერილია 1083 წ.) იჩენს ნეტად საინტერესო თავისებურებას: kǎz (kǎzi) სიტყვა ყველა შემთხვევაში ვადმოცემულია ჯ-თა და არა მოსალოდნელია z-თა, მაგრამ მორიელის აღსანიშნავად გამოჩაყლისა გარეზე იხმარება kǎzdom (kzdm کزدم). ასეთვე ვითარებაა 1058 წელს ხორასანში შედგენილი ყურანის კონტენტარების ხელნაწერშიც, რომელიც გადაწერილია 1230/31 წლებში ([14], XXX): „ასო ჯ ყველგან ვადმოცემულია სამწერტილიანი z-თი და ამით ვაირჩევა იგი z ასოსაგან... kǎzdom სიტყვა ეი ყველა შემთხვევაში kǎzdom (kzdm کزدم) ფორმითაა წარმოდგენილი“. ცხადია, ამ ლექსემის გრაფიკული გაფორმების დროს თვალში საცემი გამოჩაყლის დაშვება მიუთითებს იმაზე, რომ ამ სიტყვის წარმოთქმისას მის ბგერით შედგენილობაში შეყფილ გამოირჩეოდა z ბგერა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ ძველ ხელნაწერში გვხვდება საკუთრივ gǎzdom ფორმაც ([13], 8).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ის უძველესი დასკვნა, რომ კლასიკურ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში X — XIII საუკუნეებში, სპარსული სალიტერატურო ენა აგრძელებს საშუალო სპარსულის ტრადიციას და ამ ენაზე დაწერილი ძეგლების ავტორები (გადაწერები) მორიელის აღსანიშნავად ხმარობენ gǎzdom სიტყვას და სემანტიკურად უკავშირებენ მას არა „მოხრილ ბოლოს“ (kǎz/kǎg), არამედ „ებენას“ (gǎz < gǎzidān): „Beisschwanz“, ([6], 61), „whose tail is stinging“ ([7], 82).

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოაჩენელთა მემორიალური ინსტიტუტი.

ლიტერატურა

1. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, II, М., 1974.
2. آموزگار حبیب اله، فرهنگ آموزگار، تهران ۱۳۳۳
3. Персидско-русский словарь под ред. Ю. А. Рубиниченка, т. II, М., 1970.
4. فرهنگ آندراج جلد پنجم تهران کا فروشی خیام
5. خیابانی، فرهنگ نو بهار، جلد دوم، تبریز ۱۳۰۸
6. P. Horn, Yr. Ir. Phil., I, 2.
7. H. Nyberg, A Manual of bahavi, II, Wiesbaden, 1974.
8. P. Horn, Grundriss der neupers. Etymologie, Strassburg, 1893.
9. برهان قاطع باهتمام داکتر محمد معین جلد سوم تهران ۱۳۳۳-۳۲
10. داکتر محمد معین، فرهنگ فارسی، جلد سوم، تهران، ۱۳۲۵
11. G. Lazard, La langue des pyus anciens monument de la prose persane, Paris,
12. مینوی جلال، مجله دانشکده ادبیات مشهد، شماره ۱-۲، ۱۳۲۷
13. هدایة المتعلمین، مشهد ۱۳۴۴
14. تفسیر قرآن مجید جلد اول تهران ۱۳۴۹

О СЛОВЕ „kāzdom“ (СКОРПИОН) В ПЕРСИДСКОМ

Резюме

Детальное исследование данных ряда персидских рукописей классического периода дает основание утверждать, что авторы этого времени в значении «скорпион» употребляли слово gāzdom (gāz < gāzidān + dom) и понимали его как «Beissschwanz», «whose tail is stinging». Распространенная в современном литературном персидском форма [kāz/kāg + dom) — „Krummschwanz,“ having a crooked tail“] является результатом народной этимологизации этого слова.

J. GIUNASHVILI.

CONCERNING THE WORD KĀZDOM (SCORPION) IN PERSIAN

Summary


The detailed study of the evidence of a number of Persian manuscripts of the classical period gives ground to assert that the writers of that period used the word gāzdom (gāz < gāzidān + dom) in the meaning of “scorpion”, investing it with the connotation of “Beissschwanz”, “whose tail is stinging”. The form kāzdom (kāz kāg + dom) — “Krummschwanz”, “having a crooked tail”, current in modern literary Persian, is the result of the popular etymologization of the word.

იბნ სინას ზოგიერთი ფილოსოფიური ცნება იბნ რუშდის განმარტების მიხედვით

ნანა კილაძე

იბნ რუშდის „არათანმმდევრობის არათანმმდევრობა“ ან უფრო ზუსტად „არათანმმდევრობის არათანმმდევრობა“ („თაბაფუთ ათ თაბაფუთი“) მის თხზულებათა შორის გამოჩეულია; ერთდროულად, სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ეს ნაწარმოები საზოგადოებრივი აზრის ეკვლა დიდ პრობლემას მოიცავს, იბნ რუშდის მიერ წამოჭრილ ყველა წინამავალ საკითხს შეაჯამებს და ამ მოაზროვნის ორიგინალურ მოძღვრებას ამკვიდრებს. უკანასკნელს განიხილავენ როგორც მნიშვნელოვნად დამოკიდებულა არისტოტელეს ჭეშმარიტი ფილოსოფიის აღდგენაზე; იმ ფილოსოფიის, რომელიც იბნ სინას თაოსნობით მუსლიმი ნეოპლატონიკოსების მიერ იყო სახეშეცვლილი ([1], გვ. 914 — 915). ეს, რა თქმა უნდა, ეტება კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ვერ ცვლიან არისტოტელიზმის საერთო ტენდენციას იბნ სინასა და იბნ რუშდის მოძღვრებებში; მეორე მხრივ, კი ისინი მოიცავენ იბნ რუშდის მიერ განმარტებულ იბნ სინას ფილოსოფიურ ცნებებს, რომლებიც ნაწილობრივ ნათელს ფენენ სპეციალურ ლიტერატურაში სადავოდ მიჩნეულ არაბული საზოგადოებრივი აზრის ამ ორი დიდი წარმომადგენლის მოსაზრებებს.

მიუხედავად იმისა, რომ იბნ რუშდი ცდილობს მოწინააღმდეგეთა თვალში თანანაზრის განართლებას, თვითონვე ხშირად ეწინააღმდეგება მას. მაგალითად, იბნ რუშდი იძულებულია აღიაროს, რომ იბნ სინა ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ სივრცობრივსა და არასივრცობრივ უსასრულობას განასხვავებს. მაგრამ იგი აცხადებს, რომ აღნიშნულს იბნ სინა ამტკიცებს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ბრბოს დასაკმაყოფილებლად. იბნ რუშდს სწამს, რომ იბნ სინას არ შეეძლო არ გაუზიარებინა ყველას მიერ აღიარებული მოსაზრება დაკავშირებული არამატერიალურისა ისევე; როგორც მატერიალურის უსასრულობის უარყოფასთან ([2], გვ. 27). მაშინ როდესაც იბნ სინა ამტკიცებს არამატერიალურ და არასივრცობრივ სულთა აქტიურ უსასრულობას, იგი უარყოფს მათ წინააღმდეგ. ეგ. წ. აპრიორული არსებობის შესაძლებლობას და მოამზადებს ნიდავს „სულთანიონიზმის“ ცნების ჩამოყალიბებისათვის. როგორც ამტკიცებენ, უკანასკნელ ცნებას თითქმის ერთნაირად გაიზარებენ იბნ სინა და იბნ რუშდი. ამას გარდა, მიჩნეულია, რომ იგი იბნ სინასთან მიმდინარეობს 6 *خواجه* *نور* *الشيخ* -იდან (Enn. V, 7, 93) და გაიგივებულია, საერთოდ, ინტელექტთან *العقل* — *يوجد* 5 ხოლო იბნ რუშდთან მოქმედ ინტელექტთან — *العقل النفعي* ([4], გვ. 25; [1], გვ. 918—919). სწორედ მოქმედი ინტელექტის ცნებისაგან გამომდინარე




იცავს იბნ რუშიდი „სულთამომნიჭებლისა და „ფორმისმოძვემელის“ შინა-
 არსს. ამას გარდა, სწორედ უკანასკნელი ცნებისაგან გამომდინარე უკანასკნელს
 ის დასკვნას, რომ მუსლიმი ფილოსოფოსები „ფალასიფა“ საერთოდ, და,
 კერძოდ იბნ სინა, არ იზიარებენ შეხედულებას საგნის არსებობისა და არა-
 რსებობის იგივეობის შესახებ; იგულისხმება საგნის უშუალო დაფუძნება
 შემოქმედის მეშვეობით სუბსტრატის ჩაურევლად ([2], გვ. 54).

ამ ცნებების დახუსტებისას ზოგჯერ მცირე როლს არ თამაშობს ტერმი-
 ნოლოგიური პარალელები, კერძოდ, XI — XII საუკუნეების ქართველი
 შუასაუკუნეობრივი მოაზროვნის იოანე პეტრიწის ლექსიკური ერთეულები,
 რამეთუ ტერმინების შინაარსის ზუსტი ახსნა აუცილებელია.

არაბული **واهب**, რომელიც მომდინარეობს ბერძნული **χαρις**-იდან
 ისევე, როგორც მომნიჭებელი, მომცემელი ([5], გვ. 173) ბერძნული
 ორიგინალის ინტერპრტირებული ვარიანტებია ([6], გვ. 891). იბნ რუ-
 შდთან იბნ სინასაგან მომდინარე ცნება „ფორმისმომნიჭებელი“ (**واهب الصورة**)
 ზოგჯერ შეიცვლება ქართულ „მომცემელთან“ ახლოს მყოფი ცნებით
 ფორმისმოძვემელი (**معطى الصورة** — ([2], გვ. 212). იბნ რუშიდი განაცა-
 ლკევებს „მომცემელის“ ცნებას ფორმისაგან და უკავშირებს მას ადამიანურ
 გონებას, რითაც ხაზს უსვამს უკანასკნელის არსებობას აგრეთვე „მომნიჭე-
 ბლის“, უფრო ზუსტად „ადამიანური გონითი შესაძლებლობის მომნიჭებ-
 ლის“ წყალობით (**واهب العقل الانساني**) — ([2], გვ. 516). ამ-
 გვარად, იბნ რუშიდის „მომნიჭებელი“ ან „მომცემელი“ ადამიანურ გონება-
 ზე მალა დგას. იბნ რუშიდი უფრო ზუსტად, ვიდრე იბნ სინა გამოაცალ-
 კევებს მას შემოქმედისაგან, რომელიც ხორცს ისხამს უმაღლეს ან უდი-
 დეს — **Intellect Suprême — Al-Aql al-Akbur** ([1], გვ. 290), ან წმინდა
 ინტელექტში — **intelect saint quds** ([8], გვ. 253) და სხვა ამდაგვარ
 ინტელექტებში.

ეს სავეებით ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც იბნ რუშიდისათვის
 სუბსტრატის (**قالب — սահառություն — წინამდებარე**) ვარსებე შემოქ-
 მედებაც წარმოუდგენელია ([4], გვ. 25; [2], გვ. 53—55; [5], გვ. 11).
 სწორედ უკანასკნელი თეზისი ამტკიცებს იბნ რუშიდის მოძღვრებაში
 იბნ სინასთან შედარებით უფრო მჭიდრო კავშირის არსებობას მატერიალურსა
 და ფორმალურს შორის. ამ მჭიდრო კავშირით აიხსნება, იბნ სინასაგან გან-
 სხვავებით, იბნ რუშიდთან არა მარტო სამყაროს წარმოშობა შემოქმედისაგან,
 არამედ ციურ სხეულთა ფორმისაგანაც (**صور الآلا || لأجسام السماوية**)
 [2], გვ. 166—168) განუყრელობის გამოკვეთა. მეორე მხრივ, როდესაც იბნ
 რუშიდი ცდილობს მატერიის ან სამყაროს ციურ სხეულებთან, როგორც
 ფორმებთან, დაკავშირებას, წარმოჩინდება მოსაზრება, რომელიც ჰ. ლეის
 წიგნში დაასიათებულია როგორც „ერთი ნაბიჯი წინ არისტოტელესაგან“.
 უკანასკნელი განაცხადი ეფუძნება განსაკუთრებული შინაარსის საწყისს,
 რომელიც გადადის მატერიაშივე არსებულ ფორმაში. ამიტომ იბნ რუშიდის
 მოძღვრებაში ფორმა მატერიის უკავშირდება ისევე, როგორც შემოქმედს.
 ამგვარად, იბნ სინა გვთავაზობს გარეშე გამზადებულ ფორმებს, იბნ რუშიდი
 კი ეძიებს მას თავად მატერიაში და უტოვებს შემოქმედს მხოლოდ მომწეს-
 რიგებლის ადგილს. მაგრამ, მიუხედავად იბნ რუშიდის უპირატესობისა, შეუ-



ძლებელია იმის უარყოფა, რომ მის მოსაზრებებს საფუძვლად უდევს იმ ხაზის ბუნებრივი განვითარება, რომელსაც მისდევდა იბნ სინა მკვლევარი ადნიშნული და ფორმასთან დაკავშირებული თეორიებიდან გამომდინარე. ზუსტად გამოიკვეთება, მაგალითად, გამოკვლევაში შუასაუკუნეობრივი მატერიალიზმის შესახებ, რომლის ავტორიც არის ზემოხსენებული ჰ. ლეი ([9], გვ. 160, 79—128, 143—207). ნაგრამ ასეთი მიდგომაც გვაიულებს ვიფიქროთ, რომ სწორედ იბნ რუშდი მატერიისა და ფორმის მისეული გაგებით წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარების პროცესში ([10], გვ. 101). მატერიისა და ფორმის ურთიერთკავშირი იბნ სინასთან უფრო გაურკვეველია, ვიდრე იბნ რუშდთან, კერძოდ, განიშინებინარე იქიდან, რომ იბნ სინას არსებობა ესმის როგორც ატრიბუტი, ან აქციდენტი.

ამ საკითხში ს. ბერგს სამართლიანად მიაჩნია იბნ სინა მეთაზილიტების თეორიის გამგრძელებლად ([4], გვ. 86) თვითმყოფადი სულის ცნება მით უმეტეს არალოგიკური ჩანს, როდესაც არსებობა გვესმის, როგორც ატრიბუტი, ან აქციდენტი ([4], გვ. 137). იბნ სინასადმი კეთილგანწყობილი იბნ რუშდი ამ საკითხშიც იცავს მას და გაუგებრობის ნიშნულად მიაჩნია საზიარო სახელების — **الاسماء الاستركية** — გამოყენება ([2], გვ. 403), მაგრამ იბნ რუშდის გამოყოფა იბნ სინასაგან არსებობისა და არსის ურთიერთკავშირთან დაკავშირებით აგრეთვე გაურკვეველია. ეს აიხსნება იმით, რომ, მიუხედავად იბნ რუშდის მიერ არსისა და არსებობის განსხვავების უარყოფისა, იგი იცავდა პოტენციურად მათ განცალკევებულ არსებობას. უფრო ზუსტად იბნ რუშდი აცხადებს, რომ როდესაც არსებობა გულისხმობს ცნებას არსზე დამატებულს, იგი წარმოადგენს სულის ინტელექტუალური ნიჭის გამომხატველ ცნებას (**جاء النفس**), რომელიც სულს მიღმა (**جاء النفس**) მხოლოდ პოტენციურად ან ძალითად (პეტრიწის მიხედვით) არსებობს ([2], გვ. 392—393). აღნიშნული მოსაზრების დაყენება ატრიბუტთა შედგენილობის, ან მათი ვითარცა დამსარტლებლის არსში გაერთიანების შეხედულებათა გვერდით შეუძლებელია. უკანასკნელი თეზისი, როგორც ს. ბერგი ამტკიცებს, არისტოტელეს მოძღვრებაში არსებულ არსსა და ატრიბუტის ობოზიციას არკვევს ([4], გვ. 211, [2], გვ. 327 — 329). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსსა და არსებობას შორის ურთიერთკავშირის საკითხთან დაკავშირებული ტერმინების ზუსტი გააზრება ორიგინალების შესატყვისად. ნათქვამი კონკრეტულად ეხება ორ ტერმინს (**ذنه** **αισθησις** — მიდმოგონება: **استكمال** **كمال** — **εντελεχεια** — ქმედობა, შემსრულებელი ([11], გვ. 106, 259; [4], გვ. 236, 307, 141), რომელთაგან, ვფიქრობთ, რომ პირველი გამოამხილებს თავის ჰეშმარიტ შინაარსს მხოლოდ პეტრიწის ლექსიკურ ერთეულებთან მათი შედარებისას. კერძოდ, სწორედ პეტრიწთან ჩამოყალიბდა ბერძნული ორიგინალის **αισθησις**-ის როგორც სულის ინტელექტუალური ნიჭის მიდმოგონების ფორმულირება. ეს არის შედეგი მიდმოგონების გაგონებისაგან მხოლოდ გონების ინტელექტუალური ნიჭისაგან გამოყოფისა, რაც ხორციელდება პეტრიწის მიერ **αισθησις**-ის პროგრესული ინტერპრეტაციით ([5], გვ. V — VIII; (12). **ذنه** -ის როგორც სუბიექტური მნიშვნელობის — subjective slense — გადმოცემისას, ვფიქრობთ, რომ

ذَنبٌ - ი ჰკარგავს იბნ რუშდის მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობას, რადგან ერთმანეთს უბირისპირდება ცნებები სულისმიღმა და სულში არსებობა (ذَنْبٌ فِي النَّفْسِ) ალნიშნული ანტითეზა არ წარმოაჩენს ობიექტურ და სუბიექტურ მნიშვნელობებს, რადგან მასში ხაზგასმულია, ერთი მხრივ არსზე დამატებული აქტიური არსებობა სულში, მეორე მხრივ, კი მისი პოტენციურობა სულს მიღმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პირველ შემთხვევაში ذَنْب-ის მნიშვნელობის დაზუსტებისას იგულისხმება სული მისი ინტელექტუალური ნიჭით, რადგან სწორედ ასეთი განმარტებისას შეიძლება ذَنْب-ის დაკავშირება უნივერსუმთან (الذنوب || الكلى), უფრო მეტიც, სულის ინტელექტუალური ნიჭის ცნება საშუალებას აძლევს იბნ რუშდს, რომ არსზე დამატებული არსებობა შეუდაროს მარტივ არსებობას, როგორც უბირველეს საწყისს (الأول), უკანასკნელი ცნება კი, როგორც ცნობილია, ყველაზე ნაკლებ შეიძლება შეუბირისპირდეს სუბიექტურ მნიშვნელობას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იბნ სინასა და იბნ რუშდის მოძღვრებაში არის აუცილებელსა და შესაძლებელ არსებობას შორის ურთიერთკავშირის გარკვევა. ეს საკითხი განუყრელია თვითშემეცნებისა და სხვისი ცოდნის გარკვევისაგან. იბნ რუშდს მიაჩნია, რომ იბნ სინა თავის მეტაფიზიკაში ცოდნისა და არსებობის გაორებისას სავარაუდო დასკვნებს აკეთებს. ორი ფორმა და ორი ბუნება ფიგურირებს იბნ სინას მოსაზრებაში და ჰქმნის სიძნელეს ერთარსება ღმერთის დამკვიდრებისას, ან იმ გარდუვალი არსებობის დამკვიდრებისას, რომლისაგანაც ყველაფერი წარმოედინება ([2], გვ. 91 — 99; [4], გვ. 66 — 68). იბნ რუშდი ცდილობს გააერთიანოს გარდუვალი და შესაძლებელი არსებობის ცნებები. უფრო მეტიც, იგი შესაძლებელს მოიაზრებს, როგორც თანაწარუვალს და აგრეთვე როგორც უზადოს mumkin dsruri hakiki ([1], გვ. 916; [15], გვ. 178). უკანასკნელი სიტყვასიტყვითი თარგმანი პეტრიწის ფილოსოფიური ენის გათვალისწინების შედეგად არის შესაძლებელი. ბერძნულ *επιχειρησις*, ისევე როგორც *მეჩიჟი-მეჩი*, პეტრიწთან საფუძვლად უდევს მათი ინტერპრეტირებული ეკვივალენტების (უჭეშმარიტესი, უზადო) შექმნას. სწორედ ალნიშნული ქართული ეკვივალენტები აერთიანებენ ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებს, რომლებშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნებების, ნამდვილისა და აბსოლუტურის, როგორც წმინდას ([5], გვ. 130, 214) ურთიერთკავშირი. არაბულ ტერმინში —

حقيقتي — იბნ რუშდი სწორედ *მეჩიჟი* ინტერპრეტირებულ მნიშვნელობას გულისხმობს, რაც ქართული უზადოა მსგავსად *حقيقتي*-ს *ეჩიჟი*-თან აკავშირებს. უფრო ზუსტად, არაბული *حقيقتي* აერთიანებს აბსოლუტურს, როგორც წმინდას და ნამდვილს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იბნ რუშდის მოძღვრებაში ([3], გვ. 126; [1], გვ. 75), იმდენად, რამდენადაც იბნ რუშდი კი არ გამოყოფს ნამდვილსა და რეალურს, როგორც შესაძლებელს. გარდუვალი აბსოლუტურისაგან, არამედ აერთიანებს მათ ერთ ტერმინში. იბნ რუშდთან პოტენციური, გარდუვალი, აქტიური, შესაძლებელი ხდება მოძრაობის წყალობით. მოძრაობა მათ მარადიულ თანაარსებობას და ერთიმეორეში გადასვლას აწესრიგებს. ამიტომ, თუ



იბნ რუშდი რაიმე ტრანსცენდენტალურს, განუყრელს ტრანზიტულსა და განმარტავს მხოლოდ იმიტომ, რომ აღამიანური შესაძლებლობა უმჯობესობა უფროსობაა. იბნ სინა იბნ რუშდისაგან განსხვავებით ერთმანეთს უპირისპირებს შემოადინებულ ცნებებს მათი განყოფილების გამო. განსაკუთრებით ხელშეწყობდა ეს გაყოფა ცოდნის საკითხთან დაკავშირებით. ს. ბერგი განიხილავს მას როგორც იბნ სინას მიერ ყველაფრის მატერიალ და ინტელექტუალ დაყოფიდან გამომდინარე შედეგს ([3], გვ. XXVII). ეს გაორება სწორედ მასთან გამოისახება და არა იბნ რუშდთან, იმდენად, რამდენადაც იბნ რუშდი ამ გაგებით არ გამოიყენებს პირველმატერიალური ინტელექტის ცნებას — *القلم والحواس* ([2], გვ. 579). ამას გარდა, ინტელექტი ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია არა მარტო უნივერსალიტეტთან, არამედ სიმრავლესთან, რომლის საწყისიც, როგორც ცნობილია, არის მატერია ([2], გვ. 659, 664).

ვეფიქრობთ, რომ ზემოგანხილული იბნ სინას ზოგიერთი ცნება იბნ რუშდის განმარტების მიხედვით საკმაო რაოდენობის მაგალითებია იმ განსხვავებების დასამტკიცებლად, რომელიც ეხება მათი მოძღვრების კონკრეტულ საკითხებს. ვეფიქრობთ, აგრეთვე, რომ ამ ტერმინის საშუალებით კიდევ ერთხელ ხაზი გაესმის სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ ნამდვილი არისტოტელისძემის აღდგენა მიეწერება იბნ რუშდს, რომელსაც „ფილოსოფოსს“, ე. ი. არისტოტელეს კომენტატორს უწოდებენ ([1], გვ. 919 — 920). იბნ რუშდის ასეთი გამოყოფა ხელს არ უშლის საერთო ე. წ. მატერიალისტურ ტენდენციებს, რაც დიდად განპირობებული ჩანს სწორედ ზემოაღნიშნული ორი მოაზროვნის შემოქმედებით. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იბნ რუშდისაგან განსხვავებით იბნ სინას ზოგჯერ ფილოსოფოს-მისტოკოსებს მიაკუთვნებენ ([16], გვ. 160).


აღმოსავლური ფილოსოფია უფრო მეტად უკავშირდება იბნ სინას მოძღვრებას, მაშინ როდესაც დასავლეთში მუსლიმური არისტოტელაზმის გავლენა და განვითარება თითქმის მთლიანად იბნ რუშდის მოძღვრებით არის განპირობებული.

სემიოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. The Encyclopaedia of Islam. ე], second edition. Leiden—London, (continuing), v. III;
2. Bibliotheca Arabica Scholasticorum, serie Arabe, Tome III, Averroes, Tahafut at-Tahafut, Ou "Incoherence de l'Incoherence, Texte Arabe, etabli par M. Boyges, Beyrouth, 1930;
3. Averroes Tahafut Al-Tahafut (The incoherence of the Incoherence, Transl. and comm. by S. Van Den Bergh, London, 1954, v. I;
4. Averroes, Tahafut al-Tahafut, London, 1954, v. II;
5. თანე პეტროვი, შრომები, გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940, ტ. I;
6. An Intermediate Greek—English Lexicon, London, 1975.
7. Massignon L. Essai sur les origines du Lexique technique de la mystique musulmane, Paris, 1968;
8. Gardet L. Islam Religion et communautè, Desclèe De Brouwer, 1970;
9. Ley Hermann, Studie zur Geschichte des Materialismus im Mittelalter, Moskau, 1962;
10. Tisini, T. Die Materialfassung in das islamisch-arabischen Philosophie des Mittelalters, Berlin, 1972.

17
ქაქუცაძის სახ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. ბიბლიოთეკა

- 
11. Afnan S. M. A philosophical Lexicon in persian and arabic, Beirut, 1968.
 12. კილაძე ნ. გონება (عقل) და მიდგომება (ذهن) იბნ რუშდთან დაკავშირებით
თსუ შრომები, ტ. 186, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი, 1978;
 13. Shorter Encyclopaedia of Islam, Leiden, 1974;
 14. Watt W. M. Islamic Surveys I, Edinburgh, 1972;
 15. De Lacy O'Leary, Arabic thought and its place in history, London, 1954.
 16. Nasr Seyyed Hossein, Sufi Essays, London, 1972;

Н. В. КИЛАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ФИЛОСОФСКИЕ ПОНЯТИЯ ИБН СИНЫ В ТОЛКОВАНИИ ИБН РУШДА

Резюме

«Непоследовательность неоследовательности» Ибн Рушда особым образом выделяется среди его творений. В частности, в специальной литературе указывается, что оно охватывает все великие проблемы человеческой мысли, резюмирует все предшествующие поднятые Ибн Рушдом вопросы, утверждает оригинальное учение мыслителя. Именно по этому произведению доктрина Ибн Рушда рассматривается как значительно зависящая от восстановления действительной философии Аристотеля, искаженной мусульманскими неоплатониками во главе с Ибн Синой. Таким образом, естественно, что в учении Ибн Сины и Ибн Рушда различно отразилась философия Аристотеля. Различие выявилось в конкретных вопросах и в основном было обусловлено разницей в осмыслении философских понятий. В результате исследования терминов, связанных с этими понятиями, можно утверждать, что Ибн Рушд является истинным последователем Аристотеля, а Ибн Сина при толковании Аристотеля доходит даже до восточного мистицизма.

N. KILADSE

EINIGE PHILOSOPHISCHE AUFFASSUNGEN VON IBN SINA IN DER AUSLEGUNG IBN RUSCHDS

Zusammenfassung

„Inkonsequenz der Inkonsequenz“ von Ibn Ruschd sticht von seinen Werken ab. Man pflegt nämlich hervorzuheben, daß dieses Werk alle wichtigen Probleme des menschlichen Denkens umfaßt, alle von Ibn Ruschd früher aufgeworfenen Fragen zusammenfaßt und seine originale Lehre an den Tag legt. Ibn Ruschds Lehre wird als wesentlich von der echt aristotelischen Philosophie abhängig betrachtet, der Philosophie, die vom mahomedanischen Neoplatonismus mit Ibn Sina an der Spitze entsteht und zu Ibn Ruschds Zeit widerhergestellt wurde.

In den Lehren von Ibn Sina und Ibn Ruschd spiegeln sich die aristotelische Philosophie natürlich verschiedenartig wider. Dieser Unterschied äußerte sich in konkreten Fragen und wurde hauptsächlich durch verschiedenartige Auffassung der philosophischen Begriffe bedingt.

Wenn man versucht, diese Begriffe klar zu werden, so kommt man zur Schlußfolgerung, daß Ibn Ruschd ein echter Nachfolger von Aristoteles ist, Ibn Sina aber bei der Kommentierung Aristoteles den Standpunkt des orientalischen Misticismus zu vertreten scheint.



**მღვდელმთავრის სამკარდის თორმეტი ძვირფასი ქვის
სახელწოდებათათვის („ქველი ალთჰიმისა“ და ეპიფანე
კვპრელის „თუალთაჲ“-ს ქართული რედაქციების მიხედვით)**

მერი ჩიქობავა

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ და შეისწავლიდნენ ძვირფას ქვებს. მათი განსაკუთრებული თვისებების გამო იშვიათ მინერალებს მაგიურია და სამკურნალო ძალა მიეწეოდა. ინდოეთში, მესობოტამიასა და ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული ქვათა მაგია, რაც, თავის მხრივ, რთული ასტრალური რელიგიური სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. მინერალების ასურულ-ბაბილონური სიტყვა იუდაიზმსა და ქრისტიანობაშიც აისახა 12 ბიბლიური ქვის სიმბოლოებაში ([1], 296; [2], 349).

ყველ ალთჰიმში (ბიბლ. გამოსლ. 28) აღწერილია ებრაელთა მღვდელმთავრის სამოსელი, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს სამკერდე ანუ გულსაფარი — ოთხკუთხა, მტკაველი სიგრძისა და მტკაველი სიგანის ძვირფასი ღიაფერი ქსოვილი წარმოადგენს. ის შემკულია ოთხ რიგად განლაგებული, მკრთოს ბუდეებში ჩასმული 12 ძვირფასი ქვით. თითოეული მათგანი ბრტყელია, ოვალური ფორმისა და მასზე ისრაელის 12 ტომთაგან ერთ-ერთის სახელია ამოტვიფრული. სამკერდე შეიკავს საიდუმლო „საცხადიოს და ქეშმარიტებას“, რომელთა საშუალებით მღვდელმთავარს შეუძლია განმარტოს იეჰოვას ნება ისრაელის კეთილდღეობის შესახებ ([3], 208).

12 ძვირფასი ქვის სიმბოლოებს ვხვდებით აგრეთვე „იოვანეს გამოცხადებაში“. აქედან 8 სახელწოდების ქვა სამკერდის ქვებს ემთხვევა. სპეციალურად სამკერდის 12 ქვას კი შეიძლება კვიპროსელი ეპისკოპოსის ეპიფანეს ტრაქტატი „თუალთაჲ“ (IV ს-ის ბოლო, [4], X111), რომელიც ძალიან მთელ ქრისტიანულ სამყაროში გავრცელდა, ითარგმნა რა სირიულ, კაპტურ, სომხურ, ქართულ და მოგვიანებით ლათინურ ენებზე. ამ თხზულებების მიზანია შეისწავლოს 12 ბიბლიური ქვის სახელწოდებანი, მობოველის ადგილები და სამკურნალო თვისებები, ამასთან, განმარტოს თითოეული მათგანის სიმბოლური მნიშვნელობა და ამა თუ იმ ტომისათვის მიკუთვნების მიზეზები. ქვათა აღმნიშვნელი სახელწოდებების შესწავლისა და დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შატბერდის კრებულში (X ს.) დატული „თუალთაჲ-ს“ ქართული რედაქცია, რომელიც ნაწილობრივ დღემდე მოღწეულ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ვარიანტს წარმოადგენს. რ. ბლეიკის აზრით, ის სომხურიდანაა თარგმნილი, სომხური კი, თავის მხრივ, სირიულიდან ([4], С XXII).

თუმცა ბიბლიაში მოხსენიებული თითქმის ყველა ქვის სახელწოდება დღესაც იმპარება, უეჭველია, რომ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი ქვების აღმნიშვნელი გახდა ([3], 211, 212).

ჩვენ შეგვიძლია „ძველი აღთქმისა“ და „თულთაჲს“ მაგალითებზე. სპეციალური მინერალოგიური და სენათმეცნიერო ლიტერატურის შესწავლით, მოკლედ დავახასიათოთ თითოეული ქვა.

1. სარდიონი 'სარდიონი'; „...კარგი ერთი იყოს ანთრაქთა სარდიონი, პაზიონი და სამარაგდონი“ (ბიბლ., გამოსლ. 28, 17), „სარდიონი და ტაზიონი... და იასპინი“ (0, ებეკ. 28, 13; [5], 367), სარდიონი (გამოცხ. 4,3), სარდიონი (თულ. გვ. 128,5).

~ ბერძნ. sardion; სომხ. sardion ([6], XXIV); ძვ. ებრ. odem ([7], 13).

ეპიფანე კპრელის მიხედვით „...არს ხილვად მისი მეწამულ, რამეთუ ფერსა და სახელსა თევზისასა სახელედდა, რომლისაჲ არს ფერი მისი სარდიონ-თევზისაჲ, ფერი სისხლისაჲ. რაჟამს განაქმიან თევზი იგი, იქმნის ფერი მისი, ვითარცა სისხლი, და ხილვითა მით მომსგავსებითა დაედდა სახელი თევზსა მას სარდიონ. ასურასტანს იბოვების“ (თულ. გვ. 129, 6—10).

სარდიონი რიგით პირველი ქვაა და გულისხმობს დღეს ამავე სახელწოდებით ცნობილ ქალცედონის სახესხვაობას. ამ მინერალის საუკეთესო სახეობაა იემენური სარდიონი, მუქი წითელი ფერისა (სპ.-არაბ. 'a gng). მისი ქიმიური ფორმულაა SiO_2 , სიმაგრე — 6,5 — 7, მას ავრეთვე კარნეოლი (კარნელიანი) ეწოდება ([8], 106).

2. პაზიონი 'ტოპაზი'; პაზიონი (ბიბლ., გამოსლ. 28, 17), ტოპაზიონი (ტ, ფს. 118, 127; [5], 413), ტოპაზი AB, ტოპაზი (გამოცხ. 2,20), „ტოპაზიონისა თულთაჲსა მეწამულ არს ხილვად მისი“ (თულ. გვ. 129, 27).

~ ბერძნ. topazion; სომხ. tpazion [6]; ძვ. ებრ. pitdā, სანსკ. pīta — ყვითელი ([7], 758).

მიიზნევენ, რომ ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ოლივინი (პერიდოტი), ზეთისხილისფერი მწვანე, გამჭვირვალე მინერალი, და არა საკუთრივ ტოპაზი; მისი ქიმიური ფორმულაა $[Mg, Fe] SiO_3$, სიმაგრე — 6,5 — 7 ([8], 109). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ტოპაზი ახლანდელ ქრიზოლიტს ეწოდებოდა; ხშირად შეცდომით ტოპაზს უწოდებდნენ ავრეთვე ყვითელ კორუნდს. ეპიფანე კპრელის მიხედვით ტოპაზს (თულ. გვ. 129, 29) ან ტაზე (იქვე, გვ. 138, 11) ინდოეთის ქალაქია ოლივინის, ქრიზოლიტის ან პერიდოტის, სპარსული სახელწოდებაა zabarjad ([1], 453). „ვისრამიანში“ გვხვდება ძვირფასი თვალი ბეჟმედი; ს-ს. ორბელიანის ვანმარტებით „ბეჟმედი — თვალა მწვანე, რომელსა სპარსნი ზებერჯას ეწოდებენ“ [9].

3. სამარაგდონი 'ზურმუხტი'; სამარაგდონი (ბიბლ., გამოსლ. 28, 17), „...ყოველი ქვაჲ კეთილი შეგემოსა სარდიონი და პაზიონი და სამარაგდო“ (ბიბლ., ებეკ. 28, 13), „დაიდგნა საყდარნი ზმარაგდოს სახედ ბრწყინვალედ“ (H, 341, 144; [5], 167), „ოქროთა ლესულთა შთასასუნელი თვალი ზმარაგდიონი“ (0; იქვე), „შემკობითა შინა ოქროსაჲთა ბეჟმედი სამარაგდოჲსა“ (pb. ზირ. 35, 8; იქვე). სამარაგდო (გამოცხ. 21, 19b), ზმურნი (თულ. გვ. 130).

ბერძ. smaragdus; სომხ. zemruxt [6]; ძვ. ებრ. bāreket, სანსკ. marakata, აქად. barāktu ([7], 156).



ქართული 'სამარაგდო, სამარაგდონი, ზმარაიგდო და ზმარაგდონი' ფორმები ბერძნულიდან შეთვისებული ჩანს, ხოლო "ზმური და ზურმუხტი" აგრეთვე სომხ. zemruxt ფორმები ფალაურიდან მომდინარეობს ([4], LXV). ქართული ზურმუხტი თავისი ფორმის მიხედვით აშკარად საშუალო ირანულია — შდრ. ფალაური *zmuruxt;... სემიტური brg ძირი, რაც 'ბრწყინვას' ნიშნავს, ნახსენებია პრაკრიტში asma maragada-ს სახით, 'ბრწყინვალე, ძვირფასი ქვა', საიდანაც იგი შეითვისა ბერძნულმა. ბერძნული ფორმა საფუძვლად უდევს ირანულ (ფალაური *zmuruxt, ახ. სპ. zomorrod) და არაბულ zabarjad ფორმებს ([10], 330).

ზურმუხტი ბევრილის უძვირფასესი ნაირსახეობაა, ბალახისფერი — მწვანე, გამკვირვალე, სიმაგრე 7,5 — 8 ([8], 109). გამორიცხული არ არის, რომ აქ რომელიღაც სხვა მწვანე ფერის ქვა იგულისხმება, მაგალითად, მალაქიტი. საინტერესოა, რომ „თულთაჲ-ში“ დახასიათებულია მწვანე ფერის ქვა მოლოქა (გვ. 129, 17), სახელწოდება მალაქიტი, ჩანს, აგრეთვე ჩინურ mo-lo-k'a-ta <სანსკრ. marakata — ძვ. ებრ. bīreket-ს ([7], 156) უკავშირდება. ამასთან ს-ს. თრბელიანის მიხედვით ზურმუხტს ქართულში „ქვამწუანე“ და „ქვა - კაბოეტი“-ც ეწოდება, „ძველ აღთქმაში“ კი ქართულ 'კაბოეტს' (თულ. გვ. 132, 29), სომხური 'დაჰნავი' შეესაბამება, რაც მალაქიტს აღნიშნავს ([6], 51).

4. ანთრაკი 'ანთრაკი'; „და კარგი მეორე ანთრაკი, და საფირონი და იასპი“ (ბიბლ. გამოსლ. 28,18), „ბირი იგი ეტლეს-თულთაჲ მათ, ვითარცა პირი ქვისა ანთრაკისაჲ“ (0, ეზეკ. 10,19; [5], 7).

~ ბერძნ. anthraks; სომხ. karkehan, kaiç [რ]; ძვ. ებრ. nîfek, ეგვიპტური mik't — მწვანე ნახევრად ძვირფასი ქვა(?) (17), 624).

ეპიფანე კპრელის დახასიათებით, რიგით მეოთხე ქვა არის „მბრწყინვალე ცეცხლის მსგავს“ (თულ. გვ. 131, 39) და „ფერი თულისაჲ მის ბრწყინავს, ვითარცა ნაკურცხალი“ (იქვე, გვ. 141; 26—27), როგორც ჩანს. აქ იგულისხმება პირობი, გრანატების ჭვავის წითელი ნაირსახეობა, რომელსაც ლუმინესცენციების განსაკუთრებული უნარი აქვს [11]. მისი ეს თვისება ჩანს ბერძნულ სახელწოდებაში, სადაც 'ანთრაკი' ნაკვერცხალს ნიშნავს (შდრ. აგრეთვე ლათ. carbunculus და არაბ. yaqūt jamrī). თუმცა, „თულთაჲში“ ამ ქვას იაკინთოზ (გვ. 131, გვ. 141) ან კარქედონი (გვ. 128, 39) ეწოდება. აქვე აღნიშნავთ, რომ ანტიკურ მინერალოგიურ ლიტერატურაში ანთრაკი ეწოდებოდა ნებისმიერ წითელ გამკვირვალე ქვას ([1], 323, [3], 212). „ძველი აღთქმის“ ქართულ რედაქციაში კი ეს სახელწოდება ხშირად ზოგადად ძვირფას ქვას გულისხმობს (იხ. ბიბლ. გამოსლ. 28,9; 28,10; 28,17; 24,10; და სხვ.). მაგ. ბერძნულიდან კალკიერებულია ტერმინი „ოქროს ანთრაკი“ (ბიბლ. გამოსლ. 28,20), რაც ქრიზოლიტს აღნიშნავს (ბერძნ. 'ოქროს ქვა'; იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება 'იაკინთოზ'-ს, ეს სიტყვა ბერძნული yacinthos-იდან მომდინარეობს, რაც მეწამული წითელი ფერის ქვას ან ყვავილს (ლათ. hyacinthus) აღნიშნავდა ([1], 423). ბერძნულია ამოსავალი აგრეთვე ახ. სპ. yaqūt, yakand ფორმებისათვის ([12], 295). მოგვიანებით მინერალოგიაში ტერმინი იაგუნდი (yaqūt) გახდა საერთო სახელწოდება კორუნდებისა და აღნიშნავს მათ სხვადასხვა ფერის ნაირსახეობებს ([2], 358; [1], 325, 429).

ბერანულსა და ლათინურში ჰაიაცინტი საფიროს — ლურჯ კორუნდს ეწოდება. ეს აისახა ქართულშიც: იაკინთე, იაკინთ-ი, იაკინთო, ვაკიხთ-ე, ვაკინთონსი, ვაკინთონი, ცისფერი, ლურჯი, ([5], 187), ან 'ლურჯი უმქრქალესი'. [9]. აქედანვე „ჰაიაცინტი“ ცირკონის ყვეთელ საიუველირო სახეობას ჰქვია (იხ. ქვემოთ ლიგვირი).

5. საფირონი 'საფირონი'; საფირონი (ბიბლ. გამოსლ. ვითარცა ხილვა სამყაროსა ცისა სიწმინდით (ბიბლ. გამოსლ. 24,10). „ვითარცა ძოწეული, ვნობის ფერ შავად ჰხილავნ თუალი იგი საფირონი“ (თუალ. გვ. 132, 31—32).

ბერძნ. sapheiros; სომხ. šapila [6]; ძვ. ებრ. šappir, იუდაურ-არამეული sampirina, sampirion < სანსკრ. śanipriya ([7], 664).

ახლა საფირონი ეწოდება კორუნდის ლურჯ სახეობას, ძველ აღთქმაში კი იგულისხმება ლაქვარდი (Lapis Lazuli), რთული შედგენილობის ალუმოსილიკატი, ლურჯი, ცისფერი; იისფერი და სხვა ელფერისა, გაუმჟვირვალეა, სიმაგრე 5,5 ([8], 111).

6. იასპი 'იასპი, ეშმი'; — იასპი (ბიბლ. გამოსლ. 28,18). „...სუეტთა მათთა იასპანისათა“ (H, 341, 615, [5], 187). „იასპინი თუალი არს და ხილვად მისი მსგავს არს ზმურისა“ (თუალ. გვ. 133,9). იასპი (გამოცხ. 21,19b).

~ ბერძნ. < aspis; სომხ. yaspis [6]; ძვ. ებრ. yašfē, აქად. (j)āšpu; სპ. yašm < yašb ([7], 413). ქართული და სომხური ფორმები ბერძნულიდან მომდინარეობს და არა სემიტურიდან, სადაც § თანხმოვანია ([4], LXVI).

იგულისხმება ნეფრიტი (Nephrit, Jade), სხვადასხვა ელფერის მქონე ნახევრადძვირფასი ქვა, რომელიც ძველად, მეტად ფასობდა. მისი სიმაგრე 5,5—6,5 ([8], 110).

7. ლიგვირიონი (?) — „და კარგი მესამე ლიგვირიონი, და აქატე და ამეთვსტომი“ (ბიბლ. გამოსლ. 28,19). „ყოველი ქვაჲ პათიოსანი შეგემოსა: სარდიონი, ლიგვირიონი და აქატე“ (I ეზეკ. 28,13; [5], 209). ლიგვირიონი ან ლუგვირიონი (თუალ. გვ. 133. გვ. 148).

~ ბერძნ. ligurion; სომხ. gocazm (?) [9]; ძვ. ებრ. lešom — დაუდგენელი ქვაა ([7], 487). ზუსტად არ არის ცნობილი თუ რა მინერალს აღნიშნავს ეს სახელწოდება, ჯერ კიდევ ეპიფანე კვბრელი წერს: „ლიგვირიონი ვითარ პოვნილ არს, ვერსადა გამოვიძიეთ...“ (თუალ. გვ. 133,33) და მიიჩნევს, რომ ეს არის ერთ-ერთი სახეობა იაგუნდისა (იაკინთისა), რომელიც ფერმრავალია და უმატიონსესია სხვა თვალთა შორის (იხ. თუალ. გვ. 133, 24-35, გვ. 149, 30-31 და გვ. 154, 30-40). ამ ქვის ფერი „არს ფერი ველურისა მის ზროხისაჲ, მსგავს წითლისა დეკეულისა...“ ან „თაფლის ფერ და ძოწეულის ფერ“. ვარაუდობენ, რომ ეს არის ჰაიაცინტი ([6], XXIV: [3] 212), ცირკონის (ZrSiO₄) კეთილშობილი სახეობა, ნარიჩისფერიდან მოყავისფრო-წითლამდე, გამჟვირვალე, სიმაგრე 7-8 ([8], 108), ან, შესაძლოა, ქარვა. ჰაიაცინტს ანუ ლიგვირიონს 'სეილანი'-ც ეწოდება ([6], 72; [13], 96).

8. აქატე 'აქატი'; — აქატე (ბიბლ. გამოსლ. 38,19); აქატე (ბიბლ. ეზეკ. 28, 13), აკატი, აკად ან აკატე (თუალ. გვ. 128,40).



~ ბერძნ. axates სომხ. akat [6] ძვ. ებრ. sebo, აქად. šubū ([7], 919)

ბლეიის აზრით, ქართული 'აკად, აკატი, აკატმ' ფორმები მიღებულია რელიდიან (კ გვაქვს ქ-ს ნაცვლად), თ-ს პალატალიზაცია დ-დ კი ფალაურის გავლენით აიხსნება ([4], LXII), „თუალთაჲ“-ს მიხედვით „...არს აკატი ლომის ფერ... მიწის ფერ მომწითურე“ (იხ. თუალ. გვ. 155, 14-15; გვ. 135, 32-40). ივლისსხმება აქატი — ქალცედონის ზოლებიანი თხელფენიანი სახეობა; ნაირფერია, შუქმდღწევალი, სიმაგრე 7 ([8], 107). პლინიუსის ცნობით ეს სიტყვა მომდინარეობს იტალიის მდინარის Achatos სახელწოდებიდან, სადაც იგი ძველად მოიპოვებოდა ([14], 160).

9. ამეთესტონი 'ამეთესტო'; — ამეთესტონი (ბიბლ. გამოსლ. 28, 19), ამეთესო (ა) (0, ეზეკ. 28, 13, [5], 5), ამითუსო-ა (გამოცხ. 21, 20C), ამსთოსო-ა (იქვე; 21, 20G), ამეთესტონი (თუალ. გვ. 136.1), ამეთესტომი (ამეთესტომი) [9].

ბერძნ. amethystos; სომხ. sutak, meghesik [6]; ძვ. ებრ. axlāmā, ეგვიპტური ḫnm:t შესაძლოა წითელი ან ყავისფერი იასპი (Bauer) ([7], 31).

ამეთესტო კვარცის (SiO₂) სახეობაა, მოლურჯო-ვარდისფერია, გამკვირვალე, სიმაგრე 7 ([8], 106). სპარსულსა და არაბულში რამდენიმე სახელწოდება აქვს: jamast, kamast, la'l-e kabud, yāqūte banafš და სხვ. არაბული jamast და ბერძნ. amethystos ფორმები, როგორც ჩანს, მიღებულია საერთო სემიტური პროტოტიპიდან (ებრ. axlama', ასირიული aalgamiš^u šu — Thompson), ტრადიციული ეტიმოლოგია ('არამათრობელი, არამთვრალი') კი საეჭვოა, რადგან გვიან არის გახენილი ბერძნულში ([1], 462).


10. ოქრო ანთრაკი 'ქრიზოლიტი'; — „და კარგი იგი ნეოთხე, ოქრო ანთრაკი და ბირჯლიონი, და ანუქიონი“ (ბიბლ. გამოსლ. 28,20), ოქროქვა (0, ეზეკ. 28,13 [5], 335). ოქრო ქვაა (გამოცხ. 21,20), „ქოწეული თუალი... იგი ბურჯლად ითქუნის, რამეთუ ოქროს ფერად მ-მოაც გარემო...“ (თუალ. გვ. 136, 13-15).

~ ბერძ. xrysolithos; სომხ. yakint, oskeak [6]; ძვ. ებრ. taršiš უცნობი ბიქვა ([7], 1042).

ქრიზოლიტი ანუ ოქროს ქვა წარმოადგენს ოლივინის ნაირსახეობას, მოლ-ოქროსფრო — მწვანეა, სიმაგრე 6,5-7 ([8], 109). თუმცა „თუალთაჲში“ მას „ძოწეული“ ეწოდება (ძვ. ქართ — „ძოწეული — წითელი, პორფირი“ [5]), დახასიათებულია, როგორც ოქროსფერი ქვა (იხ. თუალ. გვ. 158, 21-33 33, გვ. 159, 13-15).

11. ბირჯლიონი 'ბევრილი' — ბირჯლიონი (ბიბლ. გამოსლ. 28, 20) 20), ვირილლუნი (ბიბლ. ეზეკ. 28, 13), ბურჯლიონი (ბირილიონი) (0, ეზეკ. 28, 13; [1], 38). ბურჯლიონი, ბურჯლი (თუალ. 136, 22 22-23). „მეთერთმეტს თუალი ბევრილი, რომელი მომრუმელ ჩანს, ნათლის გამოძეველ არს; ზღვს ფერ, ხილვითა — იაგუნდის მსგავს“ (იქვე, გვ. 160, 6-7).

~ ბერძნ. beryllion; სომხ. byuregh [6]. ბლეიის მიხედვით, ქართული ბევრილი სომხური ფორმიდან წარმოდგება (ვე — yv საწყის მარცვალში); ასირიულში bērūla და bērūrā ფორმები გვაქვს ([4], LXIV). ბერძნ. beryllion, არაბ. bolīr, ქართული 'ბროლი, ბლორი' ტერმინებს შდრ. აქადური burallu. როგორც ჩანს, ეს ძირი თავდაპირველად მთის ბროლს აღნიშნავდა ([1],



459; [15], 528). „ძველ აღთქმაში“ იგულისხმება თანანედროვე ბივილი მომწვანო-ცისფერი საბეობა აკვამარი, გამკვირვალე. 7,5—8 ქმ (8), 109).

29- 12. ანუქიონი 'ფრცხილი'; — ანუქიონი (ბიბლ. გამოსლ. 20), ფრცხილი (ბიბლ. ეზეკ. 28, 13), თნიქიონი, თნუქიონი, [5], 333); „თუალი ფრცხილი წითელ და მომრუმელ-განრულ არან ფერი მისი“ (თუალ. გვ. 136, 32).

ბერძნ. onyxion; სომხ. yeghungn [6]; ძვ. ებრ. yahalom (?) ([18] 371).

ონიქსი ანუ ფრცხილი აქატის სახესხვაობაა, შედგება თეთრი მკვეთრ თხელი ფენებისა და ნაირფეროვანი სწორი ზოლებისაგან: თეთრი და შავი თეთრი და წითელი და სხვ. ([8] 107).

ქართ. 'ფრცხილი' ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს (ბერძნ. onyxion - ფრცხილი).

* * *

„ძველი აღთქმა“ უძველესი ძველია, სადაც ქართულ ენაზე ძვირფას ქვების სახელწოდებები გვხვდება. ვ. ზუხბია აღნიშნავს, რომ საქართველოში საშენი და ყოველდღიურად სახმარი ქვების სახელწოდებები ყველა ქართულია ([13], 247), ძვირფასი მინერალების აღმნიშვნელი სახელები კი ჩვეულებრივ არაბულ-სპარსული ან ბერძნულია. თუმცა არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ პალეოლითელი ადამიანი იყენებდა მათ. ბიბლიის 12 ქვეს სახელწოდებათა უმეტესობა (სარდიონი, პაზიონი, სამარაგდონი, ანთრაქი, იაკინთე, საფირონი, იასპი, ლიგვირონი, აქატე, ამეთვისტონი, ბირვილიონი) ბერძნულიდან ჩანს შეტყობილებული. ზოგი ფორმა (ზმურტი, აკადი) ფალაურადან და სირიულიდანაა ნაწარმოები. ორი სახელწოდება კი ოქრო ქვა ანუ ოქრო ანთრაქი და ფრცხილი — ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს.

ყველა ეს ტერმინი დამკვიდრდა ძველ ქართულ მწერლობაში და რამდენიმე გამოხატვის გარდა (ლიგვირონი, იაკინთე, ძოწეულ) დღესაც ხმარებაშია.

ციტირებული წყაროების შემოკლებანი

- ბიბლ. = დაბადება (ბიბლია), ნაწ. I—II, ტფილისი, 1884.
- თუალ. = თუალთა ეპიფანი კვბრელისაჲ თქუმული, შატბერდის კრებული, თბილისი, 1979.
- გამოცხ. = იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული გერსიჲ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბილისი, 1961.

ირანული ფილოლოგიის კათედრა

ლიტმეპატურა

1. Ал-Бируни, Собрание сведений для познания драгоценностей, /Минералогия/, М., 1963.
2. М. Пыляев, Драгоценные камни, СПб., 1896.
3. H. Smith, Gemstones, London, 1950.
4. Epiphanius de Gemmis. The Old Georgian Version and the Fragments of Armenian Version by Robert P. Blake and The Coptic-Sahidic Fragments by Henri De Vis. Studies and Documents edited by K. Lake and S. Lake, London, 1934.



5. ანთონი აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (ნასაღები), თბილისი, 1963.
6. К. П. Паткавов, Драгоценные камни, их названия и свойства по историческим источникам в XVII веке, СПб, 1873.
7. L. Koehler L., W. Baumgartner, Lexicon in Verberis Testamenti Libros, Leiden, 1958.
8. В. И. Соболевский, Замечательные минералы, М., 1971.
9. ს. ს. ბრეღლიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.
10. შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებში, ტ. I, თბილისი, 1966.
11. Ф. Кренделев, Всем камням господни, «Неделя», № 29, 1979.
12. გ. წერეთელი, ირანულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951.
13. ვ. ზუხბაია, ქვის ელემენტარული სპარსულში, თბილისი, 1965.
14. А. Е. Ферсман, Рассказы о самоцветах, Л., 1957.
15. В. В. Бартольд, Сочинения, т. III, М., 1965.

М. Г. ЧИКОБАВА

О НАЗВАНИЯХ ДВЕНАДЦАТИ КАМНЕЙ НА НАГРУДНИКЕ
 ПЕРВОСВЯЩЕННИКА /ПО ГРУЗИНСКИМ РЕДАКЦИЯМ «ВЕТХОГО ЗАВЕТА»
 И ТРАКТАТА ЕФИФАНИЯ КИПРСКОГО/

Резюме

«Ветхий Завет» является древнейшим памятником грузинской литературы, где засвидетельствованы названия драгоценных камней. В «Книге Исхода» /гл. 28/ описан нагрудник первосвященника, украшенный двенадцатью камнями, а в трактате Епифания Кипрского «...О двенадцати камнях» /грузинский перевод относится к IX веку/ даны свойства каждого из них. Большинство из грузинских названий этих камней /sardion-i, pazion-i, samaragdon-i, antrak-i, iakinte, sapiron-i, iasp-i, ligvirion-i, akate, ametviston-i, birvilion-i/ заимствованы из греческого, а некоторые формы /zmur-i, akad-i/ происходят от пехлевийского и сирийского. Термины *okro antraki* и *prexili* калькированы с греческого. Все эти названия, за несколькими исключениями, /iakinte, ligvizioni, dzoceli/ находятся в употреблении и по сей день.

M. CHIKOBAVA

ON THE NAMES OF TWELVE STONES OF THE HIGH PRIEST'S BREASTPLATE
 (ON THE BASIS OF GEORGIAN TRANSLATIONS OF THE OLD TESTAMENT
 AND EPIPHANIUS' "DE GEMMIS")

Summary

The Old Testament is the oldest monument of Georgian Literature in which the names of precious stones are recorded. In Exodus /ch. 28/, is described the breastplate of the Jewish High priest, adorned with twelve gemstones, "Epiphanius" treatise "de Gemmis" /Georgian translation of the 9th c. /gives the characteristic Features of each stone. Most of the Georgian names of these stones (*sardion-i, pazion-i, samaragdon-i, antrak-i, iakinte, sapiron-i, iasp-i, ligvirion-i, akate, ametviston-i, birvilion-i*) are borrowed from the Greek, Others (*zmur-i, akad-i*) are taken from Pahlavi and Syriac. The terms *okro antraki* and *prexili* are Georgian translations from the Greek. All these names, with a few exceptions (*iakinte, ligvizioni, dzoceli*) are hitherto used.

ივანე შურცაძე ა. შ. ახუნდოვის მოღვაწეობაზე

კონსტანტინე შალვაძე

დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და განმანათლებლის ნიჭიერი ფათალი ახუნდოვის (1812 — 1878) მოღვაწეობის ერთი ღირსშესანიშნავი და დამახასიათებელი ფურცელია მის მიერ არაბული ანბანის რეფორმისათვის გაწეული შრომა. მასში კარგად ჩანს ახუნდოვის მეტროპოლი ბუნება, უანგარო ზრუნვა ხალხში განათლების შეტანისათვის, ჭეშმარიტად პროგრესული სულისკვეთება და საქმის პერსპექტივაში დანახვის უნარი. ახუნდოვის აზრით, ნის მიერ ჩაფიქრებული ესოდენ დიდი საქმის ბედი ირანსა და თურქეთში უნდა გადაწყვეტილიყო; ამიტომაც მას 1857 წლის 23 სექტემბერს კავკასიის ნეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის ა. თ. კრუხენშტერნისათვის ასეთი განცხადებით მიუმართავს: „მუსლიმური ანბანის ნაკლოვანება ბევრი ორიენტალისტისთვისაა ცნობილი. მით დაწერილი სიტყვა, შეიძლება ითქვას, იერო-გლიფს წარმოადგენს, რადგან, ჯერ ერთი, ამ აღფაბეტით სიტყვაში სრული ბგერის წარმოთქმისათვის აუცილებელი რამდენიმე ასო სრულებით არ არსებობს, მეორეც, ხმოვანთა გამოთქმისათვის ასოების უმეტესობა არ იწერება იმ თანხმოვანთა გვერდით, რომლებიც სწორედ მათი დახმარებით უნდა წარმოთქვან და ამიტომ მკითხველი იძულებულია თვითონ მიხედვს, თუ როგორ წაიკითხოს მხოლოდ თანხმოვნებით წარმოდგენილი სიტყვები, ხოლო ეიდან ამას იგი გაიწვევბოდეს, გადის წლები და ესოდენ მკირფასი დრო ამ წერილმანებს ეწირება; მესამე სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ მთელ რიგ ასოებს გრაფიკულად ერთნაირი სახე აქვთ და ურთიერთისაგან მხოლოდ თანდართული წერტილებით განიარჩევიან. მაგრამ საქმეს კიდევ ის ართულებს, რომ გადაწყვეტილი ხშირად სრულებით არ სვამენ წერტილებს და ამიტომ მკითხველი იძულებულია იწვალოს და გამოიცნოს, ნამდვილად რომელი ასოებისაგან შედგება წარმოდგენილი სიტყვა. ასეთი ანბანის არსებობას კი ის უარყოფითი შედეგი აქვს, რომ მუსლიმურ მოსახლეობაში ყოველ ათასთას კაცზე მხოლოდ ერთი თუა წერა-კითხვის მცოდნე. ვინა ხალხს არ სურს იცოდეს წერა და კითხვა, მაგრამ მის შესწავლას რომ იწყებენ, მალე რწმუნდებიან, თუ რა დიდი დრო სჭირდება არაბული ანბანის სრულ დაუფლებას და უსახსრობის გამო იძულებული არიან ხელი აიღონ დაწყებულ საქმეზე. ვერ ნახავთ ბავშვს მუსლიმთა შორის, რომ არ სძულდეს არაბული წერა-კითხვა; არაბულით დაწერილი სიტყვა პირველ ხანებში მათემატიკურ ამოცანას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება უცხოელებს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღემდე არ მოიძებნება მათ შორის ერთი კაციც კი, რომელიც სრულყოფილად იყოს დაუფლებული მუსლიმურ ანბანს“¹ ([1], იხვ. 131, გვ.

¹ მ. შ. ახუნდოვი არაბულ ანბანს მუსლიმურსაც უწოდებს.



3-5), ახუნდოვის ამ სიტყვებზე გვახსენდება ფრადრიხ ენგელსი, რომელიც არაბული ანბანის შესახებ წერდა: „Если бы не этот проклятый арабский алфавит, в котором то и дело целые шерстки букв имеют совершенно одинаковый вид и в котором нет гласных, то я бы взялся изучить всю грамматику (ლაბარაკია სპარსულის გრამატიკაზე. კ. ფ.) в течение 48 часов“ ([2], 223). „დიახ, — განაგრძობს ახუნდოვი, — ასეთმა სიძნელემ და შეუსაბამობამ არაბული წერა-კითხვისა შეუძლებელია იარსების. ის აუცილებლად შეიცვლება ხუთასი წლის შემდეგ მაინც, მაგრამ მე გადაწყვიტე, იგი ბევრად ადრე გავამარტივო. ამ მიზნით უარვყავი ყველა წერტილი, შემოვიღე ასოები ხმოვნებისათვის, რომლებიც არ იწერებოდნენ, და ყველა ასოსათვის გამოვძებნე განსხვავებული გრაფიკული სახე. ამასთანავე, აზრის ნათლად გაგებისათვის დაეწესე ზოგიერთი აუცილებლად საჭირო სასენი ნიშანი... ერთი სიტყვით, არაბული, სპარსული და თათრული ენებისათვის შევადგინე ახლებური ანბანი, რომელიც თავისი ხასიათით ძველს არ ემიჯნება, მაგრამ მთლიანად შეესაბამება დასახულ მიზნებს... მე გაბელული ნაბიჯი გადავდგი წინ, მაგრამ ახლა საკითხია, — მიიღებენ თუ არა ჩემს ანბანს აღმოსავლეთის ქვეყნებში, დასთანხმდებიან მუსლიმურ ლიტერატურაში ისეთი გადატრიალების მოზღუნას, რომლის შედეგადაც აიყრიდან მილიონობით წიგნი უვარგისი დარჩება? მაგრამ არ ვფიქრობ ამის შესახებ, ცდისთვის თქვენს აღმატებულებას ვაახლებ ამ ჩემს ნაშრომს და უმორჩილესად ვთხოვთ, მოახსენოთ ეს მის ბრწყინვალეებას, კავკასიის მეფის-ნიცვალს, რათა მან გადასცეს იგი თბილისში მყოფ სპარსეთის გენერალურ კონსულს წინადადებით — ხომ არ დასთანხმდება მის მთავრობა თავის ქვეყანაში ჩვენს მიერ შედგენილი ანბანის შემოღებას.

თუ სპარსეთის ხელისუფალთ არ აღმოაჩნდებათ ამისათვის საჭირო გამბედაობა, მაშინ ასეთივე წესით ამ ჩემს ნაშრომს გავუგზავნი თურქეთის მთავრობას, რომელიც სიახლეთა საქმეში ახლა უფრო გამბედაობას იჩენს“ ([1], ივ. 131, გვ. 5-7). ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და ახუნდოვს იმავე წლის 12 ნოემბერს თავისი პროექტი ზემოწარმოდგენილი განმარტებით გაუგზავნია კონსტანტინოპოლს რუსეთის მისიის უფროსის ა. პ. ბუტენოვისათვის, რომელსაც სთხოვდა, განსახილველად გადაეცა იგი თურქეთის დივანისათვის ([1], ივ. 402, გვ. 1). მაგრამ არც ამას დაჯერებულა და განუზრახავს, თავისი ნაშრომი სათანადო დიპლომატიური არხებით გადაეგზავნა პეტერბურგში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში, რათა იქაურ ხელისუფალთ განსახილველად გადაეცათ იგი ადგილობრივი ორიენტალისტური სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებისათვის. ყოველივე ამის შესახებ ახუნდოვს 1858 წლის 3 ივლისს კვლავ თხოვნით მიუმართავს კრუზენშტერნისათვის ([1], ივ. 132, გვ. 1,2).

ჩანს, ყოველი მხრიდან დუმილი იყო. მაგრამ ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუხელებია ახუნდოვის ენთუზიაზმი. იგი ერთხელ კიდევ ჩააჭდომია თავის პროექტს და რამდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ, 1859 წლის 12 აპრილის თარიღით შედგენილი წერილით პეტერბურგში მიუმართავს აკად. პ. ა. დორნისათვის (1805 — 1881), რომელსაც პასუხი არ დაუყოვნებია და ახუნდოვისათვის მიუწერია: თქვენს მიერ შედგენილი ახლებური მუსლიმური ანბანის გულმოდგინედ განხილვის შემდეგ დაგრწმუნდით, რომ „...новая система Ваши, как плод весьма похвального желания Вашего обобщить сокровища мусульманской литературы, доказывает необыкновен-




პოს-ობროუმნიე ი პოლნოე ზნანიე დელა, ნო ვведение ее между мусульма-
 нами мне кажется сопряженным с непобедимыми затруднениями. С
 другой стороны, и европейские ориенталисты, давно признавшие не-
 удобства ныне употребляемого мусульманского алфавита и делавшие
 уже разные попытки для устранения его, едва ли решатся Вашего алфа-
 вита, который исключил бы издания их из употребления мусульман. Это
 мое мнение². დაბოლოს სთავაზობდა: თუ ესურთ გქონდეთ აკადემიის შეფასე-
 ზა თქვენს ნაშრომზე, მაცნობეთ და მე წარვადგენ განსახილველადო ([1],
 ივწ. 475, გვ. 1,2).

ასეთი პასუხით ასუნდოვი დიდად კმაყოფილი დარჩენალა და როგორც
 1860 წლის 28 მარტის თარიღით ამ ადრესატისათვის გაგზავნილი წერილი-
 დან ჩანს, გაუზიარებია მისი ანბანის გავრცელებისა და დანერგვისათვის მო-
 სალოდნელ სიძნელეთა მოტივირება: მუსლიმურ აღმოსავლეთში ჩემი შრო-
 მის საყოველთაოდ მიღება მართლაც გამოიწვევდა ვანდენას დღემდე არსე-
 ბული არაბული ანბანისას, რომლითაც დაბეჭდილია ესოდენ მრავალი წიგ-
 ნი აღმოსავლურ ენებზე აზიასა და ევროპაშიო. ამიტომ, ვანავრძობს იგი,
 მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გავრცელება არაბული ანბანის გვერდით.
 ჩემი ანბანი აღვილია შესასწავლად და ამიტომ იგი მომავალში თანდათან
 შეამცირებს არაბულის შემდგომ გავრცელებას: მოხდება ისე, როგორც ამას
 ადგილი ჰქონდა რუსეთში, სხადაც პეტრე-დიდის დროს ანბანის რეფორმამ
 სელი არ შეუშალა საეკლესიო მწერლობას... დარწმუნებული ვარ, რომ
 ჩემი აღფაბეტი ერთი ასი წლის შემდეგ საპატიო ადგილს დაიჭერს აღმო-
 სავლურ ლიტერატურაში. მით დაიწერება ახალი თხზულებები და გამოი-
 ცემა ძველი წიგნებიც. მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული ჩემი მიზანი და
 ამიტომ შემოძლია წინასწარ დამშვიდებული გიყო, თუმცა კი მე იმ საამურ
 ეპოქას ვერ შევესწრებო. — დასძენდა ასუნდოვი ([1], ივწ. 283, გვ. 1-3).
 მაგრამ თავის ამ იდეაზე უარის თქმა უკვე აღარ ძალუძდა. ამიტომ ესოდენ
 საანუკვარი იდეის რეალურ საქმედ ქცევის მიზნით ასუნდოვი 1863 წლის
 მაისში კონსტანტინოპოლს გამგზავრებულია.

თუ როგორ წარიმართა იქ საქმე, ამის შესახებ იგი ავტობიოგრაფიაში
 მოგვითხრობს: „ჩემი ნაშრომი ანბანის შეცვლის შესახებ რუსეთის ელჩის
 რეკომენდაციით ოსმალეთის დიდ ვეზირს ფაუდ-ფაშას წარვუდგინე. მასვე
 მივართვი ჩემი თურქული კომედიები და მოთხრობა იუსუფ-შაჰზე². ხსენე-
 ბული შრომა მისი ბრძანებით ოსმალეთის სამეცნიერო საზოგადოებამ გი-
 ნიხილა: ყველაფერზე დამეთანხმნენ, შემაქეს კიდევ, მაგრამ პროექტია
 ცხოვრებაში დანერგვაზე უარი სთქვეს იმ მიზეზით, რომ მასში რეკომენ-
 დირებული წესები ასოების გადაბნისა ბეჭდვისათვის ძნელიაო. მაშინ მე
 განვაცხადე — საჭიროა მთლიანად შეიცვალოს ისლამური ანბანი, შემორე-
 ბულ იქნეს ლათინური. თანხმოვნების გვერდით დაესვათ ხმოვნებიც და
 მსგავსად ევროპელებისა ვწეროთ მარცხნიდან მარჯვნივ-მეთქი. არც ამაზე
 დამეთანხმნენ... მიუხედავად ამისა მაჯიდიდიეს ორდენითა და ქების სიგე-
 ლით დამაჯილდოვეს გაწეული შრომისათვის“ ([1], ივწ. 490, გვ. 37;
 38, 38^b).

ეს იყო თურქული დიპლომატიის ქესტი იმის პასუხად, რომ ასუნდოვი
 რუსეთის იმპერატორს მოქალაქე იყო, თორემ ისლამური სახელმწიფოს ფანა-

² ეს ნაწარმოები ერთ კრებულად გამოიცა პირველად თბილისში 1860 წელს.



ტივოს მესვეურთათვის, რა თქმა უნდა, არაბული ანბანის შეცვლა ყოველად მიუღებელი იქნებოდა. იქვე ახუნდოვი მოგვითხრობს იმ ფარულ მტრებთან ურთიერთობას, რომელიც გამოუჩენია მის მასპინძელს კონსტანტინოპოლში — ზღაპრულ სრულფულეზიან წარმომადგენელს, ადრე თბილისში კონსულად ნამყოფს, მირზა-პუსეინ ხანს: „ოსმალეთის ვეზირებთან მუსლიმური რელიგიისა და თურქეთის სახელმწიფოს მტრად გამოამაცხადა. თურმე ეს რეგენი, უფიცი ხელოვნებისა და ლიტერატურის, ნაწყენი ყოფილა იმიტომ, რომ ჩემს კომედიაში მოქმედ პირებად სპარსელებიც მყავს გამოყვანილი და დავეცინა მათ“ ([1], ინვ. 490, გვ. 38).

ასე და ამრიგად, ახუნდოვის იდეა სტამბოლში ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ საქმეზე მას ხელი არ აუღია მაინც: „თბილისში დაბრუნების შემდეგ ანბანის საქმეს კვლავ ჩაუკუტევი და ახალი ნაშრომი ამჯერად თეირანს ვაგზავნე. მასში ყოველი ასოსათვის სრულიად დამოუკიდებელი სახე დავაწყეს და უარფყავი მათი გადაბმა, ოდონდ უღემების შიშით, წერა კვლავ მარჯვნიდან მარცხნივ დავტოვე“ ([1] ინვ. 490, გვ. 39). ეს უკვე ახალი, წინასაგან განსხვავებული მოსაზრება იყო მისი არაბული ანბანის რეფორმის საქმეში. მაგრამ, განავრძობს იქვე ახუნდოვი, „არც თეირანში მიატყვის მას ყურადღება და ახლა ჩემი იდეა სტამბოლში პროგრესისტებსა და კონსერვატორებს შორის კამათის საგანი არის“ ([1] ინვ. 490, გვ. 39).

მართლაც სპარსეთის „გამოღვიძების“ ეპოქის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე მირზა იუსუფ-ხანი (დაახლ. 1890 წ. სიკვდილით დასაჯეს ყაზვინში) 1869 წლის 6 მაისით დათარიღებულ პარიზიდან გამოგზავნილ წერილში ახუნდოვს ატყობინებს: „მატონი მირზა-ქაზემ-ბეგი იყო იქ, პარიზში, ჩამოსული პეტერბურგიდან. მე ვისარგებლე შემთხვევით და მასთან დავამეგობრეთ, ვადავეცი ვასაცნობად თქვენი ანბანი. როდესაც შეისწავლა, ბრძანა, ამაზე ძალიან კარგ შეფასებას დაეწერო... თქვენმა აზრმა ანბანის შესახებ. — განავრძობს იუსუფ-ხანი, — ახლა სტამბოლში მრავალი ჩააფიქრა. იქ თურქულ ენაზე გამოდის გაზეთი „თარაყი“ („პროგრესი“), რომლის ფურცლებზე ბევრი იწერება ამის შესახებ: ერთნი მხარს უჭერენ არაბული ანბანის შეცვლას, მეორენი მხოლოდ რეფორმას სჭერდებიან, მესამენი კი — ორივეს უარყოფენ ასევე ბევრს წერს თქვენ მოსაზრებებზე გაზეთი „პორ-რეჟათ“ („თავისუფლება“), რომელიც თურქულ ენაზე გამოდის ლონდონში... მართალია, თქვენი ანბანი ჯერ არ არის აღიარებული, მაგრამ მას მრავალი მომხრე ჰყავს... საერთის ჰეშმარიტება აშკარაა“ ([1], ინვ. 86, გვ. 14, 15).

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე მირზა მალქომ-ხანის* მიერ ახუნდოვისათვის 1870 წლის 18 სექტემბრის თარიღით კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ერთი წერილი, რომელშიც იგი თავის უფროს მეგობარს აუწყებს: „განსვენებული დიდი ვეზირის (ლაპარაკია ფაუდ-ფაშაზე. კ. ფ.) საგანგებო მდივანმა და მრჩეველმა, ერთგნებით ფრანგმა, რომელიც ჩემი მეგობარია და დიდად განათლებული კაცი..., შესანიშნავი ბროშურა დაწერა ის-

* მირზა ქაზემ-ბეგი (1802—1870), ცნობილი ორიენტალისტი. ჯერ ყაზანის, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

* მირზა მალქომ-ხანი (1833 — 1908) სპარსეთის „გამოღვიძების“ ეპოქის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, დიპლომატი.



ლამის ანბანის შეცვლის საჭიროების შესახებ, მასში სრულად წარმოდგინა თქვენი და ჩემი აზრები. ბროშურა მთელმა საფრანგეთმა წაიკითხა. თი ინგლისელი, რომელიც დიდხანს იყო ბომბეის გუბერნატორად, ჩვენზე უფრო მეტად ზრუნავს ამ ანბანის შეცვლისათვის და აქაურ განეთებში ამის შესახებ წერილებიც დაბეჭდა... კიდევ ერთმა იტალიელმა სწავლულმა ფრიად დაწვრილებით დასწერა ისლამური ანბანის შეცვლის თაობაზე... მაგრამ, — დასძენს მალქომ-ხანი, — ორი კაცი პატივცემულ ვეზირთაგან ჩვენი დიდი მოწინააღმდეგენი არიან. ამბობენ: არაბული ანბანის შეცვლა ისლამის სახელმწიფოს დაშლის მომასწავებელი იქნებაო“ ([1] ინვ. 74, გვ. 2, 3, 4). ამრიგად, ახუნდოვის იდეა არაბული ანბანის რეფორმის შესახებ მკვიდრდებოდა, აღძრავდა აზრთა სხვადასხვაობას და მისი ინციტატორის სახელს კიდევ უფრო პოპულარულს ხდიდა.

ახუნდოვს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ზრუნვა არაბული ანბანის რეფორმისა და მის ცხოვრებაში დანერგვაზე. იგი შეუსვენებლად სრულყოფდა თავის პროექტს და ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო საერთოდ არაბულის შეცვლა ლათინური ანბანით; 1873-74 წელს მან კიდევ შეადგინა ასეთი პროექტი და ეს იყო მესამე ეტაპი მისი მოღვაწეობისა ამ მიმართულებით ([3] გვ. 444).

ახუნდოვს არაბული ანბანის რეფორმით ესახებოდა როგორც მშობელი აზერბაიჯანის, ისე ყველა მუსლიმი ხალხისათვის, შორს მიმავალი მიზნები. მისი ღრმა რწმენით, ფართო მასები რამდენიმე თვეში წერა-კითხვის მკოდნენი გახდებოდნენ. ევროპელ მეცნიერთა მონაპოვარი რამდენიმე წელიწადში გზას გაიკვლევდა ისლამის ენებზე ([1] ინვ. 490, გვ. 41) და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგებოდნენ აღმოსავლეთის ხალხები პროგრესისა და ცივილიზაციის გზას ([1], ინვ. 88, გვ. 44, 43). 1870 წელს 27 დეკემბრით დათარიღებულ წერილში იგი მირზა მალქომ-ხანს სწერდა: „ათასი სინანულით დავბრუნდი სტამბოლიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს იდეის ვერ დავთმობ. მე და თქვენ ასეთი ბუნებისა ვართ. მე და თქვენ სიკვდილამდე ამ გზით უნდა ვიაროთ. პირადი ინტერესების გზები ჩემთვის და თქვენთვის გადაკეტილია“ ([1], ინვ. 88, გვ. 17, 16).

მირზა ფათალი ახუნდოვი გულწრფელი იყო თავისი იდეისათვის ბრძოლაში, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ესმოდა, რომ ესოდენ ფართო მასშტაბით წერა-კითხვის უკოდინარობის მიზეზი იყო არა არაბული ანბანის სიძნელე, არამედ ის სოციალური ჩავკრა და უთანასწორობა, რომელიც მის დროს კიდევ ასე ძლიერ ფაქტორად მოქმედებდა ფეოდალური გადმონაშთების შემცველ მუსლიმურ ქვეყნებში. არაბული ანბანით იყო დაწერილი მუსლიმთა საღვთო წიგნი ყურანი, რომელიც პრივილეგიური ფენების ხელში მასების დამონების მძლავრ იდეურ იარაღს წარმოადგენდა და ამკვიდრებდა ფანატიზმს. არაბული ანბანის წინააღმდეგ გამოსვლა ნიშნავდა ფეოდალური წრებისა და მუსლიმური სამღვდლოებისათვის თვალის გასწორებას; არაბული ანბანის რეფორმის ჰუმანური იდეა, რომელიც თითქოს მხოლოდ ხალხში განათლების შეტანას უნდა მომსახურებოდა, არსებითად სოციალური მნიშვნელობის სერიოზულ საკითხებს უპირისპირდებოდა. მაგრამ გავიდა ხანი და ახუნდოვი, რომლის ცხოვრება მუდმივი შრომა, სწავლა და დაკვირვება იყო, მიხვდა, თუ როგორ და საიდან უნდა დაეწყო ნამდვილი ბრძო-

5 არაბული ანბანის რეფორმის აუცილებლობაზე წერდა აგრეთვე მირზა მალქომ-ხანი.



ლა თავისი განმანათლებლური და დემოკრატიული იდეების ცხოვრებაში დამკვიდრებასათვის, რა იყო ის ნამდვილი დაბრკოლება, რომელიც შეეშენა მად ელოზებოდა მისი ხალხის გამოღვივებას, პროგრესს, ცივილიზაციას. ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში იგი მოგვითხრობს: „რამდენიმე წლის შემდეგ, რაკი დაერწმუნდი, რომ მუსლიმთა შორის ახალი ანბანისა და ცივილიზაციის გავრცელებას ისლამის რელიგია და ფანატიზმი აბრკოლებს, შევუდექი „ქემალუდდოვლეს“ წერას. ამ თხზულებით მიზნად დაგისახე, დამენგრია ხსენებული სარწმუნოების საფუძვლები, სყურდენი გამომეცლია ფანატიზმისათვის, დამემკვიდრებინა რელიგიისადმი პროტესტანტული სულისკვეთება და ამით გამომეფხიზლებინა უმეცრების ბნელეთში მთვლემარე აზიის ხალხები“ ([1], ინვ. 490, გვ. 39). მაგრამ ხსენებულ თხზულებაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე მხილებას აღმოსავლური დესპოტური ფეოდალური სახელმწიფო წყობილებისა, რომელიც მჭიდროდ იყო ზღუდნ დაკავშირებული ისლამთან. ანდენად, ანბანის რეფორმის საკითხი პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენდა ([4], გვ. 415). ეს გარემოება კიდევ უფრო უსშობდა გზას ახუნდოვის პროექტის გაზიარებას ისლამურ სახელმწიფოთა მმართველ წრეებში.

მიზნა ფათალი ახუნდოვის ბრძოლა არაბული ანბანის რეფორმისათვის აღმოსავლური განმანათლებლობის ერთი ნათელი ფურცელია.

ირანული ფილოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. ანტრაქიანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდი, მიზნა ფათალი ახუნდოვის არქივი;
2. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 28, Москва, 1962;
3. Мирза Фатали Ахундов. Текст писем, написанных на фарседеком языке. Баку, 1963. კრებული შეადგინა ჰამიდ მოჰამედ-ზადემ;
4. Гейдар Гусенинов, Из истории общественной и философской мысли в Азербайджане XIX века. Баку, 1949.

К. К. ПАГАВА

ОДНА СТРАНИЦА ИЗ ДЕЯТЕЛЬНОСТИ М. Ф. АХУНДОВА

Резюме

Одна из важных страниц жизни и деятельности великого азербайджанского писателя и просветителя Мирзы Фатали Ахундова /1812—1878/ — его неутомимая борьба за реформу арабского алфавита. С пятидесятих годов до конца своей жизни он добивался ее осуществления во имя образования и прогресса мусульманских народов Востока.

Богатый архивный материал Рукописного фонда АН Азербайджанской ССР дает ясную картину того, с каким рвением и энтузиазмом добивался Ахундов осуществления своей идеи и с какой научной обоснованностью отдавал он свои проекты реформы на строгий суд ученых и общественной мысли. «Новая система ваша, — писал академик Б. А. Дорн Ахундову, — как плод весьма похвального желания Вашего обо-

общить сокровища мусульманской литературы, доказывает, что он обладает острым и полным знанием дела».

Реформу Ахундов не рассматривал как механическую замену одного алфавита другим. Доказывая всю трудность освоения арабского письма, он убеждал, что новый алфавит освободит грядущее поколение от излишних трудностей на пути приобщения его к науке и культуре. После долгих лет изучения вопроса Ахундов пришел к выводу, что реформа арабского алфавита должна базироваться на латинском. Это было его последнее и окончательное слово в решении поднятого им вопроса. Ахундову не было суждено увидеть плоды своей идеи, однако, он верил, что «После того, как нынешние люди, наши современники, сойдут со сцены, будущее поколение, наши дети, поймут — каким тормозом является старый алфавит. Нет никакого сомнения в том, что они поднимут этот актуальный вопрос из-под спуда и с честью разрешат его. Это неизбежно. То, что не удалось нам, несомненно, удастся им. И в этом их счастье».

Борьба Мирзы Фатали Ахундова за реформу арабского алфавита одна из ярких страниц восточного Просвещения.

К. ПАГАВА

EINE ETAPPE AUS DER TÄTIGKEIT MIRZA FATHALI ACHUNDOWS

Zusammenfassung

Eine wichtige Etappe in der Tätigkeit Mirza Fathali Achundows, des berühmten aserbaidshanischen Schriftstellers und Aufklärers (1812—1978) ist sein unermüdliches Bemühen um die Reform des arabischen Alphabets.

Dabei argumentierte er wissenschaftlich die Notwendigkeit der Änderung des arabischen Alphabets, um damit unter den islamischen Völkern des Analphabetentum abzuschaffen und europäische Kultur und Wissenschaft zu verbreiten.

Nach langen Überlegungen faßte Achundow den Beschluß, das arabische Alphabet durch das lateinische zu ersetzen.

Der Kampf Achundows für die Reform des arabischen Alphabets ist für die orientalische Aufklärung sehr wichtig.



არაბთა პოეტიური ენის ერთი თავისებურებებისათვის

ნანა ვაზრციშვილი

ჯერ კიდევ შუა საუკუნეების არაბ ფილოლოგებს ჰქონდათ შემჩნეული და აღნიშნული, რომ არაბულ პოეზიას ახასიათებს გამომსახველ ხერხთა მტკიცეობა, მყარი რეპერტუარი და პოეტურ ხატთა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ერთგვარი ინვარიანტები, რომელთა რეალიზაცია სხვადასხვა პოეტთან სხვადასხვა გარიანტს იძლეოდა. დგებოდა ერთგვარი კატალოგებიც ამ გავრცელებული, პოეტური სახეებისა, ე. წ. ქითაბ ალ-მა'ანი. უფრო დაწვრილებით იხ. [1]. არაბ ფილოლოგებს მხედველობიდან არ რჩებოდათ არც ის სიახლენი, რაც თავს იჩენდა ამა თუ იმ ავტორთან ან ამა თუ იმ ეპოქაში, რისი ნათელი დადასტურებაც იხან ალ-მუთაზის ქითაბ ალ-ბადი' („წიგნი სიახლისა“) [2]. ეს საკითხი მსჯელობის საგანს წარმოადგენს დღესაც სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც განიხილება სხვადასხვა ასპექტი ამ პრობლემისა [წმრ. 1, 3, 4, 5]. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ გამომსახველ ხერხთა სისტემატიზაციის ერთგვარ ცდას.

ძველ არაბულ პოეზიაში, თუ ყოველივე არა. ბევრი რამ წინასწარ არის განსაზღვრული და ცნობილი. ეს ეხება როგორც პოეტურ ლექსიკასა და პოეტურ სახეებს, ისე პოეტურ ნაწარმოებთა სიუჟეტებს და მათ კომპოზიციას. ამ თვალსაზრისით არაბული პოეზია განცალკევებით არ დგას შუა საუკუნეების პოეზიისაგან საზოგადოდ. შუა საუკუნეების ადამიანს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში „სიამოვნებას ანიჭებს არა თემა, არამედ მისი ვარიაციები, ყველა ის ნიუანსი და დეტალი, რაშიაც გამოხატულებას პოეტებს ქველი, ნაცნობი თემა“ [6, 294].

პირობითად და მხოლოდ მიხედვით, შეიძლება გამოვყავთ ამ „მუდმივი“ მხატვრული სახეებისა და მხატვრული ხერხების რანდენინე დონე. („მუდმივი“ ვგულისხმობთ გამოსახვის იმ მხატვრულ ხერხებს, რაც სწორად არის დამოწმებული როგორც ერთსა და იმავე, ისე სხვადასხვა ეპოქის ავტორებთან).

დავუშვათ, რომ პირველი დონე ეს არის სიტყვის დონე. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ე. წ. მეტაფორები, როგორც მაგ. شاعر „ნუერი“, قرّة الوحش — შურტიკი, غزال — ვეფლი, ნიამორი თუ ანტილოპა ლამაზი ქალის, სატრფოს აღსანიშნავად. احوان — „გვირილა“ — მოლიმარი ბავის მნიშვნელობით. اسد — „ლომი“ — ძლივამოსილი მამაკაცის, მტრის, მეომრის აღსანიშნავად. نرجهس — „ნარჯისი“ — თვალებისა, ورد — „ვარდი“ — დაწვისა, جليس — „გიშვარი“ — თმისა, برد — „სეტყვის მარცვლები“ — კბილებისა, قوس — „ისარი“ — სატრფოს თვალთა მხერხისა და ა. შ. — მეტაფორები, რომლებიც ძალიან სწორად იხმარებიან ამ ერთსა და იმავე მყარი მნიშვნელობით სხვადასხვა ეპოქის არაბ პოეტებთან.



აქვე შეიძლება შემოვიდეს ე. წ. მუდმივი ეპითეტები — ზედსართავები რომელნიც განსაკუთრებით ხშირად იხმარებიან ერთსა და იმავე არსებითთან, აღინიშნავენ რა განსაზღვრული საგნებისა თუ მოვლენის რაიმე თვისებას. მაგ. **ساجه** — ფართო, დიდი როგორც ეპითეტი **دار** ჯაჭვის პერანგისა, მაგ. **ساجه كاشا و فركت** „ზევრი ყოფილა ფართო ჯაჭვის პერანგი, რომლის რგოლებიც გამოკეთია (ანთარა, 52)*. ან **علينا كل ساجه دلاص** — გემოსავს ყოველი ფართო, პრი-ალა (= ჯაჭვის პერანგი) (ან რ იბნ ქულსუმი, 78). აღსანიშნავია, რომ ეს ეპითეტები არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ ხშირად პროზაშიც (განსაკუთრებით საჯში — გარიითულ პროზაში) გვხვდება. მაგ. „აიას ერთ ღამეში“ — ვბრძანე ჩაეცვათ ფართო ჯაჭმნები და შემოერტყათ მახვილნი მჭრელნი“, **ساجه** — მცორავი ანუ სწრაფი, როგორც ეპითეტი „ცხენისა“ (მდრ. იმრუ ლ-კაისი 51-58, ანთარა, 45). ასევე **بار** — „მჭრელი“, **ايض** — თეთრი-მუდმივი ეპითეტები ხმლისა, როგორც პოეზიასა, ისე პროზაში, **اسمر** „რუხი“ (ან ზოგი ინტერპრეტაციით — „მოქნილი“, **سمهريه** — „სამპარიული“ (ან მოქნილი) **مستقى** — „გამართული“, მუდმივი ეპითეტები შუ-ბისა და ა. შ.

ამ დონესვე უნდა მიეკუთვნოს ე. წ. არაბული სიმბოლო. საგნის ხატი — შექმნილი არსებობის გარეშე ნახმარი ზედსართავით ან ზედსართავთა ჯგუფით. როგორც მაგ. **صافية** — „გამჭვირვალე“ — ღვინო, **اجرد** — „მოკლებალნიანი“ — ცხენი, **ازعر اربا** — „მცირებუმბულიანი, რუხი“ — სირაქლემა. **ادكن عائق** — „მუქი, ძველი ტიკი“ და ა. შ. მთაბლაკათში მაგ. შეორდება **عين** — „ფართოთვალანი“ ქურციკის, ანტილოპის მნიშვნელობით **كج انعين والارام تاشين** — „იქ ფართოთვალანი (-ქურციკნი) და თეთრი ნაამორები ერთმანეთს მოჰყვებიან“ (ზუჰაირი, 3) და **العين ساكنا** **على اطلاقا** — „ფართოთვალანი (-ქურციკები) დასახლებულან თავის ნუჯრებთან“ (ლაბიდი, 7).

طابع ქანცაწყვეტილი აქლემის მნიშვნელობით **طابع اسنار** „მოგზაურობით ქანც. გამოცლილით“ (= აქლემით) (ლაბიდი, 27). **جاوز فطابع** გადაძლიახანს (უღაბნო) ქანცამოცლილით (= ქლემით). (ალ-ა-შაი, 3). **جسرة** — „მკვირცხლი, ცოცხალი — ძუაქლემის მნიშვნელობით (ანთარა, 34, ალ-ა-შაი 31) და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზედსართავებს მუდმივი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ერთგვარი შეხ-ლუდეთ, რადგან ამ ზედსართავთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა საგნის სიმბოლოს ქმნის. მაგ. **كأمت** — „წითელი“ გვევლინება ღვინის მნიშვნელობით ტარაფსთან (ბ. 18) **شردت كأمت ماثل ياأساء تزيد** — „შესმა წითლისა რომელიც ამუშხუნდება, წყალს რომ შეუტრეც“ „ცხენისა“ — იმრუ ლ-კაისთან (სხვა ზედსართავთა ჯგუფში) **كأمت رل الرب عن مته** — „წითელი (ქურანი) (= ცხენი) იც-ლის ნაბდის ასალს ზურგიდან“. **جرن** — ფერ, რომელიც აღნიშნავს შავის, თეთრის, ყავისფერის, მუქშავის ინტენსივუ ვარიანტს, დეტალდება მთის, ღვინის ჭურჭ-ლის, ჩამავალი მზის, დღის მნიშვნელობებით [9, 27]. **جراد** — „მოკლებალნიანი“ ცხენებისა „ამრიბნ ქულსუმი, 11 და პალმის (ლაბიდი, 10) მნიშვნელობით, **عش**

* იმრუ ლ-კაისის, ტარაფის, ზუჰაირის, ანთარას, ლაბიდის, ამ რ იბნ ქულსუმისა და პ-რას იბნ ჰილლისას კანაღები ციტირებულია ალ-ხაფსანის (?) მიხედვით, ალ-ა-შაის, ან-ნაბილა ზუჰაირისა და აბიდ იბნ ალ-აბრასისა აბ-თიბრიზის (8) მიხედვით. ციფრი ავტორის სახელს შემდეგ მიუთითებს ბეითის რიგს.



— „თეთრნი“ ხმლებისა და ქალებისა. შღრ. მაგ. **الكواعب مغرما** **كأن البيض النواظع مغرما**

„თუ ვინმე შეეყვარებულა თეთრებსა, მკერდმძღვრებს (ქალებზე), წეს ხელს არ იღებ თეთრების, მკერდების (= ხმლების) სიყვარულზე“ [2, 285] და სხვ. მნიშვნელობით. **أحوى** — მუქი (მწვანე, ყავისფერი, იისფერი) ქერცაყის (ტარაფა, 5) ღრუბლის (ზუ რუმმა), [9, 316], თმის, [9, 314] ცხენის (ამრ იზნ ქულსუმი) [9, 316] მნიშვნელობით და ა. შ. სავარაუდებელია, რომ ზედსართავის სემანტიკური ვალენტობა ე. ი. მისი უნარი დაერთოს ერთ, ორ თუ ბევრ არსებით სახელს, განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი საგნის სიმბოლოდ შეიძლება იქცეს ესა თუ ის ზედსართავი. როგორც ჩანს, ამ ხერხით შექმნილი ხატის აღქმა, რომელიც გულისხმობდა ზედსართავით აღნიშნული თვისების საგანთან ინტუიტურ, ავტომატურ, არაცნობიერ იდენტიფიკაციას ამ ენის მატარებელთა მხრივ, ეყრდნობოდა ორგვარ უზუსს — ენობრივსა და პოეტურს. ენობრივი უზუსის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ე. წ. „არსითი სემანტიკური კავშირების“ არსებობა სიტყვებს შორის. როდესაც ესა თუ ის სიტყვა სემანტიკურად მხოლოდ ერთ ან ვარკვეულ სიტყვათა ჯგუფს უკავშირდება. მაგ. **ألمى** — მუქწითელი არაბულში უკავშირდებოდა ერთადერთ არსებითს **ألمى** — ბაგე, ზოგჯერ **ألمى** -ს (პირი-ბაგე ღრძილები). ამდენად, **ألمى** — ს იდენტიფიკაცია ტექსტში

„იღიმება მუქწითელით“, აღბათ სიძნელეს არ წარმოადგენდა ისლამდელი არაბისათვის, რომელმაც იცოდა, რომ ბუნებრივ ენაში **ألمى** — მხოლოდ ბაგის თვისებას გამოხატავდა. ამდენად ამ ხერხის გამოყენება ეყრდნობოდა ერთი მხრივ, სიტყვათა შორის სტაბილური სემანტიკური კავშირების ინტუიტურ ცოდნას, რომელსაც ჩვეულებრივ ვარკვეული ეპოქის ცოცხალი ენის მატარებლები ფლობენ, ხოლო მეორე მხრივ პოეტურ უზუსს, როდესაც მსმენელმა თუ მკითხველმა წინასწარ იცის, რომელი თვისება რა საგანს უკავშირდება ყველაზე უფრო ხშირად ამა თუ იმ პოეტურ ენაზე. სავარაუდებელია, რომ ასეთ პოეტურ უზუსს ქმნიდა სწორედ მუდმივი ეპითეტების ხმარება.

მეორე მხრივ, შესაძლებელია საგანი მრავალი სხვადასხვა სიმბოლოთი იყოს წარმოდგენილი. მაგ. მულაკათში გვხვდება აქლემის 25, ხმლის 7, ღვინის 3, ღრუბლის 6, წვიმის 5 და ა. შ. სხვადასხვა სიმბოლო.

მხატვრულ ხერხთა ამ ნაწილში, რომელსაც ჩვენ პირობითად სიტყვის დონე ვუწოდეთ, და რაც არაბული პოეზიის საკმაოდ ვრცელ სპეციალურ ლექსიკას მოიცავს, ერთგვარად დაფიქსირებულია, სინამდვილის მხატვრული, კოლექტიური აღქმა ერთი ენობრივი საზოგადოების, ამ შემთხვევაში შუა საუკუნეების არაბების მიერ.

წმელდგე შეიძლება გამოიყოს ვაშლილი შედარების დონე განსხვავებით მაგ. მეტაფორისაგან, რომელსაც ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც კონდენსირებულ შედარებას და, ჩვეულებრივ, ერთ სიტყვას წარმოადგენს (ნაიამორი=სატრფო, ვარდი=ლაწვი, ნარგისი=თვალები, გვირილა=კბილები და ა. შ.). ესაა ისეთი სტერეოტიპული შედარებები, როგორიცაა მაგ., მომთაბარე არაბთა მიერ მიტოვებული იალალის, მიტოვებული ნაბინავარის შედარება „გადაშლილ ძველ წარწერასთან: **ألمى رسماً خالاً كما ضمن الوحى سلاًها** — „გაშთშლენბულა მათი (სადგომთა) კვალი, გადაცვეთილი, თითქოს წარწერებს შეიცავდნენ მათი ლოდები“ (ლაბიდი, 2).



„ნაკადულები აშიშვლებენ სავანეთა კვალს, თითქოს ნუსხაში აღადგენდნენ ნაწერს კალმებით“ (ლაბიძე 8).

امن ظلل . . . كخظ زبور في عسيب يماني

„ვისია ეს კარვის ნაშთები... მსგავსი გადაშლილი წარწერისა იამანური პალმის ლაფანზე?“ (იმრუ ლ-კაისი) [10, 170] და სხვ.

ასეთი მუღმივი, მყარი შედარებაა მიტოვებულ ალაღზე დარჩენილი კარვის ნაშთების შედარება გადაშლილ სვირინგთან:

اخولة اطلال بيرة ثم تلوح كبرقي الوشم في ظاهر اليد

„ხველას კარვის ნაშთები ზრიოც საჰმაღზე მოსჩანს როგორც სვირინგის ნარჩენი ხელის ზედაპირზე“. (ტარაფა, 1).

ودار لها بالرقعتين كانها مرا حبيع وشم

„სადგომი მისი არ-რაკმთანში წააგავს სვირინგს განახლებულს“ (ზუპაირი, 2).

ასევე ხშირია აქლემის შედარება კანჯართან, მუალაკათში ის დასტურდება სამ ავტორთან: ლაბიძთან (30-32), ანთარასთან (7-8) და აბიდ იბნ ალ-აბრასთან (32) და ა. შ.

ამავე დონეს შეიძლება მივაკუთვნოთ მრავალრიცხოვანი ლაქშ-ები როგორც ვარიანტები ინვარიანტული პოეტური სახისა, რასაც არაბები მა'ნას უწოდებენ. მაგალითისათვის — სახე ხოტბის ობიექტისა (ეს შეიძლება იყოს სატრფოც) ანათებს წყვდიაღში — ეს არის მა'ნა. მისი ვარიანტებია (ე. ი. ლაქშ-ები): „თუ არ იქნება განთიადი, ჩვენ მისი სახის შუქზეც უშიშრად გავემართებით ღამის წყვდიაღში ჯა აელვარდება განთიადი“ (ალ-აშჯა'ი, VIII ს.). [1, 270]. ან „იგი (ქალი) შენთვის შუქია, რომლისკენაც ილტვი და იმედი, რომელსაც მისდე“ (1, 240). „მისი (ქალის) სახე კარვის სიბნელეს აშუქებს, როგორც მთვარე წყვდიაღს“ (ომარ იბნ აბუ რაბი'ა). [16, 105]. „თუ წავა ღამით (ეინმე) მისი დალაღის დარ წყვდიაღში), ელვარება მისი (სახისა) აღარ დააჭირვებს კანდეღთა შუქს და თუ მე გზა ამებნევა ღამეში მისი დალაღებისაგან, ჩემს თვალს სწორ გზაზე წარმართავს განთიადი (მისი-სატრფოს) ნათელისა“ (ომარ იბნ ალ-ფარიდი) [17, 28]. ასეთივე ინვარიანტული სახეა ხელგაშლილობისა და გულუხვობისა წვიმა და ა. შ.

პირველი დონის ლექსიკა (ე. ი. მეტაფორები, მუღმივი ეპითეტები, სიმბოლოები) შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ელემენტები მეორე დონისა. მაგალითისათვის

وتبسم عن المي كان مؤرًا تطل حمر الرمل داعص له ندى

„და იღიბება მუქწითელით (= ბაყეცხით), თითქოს გაშლილი (= გვირილა) გამოსჭვივის ხალასი ქვიშის ნამიან ბორცვზე“. [ტარაფა, 5] ამ ბეითში, რომელიც წარმოდგენს ერთ-ერთ ტრადიციულ, მუღმივ სახეს — მუღმივ შედარებას ქალიშვილის მოღიშარი ბავისა გვირილასთან, წარმოდგენილია პირველი დონის ელემენტები المي — „მუქწითელი“ ერთ-ერთი მუღმივი სიმბოლო ბავისა, مؤر — გაშლილი. ზედსართავი ელიბტირებული არსებითით, რაც „გვირილას“ აღნიშნავს. ხოლო „გვირილა“ კი თავის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, მუღმივი მეტაფორაა მოღიშარი ბავისა, კბილებსა.

შემდეგ შეიძლება გამოიყოს დონე მუდმივი თეზისა, მუდმივი სიტუაციები ალწერილი. ეს არის მაგ. გაყრა და განშორება სატრფოსთან, ტომის მიერ იალლის გამოცვლასთან დაკავშირებით. მუალაკათში ეს დასტურდება ანთარასთან (1-12), ზუჰაირთან (7,15), ჰარის იბნ ჰილიზასთან (1-8) და სხვ. ასეთივე მუდმივი თემა, მუდმივი სიტუაციის აღწერაა ცხენისა და აქლემის გაშენება და უდაბნოში გაჭრა სატრფოსთან განშორებით გამოწვეული ღარდის განსაქარებლად (ტარაფა II)

وانى لأمضى ألم عند احتضاره في بوحاء مرقال نروح وتغنى

„მე კეშანს მით განვიქარებ, როცა მეწვევა, რომ დილას და საღამოს მიმაქროლებს მოხრილი, მალე მსროლი (აქლემი)“

ან

واحب لجمال أكجزيك وصرمه في باق اذا ظامت وزاغ قواما

بطليح اسفار تر كن بقية في منها فاحيق صلبها وسناها

„სიყვარულით გადაუხადე მაამებელს, (მაგრამ) მიატოვე, თუ წაიფორხილებს ან მისი (გრძნობა) გზას გადაუხვევს და (გზას გაუეუნე) მოგზაურობით ქანცგამოცლილი (აქლემი), გრძელმა სავალმა რომ დამაშლევდა და ჩამოუხშო ზურგი და კეზი“ (ლაბიდი 21, 22).

ერთი ასეთი მუდმივი თემა — ღვინის სმა მას შემდეგ, რაც ვაჭრობის დამთავრების ნიშნად სამიციტროში ალმებს აიღებდნენ. ეს გელუხეობია და ხელგამლილობის მათწყებელი იყო, რადგან ამ დროს ღვინო ბევრად უფრო ძვირი ღირდა. ხელგამლილობა კი არაბი მოყმის დროს საუკეთესო თვისებაა ისლამამდელ პოეზიაში. და ამ თვისებით ხშირად თავს იწონებენ არაბი პოეტები.

وغاية تاجر . . . وافيت اذا رفعت وغز مداما

اغلى السباء بكل ادكن عاتق او جوتة فحدث وفض حذاء

„ბევრჯერ მივსტლვარ, როცა სირაგს (ალამი) უკვე აუღია და ღვინო გაძვირებულა, მიყიდა ძვირად ყოველი ძველით, კუბრისფერით (=ტიკით), ან შავით (=კოკით) (ლაბიდი 58, 59). გვხვდება ეს თემა ანთარასთანაც (52). განსაკუთრებით ხშირია ეს თემა მოგვიანებით (მაგ.) აბუ ნუვასთან; (შდრ. 11).

ამ დონეზე შეიძლება დავადასტუროთ პირველი და მეორე დონის ელემენტები. მიტოვებული სუღამის აღწერისას ერთ-ერთი მუდმივი სიტუაციაა — იალლიდან ტომის აყრის შემდეგ ადამიანის ნაბანაკეც გარეული ნადირი დაბატონებია.

فردة فقا حبر ليس يا منهم عرب

وبدت من اهاها وحوشا

„არდასა და კაფა ჰიბირში აღარავინ არის, მის მცხოვრებთა ნაცვლად ნადირები (დაბუღებულან)“ (აბიდ იბნ ალ-აბრასი 4-5). ასეთივე სიტუაციაა აღწერილი ლაბიდთან (6):

فعلا فروع الايقان واظفلت في باجلهتين ظباءها ونماها

„ამოწვევრილა აიბუჯანის რტოები და მომრავლებულან (ვადის) რზე ქურციკები და სირაქლემანი“.

ზუპაირთან (2-3) ანალოგიურ თემაში პირველი და მეორე დონის ელემენტებია წარმოდგენილი:

ما العین والارام یحشین - خانه و نار ایسا بارقمتین کانه
„მისი სამყოფი არ-რაქმათანში ჰგავს სვირინგს, განახლებულს მჯანს ძარღვებზე, ფართოთვალანი და თეორი ქურციკნი მოდიან ერთი მეორის მიყოლებით“.

აქ სვირინგთან შედარება მიტოვებული სამყოფის კვალისა, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მუდმივი შედარება (მეორე დონე), ხოლო ფართოთვალანი კი — ერთ-ერთი მუდმივი სიმბოლოა ნიამორისა (პირველი დონე).

გამოსახვის მუდმივ ხერხთა ამ სისტემას, რომელიც ჩამოყალიბებულია არაბულ პოეზიაში, აქვს თავისი „აკრძალვები“ და „დასვეებები“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იგივე შედსართავი შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა საგნის მუდმივ ეპითეტად კონტექსტისდა მიხედვით.

როგორც მაგ. ზემოთ აღვნიშნულ كیم — მუქწითელს — შეიძლება ჰქონდეს „ცხენის“ ან „ღვინის“ მნიშვნელობა, მაგრამ მისი ხმარება სხვა არსებითთან დაუშვებელია. ამ აკრძალვას ქმნის როგორც ენობრივი, ისე პოეტური უზუსი. შედსართავი და მოწითალო, მოყავისფრო ნათელი თეთრი ფერი შეიძლება იხმარებოდეს აქლემის, ან ქურციკის, ანტილოპის ეპითეტად, (9, 340), და ასევეა ეს დადასტურებული მუალაკათში (ამრ იბნ ქულსუმი, 15, ან-ნაბილა, 29). მაგრამ დაუშვებელია მისი ხმარება სხვა საგნისა თუ არსების ფერის აღსანიშნავად.

المی მუქწითელი ფერისა შეიძლება იყოს ბაგე ან ღრძილები, მაგრამ არავითარი სხვა საგანი*. „თეთრი“ არაბულ პოეზიაში შეიძლება იყოს ხმალი (ამრ. იბნ ქულსუმი, 36) ლამაზი ქალი (ამრ იბნ ქულს, 84), კეთილშობილი ადამიანი (ტარაფა 48). მუქი اسم — შუბი, ستر მჭრელი „ხმალი“ და არა ვთქვით შუბი და ა. შ.

კიდევ უფრო მკაცრია მუდმივ მეტაფორათა ხმარების წესები. ვარიანტები აქ, შეიძლება ითქვას, გამოირიცხულია. შველი, ნიამორი, ქურციკი, ნუერი შეიძლება იყოს მხოლოდ ლამაზი ქალი, სატრფო ისლამამდე პოეზიაში, მოგვიანებით ლამაზი ქალი ან ვაჟი, ან მწლე, ვარდი — მხოლოდ დასვენები, ნარგიზი — თვალები და ა. შ.

არაბული პოეტური ენის სემანტიკური წესები ისევე იმპერატიულია და ისევე კრძალავს ამ სისტემის ელემენტთა ნებისმიერ ხმარებას, როგორც ბუნებრივი ენის სემანტიკური წესებო მაგ. ისევე არაბუნებრივია და დაუშვებელი ხმარება მეტაფორისა „ვარდი“, რაც არაბული პოეზიის ენაზე ნიშნავს „ღაფს“, ლამაზი ქალის, სატრფოს მნიშვნელობით, როგორც სიტყვა „კარისა“ ქერის მნიშვნელობით, ვთქვათ, ბუნებრივ ენაზე, როგორც ამას ადგილი აქვს მაგ. სენდიკის თარგმანში. везет караван... ту розу, что дарит блаженство влюбленному взгляду [12, 65]. ორიგინალში ჩაუხედავადაც, წინასწარვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ვარდი, იქ ქალის მნიშვნელობით არ შეიძლება იყოს, და, რა თქმა უნდა, არც არის. ასევე تاج —

* ერთდებრითი შემთხვევა ამ შედსართავის სხვა მნიშვნელობით, ხმარებისა დადასტურებული აქვს ფიშერს [9, 354].

„იაგუნდი“ არაბულ პოეზიაში, ჩვეულებრივ, ღვინის მეტაფორად გვევლინება [შდრ., 13], მოვეციანოდ ზოგჯერ — ღაწვისაც [14,]. ამ მეტაფორის საფუძველი ძველს, როგორც ჩანს, წარმოადგენს მსგავსება ფერის მიხედვით. მაგონებელი პოეზიის ენაზე, ყოველივე რაც წითელია, არ შეიძლება იყოს „იაგუნდი“ მაგ. სისხლი — როგორც ეს ამ თარგმანშია: В бою они стали краснее рубина (ლაპარაკია ვასისხლიანებულ დროშებზე. ნ. ფ.) [12, 54].

ერთ-ერთი მულაკის თარგმანში ტახტრევენები შედარებულია ნიამორთა გუნდთან. [12, 95]. არაბული პოეტური სემანტიკის საფუძველზე ესეც შეუძლებელია. და, მართლაც, ორიგინალში პოეტს ეჩვენება ნიამორებად არა ტახტრევენები, არამედ ამ ტახტრევენებში მსხდომი ქალები.

ამრიგად, პოეტური სემანტიკის უგულებელყოფას არაბთა პოეტური ძეგლების თარგმანისას მიეყვართ სინამდვილის მხატვრული ადეკვატის, არაბულ პოეზიაში წარმოდგენილი სამყაროს სურათის დამახინჯებისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში საქმე გვაქვს იმბლიციტურ სოციალურ კონვენციასთან, ეს არის ერთგვარი მეტაენა პოეზიისა, რომელიც შემოქმედების ყოველ ცალკეულ აქტში გვევლინება იმ ანონიმურ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს პოეტის მიერ სინამდვილის მხატვრულ აღქმას. სწორედ ეს კოლექტიური ენა კარნახობს პოეტს, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში ღაწვი დაინახოს ვარდად, მოღმიარე ბაგე — გვირილად. და ა. შ. მსგავსად ბუნებრივი ენისა, სადაც სინამდვილის აღქმა უნობრივი კოლექტივის ყოველი ცალკეული წევრის მიერ განსაზღვრულია მოცემული ენის სემანტიკური სისტემით, რომელშიც აღბეჭდილია ამ ენის მხატვრებელთა მრავალი თაობის გამოცდილება [15].

ამიტომ არის, რომ შუა საუკუნეების არაბული ლექსის წასაკითხად საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი ენის, ბუნებრივი (ამ შემთხვევაში არაბული) ენის საფუძვლის დაძლევა, სწორედ ამ მეორე ენის გაუთვალისწინებლობა არის ხშირად წყარო მრავალი გაუგებრობისა.

ლიტერატურა

1. Л. В. Куделин, Средневековая арабская поэтика, М., 1983 г.
2. Ибн ал-Мутაჯиз, «Китāб ал-ბადī'а», в: И. Ю. Крачковский, Изб. соч., т. VI, М., 1960 г.
3. R. Jacobi, Studien zur Poetik der altarabischen Qaside, Wiesbaden, 1981.
4. Б. С. Шидфар, Образная система арабской классической литературы (VI—VII вв.) М., 1974.
5. И. М. Фильштинский, Арабская литература в средние века, М., 1977.
6. E. de Bruyne, Etudes d'esthétique médiévale, 2, Bruges, 1946.
7. كتاب شرح المعاني السبع، الزوزني ١٣١٥ هـ
8. C. I. Lyall (ed) al-Tibrizī, A Commentary on Ten Ancient Arabian Poems, Calcutta, 1894.
9. W. Fischer, Farb- und Formbezeichnungen in der Sprache der altarabischen Dichtung; Wiesbaden, 1965.
10. იმრტ' ალ-კაჰაჰ, დ ე ნ, ბადრთ.
11. صفة وشرحه أحمد عبد المجيد الزغالي القاهرة، ١٩٠٣، ديوان أبي نواس
12. Арабская поэзия средних веков, перевод с арабского, М., 1975.
13. Н. Н. Пурцеладзе, К пониманию поэтического символа у Абу Нуваса, сб. Семитские языки, вып. II, М., 1965.



14. И. Ю. Крачковский, Абул-Фарадж ал-Ва ва Дамасский, М. 1914.
15. Г. В. Рамишвили, Языкознание в кругу наук о человеке, Вопросы Филологии, М., 1981,6.
16. ديوان ، عمر بن ابي الربيعه
17. ديوان ، عمر بن الفريد

H. H. PURZELADZE

OB ODNEJ OSOBNOSTI ARABSKOGO POZTICHESKOGO JAZYKA

Резюме

В древнеарабской поэзии засвидетельствованы постоянные изобразительные средства: устойчивые сравнения, устойчивые поэтические образы, постоянные метафоры, эпитеты, определения с эллиптированным определяемым /символы-формулы/, создающие своеобразный язык. Незнание этого вторичного языка /по отношению к естественному, как первому языку/ затрудняет понимание арабских поэтических памятников, а при переводе ведет к искажению поэтической картины мира, созданной многими поколениями арабских поэтов.

В работе дается попытка систематизации постоянных изобразительных средств арабской поэзии.

N. PURZELADSE

UBER EINE BESONDERHEIT DER ARABISCHEN BILDERSPRACHE

Zusammenfassung

Die altarabische Dichtung weist unveränderliche Ausdrucksmittel auf: ständige Vergleiche, ständige Metaphern und Epitheta, Attribute ohne das Beziehungswort (sog. Symbole-Formeln), die eine eigenartige Sprache schaffen. Das Nichtwissen dieser sekundären Sprache (in bezug auf die natürliche Sprache als erste), erschwert das Verständnis der arabischen Dichtungsdenkmäler, bei der Übersetzung aber führt es zur Verzerrung des Weltbildes, das von vielen Generationen der arabischen Dichter geschaffen worden ist.

Die Abhandlung stellt den Versuch dar, die unveränderlichen Ausdrucksmittel der arabischen Dichtung zu systematisieren.

ენა, კომპოზიციური სტილი და ლექსთმწიფობა

აკოლონ სილაგაძე

1.1. სტატიის მიზანია მოკლედ განიხილება ზოგი საკითხი, დაავსირებული ლექსთმწიფობათა ტიპოლოგიის პრობლემასთან, უფრო ზუსტად — ლექსთმწიფობათა განმსაზღვრელი ფაქტორის საკითხი; განალიზებულია აგრეთვე ენობრივი და პოეტური ფორმების მიმართების პრობლემა. ამასთან, მოცემულ პრობლემათა კვლევისათვის საჭირო ემპირიული მონაცემების წრეში შემოტანილია არაბული და ქართული მასალა.

1.2. რით არის განპირობებული ამა თუ იმ ვერსიფიკაციული სისტემის თავისებურება, მისი ბუნება, საბოლოო ჯამში — რა განსაზღვრავს ლექსთმწიფობის სისტემას? ამ პრობლემას დიდი ხნის ისტორია აქვს და არ დაუყარავს სიმწვავე დღესაც. დისკუსიის საგანს ორი ტრადიციული შეხედულება შეადგენდა.

პირველის მიხედვით, განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ენა, კონკრეტულად — მისი ფონოლოგიური ბუნება. ლინგვისტთა შორის პირველად განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეს პოზიცია რ. იაკობსონმა (იხ. [1], გვ. 22, 45...). გარკვეული ტრანსფორმაციები მის შეხედულებებში (შმდრ [2], გვ. 350 ...) მაინც არ ცვლიან საკითხის ენობრივი გადაწყვეტის არსს, რაზეც სამართლიანად უთითებს აკაკი გაწერელია ([3], გვ. 123). ამგვარ პოზიციას მტკიცე დამცველები ჰყავს დღემდე, რასაც მეტყველებს თუნდაც ენობრივი კრებული „Style in Language“ ([4], გვ. 77—78). სამაგალიტო საშეცნებრო ლიტერატურაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მ. შტოკმარის ([5], გვ. 416—417...) და გიორგი წერეთლის ([6], გვ. 75, 89...) ნაშრომები.

მეორე შეხედულების მიხედვით განმსაზღვრელი ფაქტორის როლს თამაშობს გარკვეული პოეტური სტილი, რომელსაც განაპირობებს კულტურულ-ლიტერატურული ვითარება, საბოლოო ჯამში — საზოგადოების ისტორიული განვითარება. ეს პოზიცია ბოლო ხანებში განსაკუთრებული პრიციპიულობით დაიცვა ვ. ნიკონოემა ([7], გვ. 4-15). თუ გავითვალისწინებთ ამას, რომ მისი პოლემიკური ხასიათის სტატია მოთავსებულია კრებულში — „აღმოსავლური ლექსთმწიფობის პრობლემები“*, უნდა ითქვას, რომ

* სათაური გარკვეული თვალსაზრისით გაუგებრობას იწვევს. გამოთქმა — „აღმოსავლური ლექსთმწიფობა“, „восточное стихосложение“ ამორფულია საერთოდ და ვერცხოდ — მოცემული კრებულისათვის, რომელშიც განხილულია სასკრატელი, სპარსული, თურქული, ინდონეზიური, ბირმული, ვიეტნამური და სხვ. ლექსთმწიფობათა პრობლემები. ამ ვერც საერთო ლინგვისტური ნიშანი დადგინდება, ვერც საერთო პოეტური სტილი და კულტურულ-ლიტერატურული ფაქტორები; სხვა სიტუაციაში, ზეწოთ ნახსენებო ვერც ერთი იუარია, ვერც მეორე ვერ გაამართლებს მოცემულ ლექსთმწიფობათა გაერთიანებას ერთ საერთოში.



ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პრობლემის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობს ორიენტალისტური მეცნიერება.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საკმაოდ ხშირად შეგვხვდება ვითარება, როდესაც პრინციპული დაპირისპირება არ არის გამოკვეთილი. ასე მაგალითად, ცნობილი ფილოლოგები — ბ. ტომაშევსკი ([8], გვ. 67) და ლ. ტიმოფეევი ([9], გვ. 72) აგრეთვე ხელავენ ენობრივ ბაზისს ლექსის არსში, თუმცა კულტურულ-ლიტერატურულ ფაქტორებსაც ითვალისწინებენ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეცნიერები მოცემულ საკითხში უფრო ზომიერ პოზიციას ადგანან (მდრ. [10], გვ. 9).

2.1. როგორც ჩანს, პრობლემის ანალიზისას არაა მიზანშეწონილი ევბოთ ცალსახა პასუხი, პირიქით — არსებობს აუცილებლობა დიფერენცირებული მიდგომისა, კერძოდ, პირობითად უნდა ვაგმიჯნოთ ორი პლანი, ორი ლონე ლექსოწყობის სისტემაში: 1) მისი მდგარადი, პრაქტიკულად უცვლელი საბაზო ნაწილი და 2) შიდასისტემური კანონები.

2.2. პირველ დონეს განსაზღვრავს მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემა, უფრო ზუსტად — პროსოდიული სისტემა; იგი შესაბამისი პოეზიისათვის წარმოადგენს იმ დადგენილ ბაზას, რომელიც განსაზღვრულ ჩარჩოებში განაპირობებს, ან სხვათადას — ზღუდავს სალექსო სისტემის „შერჩევას“. აბსოლუტურად წარმოუდგენელია, მაგალითად, ტონური სისტემა ისეთი პოეზიისათვის. რომლის ენაში არ არსებობს ფონოლოგიურად ღირებული და პირისპირება ტონთა კლასებს შორის.

ხშირად, როდესაც უარყოფენ ამ თეზისს, არგუმენტის სახით მოაქვთ მაგალითები ერთი მოცემული პოეზიის ფარგლებში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (ზოგჯერ — სინქრონულად) ლექსოწყობის სხვადასხვა სისტემების არსებობისა. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ლაპარაკია სილაბურ და სილაბურ-ტონურ (სილაბურ-აქცენტურ) ლექსოწყობებზე, მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ ეს ტიპები ახლოს დგანან ერთმანეთთან. ვ. ყირმენსკის აზრით, მაგალითად, იტალიური ლექსი უახლოვდება ინგლისურ სილაბურ-ტონურ ლექსს, ხოლო ფრანგული — რუსულს ([10], გვ. 23). მაგრამ მთავარი ეს არ არის. ასევე დიდი ხანია არსებობს გამონათქვამები, მაგალითად, იმის შესახებ, რომ სილაბურ-ტონურ ლექსოწყობებში მარცვალთა ნაბრბოა თუმცა ფაქტია, მაგრამ ფაქტიურად შეორეხარისხოვანი მოვლენაა. ან — სხვა გამონათქვამებით — ტენდენციაა, არაძირითადი სტრუქტურული თვისება.

შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ დებულება: ყოველი ლექსოწყობა, უფრო ზუსტად — ჩვენს მიერ გამოყოფილი პირველი დონე ლექსოწყობისა, ემყარება ენის ფონოლოგიური სისტემის მყარ ელემენტს, ყველა სხვა ელემენტი ან ფაქტობრივი ხასიათისაა. ან სიჭარბის ნიშნით ხასიათდება, აქვს რიტმული ვარიაციების გაზრდის ფუნქცია და არა ლექსოწყობის ბუნების განპირობებისა. ამის შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, როცა ლაპარაკია, მაგალითად, სილაბურ-ტონურ ლექსოწყობაზე, ჩვენ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ, სილაბურია ეს ლექსოწყობა თუ ტონური (აქცენტური). მოცემულ სალექსო სისტემაში ცვლილებათა აღმოჩენისას ჩვენ ისევ და ისევ უნდა განვსაზღვროთ ძირითადი პროსოდიული ბაზა, შემდეგ — აგრეთვე დამატებული ელემენტები, რომელთაც არ აქვთ ძალა თვისებრივად ახა-



ლი ტიპის შექმნისა. ზენოთქმულიდან გამომდინარე, მაგალითად, სრულყოფილ გავლენას იმ ტიპის ფორმულირებები, როგორცაა თვისი ინიციალი, რომელიც ახერხებდა ახალი პოეზიაში ერთმანეთს ებრძვის ჰეგა და არსეი, ან ხაკასურში მეტრიკულ ლექსს ცვლის სილაბურ-ტონური. ამჟამად უნდა იცოდეს, რომ შეიძლება ცალსახად განისაზღვროს, ერთი მხრივ, ძირითადი პროზოდული საფუძველი, რომელზეც აგებულია მთელი მოცემული სისტემა. მეორე მხრივ, ის კანონები, რომლებიც ამ სისტემას საერთო აქვს მეტრიკულ თუ სილაბურ და ა. შ. ტიპებთან. ან აქედანაა შემოტანილი, და რომელნიც არ განსაზღვრავენ ლექსთწყობის მოცემული ტიპის პირველ პლანს.

2.3. ამგვარი კანონები პლუს ისეთი მოვლენები, როგორცაა ტრანსფორმაციები მეტრების რეალისაციის წესებში, გარითმვა, კომპოზიცია და ა. შ. შედგენენ ზემოთ გამოყოფილ მეორე დონეს ლექსთწყობის სისტემაში. სალექსო სისტემის მეორე დონე, პირველისგან განსხვავებით, მოძრავი ნაწილია, რომელიც ყოველთვის განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. თუ ჩვენ აღმოვაჩინებთ ერთ მოცემულ პოეზიაში „ახალი“ და „ველი“ ლექსთწყობების არსებობის ფაქტს, ადვილად უნდა აღმოვაჩინოთ ისიც, რომ არსებობს მყარი, უცვლელი თვისება, დამახასიათებელი ორივე სახეობისათვის, რომელიც ეწის პროზოდულ ბაზას ემყარება (პირველი დონე), და ყველა სხვა თვისება, დამახასიათებელი მხოლოდ ერთი სახეობისათვის (მეორე დონე); ამგვარი თვისებები, როგორც წესი, ლოკალიზებული არიან დროში, ზოგჯერ შენთხვევით ხასიათს ატარებენ და ექსპერიმენტებსაც კი წარმოადგენენ.

რა განსაზღვრავს ლექსთწყობის ამ პლანს? ყველა ამგვარი თვისება, კანონი განპირობებულია გარე ფაქტორებით (ვისმართთ ეს განოთქმა პროზობითად) — სტილით, კულტურულ-ლიტერატურული გარემოთი, ცვლილებებით საზოგადოებრივ-კულტურულ ვითარებაში. გავლენებით და ა. შ. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, მოცემული მოვლენები, ცვლილებები გავლენას ახდენენ მთლიანად ლიტერატურაზე, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სალექსო სისტემის შიგნით მოქმედი კანონების არსს, მათ მოდიფიკაციებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ჩანოვაჯალიბით შევძებნი დებულება: კავშირი — „საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება — ლექსთწყობის სისტემა“ რეალიზდება გადაცემა რგოლის — ლიტერატურის მეშვეობით და ეხება მხოლოდ და მხოლოდ სისტემის მეორე დონეს და არაერთარ შენთხვევაში — პირველს.

3.1. საილუსტრაციოდ გადავხედოთ ახალი არაბული პოეზიის ე. წ. განსაზღვრის პროცესს. თავიდანვე ნათელია, რომ ეს პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული არაბთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ გარდაქმნებთან: ჩამოცალდება თურქეთის იმპერიისგან, ცხოვრების ახალი, ევროპული წესის აღმოჩენა, საზოგადოების განვითარების ახალი პერსპექტივები, შემოტანილი ნეოცე საუკუნის მიერ და ა. შ. ყოველივე ამან თავისი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე. კერძოდ პოეზიაზე. ნიშანდობლივია, რომ განსაზღვრის პროცესი დაიწყო შინაარსის პლანიდან, მაგრამ მაშინვე გადავიდა, უფრო ზუსტად — ორგანიზულ შეიარწყვა გარდაქმნები ევრსიფიკაციის სისტემაში. მთელი ამ პროცესის პროზობითი სქენა ასეთია: რითმისა და გარითმვის ახალი წესები — ექსპერიმენტები მეტრიკის დონეზე — ახალი სალექსო მოდიფიკაციის (სისტემის) გაფორმება (რაც საერთოდ მთელი პროცესის დასრულებასაც წარმოადგენდა). რა შეიცვალა შედეგად არაბულ ლექსთ-



წყობაში? ბევრი რამ შეიცვალა მეტრების სია, შეიცვალა მეტრების სისტემა. რეალიზაციის წესები, რიტმების სისტემა, შეიცვალა სტრუქტურა, ბეითის სტრუქტურა, სტრიქონის სიგრძეები, ტერფთა განლაგება, ვარიანტების კანონები და ა. შ. ერთი სიტყვით, მოხდა ბევრი ძირეული ცვლილება ლექსთწყობის სისტემის მეორე დონის შიგნით. მაგრამ უცვლელი დარჩა პირველი დონე — ის მყარი ნაწილი, რომელიც ეფუძნება პროსოდიულ სისტემას. შედეგად, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ახალი არაბული ლექსთწყობის ჩამოყალიბებაზე, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ მისი მეორე, ცვალებადი დონე. თუ ვიმსჯელებთ პირველი დონის მიხედვით, არაბული ლექსთწყობა იმავე ტიპისა დარჩა — ტრადიციული კვალიფიკაციით, კვანტატეტური, ვინაიდან არ შეცვლილა სალიტერატურო არაბული ენის პროსოდიული სისტემა.

3.2. რამ შეცვალა არაბული ლექსთწყობა? საკმაო რაოდენობის არგუმენტები არსებობენ იმის საილუსტრაციოდ, რომ არაბულ ვერსიფიკაციაში დადასტურებული მოდიფიკაციები და სიასუნეი განსაზღვრულია მთელი არაბული ლიტერატურის ვარდაქმნით, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივ-კულტურული ვარდაქმნების შედეგია. ამჯერად სიტყვას აღარ გვაგვრძელებთ და მოვიტანთ მხოლოდ არაბული პოეზიის განახლების პროცესის მონაწილეთა იმ ზოგ გამოჩნაქვამს, რომელიც ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ თეზისს. „ად-დივანის“ წარმომადგენლებმა, მაგალითად, თავის დროზე პირდაპირ განაცხადეს, რომ მეტრებისა და რითმების სისტემის რევიზია მათ საჭიროდ მიაჩნიათ მხოლოდ იმის გამო, რომ ტრადიციულმა ლექსთწყობამ გადაულახავი ზღუდე აღმართა პოეზიასა და ცხოვრების თანამედროვე განვითარებას შორის. აღ-აკკადი აცხადებდა, რომ არსებობს „ში'რ აღ-ჰადათ“, რომელიც არის „აშ-ში'რ ას-საჰიპ“, და „ში'რ აშ-ზაჰაჰათ ვა-ლ-ილალ“. ლიბანელი ლიტერატურათმცოდნე რაიქსური ამბობდა: იმისათვის, რომ მხარი აეუბათ ცხოვრებას, თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას, აუცილებლად უნდა უარყვოთ ბეითის სისტემა და სტრიქონები ავსაგოთ ერთი და იმავე სიგრძის აუცილებელი დაცვის გარეშე. აღ-მაზინის დივანის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ლაპარაკია იმაზე, რომ არაბულ ლექსსა და არაბული პოეზიის განვითარებას შორის ერთადერთი დაბრკოლება არსებობს — ზომებისა და რითმების ტრადიციული სისტემა. ნუ'ამე აცხადებდა: ღღეს ჩვენ გვეჩრდება მოლიერი, მაგრამ მოლიერს არ ზღუდავენ ბაპრები ტაეილისა და რაჯაზის, ვაჰირისა და რამალის საბით, და საბოლოოდ ასკენდა, რომ არაბული პოეზიის განვითარების პროცესი უშუალოდია დაკავშირებული თანამედროვეობის აღქმასთან, ხოლო ამისათვის აუცილებელია არუდის ნორმების უარყოფა.

3.3. შეგვიძლია დავასკვნათ: საზოგადოებრივ-კულტურული ვარემო, ვარდაქმნები თამაშობენ დიდ როლს ლექსთწყობის წესების გაფორმებაში. მაგრამ ამ როლის ანალიზი სწორედ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ლექსთწყობის სისტემაში ვანიჩრევა ორი პლანი. საზოგადოებრივი ვარემო მოცემულ ლიტერატურაში მომხდარ ვარდაქმნათა და ლიტერატურულ სტილის მოთხოვნათა მეშვეობით გავლენას ახდენს ლექსთწყობის მხოლოდ და მხოლოდ მეორე, ცვალებად ნაწილზე: პირველი, მდგრადი ნაწილი ამ გველენებს არ ექვემდებარება, იგი მთლიანად დამოკიდებულია პროსოდიულ ბაზაზე.



3.4. აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი დებულება: საქმე არა მხოლოდ ვარკვეული არეკვლის პროცესთან, — ვერსიფიკაციულ პროცესთან, — არა მხოლოდ ასახავენ, არამედ გამოხატავენ კედელს. თუ დავხმავდებით საკითხს შინაარსის ფაქტორის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ვერსიფიკაციული სისტემის სემანტიკური მხარე გამოვლინდება დიაქრონი-აში, ცვლილებებში, გარკვეულ დაპირისპირებებში. შეიძლება დავამტკიცოთ, რომ, ასახავენ რა საზოგადოებრივ-კულტურულ ძვრებს, ცვლილებანი ლექსთწყობაში წარმოადგენენ სიახლეთა მთელი შინაარსის გამოხატველებსაც. ვინაიდან ასრულებენ სემანტიკურად რელევანტურია სოფნალების ფუნქციას (იხ. [11], გვ. 92-93). ოღონდ დაპირისპირება „ძველი — ახალი“ უკავშირდება ლექსთწყობის მხოლოდ მეორე პლანს და, შესაბამისად, საკითხის — „აქვს თუ არა რიტმს შინაარსი“ — დადებითი გადაჭრა არ ეწინააღმდეგება ლექსთწყობის ენობრივ კონცეფციას.

3.5. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევს ცნება არუდის ანალიზი.

როგორც ცნობილია, ეს ტერმინი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ლექსთწყობას, ეს არის მისი პირველი მნიშვნელობა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ არუდის სახელითა და მისი გარკვეული წესების დაცვით მოქმედებს რამდენიმე აღმოსავლურენოვანი სალექსო სისტემა, არუდი მისი ზემომოტანილი მნიშვნელობით არის ამსტრაქტული ცნება, რომელიც არა-ინტერპრეტირებულ სისტემას აღნიშნავს. მის ერთ სპეციფიკაციას არაბული ლექსის სახით წარმოადგენს სისტემა, ტრადიციული კვალიფიკაციით აგებული ხმოვანთა კვანტიტეტზე — მეტრიკული სისტემა. მაშასადამე, არუდს აქვს მეორე მნიშვნელობაც — არაბული კვანტიტეტური ლექსი. სწორედ ამ მნიშვნელობით იმარება ეს სიტყვა, როდესაც ლაბარაქია სხვა აღმოსავლური სალექსო სისტემების შესახებ — ამაში ადვილად დავაწმუნდებით, თუ გავისხეხებთ, რომ ამ შემთხვევაში არუდს უპირისპირებენ ლექსთწყობის სხვა ტიპებს, მაგალითად სილაბურ-ტონურ ლექსს. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული შემდეგი გარემოება: მოცემულ აღმოსავლურ ენაში შეიძლება არ არსებობდეს ფონოლოგიურად ფუნქციონალური დაპირისპირება ხმოვნებისა — გრძელი: მოკლე, ე. ი. ის პროსოდული ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ არაბული ლექსის პრინციპულ სტრუქტურას. მაშასადამე, იმ აღმოსავლური სისტემებისათვის — არუდებისათვის — უნდა დადგინდეს ან დაზუსტდეს ის შინაგანი ენობრივი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ლექსის მდგრად ბუნებას და არა — პირიქით: გაკეთდეს დასკვნა, რომ მოცემულ პოეზიაში თანაარსებობს ორი სისტემა, ვთქვათ, არუდი და სილაბური ტიპი, ე. ი. მეტრიკული და სილაბური ლექსთწყობები. ამგვარი აღწერა, თუ საქმე ეხება სტრუქტურულ თვისებას, რა თქმა უნდა, გაუგებარია. თუ მოცემული ლექსის ბუნებას განსაზღვრავს, ვთქვათ, მარცვლის კვანტიტეტი, მაშინ, რომც აღმოვაჩინოთ სტრიქონებში სილაბთა ტოლი რაოდენობა (იზოსილაბიზმი), ეს ფაქტი ჭარბი ღირებულების ნიშნით უნდა დახასიათდეს: ნებისმიერი მეტრის ლექსი ცალსახად განიარაღება მეორისგან სტრიქონებში გრძელი და მოკლე მარცვლების განლაგებით და მხოლოდ ლექსთა ერთ ნაწილში, ამ ნიშანთან ერთად, იქნება წარმოდგენილი მარცვალთა თანაბრობის



პრინციპი. ან — პირიქით, თუ სიტუაციას შევატრიალებთ სილაბურულად
სასარგებლოდ.

სხვა სიტყვებით, არუდი თავისი მეორე მნიშვნელობით აუცილებლად
ვულისხმობს მისთვის, როგორც კვანტატეტური სისტემისათვის, დამახასია-
ათებელ პირველ, მდგრად პლანს, რომელიც სხვა ლექსთწყობას განსხვავე-
ბული ექნება.

რაც შეეხება იმას, რომ გამოვლენილია ფაქტები აღმოსავლურ სალექსო
სისტემებში არაბული არუდის მახასიათებლების შეჭრისა, ან ამ სისტე-
მების მიერ არაბული არუდის ათვისებისა, აქ საქმე ეხება სწორედ არუდის,
როგორც ლექსთწყობის, მეორე პლანს და არა ენობრივ, პროსოდიულ ბა-
ზას. აღმოსავლურმა სალექსო სისტემებმა აითვისეს არუდის შიდასისტემუ-
რი კანონები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გარდაქმნეს ამ ლექსთწყობათა
მეორე, ცვალებადი, დონე. და სწორედ ამ შემთხვევაში გამოვლინდება სა-
ზოგადოებრივ-კულტურული ფაქტორების — დაპყრობანი, ისლამიზაცია, ენო-
ბრივი, ლიტერატურული და ა. შ. გავლენები — მოქმედების კვალი ლექსთ-
წყობათა სისტემების ფორმირებაზე.

4.1. ერთი კერძო საკითხის შესახებ.


ცნობილია რ. იაკობსონის ფორმულა ენაზე პოეტური ფორმის ძალადო-
ვის შესახებ, რომელიც მისაღებია ნ. ტრუბეცკოის მეტად ზუსტი და აუცი-
ლებელი კორექტივით (იხ. [10], გვ. 8-9).

რ. იაკობსონ-ნ. ტრუბეცკოის თეზისი ეხება ისეთ ფუნდამენტურ ენო-
ბრივ ელემენტებს, რომელთაც ლექსის, როგორც სისტემის, არასი განსა-
ზღვრის ფუნქცია აქვთ, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ ნ. ტრუბეცკოი ლა-
პარაკობს მახვილზე რუსულ ლექსში და მარცვალთრადენობაზე პოლონუ-
რში, როგორც ისეთ ელემენტებზე, რომელთა გარეშეც არც ერთი, არც
მეორე ლექსთწყობა არ იქნება სიცოცხლისუნარიანი. მაგრამ მსჯელობის გა-
წოგადება შეიძლება შედარებით მეორეხარისხოვან მოვლენებზეც, როდესაც
საქმე გვაქვს მოცემულ პოეტურ ტექსტში სიტყვის, წინადადების, ან სინ-
ტაქსური ბლოკის გაფორმებასთან — ამ დროს ასევე შეიძლება აღმოვაჩი-
ნოთ ენაზე ლექსის ძალადობის შემთხვევები; ლიცენცია პოეტიკა თქმულს
ცნობილი დადასტურებაა (იგულისხმება ლიცენცია, როდესაც ირღვევა ენის
გრამატიკული ან სტილისტური ნორმები, და არა ის, როდესაც მეტ-
რის სქემამა დარღვეული).

ამჯერად ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირიქითა გავლენაც არსებობს —
ენის ნორმები, გრამატიკული თუ სტილისტური, მათი დაცვა, ზოგადად —
გარკვეული ენობრივი სტილი არღვევს, გავლენას ახდენს გარკვეულ პოე-
ტურ სტილზე — სალექსო ტექსტის, მისი ნაწილების, სტრიქონების და ა. შ.
სტრუქტურულ ნორმებზე.

4.2. შევეცდებით დავამტკიცოთ დებულება ქართული ლექსის მონა-
ცემების მაგალითზე.

ქართული ლექსის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული ნიშანი არის
ის, რომ სტრიქონი დაიყოფა გარკვეული სიგრძის (მარცვალთა გარკვეული
რაოდენობის შემცველ) მონაკვეთებად, ან სხვანაირად, სალექსო სტრიქონი
აიგება გარკვეული სიგრძის მონაკვეთებისგან, — ამ მონაკვეთთა სიგრძე-
ბისა და თანამიმდევრობათა დაცვა აუცილებელია. ან დარღვევას თავისი



დამატებითი წესები და შეზღუდვები აქვს. ასე მაგალითად, მაღალი შაირი სტრუქტურული ბლოკებია $16=8+8=4+4+4+4$, დაბალი $16=8+8=5+3+5+3$ ხუთისა და სანის თავიანთი ალტერნატივით (ამჯერად არ ვეჭვებით იმ პრიორიტეტულ ელემენტებს, რომელნიც მოცემულ თანამიმდევრობება გადააქვეყნებ სტრუქტურებზე საღვთო რიტმის პოზიციებიდან; პრაქტიკულად დაბარაკია მხოლოდ სტრიქონთა დანაწევრებაზე). ამ მონაცემების დარღვევა არ შეიძლება — არა მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით, რომ დარღვევა რიტმი, არამედ იმ მთავარი მიზეზით, რომ რიტმი შეიცვლება, დაემთხვევა სხვას, არსებულს. ყველაფერი თქმული ენება არა მხოლოდ შაირის სტრუქტურას, — ქართული ლექსის ნებისმიერი ნეტრული სქემა ამ პრინციპულ წესებს ემორჩილება.

განვიხილოთ ერთი კერძო შემთხვევა.

$5+3/3+5$ დაბალი შაირის რეგნარცელიანი მოდიფიკაციაა ახალ პოეზიაში. მისთვის, ისევე როგორც რუსთველური შაირისათვის, დანახსიათებელია სამ და ხუთმარცვლიანი მონაცემების თავისუფალი მონაცვლეობა (ფორმულირება არაზუსტია: ჩვენი თვალსაზრისით, აქ, ისევე როგორც სხვა ტიპის საზომებში, ადვილი აქვს მონაცვლეს შორის საზღვრის გადაწევა გარკვეული დისტანციით, რაც ამ ტიპის სტრიქონებში შემთხვევით გვაძლევს გვლავ სამიანებასა და ხუთიანებს; ყველაფერი ეს გარკვეულ წესება ემორჩილება, უფრო ზუსტად — კანონს წარმოადგენს; მაგრამ ეს ჩვენთვის ამჯერად არაა საინტერესო). რეალურად, ენობრივი სიტუაციის მიხედვით, სიტყვათა განლაგების მიხედვით, სტრიქონის $3+5$ კომბინაცია შეიძლება გვაძლევდეს, სხვა შესაძლებელ შემთხვევათა გვერდით, თანამიმდევრობას $3+3+2$ (ხეუნ ამჯერად ნეორე, ხუთმარცვლიანი, საღვთო მონაცვლეთი გვანტერესებს, ამიტომ სიზუსტისათვის ვატყვით, რომ არსებობს $3+1+2+2$ თანამიმდევრობაც, რაც პრინციპულად უფროს $3+3+2$ -ს):

მინდა, რომ მთავა ვიდეხას
დამღებდეს რუსთველის მწირო
და აღვიდებდა იმ სმხე
ტანსკვრით ხალხი მინარი

(აკავი)

მეორე სტრიქონი $3+3+2$).

მაგრამ ამგვარ განლაგებას ჩვენი პოეზია გარკვეულწილად ერიდება. რატომ? საქმე ისაა, რომ ამ დროს მოცემული რიტმი ნაწილობრივ ირღვევა, ირღვევა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ემთხვევა სხვას: $3+3+2$ სხვა საზომია, დღეს საკმაოდ პოპულარული (თავის „ნათესავთან“ $3+3+3$ -თან ერთად), იმ გალაკტიონი:

ის იყო წვილი წლის ბავშვი,
მაისი, მინდორი, ჩიტო,
სიმღერა ოქროსფერ ნაწნი,
ზევათა ლავარდი — ჩითა.

გვაქვს სხვებთანაც: ტერენტი გრანელი — „სალამო — კანკალი სანთლის, / ირგვლივ დაწოთილი ნისლი. / ფარული წამების ლანდი, / პოეტის ცრემლი და სისხლი“. ანა კალანდაძე — „ო, ჭრელმა ციყარმა იცის, / რომ იმის დაწინწკლულ ბუმბულს, / ვითარცა სუროს და სღმბულს, / ვინაა? ციყარმა იცის“. მუხრან მაჭავარიანი — „გაიოთ, მერნისთან შევრტყებ, / ვით ყინე-



ლი — ქუხილის "შემდეგ/ ვაითუ ღირსია ცეცხლის/ რაც მოეცემა და დღემდე" და მრავალი სხვა.

რას ნიშნავს — „რიტმი ნაწილობრივ ირღვევა, ემთხვევა. სხვას?“ პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ 3+3+2, როგორც ვარიანტი 3+5-ისა, იწვევს მოცემულ სიტყვათა განლაგების არაბუნებრივად წაკითხვას 3+5-ის მიხედვით, პროსოდიული ელემენტების, იქნება ეს მახვილი თუ სიტყვათგასაყარი, 3+5-თვის დამახასიათებელი ადგილებით. ამდენად, იგი შეიძლება შეგვხვდეს ამ პოზიციაში, მაგრამ გარკვეულ, მცირე „ძალადობას“ ენაზე პოეტური ფორმისა (კითხვისას) ადგილი ექნება. ბუნებრივია, რომ მას ერიდებიან, უფრო სწორედ, იგი ნაკლებად გვხვდება (მსჯელობა რელიგიანტურა იმ შემთხვევისათვისაც, დროის იმ სინქრონული მონაკვეთისთვისაც, როდესაც რიტმი 3+3+2 „ის იყო შეიდი წლის ბავშვი“ ქართულ პოეზიაში არ იყო რეალიზებული, — იგი მაინც არსებობდა იმპლიციტურად, როგორც შესაძლებელი: ამიტომ 3+5-ის ვარიანტად 3+3+2 მცირე, მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევდა).

და მაინც 3+5-ის სქემაში 3+3+2 ჩნდება. რატომ? ან უფრო ზუსტად: რა ფაქტორი აიძულებს პოეტს, იხმაროს 3+3+2 არაბუნებრივ პოზიციაში?

განვიხილოთ მაგალითისათვის ვაჟა-ფშაველას პოემები. არჩევანი განპირობებულია იმით, რომ, ჯერ ერთი, ვაჟა პოემებში მხოლოდ 5+3/3+5 საზომს იყენებს. მეორეც, ვაჟასთან საზომის სქემა უფრო „სუფთადაა“ რეალიზებული, ვიდრე, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძესთან.

განხილულია „აღუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმკამელი“, „ბახტრიონი“, „ეთერი“, „სასხლის აღება“, „უღებლო იდბლიანი“, „ძალიცა ხიმიკაური“, „ნახევარწიფილა“, „მოხუცის ნათქვამი“. განლაგება 3+3+2 გვხვდება. 242-ჯერ („კობალაში“, მაგალითად, არც ერთხელ არ გვაქვს). ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ პრაქტიკულად დგინდება, თრმოციოდე შემთხვევის გარდა, რატომ არის აღებული 3+3+2 განლაგება ბუნებრივი 3+2+3-ის ნაცვლად. მოქმედი ფაქტორი არის ენის ნორმების, კონკრეტულად — ნორმალური სინტაქსური კონსტრუქციებისა და ნორმალური სტილის დაცვა. სხვა სიტყვებით, გვეჩონია შემთხვევები, როდესაც ბუნებრივი ენობრივი ნორმები მოითხოვენ ნაწილობრივ არაბუნებრივ სალექსო კონსტრუქციას. თქმული თვალსაჩინო გახდება, თუ ჩვენ სტრიქონთა პეორე ნაწილში, ხუთმარცვლიან მონაკვეთში, არაბუნებრივ რიტმულ კომბინაციას 3+2 გადავატყვევებ ბუნებრივად, 2+3-ად (3+3+2 არაბუნებრივი კომბინაციაა, 3+2+3 ბუნებრივი) სიტყვათა განლაგების შეცვლის გზით (უფრო დიდი მანიპულაციების, სტრიქონის ან ფრაზის შეცვლის უფლება, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს); სხვა სიტყვებით, ჩვენ ვახდენთ სწორი რიტმის „რეკონსტრუირებას“, მაგრამ საქმე ისაა, რომ „რეკონსტრუირებული“ მონაკვეთი არასწორია სინტაქსური ან სტილისტური ნორმების თვალსაზრისით. ე. ი. საწყის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ენობრივად სწორი და რიტმულად არაზუსტი სურათი, მიღებულ შემთხვევაში — რიტმულად სწორი და ენობრივად არაზუსტი. პოეტი არჩევს პირველს, ამ შემთხვევაში პრიორიტეტს აძლევს ენობრივ ნორმას.

თქმული განსაკუთრებით კარგად, ცალსახად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემულ პოზიციაში (3+5-ის მეორე ნაწილში, რომელიც იყოფა 3+2 კომბინაციად სიტყვებისა) გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული.



გამასტყვრა მუცალის თოფი (ორჯერ)
 ქისტისად საკლავის დაველა
 უნა ვარ მეც გუდანის ჯვრისა
 გარისხებ ხახმატის ჯვრითა
 მოგწიოს ლაშარის ჯვარმა
 მოსცაგდა სინათლის სინჯვა
 გრისხავდეთ ცა-ქვეყნის მადლი
 ვერ ვეისნის სიკვდილის ზღალით
 ჩამოღვა სადამოს ეამი
 ტყუილს სჯობს სიმართლის თქმით
 ჩამოდის ხეცურთა ჯარი
 და მთელმა ხევსურთა გუნდმა
 დაემხო საჯარის წინა
 უსმინე, ხახმატის ჯვარო
 გასუქდა ხოშარის გორა
 გვიშველე, ლაშარის ჯვარო
 იესება ლაშარის გორი
 ამლითა — ბათაყის ძენი
 უმის ჩვენს ლაშარის ჯვარსა
 აღიდეს ლაშარის ჯვარი
 გწყალობდეთ ლაშარის ჯვარი
 ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს
 აღიდე ლაშარის ჯვარი
 ვადვიდნენ ალაზნის თავსა
 რომ მოაქვს ქიჩირის ხელი
 ენაა დემურის მკვლელი
 დღესაც ამ ლექსების ცოდნა
 ათასჯერ ფარეხის პირში
 საბრალოს სამარის მადლი
 გამოვლეს ლიქოკის წყალი
 აღევლდა ძაღლიკის გული
 ერთ დღესა ბატონის ჯოგმა

და სხვ.

რეკონსტრუირება მოგვეცემს: *გამასტყვრა თოფი მუცალის, *ქისტისად დაველა საკლავის, *ყმა ვარ მეც ჯვრისა გუდანის, *გარისხებ ჯვრითა ხახმატის, *მოგწიოს ჯვარმა ლაშარის და ა. შ. ლექსის რიტმის „სწორდება“: გამასტყვრა თოფი მუცალის /კლდის პირი დაიშლებოდა. მაგრამ ენობრივი ნორმა ირღვევა: ვიდებთ არაბუნებრივ თანმიმდევრობას მსაზღვრელ-საზღვრული-სას. როგორც ვხედავთ, ლექსებში საკითხი ენობრივი პოზიციებიდანაა გადაწყვეტილი.

იგივე სიტუაცია გვაქვს ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევებშიც. 26 შემთხვევა:

ეს ჩემი გულწრფელი თხოვნა
 რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი
 უმარჯვებს სატახტო ქალაქს
 თქვენს დუშმანს ესეთი ყოფნა
 მოძებნონ თავისი მკვდარი
 და ამ დროს მოწყალეს თვალით
 წუხელაც ცუდ სიზმარ ენახე
 ეს რაღაც ცუდ საქმეს ნიშნავს
 მოგროვდნენ ყოველის მხრიდან



ოცნება ტანჯულის ქვეყნისა
 აძრახდა ნაწყენის ხმითა
 თქვენს მტერს, რომ შვიორე დილაა
 დმერთისა ესახოვ ცოდვილის პირით

და სვ.

რიგის შუცვლა გვაძლევს: *ეს ჩემი თხოვნა გულწრფელი, *რომ ჩემს შვილს ცოლი უჯიშო, *უმარჯვებს ქალაქს სატახტოს, *და ამ დროს თვალით მოწყალეს, *წუხელაც სიზმარ ცუდ ვნახე, *მოვროვდნენ მხრიდამ ყოველის, *აძრახდა ხმითა ნაწყენის და ა. შ. მექანიზმი იგივეა: უპირატესობა სწორ ენობრივ ტენდენციას ეძლევა.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც გადასმა მსახვრელ-სახვრელის დაცილებას იწვევს შენდევ სტრიქონებში:

ხვეისბრის დიდება ისინი
 ურჯულოს ხელნესაე აღნობს
 კაის ყმის მარჯვენა არი
 მტელის მარჯვენა არი
 უნდა მტრის საფლაგზე დაკლან
 ცა-ხმულო დაქცევაჲ ჰგვანდა
 მეფის ძე გოდერძი კვდება
 მეორეს საფლაგში ჩამდევ
 სულთამბრძოლ სნეულსა ჰგავდა
 რამდენი სიპეზი არწყავ
 უფროსი ბაყაყი ეტყვის

გადასმით: *ხვეისბრის ისმის დიდება, *ურჯულოს აღნობს ხელნესაე, *კაის ყმის არი მარჯვენა, *უნდა მტრის დაკლან საფლაგზე, *მეორეს ჩამდევ საფლაგში, *სულთამბრძოლს ჰგავდა სნეულსა, *უფროსი ეტყვის ბაყაყი და ა. შ.

მაგალითებს აღარ გავაანალიზებთ, ნოეიტანთ მხოლოდ რამდენიმეს:

ვაჰმე, რა ძალიან დამცხა
 ვასწავლი, როგორი არის
 სამართი ვეღარას ენაზე
 სოქეო, შერეს იღუმალ ყოფნის
 დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს
 და დღესაც არაგინ ჰზოგავს
 გაჰქრა და აღარცა ბეუტავს
 ყვავილნი ხმას აღარ მცემენ
 იარაღს როგორა მყრიდი
 მეუხედენ, მუცალი აყო
 ნარტოკაც მეგრეჯერა ვნახე
 მამ აღარც კაცს უნდა ვკლაედეთ
 სხვი ყოფნა, ამაზე მწარე
 თავსა და მარჯვენას მოსჭრის
 ან მაწა რად არა ძღება
 მამევეით, ვისც ქუდა გხურავთ
 წახვალთ და ვეღარცა ჰნახავთ
 აღხასტა? მართალი არი
 თადლი და შაქარი არი
 იმითში არაფერს ჰხედავს
 მოზიდეთ ბეგრისგან ბეგრი
 ხალწში ხმას არაავინ იღებს
 არც რჩება, აღარცა კვდება



და ერთ დროს მლოცველით სავეს
 ტანჯვის და სირცხვილის მეტი
 წაიღო, ალალი არის
 დიადაც, საჭირო იყო
 თვითონ კი ისეთივე დადის
 მის გული მეტს ვეღარ იგრძნობს
 წმინდანო, რისთვისა სწყრები
 ბოლოს კი დიმილი მოსდის
 სიცოცხლე ძალიან უყვარს |
 დღეს სხვაზე მეტობას ჩემობს
 ღორები მანებებთან ერთად
 ფერსა და უმარილს ისომს
 და სხვ.

აშკარად უფრო არაბუნებრივი სტილია: *ვაჰმე, რა დამცხა ძალიან,
 *ვასწავლი, არის როგორი, *სამართი ვნახავ ვეღარას, *სთქვი, *შერეს ყოფნის
 იღუმალ, *დღეს მხოლოდ უყვარს სიბნელე, *და დღესაც კზოგავს არავინ,
 *ვაჰქრა დაბეჭტავს აღარცა, *ყვავილინი მცემენ ხმას აღარ, *იარაღს მყრიდი
 როგორა, *შევხედენ, იყო მუცალი, *მარტოვაც ვნახე ბევრჯერა, *მაშ აღარც
 უნდა კაცს ვკლავდეთ, *სხვა ყოფნა, მწარე ამაზე, *თავსა და მოსკრის მარ-
 ჯენას, *ან მიწა ძღება რად არა, *მამყვივით, ქული ვისც გეჭრავით, *წახვალა
 და ნახავთ ვეღარცა, *ალხასტა? არი მართალი, *თაფლი და არი შაქარი.
 *მითში პხედავს არავინ, *მოზიდეთ ბევრი ბევრისგან, *ხალხში ხმას იღებს
 არავინ, *არც რჩება, კვდება აღარცა, *და ერთ დროს სავეს მლოცველით,
 *ტანჯვის და მეტი სირცხვილის, *წაიღოს, არის ალალი, *დიადაც, იყო საჭი-
 რო, *თვითონ კი დედის ისეთივე, *მის გული ვეღარ მეტს იგრძნობს, *წმინდა-
 ნო, სწყრები რისთვისა, *ბოლოს კი მოსდის დიმილი, *სიცოცხლე უყვარს
 ძალიან, *დღეს სხვაზე ჩემობს მეტობას, *ღორები ერთად მანებებთან, *ფერსა
 და ისომს უმარილს.

აქ აღარ ჩამოვთვლით იმ შემთხვევებს, როდესაც კონტექსტის მიხედვით
 აშკარაა, რომ ავტორს სწორედ ასეთი და არა სხვანაირი გამართვა ფრაზისა
 „აწყობდა“ ამა თუ იმ შინაარსობრივი ნიუანსის აქცენტირების, ლოგიკური
 მახვილის და ა. შ. პოზიციებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი შემთხვევები — არც ნი-
 მუშები და არც პოეტი — რა თქმა უნდა, გამოჩაყლის ან წარმოადგენენ.
 მსგავს მოვლენებს შევხვდებით სხვა საზომებისა და სხვა პოეტების განხილ-
 ვისას. ძალიან ხშირია, მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევები
 („და ღრმად ვჰმალავ ვულში სიმწარის ოხრვას“ — გრ. ორბელიანი, *და
 ღრმად ვჰმალავ ვულში ოხრვას სიმწარის: 4+4+3-ის დარღვევა; „ღებევ, ნე-
 კტარის ნაცვლად“ — ალ. ქავჭავაძე, *ღებევ, ნაცვლად ნექტარის: 4+3-ის და-
 რღვევა...) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ზემოთ მოტანილი ყველა შემთხვევა ისეთი როლია, რომ
 ენობრივი თუ სტილური ნორმის ბუნებრიობის არდაცვა აბსოლუტურად მო-
 უთმენელია, მაგრამ სწორედ ეს არის ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობ-
 ლივი: იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული რიტმული ნორმის რეალიზა-
 ციას გარკვეული სირთულე ექმნება, მაგრამ დარღვევა მაინც მოსა-
 თმენია, პოეტი პრიორიტეტს აძლევს ბუნებრივ ენობრივ ნორმას. თუ გავი-
 სვენებთ იმასაც, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც რიტმული ნორმის რეალი-
 ზაციას ისეთი სირთულე ექმნება, რომ დარღვევა მოუთმენელია, პოეტი —



იგივე ვაჟა-ფშაველა, თუ გნებავთ — დაუფიქრებლად არღვევს ენობრივ ნორმას (ასატანობის ფარგლებში — კვეცს სიტყვას, აკლებს მარცვალს-ვერსიას სინტაქსური კონსტრუქციის ინვერსიულ რიგზე და სხვ.).

მაშასადამე, არსებობს ენობრივი ნორმის გავლენაც პოეტურ ნორმაზე და პოეტური ნორმის გავლენაც ენობრივ ნორმაზე. ორსავე მოვლენას თავთავისი ადგილი და ძალა აქვს.

4.3. ლაბოლოს. ენობრივი ნორმის გავლენებზე უფრო მეტის თქმაც შეიძლება: გარკვეულ შემთხვევებში არა მხოლოდ პოეტი ემორჩილება მის მოქმედებას, არამედ ზოგჯერ მკითხველიც; იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მკითხველის აღქმაში რეალიზდება ენობრივი ნორმის ზემოქმედების შედეგი ისე, რომ პოეტის მიერ მოცემულ ტექსტში იგი რეალიზებული არ არის.

ბარათაშვილის „მერანში“ მე-8 სტროფი ასე იკითხება:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება,
და გზა უვალ, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

„მერანის“ ფორმალური სტრუქტურა ბესიკურისა და შავთელურის მონაცვლეობაზე აგებული. მე-8 სტროფს რიგით უწევს იყოს $20 = 10 + 10 = 5 + 5 + 5 + 5$ სტრუქტურის სტრიქონებისგან შემდგარი და არის კიდევ („ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“) — ხელნაწერშიც და ყველა გამოცემაში გვაქვს „არა ჩაივლის“. მაგრამ ჩვენი დიდი ხნის დაკვირვებით, ძალიან ბევრი მკითხველი, პრაქტიკულად ყველა (იგულისხმება ადამიანი, რომელსაც სპეციალური მიზნებით არ უმუშავია ტექსტზე), კითხულობს: „არ ჩაივლის“, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“ (სტრიქონთა მარცვალთთანაბრობის პრინციპი ირღვევა: $20 - 19, 10 - 9$). რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე? რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც რიტმის გარკვეული ცვალება თუ დარღვევა ასატანობის ფარგლებშია (სრულიად მარტივი დასადგენია, რა ისეთი პროსოდიული ფაქტორი მოქმედებს ამ დროს, რომელიც იძლევა ამის საშუალებას, მაგრამ ამგვრად ეს ჩვენი მიზნების გარეთაა). მაგრამ, მეორე მხრივ, ამკარაა ისიც, რომ ამგვარი შეცვლისათვის ბიძგს იძლევა ენობრივი ნორმა — ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის „არ“ ფორმის ჩვენთვის ბუნებრივი ხმარების ფაქტორი.

ლიტერატურა

1. Р. О. Якобсон, О чешском стихе преимущественно в сопоставлении с русским, Берлин, 1922.
2. R. Jakobson, Linguistics and Poetics. Style in Language, Edited by Thomas Sebeok, Cambridge, 1966.
3. აკაკი ვაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1974.
4. Edward Stankiewicz, Linguistics and the Study of Poetic Language. Style in Language.
5. М. П. Штокмар, Исследования в области русского народного стихосложения, М. 1952.
6. გიორგი წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1973.
7. В. А. Николов, Стих и язык /Полемические заметки/, Сб.: Проблемы восточного стихосложения, М. 1973.

8. Б. В. Томашевский, Стих и язык, М.-Л. 1959.
 9. Л. И. Тимофеев, Очерки теории истории русского стиха, М. 1958.
 10. В. М. Жирмунский, О национальных формах ямбического стиха, Сб. 2 (1968), М. 1968.
 11. А. А. Силагадзе, Система стихосложения и фактор содержания, Тезисы докладов III Всесоюзной конференции семитологов, посвященной памяти акад. Г. В. Церетели, Тбилиси, 1977.



А. А. СИЛАГАДЗЕ

ЯЗЫК, ПОЭТИЧЕСКИЙ СТИЛЬ И СТИХОСЛОЖЕНИЕ

Резюме

В статье высказывается мысль о том что при рассмотрении вопроса о факторе-определителе своеобразия природы стихосложения следует четко разграничить два уровня в системе стиха: 1) ее стойкую, практически не изменяющуюся базовую часть, основанную на просодической системе языка, 2) внутрисистемные законы, обусловленные литературным, поэтическим стилем, который в свою очередь определяется культурной ситуацией, историческим развитием общества. Второй уровень в отличие от первого является подвижной частью, подверженной изменениям.

Отмечается и то, что языковые нормы грамматического или стилистического характера влияют на поэтический стиль — нормы построения строк, их частей и т.д. В случаях, когда возникает определенная трудность при реализации ритмической нормы, однако нарушение все-таки терпимо, предпочтение отдается соблюдению языковой нормы.

Тезисы иллюстрируются арабским и грузинским материалами.

A. SILAGADZE

LANGUAGE, POETIC STYLE AND VERSIFICATION

Summary

The author suggests that while considering the determining factor responsible for the originality of the nature of versification one should draw a firm dividing line between the two levels in the system of the verse: 1. its stable and practically unchanging basic portion stemming from the prosodic system of the language and 2. the intrasystemic laws conditioned by the literary poetic style which, in its turn, is determined by the cultural situation and by the historic development of society.

It is likewise stressed that the grammar and style norms of a language influence its poetic style—viz. the norms of line structure, its elements, etc.

The views are illustrated with Arabic and Georgian materials.



თანამედროვე თურქული „სოფლური რომანის“ პერსონაჟები

ირინე გოცირიძე

დღევანდელი თურქული მწერლობა სისხლსორცეულად არის დაინტერესებული საზოგადოებრივი პრობლემებით, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ე. წ. „სოფლურ რომანში“, რომელიც სოფლის მშრომელთა ცხოვრებას ასახავს. გლეხობის ბედით დაინტერესება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო თურქულ ლიტერატურაში. 1890 წელს დაწერილი მოთხრობა „ყარაბიბიკი“ („Karabibik“) ამის საუკეთესო დასტურია. მე-20 საუკუნეში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ეს ინტერესი, რაზეც მეტყველებს იაკუბ კადრის „უცხო კაცი“ („Yaban“), რეზად ნურის „ნარჩიტა“ („Çalı Kusu“) და „მწვანე ლამე“ („Yesil Gece“), საბაჰათინ ალის „კუიუჯაკელი იუსუფი“ („Kuyucaklı Yusuf“), სადრი ერთემის „როდესაც ჯარა ვაბერდება“ („Çikriklar Durunca“), რეფიქ ჰალიდისა და რეზად ენისის მოთხრობები და მრავალი სხვა მაგრამ ორმოცდაათიანი წლების მწერლობაში გლეხობის თემამ ახლებური გაშუქება ჰპოვა „სოფლურ რომანში“. „ლიტერატურა გადაიქცა საზოგადოების დღევანდელი ცხოვრების შემფასებლად და მისი ხვალისდელი დღის მოკარნახედ. სოციალური სამართლიანობის საკითხი ჯერ ლიტერატურაში დაისვა და მერე იქცა საზოგადოების მამოძრავებელ ძალად“. (1,5). ხორცი შეეცხა იაკუბ კადრი კარაოსმანოღლუს დიდ სურვილს: „მე მინდა მწერლობა საზოგადოებრივი შეგნების გამაღვივებელი რევოლუციური მიზნების სამსახურში ჩაეყენო“ (1,33).


ახლო აღმოსავლეთის მწერლობაში ერთი მოვლენა შეინიშნება: საგრძნობლად მომძლავრდა ხალხოსნური იდეები და განწყობილებანი, რასაც ნაიზენშტეინი განმანათლებლური ტრადიციების აღორძინებით ხსნის. (2,43). ამ მხრავ გამოჩაჩისს არც თურქული მწერლობა წარმოადგენს. სოციალურ თემებზე დაწერილ პირველ ნაწარმოებებში „მწერლები ცდილობდნენ დაეხატათ ხალხის ბედით დაინტერესებული გმირების შთამავონებელი სახეები, ისეთი გმირებისა, რომლებიც ხალხის უკეთეს მომავალზე იზრუნებდნენ“. (3,274). ასეთი გმირი ტრადიციულად მასწავლებელია, რომელიც აღსავსეა ენერჯითა და სოფლის ცხოვრების გარდაქმნის სურვილით. ამ მიზნით იგი, ქალაქელი კაცი, მიემგზავრება ანატოლიის რომელიმე შორეულ კუთხეში და „იქ წააწყდება გლეხთა ფანატიზმს, მათ საშინელ კონსერვატივს, შეეჯახება კულაკობას, მევახშეებსა და სასულიერო პირებს, რომლებიც ხელს უშლიან ინტელიგენტის პროგრესულ წამოწყებებს. ამ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვეულებრივ, მასწავლებელი მარცხდება. ნაწარმოები თითქმის ყოველთვის თავდება იმით, რომ ინტელიგენტი ხდება თავის უსუსურობას

და ცდილობს შეცვალოს ბრძოლის ფორმები, სწორად ამოაღწ. (4,180). სოფლის გამოღვივება-განათლებას ისახავს მიზნად ფერადე (რეშად ნურის ნარჩატა). იგი „დამფრთხალი ფრინველივით შეფრინდება სოფელში და აფრინდება“ დეებით ასწავლის ყველასაგან დამცირებულ, დაბეჩავებულ გლეხთა შვილებს, რომელთა თამაშობა-ვართობანიც კი სამკლოვართო ჰიმნებით ნაღვლიანია“ (5,162).

„სოფლურ რომანში“, აღრინდელი სოციალური რომანებისგან განსხვავებით, ცენტრალურ ფიგურას, რომლის გარშემოც იყრიან თავს სხვა დანარჩენი პერსონაჟები, გლეხი წარმოადგენს. მის მხატვრულ სახეში ახალი სწორედ ეს არის: იგი ცენტრალური ფიგურაა და არა მეორესხარისხოვანი. მას თავისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები აქვს, რითაც მასისაგან გამოვარჩევთ და ვიმასხვრებთ. გლეხი თავის თავს საზოგადოების ნამდვილ წევრად თვლის და თუმცა მას არაფერს ეკითხებიან, თვითონ იჩენს ინიციატივას ჩაეროის სოფლის ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღოს მის გარდაქმნაში, თქვას საკუთარი სიტყვა. ეს ტიპი თვისებრივად ახალია. იგი არსებითად განსხვავდება უსიტყვოდ მორჩილი, დაბეჩავებული და ბნელი გლეხისაგან, როგორადაც მას აღრინდელ სოციალურ რომანებში გვიხატავდნენ. მიწის მუშა „სოფლურ რომანში“ ფიქრებს, აზროვნებს, იბრძვის კიდევ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. სწორად წარმატებასაც აღწევს, ზოგჯერ მარცხდება, მაგრამ საკუთარი ძალებს რწმენას არ კარგავს. მისი პროტესტი არსებული წესწყობილების წინააღმდეგ სტიქიური კი არ არის, არამედ მოფიქრებული, ვაცნობიერებული და შეგნებულად გააზრებული მოქმედება.

მკითხველის თვალწინ მიმდინარეობს გლეხის მხატვრული სახის ევოლუცია: იგი ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მიღის ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნებამდე. გლეხის პიროვნებას ჩამოყალიბებზე რომანებში დიდ გავლენას ახდენს მწერლის იდეის გამოხატველი მასწავლებელი. მასწავლებლის მხატვრულმა სახემაც „სოფლის რომანში“ ახალი თვისებები შეიძინა. მასწავლებელი თავადაც გლეხთა კლასის წარმომადგენელია და არა მემამულეებისა, როგორც აღრინდელ ნაწარმოებებში იყო. ეს აღარ არის პროვინციაში თავგადასავლების საქმნელად მიმავალი ქალაქელი ინტელიგენტი, რომელიც გლეხთა განათლებას ისახავს მიზნად და თანაუგრძობს მათ. ახალი ტიპი მასწავლებლისა გლეხთა ორგანიზებული ნაწილია, მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. იგი განათლებას მხოლოდ სწორედ იმ მიზნით, რომ დაუბრუნდეს თავის კლასს ცოდნით შეიარაღებული და იბრძოლოს თავისი და თანამომხმეების შეგირებული უფლებების აღდგენისათვის. ჩაგრული გლეხობის რიგებში ებრძვის იგი ექსპლოატატორებს და არა ვარედან. იგი გლეხობის მხოლოდ იდეური წინამძღოლი კი არ არის, არამედ მის ბრძოლაში აქტიური მონაწილეცაა, დამრავლიც და ორგანიზატორიც. მასწავლებელი მშრომელ ხალხს საკუთარი ძალების რწმენას უნერგავს და შეუბოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებს: „თუ მიახლოებთ, ყველაფერს მიაღწევთ. თუ ძალიან მოიწადინებთ, მიწებიც თქვენა იქნება... „Isterseniz hersey olur. Gok isterseniz topraklar sizin olur“ (6, 242).

მართალია, მასწავლებლისა და მისი ბანაკის ბრძოლა ყოველთვის გამარჯვებით არ მთავრდება, მაგრამ ერთხელ დაწყებულ საქმეს ადვილზე გაჩერება აღარ შეუძლია, უმოქმედობა უკვე მიუღებელია მასისათვის. ძალიან დიდია საბრძოლო ინერცია. წარმატების მოპოვების უნით აღტაცებული მასწავლებელი აკუთხება: „რა ვუყოთ, თუ ზოგჯერ დავიჩოქებ კიდევ. მაინც




წამოვლდები და ბრძოლაში ჩავებნები. ჩემი მიზანია: ვიყო ხალხისთვის სარგებლობის მომტანი ყველგან. ვიბრძოლო სიმატლის განარჯვებულებას (6,49). ხშირ შემთხვევაში ხალხის ბრძოლა გარკვეული წარმატებით ვგინდებ და ამ გამარჯვებაში უდიდეს როლს თამაშობს მასწავლებელი. გლეხები ახერხებენ ზღოთ ივღონ მიწის ნაკეთები, დაამარცხონ მდიდარი მიწისმფლობელები და საკუთარი მმართველობაც კი დაამყარონ. როგორც ეს ხდება ფაქირ ბაიკურთის რომანში „მეათე სოფელი“ („Onuncu Köy“). მასწავლებლისა და სოფლის ექიმის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გლეხები ამარცხებენ ბოზოლა დურანას და დაეპატრონებიან ნოჰუთის ველს. იმავე რომანში სოფელ იაშარქოის მცხოვრებნი კი მასწავლებლისავე აგიტაციითა და დახმარებით დაამარცხებენ მტაცებელ ფრინველებს, რის შემდეგაც ყოველგვარ ძალადობაზე გამარჯვების რწმენით აღივსებიან. მტაცებლებთან წათი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა სიმბოლურად გამოხატავს კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. რომანი ამჟამა რევოლუციური გარდაქმნებისკენ მოწოდება.

მასწავლებელს მხარში უდგას და გლეხებთან ერთად იბრძვის სოფლის ექიმი. ეს პერსონაჟები წარმოადგენენ სოფლად იმ დიდ ძალას, რომელიც სწორ მიმართულებას აძლევს შშრომელ მასებში დაგროვილ რისხვის ენერგიას. არსებული სინამდვილით უკმაყოფილო გლეხების გათვითცნობიერების მისიასაც მასწავლებელი კისრულობს. იგი მოთმინებითა და დაძაბული შრომით აღვიძებს ბნელ მასაში საკუთარი თავის, ხალხის და სამშობლოს სიყვარულს. მიწის ნამდვილ ბატონ-პატრონად აცხადებს მშრომელს და ამ მიწისა და მისი ნაყოფის სხვის მიერ მოთვისებას არ დაუშვებს. მას აფიქრებს და აწვდომებს თურქეთის ბედი. ხედავს, რომ მის სიმდიდრეს ხელყოფენ ოკეანისგაღმედი „კეთილისმსურველნი“ და პროტესტს უცხადებს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც ღრეგანდელი სარგებლით დაბრმავებული ჰყიდის სამშობლოს და უცხოური კაპიტალის მონად აქცევს მას. მასწავლებელი ჯემალი (ფაქირ ბაიკურთის რომანი „ამერიკული სახევეი“ („Amerikan Sargisi“) ამბობს: „რისთვის მოდის აქ უცხოური კაპიტალი? მოგებისათვის: მას ხომ იქით მიაქვს ჩვენი მადნეული, ჩვენი ნავთობი, ჩვენი ბამბა.“ („Yabancı sermaye niçin gelir? Kâr için. Ardından maderler gider, petrol gider, pamuk gider“). (7, 171).

ასეთი მასწავლებლის სახე უცხოთა თურქულ მწერლობაში „სოფლურ რომანამდე“.

თავის ბედზე დაფიქრებული, საზოგადოებრივ მოვლენებში გარკვევის სურვილით შეპყრობილი გლეხის საინტერესო სახეა დახატული „სოფლურ რომანის“ წამყვანი წარმომადგენლების იაშარ ქემალისა და ფაქირ ბაიკურთის ნაწარმოებებში. ამ მწერლების გლეხები ღიდად განსხვავდებიან თავიანთი წინამორბედებისაგან. ყარა ბაირამს (ფაქირ ბაიკურთის დილოგიის „გველეხების შურისგება“ და „ირაზჯას ბედი“ მთავარი პერსონაჟი) თავის წინაპარ ყარაბიბიტთან (ნაბიზადე ნაზიმის „ყარაბიბიტის“ გმირი) მხოლოდ სახელი აერთიანებს. ორივე „ყარაა“. „ყარა“ კი თურქულად ბნელსა და გამოუსვლელს აღნიშნავს. ყარა ბაირამი გამოუსვლელი კაცი კია, მაგრამ დღენიადაგ იმის ფიქრშია, თავი დააღწიოს ამ სიბნელესა და ჩანორჩენილობას. მარტო ის ფაქტი რად ღიბს, რომ იგი რელიგიური ფანატიზმით არ არის შეპყრობილი. არც მეჩეთი სწამს და არც მოლა. სიკეთისა და სიყვარულის გრძნობა კი საყ-



ნათღ გამახვილებული აქვს. იგი აქტიურად ზეცხადებს ბრძოლას დრომოჭმულ მამალიანურ იდათ-წესებს და არ უნდა უშასაუკუნეობრივი დოგმებით ვიხდეთ რება. ოჯახშიც პროტესტანტია. ნაზად და გლეხისთვის აქამდე უცნობი გზებით უყვარს ცოლი და არ ერიდება მასთან ერთად ხალხში გამოჩენას, არც მის გვერდით ყანაში შრომას თაკილობს. თუმცა სოფლის კანონებით მამაკაცისთვის მიუღებელი საქციელია მისი მოქმედება. წიგნის დიდი ინტერესი აქვს ყარა ბაირამს და თავად უწიგნურს შვილების ახალ ყაიდაზე აღზრდა სურს. განათლების მიღების ძლიერმა სურვილმა ქალაქში ჩაიყვანა მიწაზე მიჯაჭვული ყარა ბაირამი, რომ მის შვილებს მაინც ახელოდათ თვალი და პირუტყველი შრომისათვის დაეღწიათ თავი.

სიმართლისა და სამართლისათვის მებრძოლი ყარა ბაირამი არავის და არაფრის წინაშე უკან არ იხეცს, არ დალატობს თავის პრინციპებს: დაამტკიცოს თავისი სიმართლე და ხელჩართული ბრძოლით მოიპოვოს გამარჯვება სოფლის მდიდარ მამასახლისსზე. ყარა ბაირამისა და მამასახლისის კერძო კონფლიქტი ორი სოციალური ბანაკის — მდიდართა და ღარიბთა კონფლიქტის სახეს ღებულობს და ერთ-ერთის გამარჯვება მთელი ბანაკის გამარჯვებაა. ყარა ბაირამის მარცხი მთელი გლეხობის მარცხია. ბაირამი ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქედს არ იხრის ძლიერი მტრის წინაშე, რომელსაც მხარს უჭერს სოფლის გამგებთა და ვილაეთის ხელმძღვანელობაც. ყარა ბაირამის წინააღმდეგ ბრძოლაში მამასახლისის იარაღი მხოლოდ ფულია. სხვა უპირატესობა მას არ გააჩნია და სწორედ ფული თამაშობს მთავარ როლს ორთაბრძოლაში. ეს ბაირამსაც კარგად აქვს შეგნებული: „ფული კაცს ადამიანად აქცევს. ფული კაცს აგულადებს. ფული კაცს გამბედაობას ჰმატებს და ენასაც ამოადგმევენებს“ („Para adamı adam eder. Para adamı yürekendir. Para adama cesaret verir. Para adamı konuşturur“), (8,27). ასე ფიქრობს ბაირამი და მაინც არ ყრის ფარ-ხმალს, თავგამოდებით ებმება უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ წარუმატებლად: მამასახლისის მიერ მოსყიდული ორჭოფი და მერყევი გლეხები თავის თანამომქვს ზურგს შეაჭყევენ და მარტო დარჩენილი ბაირამი სოფლიდან მიდის.

ყარა ბაირამთან შედარებით იბღლიანი აღმოჩნდა იაშარ ქემალის ტრილოგიის („დედამოძი“, „მიწა რკინაა და ცა—სპილენძი“ და „უკვდავი“) გმირი თამბაშოღლუ და ფაქირ ბაიურთის გმირი თემელთში („ამერიკული სახვეჯი“). ყარა ბაირამის შეცდომებს ისინი როდი იმეორებენ. მარტო კი არ ებმებიან ბრძოლაში, მთელ მშრომელ ხალხს აიყოლიებენ, აღანთებენ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიან პირდაპირ ნეტევანზე. მოხუცი თემელთში გლეხთა შორის აღზრდილი და ცოვრების სიბრძნით აღჭურვილი წინამძღოლია. იგი ამაყი, ქედუბრელი და შეუბოვარი გმირია. მას უნარი აქვს გაიყოლიოს მთელი გლეხობა საკუთარ გზაზე. მისი ამაყი სული ვერ მოკლა ვერც უნდარმების მითრახმა და ვერც გადასახლებების მუქარამ. თემელთში ორივე ფეხით თავის მშობლიურ მიწაზე დგას და უყვებები ღრმად აქვს გადგმული. ამიტომ აცხადებს ასე თამამად: „მე ბორკილებს ვერ დამადებთ. მე არწივი ვარ, მძლღა ცაში ნავარდი მიყვარს. შევარდნის ბუდეში ყვავი ვერ მოიკალათებს!“ („Bana zincir vurulmaz. Ben kartalım. Yükseklerde uçarım. sahın yuvasına karga giremez!“ (7,209)

სოფლის სისხლისმწოველი მამასახლისის სეფერის დაუძინებელი მტერი თამბაშოღლუ თემელთშის ფარდი გმირია. ისიც გლეხი და გლეხთა კეთილ-



დღეობისათვის მებრძოლი. იაშარ ქემალმა სოფლის საყვარელი
 დანთა პანთონიდან გადმოიყვანა მიწაზე და მესიასავით მოუფლენა სოფელს.
 მას და მის ოჯახს სასწაულომტკმედი ძალა მიანიჭა და დაერღომილთა და ხეი-
 ბართა განკურნების უნარი მისცა. სალოცავ კერადა ქვეული თაშბაშოღლუსა-
 თვის პირადი ინტერესები არ არსებობს. იგი მხოლოდ ხალხის ინტერესებით
 ცხოვრობს. მას სიკვდილის შიშიც კი დაძლეული აქვს. ეს არის უკვდავი სუ-
 ლი, რომელიც თან სდევს თურქ ხალხს და რომელსაც ვერ მოსპობს ვერაფე-
 თარი. ბოროტი ძალა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხდება პოლიციაც და
 ყანდარმერიაც. მას ვერც ტყვიამ აჯობა და ვერც დანამ. თაშბაში ცად ამალ-
 და და უკვდავების იმედი ჩაუნერგა მებრძოლ გლეხებს. იგი სიცოცხლეშივე
 ღმერთად აღიარეს სოფლელებმა და მის დაძახებაზე: „ომიყვეს, ვინც მომყე-
 ბაო“ (9,277), ყოყმანის გარეშე დაიძრა მთელი სოფელი მემამულე ადილ
 აღას წინააღმდეგ.

იაშარ ქემალი დადებითი გმირის სახის დახატვისას ჰიპერბოლიზაციას
 მიმართავს. იგი ხალხის საყვარელი გმირების იდეალიზებულ სახეებს ქმნის.
 საამისოდ მდიდარ მასალას აძლევს თურქული ფოლკლორი და ისიც ხარბად ეწა-
 დება მას. „სოფლურ რომანში“ ხშირად ჰიროს კიდევ მიჯნის დადება ფოლკ-
 ლორსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის. ძნელია გარკვევა, სად თავდება
 ლეგენდა და სად იწყება ნამდვილი ამბავი. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ
 ბევრი ლეგენდა და თქმულება იცის ყადიქირანზე, სარი ზეიბექზე, კახანოღლუ-
 ზე, ქორთლიოზე და მრავალ სხვა გმირზე, რომელთაც ერთი სახელის „ეშქიას“
 ქვეშ აერთიანებს. ეშქია „კეთილშობილი ყაჩაღია“, რომელიც სიკეთის სამსა-
 ხურში ღვას რაგინდ პარადოქსულადაც გეგვენებოდეთ ეს. ასეთი ყაჩაღების
 სახეებს შარავანდედით მოსაგვს ხალხი და მხსნელს უწოდებს. ხშირად ეს ყაჩა-
 ღები უფრო ღმობიერნი და ადამიანურნი იყვნენ, ვიდრე სოფლის ინტერესე-
 ბის ვითომ-და დამცველი მამისახლისები. არცერთ ყაჩაღს იმდენი ტანჯვა და
 ზიანი არ მოუყენებია მშრომელი გლეხობისათვის, რამდენიც მემამულეებსა
 და სოფლის ალებს. ყველა ყაჩაღს საკუთარი მიზეზი ჰქონდა ყაჩაღად გაგარ-
 დნისა. ერთნი მიწისთვის იბრძოდნენ, მეორენი ქალისათვის, მესამენი სისხ-
 ლის აღებისთვის და ზოგნი კი სიმდიდრისათვის. ზოგი ყაჩაღი მარტო დათა-
 რეობდა, ზოგიერთები რასმებს აყალიბებდნენ და ისე ესხმოდნენ თავზე
 სამსხვერპლოს. უმრავლესობა ხალხს არას ერჩოდა, მხოლოდ მდიდრების ძა-
 რცვას სჯერდებოდა. ასეთების სახელს ხალხი თავის სიმღერებში, ლექსებსა
 და ზღაპრებში უკვდაგყოფდა. „სოვლური რომანის“ პერსონაჟთა შორის სა-
 კმაოდ დიდი ადგილი ეთმობა „კეთილშობილი ყაჩაღის“ სახეს, რაც ყურად-
 საღებ მოვლენად მიგვაჩნია თურქულ ლიტერატურაში. თავისუფლებას და-
 ნატრებული და კეთილდღეობას მოკლებული თურქი გლეხისთვის სანუკვარ
 ოცნებას წარმოადგენს ბატონის უღლიდან თავის დაღწევა და სხვა გამოსა-
 ვალს რომ ვერა ხედავს, იდეალურ გმირს ეძებს. დღემდე ვერცერთმა სახელ-
 მწიფთ მოღვაწემ, ვერცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ განახორციელა
 გლეხის სურვილები. ვერც მწერლობამ დასახა რადიკალური ვზები,
 თუმცა გაბედულად კი აიმაღლა ხმა უბრალო მშრომელის დასაცავად.
 რომანებში გაჩნდა გმირი, რომელიც უკლასო საზოგადოებისათვის იბრძვის
 და ემსახურება მიზანს — გადააქციოს გლეხი მიწის პატრონადაც და თავისი
 შრომის შედეგის პატრონადაც. ასეთი გმირია იაშარ ქემალის გამხდარი მემე-
 დი (რომანი „გამხდარი მემედი“ / „Ince Memedi“ /). მისი პირადი პროტესტი
 აბდი აღას წინააღმდეგ დასაბამია საყოველთაო ბრძოლისა.

მემედი უკვე თერთმეტი წლის ასაკში ეურჩება უხემ ძალს და პრეტესტის ნიშნად სხვა სოფელში გარბის. პატარა ბიჭის ამაყი, თავისუფლებით მოყვარე სული ვერ ეგუება მემამულე აბდი აღას ძალადობას და მსჯელობის ჩნდება პატონის სიძულვილი. მენედი თანდათან რწმუნდება, რომ სოფელს აბდისნაირები დაპატრონებიან და ფეხქვეშ თელავენ ადამიანთა უფლებებს. ყაჩაღად გაჭრილ მემედს ბევრი უფეჭრია სოფლის მომაგალზე. მას ახალი წესების დამყარება გადაუწყვეტია სოფლად: „წარმოიდგენია სოფელი უბატონოდ?... ვლენია თავისი მიწის პატრონი და რასაც მიიღებს ამ მიწისაგან, სულ მისია. არავინ ართმევს. ჩვენ კი, ყაჩაღები, ვიცავთ მათ სხვების თავდასხმისაგან“ (10,383), — ანდობს თავის მიზნებს მემედი მეგობარსა და თანარაზმულს ჯაბარს. იგი ამ ფეჭრების რეალიზაციასაც ახერხებს: თავს ესმის აბდი აღას, აძევებს მას სოფლიდან და მიტაცებულ მიწას ვლენებს უბრუნებს. თავდაპირველად სოფელს „უჭირა“ უბატონობა, ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ბატონის გარეშე, მაგრამ როცა შემოდგომით მიღებულ მოსავალს მთლიანად მათ დაუტოვებს ნემედი, მაშინ კი რწმუნდება, რომ სინამდვილეში მოაზრვეს დამოუკიდებლობა, იწამეს საკუთარი ძალა. ერთხელ ნაგემებ თავისუფლებას სოფელი ვეღარ დათმობს. მემედმაც პირნათლად მოიხადა ადამიანური ვალი და სოფელს განერიდა, კვლავ მთებს მიაშურა სააბრაგოდ.

გამხდარი მემედი „კეთილშობილი ყაჩაღია“. რომანში ყველა ეპიზოდი და ყველა პერსონაჟი მისი სახის ირგვლივ იყრის თავს. მემედი არსენა ყაჩაღის მსგავსად მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ამიტომაც სიკვდილი არ უწერია. იგი უპირისპირდება მძარცველ ყაჩაღებს — დელი დურდუს რაზმს, დაქირავებულ ბანდიტებს — ყარა იბრაჰიმსა და კალაიჯის, კაპიტან ფარუხს. მის მხარეზეა ხალხი და ამის წყალობით მოუხეტოებელ გმირად არის ქცეული. ყველა კარი ღიაა მისთვის, ყველგან აქვს სამალავი და შეუძლებელია ხელისუფლების მიერ მისი შეპყრობა.

„ემქიებს“ თავიანთი დაუწერელი კანონები აქვთ. მათი სინდისისთვის ბევრი ისეთი რამ არის მიუღებელი, რასაც არ ერიდება მემამულე აბდი ეფენდი და აბდი აღა: უმწეო კაცის მოკვლა, ღარიბის გაძარცვა, ქალზე ძალის ხმარება. მოხუცებისა და ბავშვების დარბევა. ყაჩაღები პატივს სცემენ საკუთარ დედებსა და ცოლებს, მაშინ როდესაც აღები და კულაკები მიზნის მისაღწევად თავიანთი ოჯახის წევრებსაც არ ინდობენ ხშირ შემთხვევაში. ემქია ეძებს თავის ტოლძალოვან მეტოქესა და მტერს, მემამულე კი სუსტსა და ძალამინდილ ხალხსაც არ ინდობს. მებატონის სოფლად გამოჩენას ისე ელიან, როგორც სტიქიურ უბედურებას. მძარცველი გოთდელეში არ ყოფილა ისე საშიში სოფლისათვის, როგორც აბდი ეფენდი. (იასარ ქემალის რომანი „დედაბოძი“ („Orta Direk“)).


თანამედროვე თურქულ მწერლობაში „სოფლურმა რომანმა“ თავისი სიტყვა თქვა ვლენი ქალის მხატვრული სახის შექმნითაც. განსაკუთრებული ძალით არის დახატული მოხუცი ირაზჯას სახე ფაქირ ბაიკურთის რომანში „გველების შურასება“ და „ირაზჯას ბედი“. ამ დილოგის დერძი სწორედ ირაზჯაა. ის არის არა მარტო თავისი ოჯახის თავი, არამედ მთელი სოფლისაც. „ირაზჯა ძლიერი ნების ქალია, მემამოხე და მოჩხუბარი. მას არავისი და არაფრის არ ეშინია და ამიტომაც გაათურებული ებმის ბრძოლაში თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ“. (11,155).



ირაზჯა მებრძოლი, შეუპოვარი ქალია. ბუნებით კეთილი, უცხოებებს მკაცრი პირობებით გაუჩენებელი, ვაჟკაცური ამტანობით ებრძვის და უბედურებას: გლეხი კაცის უმეცრებას, სოფლის სიღატაკსა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. „მე ქვეყნად მხოლოდ ბედნიერება, სიმშვიდე, ძმობა და მშვიდობა მინდათ“ — ეუბნება იგი მაზრის უფროსს. („... dirlik, düzenlik isterim, gardaşlık, barışıklık isterim . . .“) (12,163). ირაზჯა მზად არის მარტო შეეხას შვილის მტრებს. ყარა ბაირამის დაპატიმრების შემდეგაც თავს დამარცხებულად როდი თვლის, გაბედულად ებრძვის მჩაგვრელებს. მუვეფხვივით გაათვრებული გაიძახის იგი: „მე მხოლოდ ჩემი საკუთარი თავის იმედი მაქვს. ჩემი გარუჯული მაჯების იმედი მაქვს. თვითონ რა, ადამიანი არა ვარ თუ?“ („Kendime güveniyorum, kendi kara bileğime. Ben kendim insan değil miyim?“). (12,213). ირაზჯა მოწყალებას არავისგან ელის. იგი თვითონ იბრძვის საკუთარი უფლებებისთვის, მას ხალხის ძალების დიდი რწმენა აქვს. იგი მომავალსაც იმედით უყურებს. სჯერა, რომ ხალხი მალე დაამხობს მოძალადეთა თვითნებობაზე დამყარებულ წეს-წყობილებას და მშრომელების ხელისუფლებას დაამყარებს. ირაზჯა თურქულ სინამდვილეში იქცა ბრძენი თურქი გლეხი ქალების განზოგადებულ სახედ. მრავალმა მწერალმა გამოთქვა ალტაცება ამ მხატვრული სახის მიმართ. ცნობილი თურქი მწერალი ორპან ქემალი მას „დედა ირაზჯას“ უწოდებს და მოწიწებით ხრის თავს მის წინაშე (8,5).

—	თითოეულს 10—10.
30	—
	304.

შესაბამისი დავთრის თანახმად:

ჯარისკაცი:	დღიური:
1—	აღა — 60.
1—	ქეთხუდა — 30.
1—	ქათიბი — 15.
1—	ალამდარი — 14.
1—	სერ ოდა — 12.
5	131
30	ჯარისკაცი 270,
—	თითოეულს 9—9.—
35	401.

ხსენებული ციხის მცველთა ჯამაათი:
ჯარისკაცები:

დღიური:	
1—	მეციხოვნე—30.

მარჯვენა მხარის შაჰის ბურჯის დამ-
ცველთა ჯამაათი:

თბილისის ციხის გარეთ მდებარე ში- და გალავანი:	დღიური:
ჯარისკაცები:	აღა — 80.
1—	ქეთხუდა — 30.
1—	ქათიბი — 15.
1—	ალამდარი — 14.
1—	სერ ოდა — 12
—	—
5	420 ჯარისკაცი, 151.
35	თითოეულს 12—12
—	—
40	—

ავლაბრის ციხის გონულიანების ჯა-
მაათი:

ჯარისკაცები:	დღიური:
1—	აღა — 80.
1—	ქეთხუდა — 35.
1—	ქათიბი — 20.
1—	ალამდარი — 20.
1—	ჩაუში — 18.
5	173
195	ჯარისკაცი 2925,
—	თითოეულს 15—15.
200	3098

შესაბამისი დავთრის თანახმად:

ჯარისკაცი:	დღიური:
6	101 ოფაცერა
33	396 ჯარისკაცი



1 —	ქეთხუდა — 20.
1 —	ქათიბი — 15.
1 —	ალამდარი — 12.
1 —	ჩაუში — 12.
2 —	სერ ოდა — 24.
—	თითოეულს 12—12. —
7	113.
73	ჯარისკაცი 876.
—	—
80	989.

—	თითოეულს	—
50.	9—9.	497. ბიბლიოთეკა
შესაბამისი დაფინანსების თანახმად:		
ჯარისკაცები: დღიური:		
7	ოფიცრები — 113.	
73	ჯარისკაცები — 657	
—	თითოეულს 9—9	—
80		770

შესაბამისი დაფინანსების თანახმად:		
ჯარისკაცი: დღიური:		
8 —	125	ოფიცერი
142 —	1278	ჯარისკაცი
—	თითოეულს	—
150	9—9	1403.


სხვანაირი ციხის აწაბთა ჯამათი:		
ჯარისკაცები: დღიური:		
1 —	ალა — 40.	
1 —	ქეთხუდა — 20.	
1 —	ქათიბი — 18.	
1 —	ალამდარი — 14.	
1 —	ჩაუში — 14.	
2 —	სერ ოდა — 28.	
—	თითოეულს 14—14.	—
7		134
53	ჯარისკაცი	636
—	—	—
60.	თითოეულს 12—12.	770.

გორის ციხის მცველთა ჯამათი:		
ჯარისკაცები: დღიური:		
1 —	მეციხოვნე — 55.	
1 —	ქეთხუდა — 50.	
1 —	ქათიბი — 20.	
1 —	ალამდარი — 15.	
1 —	ჩაუში — 15.	
3 —	სერ ოდა — 45.	
—	თითოეულს 15—15.	—
8		180.
102	ჯარისკაცი	1224
—	თითოეულს 12—12	—
110		1404.

შესაბამისი დაფინანსების თანახმად:		
ჯარისკაცები: დღიური:		
7 —	113.	ოფიცრები —
73 —	650.	ჯარისკაცები —
80		770.

საერთო ჯამი:
ჯარისკაცები — 1770, დღიური — 25175.

რადგანაც შემოხსენებული ციხეების განუღიანების ჯარისკაცები ლაშქრობათა დროს იქნენ დანაშუღნი, ჯარისკაცებისა და მათი დღიურებისათ-



ვის საკირო თანხა გარდაკვეთილ იქნა, ებოძათ და გულმოდგინება იქნა გამოჩენილი. ყველა მცველსა და აზაბთა ჯარისკაცებს 9—9 ახჩა დღიური მცველსა რადგანაც იყო საშუალება მათი სურვილების დასაკმაყოფილებლად, ხელახლა დანიშნული დღიურებიდან თითოეულ ჯარისკაცს საკიროების მიხედვით 3—3 ახჩა მოემატა და დღიური (ულუფა) 12—12 ახჩა გახდა. იგი გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცებს სრულად გარდაკვეთა და სათანადოდ იქნა რეგისტრირებული ზემოხსენებულ რიცხვში.

აღნიშნული დავთრის თანახმად ანგარიში (იხილეთ) ველზე. (1) 138 წლის 19 რეჯები²⁸.

(ბეჭედი): ყოვლის მქონე ალაპის მონა ისპაკი.

შესაბამისი დავთრის თანახმად დადებული ვეზირი ისპაკ ფაშა თბილისს მცველია. 1138 წლის 19 რეჯები.

თბილისის ციხის მცველთა შესახებ:

ჯარისკაცები:	დღიური:
430 —	მარჯვენა
	გონულიანები — 6586.
400 —	მარცხენა
	გონულიანები — 6136.
100 —	მცველები — 1263.
60 —	აზაბები — 763.
<hr/>	
990	14748.
60 —	რაბათის გალავნის
	მცველები — 784.
150 —	რაბათის გალავნის
	აზაბები — 1879.
40 —	მარჯვენა მხარის
	შაპის ბურჯის მცველები — 571.
30 —	კაფუჯიები — 304.
<hr/>	
1270	18285.

ავლაბრის ციხის მცველებზე:

ჯარისკაცები:	დღიური:
200 —	გონულიანები — 3098.
80 —	მცველები — 989
50 —	აზაბები — 629.
<hr/>	
330	4716.

გორის ციხის მცველებზე:

ჯარისკაცები:	დღიური:
110 —	მცველები — 1404.
60 —	აზაბები — 770.
<hr/>	
170.	2174.

თბილისის, გორისა და ავლაბრის ციხეების ჯამი:
 ჯარისკაცები: 1770, დღეში (ულუფა): 25175, წელიწადში: 891195 ახჩა.

ზემოხსენებულმა ვეზირმა ამ დავთრის თანახმად როდესაც (თანხა) დაიანგარიშა: 1770 ჯარისკაცისთვის — 25175 ახჩა დღიური და წლიური სარგო — 89 იუქი და 11950 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო პატივმოსილო (და) ბედნიერო სულთანო. 1138 წლის 9 რამაზანი²⁹.

წინათ არსებული შესაბამისი საფინანსო ფონდის შესახებ იხილეთ მთავარი მონაგარიშის მიერ დადებული რეზოლუცია.

გორის, ავლაბრის და თბილისის ციხეების ადგილობრივი ჯარისკაცების დავთრის თანახმად, დავთრის, თვლებისა და მაღალი ფირმანის (გამოსვლის შესახებ) ბრძანება გაიცა 1138 წლის ჯემაზი ულ-ეველის 19-ს³⁰.



თბილისის ციხის ჯარისკაცები:

ჯარისკაცები:	დღიური წელიწადში:
428 — 6586	მარჯვენა გონულიანები.
400 — 6136	მარცხენა გონულიანები.
175 — 1662	მცველები.
100 — 964	ახაბები.

1105 —	15348.
70 —	714 რაბათის გალავნის მცველები.
200 —	—1870 რაბათის გალავნის ახაბები.
35 —	—401 მარჯვენა მხარის შაჰის ბურჯის მცველები.
15 —	152 თბილისის შიდა კაფუჯიები
15 —	152 რაბათის გალავნის კაფუჯიები.

1440. 18637.

ავლაბრის ციხის ჯარისკაცები:

ჯარისკაცები:	დღიური:
200 —	3098 გონულიანები.
80 —	770 მცველები.
50 —	497 ახაბები.
330.	4365.

გორის ციხის ჯარისკაცები:

ჯარისკაცები:	დღიური ახჩა:
150 —	1403 — მცველები.
80 —	770 — ახაბები.
2173	230.

ჯამი: ჯარისკაცები: 2000, დღიური (ულუფა) წელიწადში: 25175.

აღნიშნული სამი ციხისთვის 25170 ახჩა დღიურით 2000 ჯარისკაცი (დანაშნული). ამ ჯარისკაცების აღსაწერად ამჟამად თბილისის დამცველის, დიდებული ვეზირის ისპაქ ფაშას მეცადინეობით გაცემული პატიოსანი ბრძანება რეგისტრირებულია. ბრძანება თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო. 1138 წლის 11 რამაზანი³¹.

სწორია!

თელხისის თანახმად შესაბამის ადგილზე აღნიშნოს და პატიოსანი ბრძანება და ასლი გაიცეს! ბრძანება, (1) 138 წლის 12 რამაზანი³².

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ თბილისის, ავლაბრისა და გორის ციხეების დასაცავად (გამოყოფილი) 2000 ქვეითი და მხედარი 25175 ახჩა დღიური (ულუფათი) სათანადოდ იქნეს მოწესრიგებული და სრულად იქნეს ჩაწერილი. ხსენებულ ციხეებში ჯარისკაცების დასანიშნად გაცემული პატიოსანი ბრძანება რეგისტრირებულია. რადგანაც ადგილობრივ ჯარისკაცთაგან დაფინანსებული ქვეითი ჯარის დღიურები 9—9 ახჩაა, არავის არ ექნება (სამსახურის შესრულების) სურვილი და (ციხეები) ცარიელი დარჩება, ამასთანავე, წინათ არსებული დღიურების (ნორმების) დარღვევა არ შეიძლება. ქვეითთა დღიურები 12—12 ახჩა იყო, რადგან 2000 ჯარისკაცი 230-ით შემცირდა. 1770 ჯარისკაცი საკმარისია. შემცირებული 230 ჯარისკაცის დღიურების (ანგარიშზე) ქვეითთა ცხრა ახჩა თორმეტ ახჩამდე გადიდდება და გარდაკვეთილი 3—3 ახჩა მათ დღიურებს მიემატება. 1770 ჯარისკაცის დღიურებისთვის 25175 ახჩა არსებობს, (იგი) თბილისის მცველ, დიდებულ ვეზირ ისპაქ ფაშას უდიდებულესობამ მოიყვანა წესრიგში და ამრიგად, სათანადო ადგილზე რეზოლუციის დასადებად ბეჭდიანი დავთრით იქნა ფიქსირებული.



როდესაც ვაიცემა უმაღლესი სამეფო ბრძანება, უწინ არსებულ მისი ადგილი რეგისტრირებული იქნეს და საგანგებო თანხა, დაეთრის თანხამდ, თბილისის, გორისა და ავლაბრის ციხეების — 1770 ჯარსკაცისათვის სრულად ჩაიწეროს, დამკველგების სამსახურისთვის გარდაიკვეთოს. შენდგ სრული სახელწოდებით დაეთარი ვაიგზავნოს და აუცილებელ ადგილას იქნეს რეგისტრირებული. პატიოსანი ბრძანება და ასლის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზე ჩემო ბედნიერო და პატივმოხალ სულთანო.

შენიშვნები

1. 1136 წლის ზილკადეს დასაწყისი — 22.7.1724.
2. კაფუჯების მეთაური — კაფუჯები იყო სულთანის სასახლის მსახურთა კატეგორია, რომელთა უფლება-მოვალეობას შეადგენდა სულთანის სასახლის დაცვა, სიმშვიდის დამყარება. კაფუჯები რიგრიგობით ასრულებდნენ მდმივე სამსახურს. მათ საგანგებო დავალებებით ავჯანინდნენ პროვინციებში. ცალკეულ ციხე-სიმაგრეებშიც ეწეოდნენ სამსახურს. კაფუჯების მეთაური იყო კაფუჯი-ბაში. Islam Ansiklopedisi, cilt V, Istanbul, 1952. გვ. 202. А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей. Ученые записки института востоковедения. т. VI. 1953. М.-Л. стр. 235.
3. მარლია — ميرلوا — იგივე სანჯაყ-ბევი, ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის — სანჯაყის, სადროშოს მეთაური.
4. ხასი — ოსმალური სახეობო ფეოდალური მიწისმფლობელობის ერთ-ერთი ფორმა. მიწის ნაკვეთს, რომლის წლიური შემოსავალი 99999 ახჩაზე მეტი იყო, ხასი ეწოდებოდა.
5. 1136 წელი — 1.10.1723 — 19.9.1724.
6. დაეთარდარი — دادرار — საფინანსო მონეტა, შემოსავალ-გასაღლის დავთრის მწარმოებელი, მთელი იმპერიის საფინანსო საქმეების გამგებელი.
7. იანიჩრები — يانچرى — „ახალი ჯარი“, ოსმალეთის იმპერიის რეგულარული ჯარის სახეობა. იგი ორგანიზებულ იქნა ორხანის მიერ 1330 წელს და გაუქმდა სულთან მამუდ II-ის დროს 1826 წ. იანიჩრების შესახებ სპეციალური მონოგრაფია იხ.
8. ჯებეჯიები — ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა, რომლებიც ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. ესენი იყვნენ მეიარაღეები, მებაჭრეები; მათი მოვალეობა იყო იარაღის დამზადება, დაცვა, გადაზიდვა და განაწილება. I. H. Uzunçarşılı Osmanli Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları, II. Cebci, Topçu, Top Arabacı, Humbaracı, Lağımcı Ocakları ve Kapukulu Suvanileri. Ankara, 1944. გვ. 3—31.
9. თოფჩიები — ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობის — კაფუ კულუს შემადგენელი რაზმები — ნეზარაზნეები. I. H. Uzunçarşılı, Osmanli Devleti Teşkilatından kapukulu Ocakları. II Cebci, Topçu, Top Arabacı, Humbaracı, Lağımcı Ocakları ve Kapukulu Suvanileri. Ankara. 1944. გვ. 35—113.
10. თეფატი მასენე — ვადასახადის გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ცალკეული პირები, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული პირობით მიღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან, სავალდებულო ვადასახადის გარდა, სახელმწიფოს დამატებით უხდიდნენ ერთდროულ თანხას მუსლიმანურ და ქრისტიანულ საფინანსო წლებს დღევანდელ შორის არსებული სხვაობის — 14 დღის ვადასახადი.
11. ყურჯი ესედა — ესედა იყო მონეტის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც სელჩუკთა დროიდან არსებობდა. მის ზუღაპირზე გამოსახული იყო ლომი. მისი ოდენობა დროთა ერთარებაში იცვლებოდა.
12. 1136 წლის ზილკადეს ორი — 23.7.1724.
13. [1]142 წელი — 27.7.1729—16.7.1730.
14. მასარი — მუსლიმანური წლის ერთ-ერთი კვარტლის სახელწოდება. მასარი შედგება: მუჰარამის, საფარისა და რები ულ-ჰეჯელის თვეებისაგან.



- 15. იქმლი — ჯამი, რეზუტენი, სია, აღწერა, ანგარიში, ოსმალური დოკუმენტის, დავთრის გარკვეული სახეობის სახელწოდება.
- 16. 1142 წლის 19 რეზი ულ-ახირი — 1729 წლის 11 ნოემბერი.
- 17. თელისის — მოკლე შინაარსი, რეზიუმე, დიდუხარაა წერილობითი ნიუსებზე სულთნისადმი.
- 18. [1] 142 წლის 22 რეზი ულ-ახირი — 1729 წლის 14 ნოემბერი.
- 19. მარჯვენა და მარცხენა გონილიანები — ოსმალთა შეიარაღებულ ძალებში ჯარის გარკვეული სახეობა, რომელთა ნივთიერება იყო ციხე-სიმაგრეების დაცვა, დამხმარე საშუალებების მოწყობა.
- 20. შაბები — ოსმალთა ლაშქრის გარკვეული სახეობა, რომლებიც ძირითადად ცენტრებზე იყვნენ ამბედრებულნი და საცანცებო იერიშის ან თავდასხმის დროს აქტიურად მონაწილეობდნენ. ციხე-სიმაგრეებში მდებარე იყვნენ ჩვენებულნი და საატენატურად იცავდნენ მას.

Ziya Karamursal, Osmanli Mali Tarihi Hakinda Tetkiler, Ankara. 1940. გვ. 130.

- 21. რამადი — რამადი იყო ქალაქის ხელისწობით და ვაჭრობით დასახლებული გარეუბანი. რამადის შესახებ არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოვლიქვამთ ქართველ მეცნიერებს (ს. კაკაბაძეს, ს. უაუხიშვილს, ვ. გაბაშვილს, დ. მუსხელიშვილს, ლ. ჭილაშვილს). არაბი ავტორის ტამარის მიხედვით, თბილისის ხუთი კარიდან ერთს რამადის კარი ეწოდებოდა. რამადის შესახებ იხ. ვალერიან გაბაშვილი, საქართველოს ქალაქებს ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა). საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მისაღები. წიგნი I, თბ. 1976.
- 22. 1138 წლის 18 რეჯები — 4.4.1726.
- 23. ქეთხუდა — დიდი სახელწოდებო მოღვაწეებისა და წარჩინებულების საწმენების ზედაპირული პირის შესახებ გამოყენებული ტერმინი. „კაბაის“ სახელითაცაა ცნობილი. მამასახლისი, მოურავი. M. Z. Pakalin, Osmanli Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. II. fasikül, XII, 1951, Istanbul.
- 24. ჩაღვი — چاوش — სახელწოდებო მოხელე, რომელსაც სხვადასხვა ხაითის დავალების შეარტლება უხდებოდა: გზავნიდნენ უღებოდ, პროვინციებში მიჰქონდათ სახელმწიფო ბრძანებები, სახელთონ დივანის გადაწყვეტილებანი. გარკვეულ სასახურს აარტლებდნენ სახელმწიფო ლაშქარშიც. Z. Karamursal, Osmanli Mali Tarihi Hakkinda Tetkikler. 1940. Ankara. გვ. 130-131.
- 25. სერ ბოლუქი — სულთნის სასახლის ლაშქრის ეხენოსანი და ქვეითი ჯარების ძირითადი ერთეულია — რაზმა, ნაწილს, პოლკი მეთაური. იხ. M. Z. Pakalin, Osmanli Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. Istanbul, 1953. გვ. 242. I. H. Uzunçarşılı, Osmanli Devleti Teşkilatında Kapukulu Ocakları, I. Acemi Ocağı ve Yeniçeri Ocağı. 1943 Ankara. გვ. 217, 235.
- 26. სერ ოდა — ოსმალური სამხედრო ძალების ერთ-ერთი დანაყოფის ე. წ. ოდას მეთაური. სერ ოდას ოდა ბაშისაც ეძახდნენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanli Devleti Teşkilatında Kapukulu Ocakları, I. Acemi Ocağı ve Yeniçeri Ocağı, Ankara, 1943, გვ. 149, 235.
- 27. მარჯვენა მხარის შაჰის ბერჯი — აღბათ თბილისის ციხის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ადგილი შესაძლებელია, რომ დოკუმენტში აღნიშნული შაჰის ბერჯი იყოს ქართულ წყაროებში არაერთგვის მითითებული „შაიტატი“, ქალაქის ერთ-ერთ უბანში არსებული ციხე-სიმაგრე, რომლის ნანგრევები დღემდე შემორჩენილი. „შაიტატი“ 1800 წ. ვეგნაში ცალკე ნაწილადაა გამოყოფილი, მაგრამ იქ კონკრეტული იმ დროისათვის ასეა ნაგებობა არ ყოფილა“. (მ. მესხია, დ. ვერატიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ. 1958. 352).
- 28. [1] 138 წლის რეჯების 19 — 5.4.1726.
- 29. 1138 წლის 9 რამაზანი — 11.5.1726.
- 30. 1138 წლის ჯემაზი ულ-ეფელი 19 — 23.1.1726.
- 31. 1138 წლის 11 რამაზანი — 13.5.1726.
- 32. [1] 138 წლის 12 რამაზანი — 14.5.1726.



Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

ТРИ ТУРЕЦКИХ ДОКУМЕНТА О ТБИЛИСИ

Резюме

В статье публикуется турецкий критический текст, факсимиле и перевод с примечаниями трех разного типа (сурет-и мухасебе, арзухал, сурет-и девтер) турецких документов о Тбилиси, хранящихся в архиве отделения ориенталистики Народной библиотеки им. Кирилла и Мефодия в г. Софии (ф. 313^а арх. ед. 182. л=2; ф. 1, арх. ед. 8120. л=1; ф. 233^а, арх. ед. 331^а А-2).

Документы выданы османским финансовым ведомством для финансирования разных видов османских вооруженных сил, расквартированных в крепостях Тбилиси, Авлабари и Гори.

Эти документы являются важным источником для изучения отдельных вопросов истории грузино-турецких политических взаимоотношений в первой половине XVIII века.

N. SHENGELIA

THREE TURKISH DOCUMENTS CONCERNING TBILISI

Summary

The paper presents the Turkish critical text, facsimile and translation (with notes), of three different-type Turkish documents (suret-i muhasebe, arzuhal and suret-i defter) on Tbilisi. The documents are preserved in the archive of the oriental department of the Cyril and Methodius People Library in Sofia (col. 313^a, arch. unit 182. 1=2; col. 1, arch. unit 8120.1=1; col. 233, arch. unit 331^a A-2).

The documents in question were issued by the Ottoman Treasury towards financing various types of Ottoman armed forces stationed in the fortresses of Tbilisi, Avlabari and Gori. These documents constitute important sources for the study of some questions in the history of Georgian-Turkish political interrelations in the first three decades of the 18th century.




ელია კარნეცის ერთი წერილის ცნობები საქართველოს შესახებ კარლო კუსცია

XVII—XVIII საუკუნეების მრავალრიცხოვან სომხურ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც შეიცავენ საყურადღებო მასალას საქართველოსა და ქართველების შესახებ, უკანასკნელ წლებში შეემატა ელია კარნეცის ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

ელია კარნეცი XVIII ს-ის პირველი ნახევრის კარგად ცნობილი სომეხი დიდგვაროვანი და პოლიტიკური მოღვაწეა. იგი დაიბადა 1689 წელს ქალაქ კარიონის მახლობლად მდებარე სოფელ კირმანში, მსხვილი ვაჭრის ასტეაწატურ მუშელიანის ოჯახში. წერა-კითხვა მან კარიონში ისწავლა. ევროპული ენების შესასწავლად 16 წლის ჭაბუკი ელია მიებარა ქალაქ კარიონში დამკვიდრებულ იეზუიტ პატრს პეტრე რიკარდის, რომლის შთავაზნებით მან მალე კათოლიკობა მიიღო. ახალგაზრდობიდანვე ელია კარნეცი ხელს ჰკიდებს მამამისის საქმიანობას და ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს თურქეთის, ირანის, ამიერკავკასიისა და რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში. უფრო მოგვიანებით იგი ხდება ჯერ ირანის ინგლისური, ხოლო შემდეგ ჰოლანდიური სავაჭრო კომპანიების წევრი. 1718—1720 წლებში კი ელია ასრულებს ოსტ-ინდოეთის წარმომადგენლის მოადგილის მოვალეობას ქალაქ თავრიზში. დიდ საგარეო ვაჭრობასთან ერთად ელია კარნეცი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ევროპული ენების კარგი ცოდნა, მკიდრო კავშირი სხვადასხვა ქვეყნის გავლენიან წრეებთან, პოლიტიკური აღზრდა და გამოცდილება საქარო და სამურ კანდიდატად აქცევდა მას საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში.

1724 წელს, ვახაფხულზე შაჰ თამაზ II-მ ევროპაში საგანგებო ელჩობა გაგზავნა, რომლის ხელმძღვანელად ელია კარნეცი მუშელიანი დანიშნა. ელჩობას წერილები უნდა გადაეცა ავსტრიის იმპერატორ კარლოს VI, საფრანგეთის მეფე ლუი XV და რომის პაპი ინოკენტიუსსათვის. ელჩობა ევროპაში რუსეთის გავლით მიემგზავრებოდა. აღნიშნული ოფიციალური დავალების გარდა ელია კარნეცის თავისი ფარული მიზნებიც ჰქონდა. მას განზრახული ჰქონდა პეტრე დიდთან შეხვედრა, რომლისთვისაც მას ფარული მოლაპარაკებების დროს უნდა ეთხოვა რაც შეიძლება ჩქარა აღმოეჩინა მას სომეხი ხალხისათვის ქმედითი დახმარება და გაეთავისუფლებინა იგი თურქთა და სპარსელთა უღლისაგან.

მაგრამ ეს კეთილშობილური განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. ჯრანგი დიპლომატების ჩარევის შედეგად. აღიას ჩამუშობა დაბრალდა და იგი შეპყრობილ იქნა რუსეთის მიერ მცირე ქალაქ კასიმოვში. თორმეტი წელი გაატარა მან რუსეთის სხვადასხვა ციხეში და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ელია კარნეცის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ



არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მან თავისი სიცოცხლე დაასრულა წლებში ქალაქ კარნეში.

ელია კარნეცი თავისი დროის პირობაზე ფრიად განათლებული პიროვნება იყო. მას ღრმა ცოდნაც ჰქონდა და წერაც ეხერხებოდა. ამანვე შეტყვევებს ის გარემოება, რომ ელიას შეუდგენია რამდენიმე თხზულება, რომელთაგანაც ჩვენამდე მხოლოდ მისმა ბიოგრაფიამ, უფრო ზუსტად „თავდადასავალმა“ **ანბაკაქიანი** მოაღწია. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ელია კარნეცის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ჩვენამდე შემონახულ თითქმის ორ ასეულ ელიას მიერ გაგზავნილ და აგრეთვე მისადმი მიწერილ კერძო წერილის გარეშე, რომ ელიას პირველხარისხოვანი ისტორიული მასალა. ეს მასალა ასალებში დაცულია პირველხარისხოვანი ისტორიული მასალა. ეს მასალა ასახავს XVIII საუკუნის პირველი ნეოთხედის ირანის, თურქეთის და ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებას, ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, იეზუიტ ბერთა მოღვაწეობას ირანის, თურქეთის და საქართველოს ქალაქებში და სხვ. უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული ელია კარნეცის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ხსენებული ქვეყნების ვაჭრობის და ხელსაწილის შესახებ, არის მასალა სოციალური გამოსვლების, აღმოსავლური იურისპრუდენციის, საქალაქო ყოფის და სხვა საკითხების შესასწავლად.

ელია კარნეცის წერილებში შემონახულია ფრიად საინტერესო ცნობები აღებული ხანის საქართველოს შესახებაც. ავტორი კარგად იცნობს ამ დროს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ქართლში, გვატყობინებს მთელ რიგ ცნობებს, რომელშიც ასახულია ქართლის ურთიერთობა როგორც მის მეზობელ ქვეყნებთან, ასევე ევროპის სახელმწიფოებთანაც. რა თქმა უნდა, ეს ცნობები მოკლეა და ფრაგმენტული, როგორც ეს კერძო წერილს შეეფერება, მაგრამ ისინი მაინც დიდ ინტერესს იწვევენ, რადგანაც შეიცავენ უკვე ცნობილი ფაქტის ახალ ნიუანსსა, ახალ წახნაგს. ამასთანავე, ელია კარნეცის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში შემონახული მასალა მკაფიოდ ასახავს ერთ ფრიად საყურადღებო მომენტს — იგი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ ინტერპრეტაციას იღებდა ესა თუ ის ისტორიული მოვლენა აღებული ხანის ადამიანის გონებაში, როგორ ახსნა-განმარტებდა აძლედა იგი მას, რას უჭერდა იგი მხარს და რას უარყოფდა და ა. შ. ყოველივე ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ გვიანი შუა საუკუნეების ადამიანის ინტერესების წრე, მისი ფსიქიკა, ყოფა და სხვ.

ზემოხილეთვლილმა მიზეზებმა გვიკარნახა ელია კარნეცის წერილების კრებულის ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა. თარგმანი შესრულებულია ერთადერთი გამოცემის საფუძველზე, რომელიც 1968 წელს ქალაქ ერევანში განახორციელა პროფ. ა. აბრამიანი.

სელა ლარსკეო იქიანო, სეოქსერ შერბათიერ სერხიხედი სე ასერციქიასი აკათოიქიან, ასაფარაბიერ ს ბანოქიასეროქიანსხერე აქოფ. ა. ასერაბიქიანს, სერხიან, 1968. თარგმანი საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ელია კარნეცის წერის მანერა ფრიად თავისებურია. იმის გარდა, რომ იგი ზოგჯერ სიტყვის არასწორ ფორმას ხმარობს, მისი წერილები სავსეა თურქიზმებით და სპარსიზმებით, გვხვდება ფრანგული სიტყვებიც. უცხოური ლექსიკის სომხური გრაფიკით გადმოცემა ყოველთვის ზუს-

ტად არ ხერხდება, ამიტომ ზოგი სიტყვა მახინჯდება და მისი მნიშვნელობის ამოცნობაც ძნელდება.

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს ელია კარნეცის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთ წერილს. იგი უეჭველად მიიპყრობს საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტთა ყურადღებას. ამის მიზეზია ის ვარემოება, რომ მასში დაცულია მცირე, მაგრამ საგულისხმო მასალა ვახტანგ VI-ის ტყვეობის, სულხან-საბა ორბელიანის, ქართლის შინაგანი პოლიტიკური ვითარებისა და ახალციხის კათოლიკეთა შესახებ. ამას გარდა, წერილში საინტერესო მასალას აღმოაჩენენ მახლობელი აღმოსავლეთისა და რუსეთის ისტორიის მკვლევარები.


ქვემოთ ვებჭდავთ ელია კარნეცის აღნიშნული წერილის ქართულ თარგმანს სათანადო შენიშვნებით.

ჩემს ძლიერ სინიორს, მუსიე პურდარს!
1715 წლის 13 მარტი თარიღით. ვანჯ[ა].

დიდი სიყვარულით და ნახვის ნატვრით სალამს მოგიძღვნით შენ ზემოხსენებულ ბატონო და აგრეთვე შენთან მყოფ შენს თანამოაზრეთა კრებულს, განსაკუთრებით კი გევორგს. უწყოდე ჩემო ბატონო, რომ დიდი ხანია, რაც შენი ღირსების ჯანმრთელობის ამბავს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ კითხვა-კითხვით შევიტყვევეთ შენი მეუფების მდგომარეობა; დაე უფალმა ქრისტემ სამუდამო სიცოცხლე მიანიჭოს და მხეგრძელობა და დღეგრძელობა უწყალობოს შენს ღირსებას, რათა მუდამ და ყოველთვის იყო დოკლამთიანი და ბედნიერი იესოს სადიდებლად და ჩვენს სამაჟოდ.


შემდეგ ჩემო სიყვარულით აღსავსე კეთილისმყოფელო, თუ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შეტყობა გსურს, ცნობილი იყოს მაღალი ბატონის სამსახურისათვის, რომ დიდი ხანია ამბობდნენ, რომ შორეაში ომიად, მაგრამ ჩვენ ჰქამდე არ გვჯეროდა. ეს რამდენიმე დღეა კაცი მოვიდა ერზერუმიდან და წერილი მოიტანა, რომ ომი ნამდვილად არისო², რადგან ერზერუმის პარაიდები გაიხსნა, ჰეიანის ლაშქარი ცხენებით წავიდა, ერთი ლაშქარიც აღდგომას უნდა წავიდეს.

ქარა ვლაჰუს ოჯახი სტამბოლში ამოწყვიტეს: პირადად იგი და მისი ორი ვაჟი, ასული, სიძე და მეუღლე, მისი უმდიდრესი ზაზინა კი გაძარცვეს ისე, რომ სტამბოლში ამის მნახველნი განცვიფრებულან, რომ ამ ქვეყნად კიდევ ყოფილა კაცი, რომელსაც ამდენი ოქრო, ამდენი ფული და ამდენი თვალმარგალიტი ჰქონიაო. და კიდევ, ამ ვლაჰ-ბეგს საბუთი აღმოაჩნდა, რომლის მიხედვით მას ოთხმოცი ათასი ოქრო ჰქონია ვენეციის ბანკში. ვეზირი ვენეციის ელჩთან კაცს გაგზავნის ფულის წამოსადებად და ათქმეიენებს „ვლაჰ-ბეგს თქვენს ზაზინაში ოთხმოცი ათასი ოქრო შეუტანია, უნდა აქ ჩამოატანინო“. ელჩი პასუხობს: „იქიდან ფული არ გამოვა, მხოლოდ მოგება თუ გამოვა“. შემდეგ ვეზირი ეტყვის: „მე ესეთი რამ არ ვიცი, ფული უნდა მოვიდეს“. ელჩი უპასუხებს, რომ „არ მგონია, რომ ფული გამოგზავნონ, მაგრამ მაინც მივწერ“. ჩვენ ისე გვგონია, რომ ომის საბაბი ესაა, რადგან ლაშქრის თავშეყრა [აქ] ასე გაიანრება, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ოთხმოცი ათასი ოქროსათვის ოსმალებმა ომი დაიწყოთ. ჭეშმარიტება უფალმა უწყოს, ჩვენ კი რაც შევიტყვევთ, თქვენი სამსახურისათვის, ის მოგახსენეთ.



კბდევე ბცოდე, რომ ერთი დიდი პოლონელი ელჩი მოსულა კონსტანტინეპოლს. მას სურდა ისტაპანს გამგზავრება, მაგრამ ეუზირს ნებავდა თავს და იგი პოლონეთში დაბრუნებულა. რუსთა ელჩის შერამპოტის რამდენიმე კაცი, რომელნიც დაკავებული იყვნენ, გათავისუფლდნენ და რუსებთან ერთად გამგზავრნენ. ამათ შესახებ არაფერი არ ისმის. შემდეგ ერთი დიდი ელჩი მოვა ხელმწიფე-იმპერატორისგან⁴ ძალიან ბევრი პანაურით, დიდი ზარ-ზეიმით წაიყვანენ ხელმწიფის მიღებაზე. ადათია, რომ მან ორ საათს ან უფრო ცოტა მეტ ხანს დივანში დაჰყოს, ეს ელჩი კი ექვსი საათი დარჩება. ძალზე ბევრ რამეს ამბობენ; სიმართლე უფალმა უწყის, მაგრამ მთავარი სიტყვა, რომელიც გავრცელდა, ესაა, რომელსაც იგი ხონთქარს⁵ ეტყვის: „შვედეთის მეფე⁶ მე მომეცი, მივიყვან ჩემს ხელმწიფესთან; ჩვენ გავასამართლებთ მას, იგი ხომ თანამორწმუნეა ჩვენი, შენ კი ჩვენს კანონებს არ იცნობ, ჩვენ ჩვენი სამართალით ვიმოქმედებთ“. ხონთქარი პასუხობს, რომ „არ მოგცემ, ჩემს ოჯახშია მოსული, მე ეს კარგად ვიცი“. შემდეგ ელჩი ეტყვის: „კეთილი, შენ იცი, სწორად არ იქცევი, მაგ ერთი კაცის გამო ჩვენს გულისწყრომას იმსახურებ, ჩვენს შორის თმი ატყდება. შენს წინააღმდეგ ჩვენ ყველა ქრისტიანი შემოვირიგეთ, ამის გამო ყველა შენ დაგესხმება თავს, მიზეზი შენვე იქნები, ჩვენ ბრალი არ გვექნება. მის ნაცვლად ჩვენ ერთ-ერთ უფლისწულს დავნიშნავთ, რათა მან იმეფოს. მაგრამ შენთვისვე ცუდი იქნება, ერთი კაცის შენახვით რას მოიმოქმედებ? ჩვენ არ დავუშვებთ. რომ მისი ოჯახი დაიღუპოს, ჩვენი წესია, რომ თუ ვინმე ჩვენი ქრისტიანებიდან რაიმე ურჩობას გამოიჩენს, საშუალებას ვაძლევთ მას, რომ გონს მოვიდეს, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ დაიღუპოს მისი ოჯახი. ჩვენ მისი ოჯახის წარწყმედა რომ გვეთონოდა აზრად, ახლაც მრავალ მის ადგილს მოვაოხრებდით, რადგან იგი იქ არ არის და, ჩვენ, რუსებს, გვიჭირავს მისი ქვეყანა; ამდენად ჩანს, რომ არ უპყრია მას თავისი ტახტი, ესლა კი, დიდი ხანია იქნებოდა იგი რუსების“. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ოსმალოთა ხელმწიფე ეტყვის, რომ „თუ თავად სურს თქვენს ქვეყანაში წამოსვლა, დე ასე იყოს, გამოგზავნი, რადგან ფრანგთა სხვა ელჩი მოვიდა და მოითხოვა იგი, მაგრამ არ წავიდა. თუ შევიტყობ, რომ იგი თანახმაა ეახლოს თქვენს იმპერატორს, დე იყოს ასე, გამოგზავნი. შემდეგ ყაფურის⁷ გავზავნიან სტამბოლს, შეედ ხელმწიფესთან და აცითხვინებენ, რომ „ხელმწიფე იმპერატორს ნებავს შენი წაყვანა, წახვალ თუ არა?“ უპასუხებს: „სხვა რა უნდა ვქნა? წავალ, რაც მოსახდენია, მოხდეს!“. ოთხი თვე ძლივს იქნება, რაც ელჩმა შვედეთის მეფე წაიყვანა და წავიდა და ყველა ამ ამბის შემდეგ ცნობილი იყოს შენი ღირსებისათვის, რომ ჩვენი ოთხი სომეხი ერზერუმელი ერეტიკოსი⁸ გამგზავრა სტამბოლს, რათა დავესმინეთ ჩვენი მართმადიდებლური სარწმუნოების გამო. ჩალუცი⁹ კი გამოგზავნეს ერზერუმში, რომ პატრი მუნია და ოთხი სახლოვანი კათოლიკე წაიყვანათ სტამბოლს. პატრი მუნია გაქვევულა და ახალციხეს წასვლა; დანარჩენი სამი კაცი სტამბოლში უნდა წაიყვანონ, ილოცეთ მათთვის ქრისტეს სიყვარულისათვის, რათა უფალი იყოს მათი შემწე. ერზერუმელ ჩელეების¹⁰ თავალ-ოღლი მუსტაფას ახალციხეში მიუწერია პატრი მუნიასთვის, რომ ნუ სწუხარო, მე შენ კვლავ ერზერუმში დავსვამო.

კიდევ ერთი რამ მოსალოცია შენი ღირსებისთვისაც და ჩვენთვისაც, რომ მუსიე ირქარი თორმეტ კაპუცინ პატრთან ერთად დაბრუნებულა სტამბოლს, რათა შემდეგ გამგზავროს ისტაპანში, რადგან თბილისელ საბას¹², რომელიც პარიზს წასულა ვახტანგ-ხანის გულისთვის, ამ ელჩისთვის უთხოვია, რომ



ები წასულოცო ისტაპანს. წეტავი, უფალმა ინებოს და რამე სასიკეთო ნიჭი მოქმედონ ვანტანგ-ხანისათვის, რადგან განჯაში ერთი ბერი მოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ თბილისის ხანი¹³ ვულმოდინე მუსლიმოზან ყწვეა¹⁴, დიდი მიზგითი უნდა ააწენოს, კათალიკოსი¹⁵, რომელიც უნდა ვათურქებულეოც¹⁶ და რომელიც ერისთავმა შეიპყრო, წაიყვანა და თვალნი უნდა დაეხარათ¹⁷, ამ ხანმა მოაყვანინა და ქართველებს კვლავ კათალიკოსად დაუდგინა¹⁸.

და კიდევ, თუ ვაჭრობის ნდგომარეობას იკითხავ, დღემდე განჯის ზარბაფის¹⁹ ლიტრი თორმეტი-ცამეტი ათასი დიანი იყო, ახლა მისი ფასი ერთ თუმნამდე დავიდა, მაგრამ შემახიდან განუწყვეტლივ მოდის ამბავი, რომ ზარბაფი ღარს თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თერამეტი ათასი დიანი, სხვა აღარადფერი მომხდარა ისეთი რამ, რომ მომეწერა, მონა ვარ წენი, ჩემო ბატონო. პუსენი-ხანს ფული გამოართვი. თუ აქამდე შაჰინი მანდ არის, დიდი ნახვის ნატვრით მოკითვას გადავცემ. მისთვისაც უნდა მომეწერა, მაგრამ იმედი არა მაქვს, რომ ჩემი წერილის ნოსტლამდე მანდ იქნება. დიდი მოკითხვა სარვისს და რუხატანს, თუ მანდ არიან...

და კიდევ, ამ დღეებში იზმირიდან წერილი მოვიდა, განჯის თურქებისათვის ოსმალოებს მოეწერათ, რომ იზმირიდან ელჩები გაქცეულან და წასულან, ღერობა იცის, ტყუილია თუ მართალი.

აღმოსავლეთის ისტორიის კთედრა.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1 პურდარი — ფრანგი ოჯდერი, რომელიც მონაწილეობას იღებდა რუსეთის მთავრობის წინა 1707 წელს ისრაელ ორის ხელშეწყობით სეფიანთა ირანში გაგზავნილ ელჩობაში. ირანიდან დაბრუნებისას ისრაელმა პურდარი დატოვა შენაში, როგორც თავისი მისია წარმომადგენელი. აწირედ აქ შეკვდა ეგია კარნეცი პურდარი და საქმიანი კავშირი დაამყარა მისთან.

პურდარი სხვადასხვა სახელებით მოიხსენიება სომალრ (პორეკარი) და რუხულ (ბულდარ, ბორეგარ, ბურგარ, ბორეგარდოვ, ბულგაშ, ბერეგარდ) წყაროებში (Г. А. Эзов, Сношения Петра Великого с армянским народом. СПб, 1898, стр. 56, 57, 59, 60...).

2. 1699 წლის 26 იანვარს კარლოვაცში 25 წლის ვადით თურქეთმა საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ავსტრიასთან, პოლონეთთან და ვენეციასთან. ამ ხელშეკრულებას ძალით აღნიშნულმა სახელმწიფოებმა მიიღეს დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც აქამდე თურქეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდნენ. ავსტრიას ერგო თითქმის მთელი უნგრეთი, ტრანსილვანია და სლავონია, პოლონეთა—უკრაინის ნაწილი და პოდოლია, ხოლო მორგეა დალმაციის ექვა ცხე-სიანგრესთან და ზოგიერთ სხვა ადგილთან ერთად ვენეციის ხელში გადავიდა (Очерки истории СССР, период феодализма, XVIII в. первая четверть, стр. 356; А. Ф. Миллер, Краткая история Турции. М., 1948, стр. 29; А. Д. Новичев, История Турции, ЛГУ, 1963, зз. 190; С. Ф. Орпинникова, Русско-турецкие отношения в начале XVIII в., М., 1971, стр. 30-32). 1715 წელს თურქეთმა კვლავ დაიბრუნა მორგეის ნახევარკუნძული (А. Ф. Миллер, Краткая история Турции, стр. 30).

3. 1711 წლის 12 ივლისს მდინარე პრუტზე დადებული იქნა საზავო ხელშეკრულება თურქეთსა და რუხეთს შორის. მთა ძალით თურქეთს უნდა დაბრუნებოდა აზოვის ციხესიმაგრე, ტაგანროგი და სხვა ციხეაიმაგრეები, რომლებიც რუსეთის საზღვრით იყო ავებული, უნდა დანგრულიყო. საზავო ხელშეკრულების თანახმად თურქეთის სულ-



თანამ გამოცხადდა ზაპოროჟიეს კაზაკების მფარველად, ხოლო რუსეთმა იცავდა, რომ იგი აღარ ჩაეროდა პოლონეთის საქმეებში. აღნიშნული საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ითვლიაწინებდა შვედეთის მეფის კარლოს XII-ის სამომბლოში დაბრუნებას. როგორც ცნობილია, 1709 წელს, პოლტავასთან დამარცხების შემდეგ, იგი თურქეთში იმყოფებოდა (Очерки истории СССР..., стр. 537; А. Д. Нови-чев, История Турции, стр. 190). მაგრამ არც რუსეთი და არც თურქეთი არ ჩაბრუნდნენ საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. თურქეთის მთავრობას განსაკუთრებით აღინიშნებდა ის გარემოება, რომ რუსეთმა არ გაიყენა თავისი ჭარი პოლონეთიდან. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1712 წელს რუსეთის დესპანეები თურქეთში პეტრე ივანეს ძე შადროვი და შიხალი ზორისის იე შერენბერგი რუსეთის ელჩთან, პეტრე ანდრიას ძე ტოლსტოისთან ერთად სტამბულის იედეკულეს (წოდებულთან) ციხეში ჩასვეს. (С. М. Соловьев, История России с древнейших вре-мен, кн. 4, СПб.) ისინი გათავისუფლებული იქნენ მხოლოდ 1714 წელს და მამინეკ სამშობლოში დაბრუნდნენ. თურქეთში ახალი დესპანი — იერიოში ნატალი დანიშნა, (Русские представители в Царьграде (1496—1891), Исторический очерк В. Телла-ва, СПб., 1891, стр. 71).

4. პეტრე I (1682—1725).
 5. სულთან აჰმედ III (1673—1736).
 6. კარლს XII (1697—1716).
 7. Karisi (თურქ.) — კარის მცველი.
 8. სინამდილეში კარლს XII შედეგით დაბრუნდა უნგრეთისა და გერმანიის გზით 1714 წელს დიემზერში. მისი დაბრუნება გაპირობებული იყო შვედეთის სეიმის გადაწყვეტილებით, რომელსაც ანგარიში ვაუწია სულთან აჰმედ III.
 9. როგორც ჩანს, ელია კარნეცი ვრეტეიკსებს ქრისტიანულ-გრიგორიანული ეკლესიის მიმდევარ სომხებს უწოდებს, რადგან თავად კათოლიკე იყო.
 10. çavuş (თურქ.) — გზარი, პოლიციელი.
 11. dâlebi (თურქ.) — ბატონი, პატივცემული პირი.
 12. როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანს ევროპაში მოგზაურობისას თან ახლდა ურანგი მისიონერი ჟან რიშარი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ სულხან-საბას მისია წარმატებით დასრულებულიყო და ვახტანგ VI გამოეხსნათ ირანის ტყვეობიდან, მაგრამ მიზანი მიღწეული ვერ იქნა. (დაწვრილებით იხ.: ი. ტაბატაძე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, თბ., 1972).
- ელია კარნეცია ცნობის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროპიდან უკან დაბრუნების დროს სულხან-საბა ორბელიანმა ჟან რიშარს სთხოვა ჩასულიყო ისფაჰანში და ზომები მიეღო ვახტანგის განთავისუფლებისათვის.
13. ვახტანგ VI-ის ძმა, იესე (1714—1716, 1724—1727).
 14. იესემ მიიღო მუსლიმობა და ეწოდა ალიყულიხანი, ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგნაირად ახასიათებს მას: „და იყო ესე ფრიად მიქცეულ მამადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამცხეთისა საქართველოსა, ს. ყუბხიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 494).
 15. ვახტანგ VI-ის ძმა, კათალიკოსი დომენტი IV (1707—1729, 1735—1742).
 16. დომენტის „გაუთრქება“, ე. ი. ისლამის მიღება, ცხადია, ისტორიულ სინამდილეს არ შეეფერება. შესაძლებელია, ეს აზრი გაერკეულა იმის გამო, რომ 1707 წ. დომენტი ეხლა შაჰ სულთან-ჰუსეინის იმისათვის, რომ თავისი მამულები დაებრუნებინა კახეთში. „მოსრულა კათალიკოსს ბატონსა ყვენმა და მისცა ყოველნი მამულინი თჳსნი და ნიჭი დიდო. შემდგომად გამოუტევა და მოვიდა, ტფილისს ქუჩა ჩუდ, ქარ. ტყვ. (1708 წ.). მერმე შთავიდა კათალიკოზი კახეთს, იმამ-ყულიხანისა თანა და აუფლგეს მამულსა თჳსსა და იყოფოდა მოსრული მცხეთას“ (ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 482).
 17. სინამდილეში დომენტი 1712 წ. შეიპყრო სეიმონმა, ვახტანგ VI-ის ძმამ და „წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოკადის თულანი გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსულან და იყოფოდა მათ თანა ბატონთა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 493).
 18. დომენტი კათალიკოსი ტახტზე აღადგინა იესემ (ალი-ყულიხანმა) 1714 წ.
 19. თქროქსიცილი ფარბა.



К. К. КУЦИЯ

СООБЩЕНИЯ ОДНОГО ПИСЬМА ЕГИА КАРНЕЦИ О ГРУЗИИ

Резюме

В работе дан грузинский перевод письма армянского автора первой половины XVIII в. Егия Карнеци от 13 марта 1715 г.

Письмо содержит интересные сообщения об иранском плене Вахтанга VI, о деятельности Сулхан-Саба Орбелиани, о внутривосточном состоянии Картли и т. д. Оно представляет также интерес для специалистов по истории Ближнего Востока и России указанного времени.

Грузинский перевод сопровождается соответствующим комментарием.

K. KOUTZIA

RENSEIGNEMENTS SUR LA GEORGIE DANS UNE LETTRE D'EGIA KARNETZI

Résumé

Le présent article propose la traduction géorgienne d'une lettre de l'auteur arménien de la première moitié du XVIII^e siècle Eguia Karnetzi, datée du 13 mars 1715.

La lettre contient des renseignements intéressants sur Vakhtang V, prisonnier en Iran, sur l'activité de Soukhhan-Saba Orbéliani sur l'état politique intérieure du Kartli etc. La lettre attirera également l'attention des spécialistes de l'histoire du Proche-Orient et de Russie à cette époque.

La traduction géorgienne est accompagnée de commentaires.

**საქართველოს კოლიტიკური ისტორიის ზოგადი საკითხი
ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“
არაბული წყაროების მიხედვით**

ოთარ ცქიტიშვილი

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ ჩვენს წერილში „ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ არაბული წყაროები“ აღნიშნულია აკად. ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურება საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქებაში აღმოსავლური წყაროებისა და, კერძოდ, არაბული წყაროების მიხედვით ([1], 116—130).

ხაზი ვაესვა იმ გარემოებასაც, რომ ივ. ჯავახიშვილმა ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება აღმოსავლურ წყაროებს (არაბულს, სპარსულს, თურქულს...). მას შესანიშნავად ესმოდა, რომ მათი გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევა-ძიება მის მიერვე დასახული ფართო გეგმით. ისიც აღინიშნა, რომ არაბული წყაროები ძირითადად თავმოყრილი და გაშუქებულია ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე და მესამე წიგნებში.


ეს კი რამდენიმე გარემოებამ განაპირობა.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მეორე და მესამე წიგნები ქრონოლოგიურად მოიცავენ VII—XIV საუკუნეებს. მეორე წიგნში განხილულია VII—XII საუკუნეების საქართველოს ისტორია, ხოლო მესამე წიგნები XIII—XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებს.

სწორედ აღებულ ხანაში, განსაკუთრებით კი VII—X საუკუნეებში, როცა არაბთა სახალიფომ თავისი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მწვერვალს მიაღწია, საფუძველი ეყრება საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის) და არაბულ სახელმწიფოს შორის სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობებს. ერთხანს ეს ურთიერთობანი განისაზღვრებოდა დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის არსებული ურთიერთობებით.

აღებულ ეპოქაშივე (IX—X საუკუნეები) აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს არაბული ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურა. მომდევნო ხანებში იგი კარგავს თავის ოდინდელ ღირსებასა და მნიშვნელობას, მაგრამ XI—XIV საუკუნეებშიც იქმნება ისეთი ხასიათის ისტორიული ნაშრომები არაბულ ენაზე, რომელთაც შემოგვინახეს არანაკლებ მნიშვნელოვანი მასალა მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოსა და ამიერიდან ერთიანი, პოლიტიკურად გაერთიანებული, საქართველოს ურთიერთობათა შესახებ ([2], 38—51).

არაბ თუ არაბულენოვან ისტორიკოსთა ნაშრომებს ივ. ჯავახიშვილისათ-



ვის სინტერესო საკითხებზე მით უფრო ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ საუკუნეებში და, კერძოდ, ადრეული შუა საუკუნეების საქართველს ურთიერთობათა შესახებ არაბებთან ქართულ ისტორიულ წყაროებში მასალა ნაკლებად მოგვეპოვება.

არაბულ წყაროებში დაცული და ჩვენამდე მოღწეული ცნობები ეხება ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის იმ ეპოქებს, როცა მის იარაღით ხელში უხდებოდა ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, როცა საქართველოს მესვეურები ატარებდნენ ქმედით ღონისძიებებს მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან საკუთარი ინტერესების ცნობრებაში გატარების მიზნით.

ქრონოლოგიურად ამ მოვლენათაგან პირველია არაბების შემოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში, დასაწყის ეტაპზე მათი ბრძოლა ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდებისათვის, აქ არაბული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზმის დამკვიდრება თბილისის საამიროს სახით, დაბოლოს, ბრძოლა თბილისის საამიროს ურჩ გამგებელთა წინააღმდეგ და წარუმატებელი ცდა მისი ხელახლა დამორჩილებისა არაბთა სახალიფოსადმი.

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა ქართველ ისტორიკოსთა შორის მიიქცია ყურადღება არაბი მხედართმთავრის ჰაბიბ იბნ მასლამას (614—662 წწ.) სახელით გაცემული ეგრეთწოდებული „დაცვის სიგელის“ საკითხზე მუშაობის დროსათვის ცნობილ ორ ვარიანტს — ბალაზურისეულსა და ტაბრისეულს. ხოლო თუ მან იაკუთისეული ვარიანტი არ მოიშველია, ეჭვი არ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ცნობილი იყო იაკუთის (1179—1229 წწ.) ტექსტის დამოკიდებულება ალ-ბალაზურისაზე (გარდ. 892 წ.) ([3], 187—199).

არსებითად ამ ორი არაბულენოვანი ისტორიკოსის ცნობათა საფუძველზე და აგრეთვე VIII ს. არაბი სარდლის ჯარაჰ იბნ აბდლაჰ ალ-ჰაჰამის მიერ (გარდ. 730 წ.) განახლებული „დაცვის სიგელისა“ და ნიჭიერი ქართველი მწერლის იოანე სპანის ძის პატრიოტული ნაშრომის „აბო ტფილელის წამების“ მასალათა მოშველიებით შეძლო ივ. ჯავახიშვილმა მოეცა საქართველოში არაბთა მფლობელობის ზოგადი დახასიათება, აღედგინა ამ ბატონობის შინაარსი და ხასიათი, დაებატა სურათი იმისა, თუ როგორი იყო პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური თუ უფლებრივი ურთიერთობა არაბებსა და ქართველებს შორის აღებულ ხანაში.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა-გამოკვლევის საქმეში, ასევე არაბეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხებზე. მრავალი ამ საკითხთაგანი უფრო ფართოდ, ღრმად და დაწვრილებით შეისწავლიდა. ზოგი მათგანი ახლებურადაც განიხილება ([4], 61—65; 185—201; 167—181; 139—143; 90—108). კიდევ მეტი, მავალითად, ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეშივე არ იქნა გაზიარებული აკად. ს. ჯანაშიას მიერ საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის თარიღი ([5], 362—365) და მოგვიანებით იგი კვლავ ვახდა მსჯელობის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში ([6], 185—195; 68—85). თუმცა ს. ჯანაშიას თვალსაზრისი ამ თარიღზე ამჟამადაც მიღებული ჩანს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ([7], 286). საბოლოოდ გადაჭრილი არ არის საკითხი ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ მოქმედების გეოგრაფიული არეალის




შესახებ ([4], 167—181; [8], 80; [3], 195—198). ხელახლა იქნა აღმოჩენილი ხაზართა 764 წ. ლაშქრობა საქართველოში ([9], 20—32).

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის ძირითადი დასკვნები არაბთა სახალიფოსა და საქართველოს შორის არსებული მრავალმხრივ ურთიერთობათა შესახებ დღესაც ურყევი რჩება და მათ არც ახლა დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა.

XI ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკითხი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობათა შესახებ, გიორგი I-სა (1014—1027 წწ.) და ბასილ II-ის დროს (976—1025 წწ.), ქრონოლოგიურად მცირე მონაკვეთში რომ ჰქონდა ადგილი. ამდენად, საფუძვლით გასაგებია, თუ ამ ურთიერთობათა პერიოდი ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო მსჯელობის საგნად ვახადა არა მხოლოდ თავისი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორია“ მეორე წიგნში ([10], 9—12; 323—325). მან XI ს. პირველი მეოთხედის ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობათა გაშუქების მიზნით, ქართულ, სომხურ და ბერძნულ წყაროებთან ერთად, მოიხმო აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი არაბული წყარო, როგორცაა იაჰია ანტიოქიელი (გარდ. 1066 წ.) მოვლენათა თანადაბსდურის, ისტორიული ნაშრომი, რომლის კარგად ცნობილი არაბული ტექსტის ნაწილი, თავის დროზე გამოცემული აკად. ვ. რ. როზენის მიერ რუსულ თარგმანთან ერთად შენიშვნებით, შეეხება ჩვენთვის საინტერესო ეპოქასაც ([11], 72—81 61—66, 371—376).

ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, იგივე მდგომარეობაა, როგორც წინააღმდეგ ეპოქის საქართველოს ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით აღინიშნა. უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს დავით დიდი კურაპალატის (გარდ. 1001 წ.) ეგრეთწოდებული მემკვიდრეობის საკითხი ([12], 167—186; 166—174; 79—89; 162—190; 237—243; 67—82). დადგინდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში მოხსენიებული „ალ-ჰაქიმის“, „მამამლიან მფლობელის“ ვინაობა, ნაჩვენები იქნა გიორგი I-ის დროინდელი საქართველოს უქვეყნო ცდა დამეყარებინა პოლიტიკური კავშირი შორეულ ეგვიპტესთან ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, რომ ურთიერთობას საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ადგილი ჰქონდა XI—XII საუკუნეთა მთელ სიგრძეზე, არც ბასილ II-ის მზადება ეგვიპტის წინააღმდეგ საბრძოლველად ყოფილა მოჩვენებითი, ისიც აღინიშნა, რომ ბიზანტიის კეისარმა უარი თქვა ეგვიპტესთან შებრძოლებაზე და საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფა ალ-ჰაკიმი 1021 წ. 13 თებერვალს „გმინჯის დამით“ უგზო-უკვლოდ დაიკარგა ([13], 55—81).

სპეციალურ წერილში წარმოდგენილია მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, კერძოდ, განხილულია მისი ბრძოლა ბიზანტიის კეისრის ბასილ II-ის წინააღმდეგ ტაოს დასაბრუნებლად ([14], 115—133). თუმცა მ. ლორთქიფანიძე არ გვეთანხმება სტატიამში წამოჭრილ ორ საკითხში ([2], 176, შენიშვნა 2). ერთ-ერთი მათგანი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როდის შეეძლოთ ქართველებს ტოი დაეკავებინათ (თუ ამ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ვინაიდან გარდა იაჰია ანტიოქიელისა არც ერთი სხვა წყარო, მათ შორის არც ქართული მატრიანები, არ აღნიშნავს აღებული ხანის საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორც ქართველთა მიერ ტაოს დაბრუნება უნდა ყოფილიყო) 1014—1016 წწ., როგორც ამას აღნიშნავენ ივ. ჯავახიშვილი და



სხვა ქართველი ისტორიკოსები, თუ 1014—1018 წწ., რომელთაც ვუთითებ ჩვენს წერილში. 1014—1018 წწ. წამოყენების საფუძველი ჩვენ მოგვითხრობს გარემოებამ, რომ სწორედ აღნიშნულ წლებში იყო დაკავებული ბრძოლა ბულგარლებთან ომით ([15], 7: 223) და არა მხოლოდ 1014—1016 წწ. ამიტომ, ვფიქრობთ, არა გვაქვს უფლება 1017—1018 წწ. სრულიად გამოვირიცხოთ და არ მივიჩნიოთ ამდენად 1014—1018 წწ. ტაოს შესაძლებელი დაბრუნების თარიღად გიორგი I-ის მიერ.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომელი უფრო საშუალო საქმე იყო გიორგი I-ის დროინდელი საქართველოსათვის, განდგომილი ჰერეთ-კახეთის ხელახლა შემოერთება თუ ტაოს დაბრუნება, უნდა აღინიშნოს შემდეგი: წერილში წარმოდგენილი მთელი მასალა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ გიორგი I-მა თავისი ხანმოკლე ცხოვრების შეგნებულ წლებში ბასილ II-თან ტაოსათვის ბრძოლას შეაღწია (ყან იცის, შესაძლებელია, მას უფრო შორეული პატივმოყვარული მიზნებიც ამოძრავებდა) „საქართველოს ამ სამხრეთ-დასავლეთ ზღუდის გასამაგრებლად, რადგან ბიზანტიის იმპერია ძლიერ ეტევედა ამ მხრიდან ქართულ-სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს და დიდ წარმატებებსაც აღწევდა ამ ფრონტზე“. ალბათ, ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ჭაბუკი მეფე იძულებული იყო ტახტზე აავლესთანავე ერთიან საქართველოს ჩამოცილებული ჰერეთ-კახეთის ხელახლა შემოერთებაზე ეზრუნა, ანდა მის მმართველებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა ([2], იქვე) და მხოლოდ ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერიასთან ტაოსათვის ბრძოლის მიზნით გაეტარებინა რიგი დონისძიებანი. კერძოდ, გიორგი I-მა ყველა ღონე იხმარა შეექმნა ძლიერი და მტკიცე ანტიბიზანტიური კოალიცია, მაგრამ მისი პოლიტიკა მაინც მარცხით დამთავრდა.

არსებითად რომ ეთქვას, „მატიანე ქართლისაისა“ და სუმბატ დავითისძის მწირო ცნობა ([16], 285; 383), რომელზედაც ნ. ლორთქიფანიძე მიგვიბრუნებებს იმის შესახებ, რომ შირიმის (შირიძეთის) ბრძოლაში 1021 წლის ბოლოს დამარცხებულმა და ბასილ კეისრის მიერ დევნილმა გიორგი მეფემ „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“, „მოიგანნა წანარნი და შაქნი“ არ გვაძლევს საფუძველს დავადგინოთ, თუ როგორი იყო ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური სტატუსი XI ს. 20-იანი წლების დასაწყისში; ჰერეთ-კახეთი კვლავ რჩებოდა გაერთიანებული საქართველოსაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად თუ იგი ხელახლა იქნა შემოერთებული საქართველოსთან გიორგი I-ის მიერ. ფაქტი ერთია, რომ კახეთსა და ჰერეთს სამხედრო დახმარება აღმოუჩენიათ ახალგაზრდა მეფისათვის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“ ([16], 285). აქედან გამომდინარე ეწერთ ჩვენს წერილში, რომ „სამწუხაროდ, ქართული წყაროები არაფერს ამბობენ გიორგი I-ის რეაქციაზე ჰერეთ-კახეთის განდგომასთან დაკავშირებით“, და თანაც იმასაც აღვნიშნავთ, რომ „საეჭვოა, საქართველოს მეფეს ასე იოლად ეთქვა უარი სამეფოს მიწა-წყალზე, არ ნიღოთ ქმედითი დონისძიებები ჰერეთ-კახეთის ხელახლა შემოსაერთებლად და შექმნილ ბირობებში ბრძოლა დაეწყო 12 წლის წინათ ბიზანტიის მიერ მიტაცებული დავით კუროპალატის სამფლობელოებისათვის“ ([14], 119). ასეა თუ ისე, განვილილი წვიმი წლის მანძილზე, დღიდან ტახტის დაკავებისა, გიორგი მეფეს თავისი ურთიერთობა კახეთ-ჰერეთთან, როგორც ირკვევა, მოუწესრიგებია სწორედ იმ მიზნით, რომ შემდეგ დაეწყო ბრძოლა ბიზანტიის იმპერიის მოძალდებს წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლას წინ უსწრებდა ფართო მოსამზადებელი მუ-



შობა, რაზედაც დაწვრილებით არის ლაპარაკი ჩვენს ზემოთ სტატიაში.

წინამდებარე წერილში ჩვენ საგანგებოდ არ ვეხებით XII—XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებს. გიორგი III-ის (1156—1184 წწ.), თამარ მეფისა და (1184—1213 წწ.) და ლაშა გიორგის დროინდელი (1213—1223 წწ.) საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ვიდრე მონღოლთა პირველი სამხედრო რაზმების გამოჩენამდე საქართველოში, განხილული აქვს ბ. სილაგაძეს. მან იბნ ალ-ასირის ისტორიულ ნაშრომში დაცული ცნობები აღებული ხანის საქართველოს შესახებ შეუყვარა სხვა წყაროებში არსებულ მასალას, მათ შორის XII—XIII საუკუნეების ქართული მატრიანეებისასაც, და ზოგი საკითხი ახლებურადაც წარმოადგინა. რა თქმა უნდა, ბ. სილაგაძის ვრცელ სტატიაში გათვალისწინებულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ წარმოდგენილი კვლევის შედეგები ([17], 105—143). აღებული ხანის საქართველოს ისტორიის კერძო საკითხზე არსებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ფაქტობრივი, განსაკუთრებით ეპისტოლური მასალით მდიდარი სტატია, რომელშიც გადასინჯული თვალსაზრისი თამარ მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით ([18], 151—165, 168—189). ხოლო, რაც შეეხება წინარე, დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) და დემეტრე I-ის (1125—1156 წწ.) ხანას, როგორც ცნობილია, მათი ეპოქის შესახებ ახლა უფრო მდიდარი ცნობები მოგვეპოვება. საამისოდ საკმარისია აღინიშნოს მასალა ახლა კარგად ცნობილი არაბი ავტორის იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკისა, რომელიც 1153—1154 წწ. საქართველოში ყოფილა და მეფე დიმიტრი I-ის სამსახურშიც შესულა. იგი შედარებით დაწვრილებით მოგვითხრობს არა მარტო დიდგორის ომისა და დავით აღმაშენებლის სამინაო პოლიტიკის შესახებ ახლად ვანთავისუფლებული თბილისის მუსლიმი მოსახლეობის მიმართ, არამედ საკუთარი თვალით ნანახს შესახებაც ([19], 74—78, რომ არაფერი ვთქვათ XIII ს. არაბულენოვანი თურქი ისტორიკოსის სიბტ იბნ ალ-ჯაფნის (1186—1257 წწ.) ცნობაზე დავით აღმაშენებლის შესახებ ([20], 17.—1.1; 201—213). სიბტ იბნ ალ-ჯაფნის არც ეს ცნობა, სხვა არაბი მწერლების ცნობებთან ერთად (მაგალითად, იბნ ალ-ასირი (1160—1234 წწ.), გამოჩენია მხედველობიდან ივ. ჯავახიშვილს.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შემდეგი ეტაპი, რომლის გასაშუქებლადაც კვლავ მიმართა ივ. ჯავახიშვილმა არაბულ პირველწყაროებს, სხვა წყაროებთან ერთად, არის ქართველი ხალხის ბრძოლა ყერ ხორეზშმაქ ჯალალ ად-დინის (1220—1231 წწ.) დამარბეველი ძალის, ხოლო შემდეგ მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ საქართველოში და მისი მმართველი წრეების გონივრული საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით გიორგი V ბრწყინვალეს მეფობაში (1314—1346 წწ.), როცა მან შესანიშნავად გამოიყენა ილხანთა ირანში შექმნილი სამინაო სიძნელეები და დაიწყო ღონისძიებების გატარება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების შედეგად იქნა დადგენილი ის გარემოება, რომ XIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს ფუფუნებას თავიციემული და განებირებული მმართველი ზედაფენა (ყამთაღმწერელი), სამწუხაროდ, სრულ მზადყოფნაში ვერ აღმოჩნდა ახლად გამოჩენილი ვარეშე მტრების ხორეზმელებისა და მონღოლთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. ამას თან ერთვოდა აღებული ხანის საქართველოს ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის არსებული შუღლი და მტრობა (მნარგრძე-




წინამდებარე ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის ციტირებული ლიტერატურის შემოკლებათა სიები, ტაბულების აღწერილობა და ტაბულები.

შესავალში ავტორი მიმოიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას (მ. პ. ბარათაყვი, ხ. ფრენი, ბ. დორნი, ა. მარკოვი, ივ. ჯავახიშვილი, რ. ს. პული, ქ. ლ. რაბინო, თარაბი თაბათაბი, ა. მ. რაჯაბლი, დ. ვ. კახანაძე, ე. პახომოვი და სხვ.).

პირველი თავის — „Монетное дело в Восточной Грузии в XVI — XVII вв.“ — პირველ ქვეთავში ავტორი სწავლობს XVI — XVII სს ძაგემის ზარაფხანას. მას მოაქვს XVII ს. ცნობილი ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობა XVII ს-ის კახეთის სამეფოში მონეტის მოჭრის შესახებ. აქვე, ავტორი ყურადღებას აქცევს ქ. ძაგემის ლოკალიზაციას (თანამედროვე საინგილო, ალიაბადიდან დასავლეთ 7 კმ-ზე). ავტორის დაკვირვებით ძაგემის, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური პუნქტის



მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ზოგერთი ევროპელი ავტორი (მაგ., ადამ ოლფარდუსი) ზოგჯერ კი თურქი ისტორიკოსებიც (მაგ., ნაინა) მთელ კახეთს ძაგემის სახელით იხსენიებენ.

ამ ქვეთავის დასასრულს ავტორი აკეთებს დასკვნას: „ამგვარად კახეთის სამეფოში, ძაგემის ზარაფხანაში იჭრებოდა მონეტები სეფიანთა შაჰების სახელით: თამასი I-ის — მისი მეფობის მეორე ნახევარში, აბას I-ის — 1614—1616 წწ-მდე და სეფი I-ის — 1626—1623 წწ. ზარაფხანა ძაგემში საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა, რაზედაც მიუთითებს შემორჩენილი მონეტების ტვიფრის სხვადასხვაობა“ (გვ. 24).

ამავე თავის მეორე ქვეთავში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს XVII — XVIII სს თბილისის ზარაფხანას. იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თბილისში მოჭრილ მონეტას ირანულად თვლიდნენ თანამედროვენიც. იგი ირანშიც კი მიმოქცევაში იყო საკუთრივ ირანული ზარაფხანების პროდუქტის თანაბრად. დამახასიათებელია, რომ ირანის შაჰები ქართლის მეფეების ცდას საკუთარი, ქართული მონეტის მოჭრისას, ვანიხილავდნენ როგორც ანტიირანულ მოქმედებას, მაგ., ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658 — 1676 წწ) განიზრახა საკუთარი მონეტის მოჭრა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ შაჰ სულეიმანმა (1667 — 1694 წწ) ჯარი დაჰრა ქართლის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ქართლის მეფის ამ განზრახვაში ირანის შაჰმა დაინახა ვასალის მხრიდან ურჩობის გამოვლინება.

საინტერესოა ავტორის დაკვირვება 1604 — 1605 წლებში თბილისის ზარაფხანაში მონეტის მოჭრის თაობაზე. ცნობილია, რომ თბილისი ამ დროს ოსმალებს ეკავათ, მონეტა კი შაჰის სახელითაა მოჭრილი. ავტორის აზრით, ერთადერთი, ვისაც შეეძლო მონეტის მოჭრა, უნდა იყოს ქართლის მეფე ვიორგი X (1600 — 1606 წწ), რომელმაც ისარგებლა ოსმალეთის წინააღმდეგ შაჰ აბას I-ის გამოსვლით და დაიბრუნა თბილისი (ქალაქი). შესაძლოა, ამ დროს ციხეში კვლავ ოსმალთა გარნიზონი იდგა (გვ. 27).

მესამე ქვეთავში ავტორი იხილავს XVII—XVIII სს თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებს. სპილენძის მონეტების მოჭრა სეფიანთა სახელმწიფოში ყველგან ავტონომიური ხასიათისა იყო, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარებოდა (გვ. 47). ასე იყო საქართველოშიც.

მეორე თავის სათაურია — Клады и единичные находки монет чеканенных от имени сефевидских шахов. ამ თავის I ქვეთავში განხილულია სეფიანთა შაჰების მიერ მოჭრილი ოქროს მონეტები. ჩვენის აზრით, სწორად იქცევა ავტორი, როდესაც დიდიქანში ნაპოვნ შაჰ თამაზ I-ის მონეტებს ვანიხილავს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილს (გვ. 69, 70). როგორც ცნობილია, ეს მხარე 1605 — 1606 წლებამდე ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს შაჰ აბას I დიდი დახმარება გაუწიეს ქართლისა და კახეთის მეფეებმა. ირანის შაჰმა „დაუმაღლა“ გიორგი X ერევნის ალყის დროს ერთგული სამსახური, უხვად „დასაჩუქრა“ იგი მიწებით... შიდა ირანში, სამაგიეროდ კი „გამოსთხოვა“ ლორე-დებედას ხეობა. გიორგი მეფემ შესანიშნავად იცოდა ეს „თხოვნა“ რასაც ნიშნავდა: ეს უფრო ბრძანება იყო! მან შაჰ აბას I „დაუთმო“ ლორე-დებედას ხეობა, სადაც შეიქმნა ლორის სახანო ადგილობრივი რენევატი ფეოდალით სათავეში, რომელმაც „ლორის მეღიქის“ სახელწოდება მიიღო. ამავე ხანებში აღექ-



სანდრე კანთა მეფეს (ასევე უხვად „დასაჩუქრებულს“) შაჰ აბასის გამეფების
 თხოვა აღმოსავლეთი კახეთი, სადაც შეიქმნა კაკეიასელის სასულთნო.
 მეორე ქვეთავში განხილულია გერცხლის მონეტები, ხოლო შემდეგ
 ქვეთავებში ავტორი ცალ-ცალკე იხილავს პატარა ჯიხაიშის, ამბროლაურის,
 რაჭის, უპასპორტო განძს, ძაგვის, ჭიკაიანის, ბირჯანის განძებს. სავესებით
 მართებულად მიგვაჩნია ავტორის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ძაგე-
 მის განძში ამიერკავკასიის (განჯა, ერევანი, თბილისი, ძაგემი) და ამიერკავკა-
 სიასთან ახლოს მდებარე ქალაქების (არღებლი, თავრიზი...) ზარათუხანებში
 მოჭრილი მონეტების გვერდით (მათი მიმოქცევა კახეთის სამეფოში XVII ს-
 ში ბუნებრივია) გვხვდება ამიერკავკასიისათვის იშვიათი მონეტები, რომლე-
 ბიც მოჭრილია რამპორშიში, შუშტერში, თეირანში და სხვ. ავტორის აზრით
 ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქ. ძაგემს ძალზე ფართო სავაჭრო კავშირები
 ჰქონდა (გვ. 86, 87).

ავტორი, წყაროებზე დაყრდნობით, სავესებით მართებულად ფიქრობს,
 რომ XVI — XVII სს ყველა ქართული ქალაქის ვაჭრობა ორიენტირებული
 იყო ძირითადად ირანზე. დასავლეთ საქართველოს ვაჭრებიც, მიუხედავად
 იმისა, რომ ოსმალეთთან მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთო-
 ბით იყვნენ დაკავშირებულნი, ირანთან ვაჭრობას მომგებიან და სარფიან სა-
 ქმედ მიიჩნევენ. იმერეთის მეფეები სპარსულ მონეტას ჭრიდნენ იმ მიზ-
 ნით, რომ განეცითარებინათ ვაჭრობა ორ ქვეყანას, იმერეთსა და ირანს
 შორის (გვ. 82).

III თავში — Клады медных монет начала XVIII века — განხი-
 ლულია სპილენძის მონეტების განძები. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გა-
 რემოებს, რომ ვახტანგ VI-ის, მისი ძმის სიმონის და ვახტანგ VI-ის შვილის
 ბაქარის მიერ მოჭრილ მონეტებზე ჩნდება ზედწერილობი, რაც სავესებით შეე-
 სატყვისებოდა ვახტანგ VI-ის სავარეო და საშინაო მოღვაწეობის ძირითად
 ხაზს (გვ. 102).

დასკვნაში ავტორი აჯამებს თავის მსჯელობას და აცხადებს, რომ უკვე
 XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველომ შეწყვიტა საკუთარი ეროვნული
 ტიპის მონეტის მოჭრა და სეფიანთა ირანის გავლენით საქართველოში
 განმტკიცდა სეფიანთა სამონეტო სისტემა. ამ დროიდან მთელ საქართველო-
 ში (დასავლეთ საქართველოშიც კი, რომელიც ოსმალეთის ხელდებული ქვე-
 ყანა იყო!) იჭრება ირანული სისტემის მონეტა. ქართველი ვაჭრები ძირითა-
 დად ბროირანული ორიენტაციისა არიან.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის მეფეებმა, რომელთაც ისარგებლეს სე-
 ფიანთა ირანის მძიმე მდგომარეობით, გადაწყვიტეს მონეტისათვის დაებრუ-
 ნებინათ ეროვნული იერა. ადგილობრივი ქართული ყაიდის მონეტის მოჭრა
 მათ დაიწყეს, ბუნებრივია, სპილენძის მონეტების მოჭრით.

სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია პირველწყაროებისა და სამეცნიერო
 ლიტერატურის უხვად გამოყენებით, ასე რომ ავტორის წყაროთმცოდნეო-
 ბითი ბაზა საკმაოდ ფართოა. წინამდებარე ნაშრომი კარგად ასახავს სეფიანთა
 ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურ-
 თიერთობას ამა თუ იმ ეტაპზე. იგი ნამდვილად კარგ სამსახურს გაუწევს
 ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

წინამდებარე წიგნისადმი გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

1. ჩვენის აზრით უფრო ვრცლად უნდა იყოს საუბარი ძაგემზე, როგორც



სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტზე, აგრეთვე მის სავაჭრო-ეკონომიკურ რეზონანსზე.

2. 74-ე გვერდზე ავტორი წერს: «В 1909 г. близ села Амбралаури, по одному сообщению, а по другому — в с. Велеви, на перегоне Хотевы — «Щесн был обнаружен большой клад серебряных предметов».

გვინდა შევნიშნოთ, რომ სოფ. ველევი ხოტევი-წესის გადასარბენზე არ არის. ის სოფ. წკადისთან ახლოს მდებარეობს. ეს ცნობა იმითაა საყურადღებო, რომ თუ ეს განძი ველევშია ნაპოვნი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ჩაფლვა გზასთან არის დაკავშირებული. ასეთი გზა კი იმერეთიდან ველევზე ვადმოდიოდა, ვიცილიდა სოფ. წკადისს და ხოტევიდან უერთდებოდა უფრო დიდ გზას. სოფ. ხოტევი გზაშესაყარი იყო (ამასთანავე, საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტიც!). მონეტების განძების აღმოჩენა სავაჭრო გზებთან ახლოს წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ცალკეულ მხარეებს შორის სავაჭრო კავშირებზე. კარგი იქნებოდა, რომ ავტორი ამ საკითხსაც შეხებოდა წინამდებარე წიგნში.

3. აღბათ კორექტურული შეცდომა! შპ სეფის ზეობის წლებად ავტორი ასახელებს 1625 — 1632 წწ (გვ. 24), 1623 — 1642 წწ (გვ. 52).

როგორც ცნობილია, სეფი I ტახტზე ავიდა 1629 წელს.

ავტორი იძლევა მონეტაზე ძაგემის დაწერილობის ორ ვარიანტს და: ЗГМ და და: ЗГМ. ამ ორ ვარიანტს შორის გრაფოლოგიულად არავითარი სხვაობა არაა!

4. ავტორს მოაქვს ციტირებული ლიტერატურის სია (Список цитированной литературы), სადაც წყაროები და ლიტერატურა ერთმანეთისაგან განვალკევებული არაა. აჯობებდა ავტორს წყაროები ცალკე გამოეყო და ლიტერატურა ცალკე.

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის დიდ ღირსებას. წინამდებარე წიგნი ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს კარგ სამსახურს გაუწევს.

დავით კაციტაძე

И. М. СМИЛЯНСКАЯ, СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ СТРУКТУРА СТРАН БЛИЖНЕГО ВОСТОКА НА РУБЕЖЕ НОВОГО ВРЕМЕНИ (НА МАТЕРИАЛАХ СИРИИ, ЛИВАНА И ПАЛЕСТИНЫ), М., ГЛАВНАЯ РЕД. ВОСТ. ЛИТЕРАТУРЫ ИЗДАТЕЛЬСТВА «НАУКА», 1979, 252 СТР.

История Сирии, Ливана и Палестины, этого важнейшего региона Ближнего Востока, давно привлекает внимание исследователей. Интерес к ней усиливается и в наши дни, что объясняется тем обстоятельством, что многие проблемы стран совместного Ближнего Востока не могут быть правильно осмыслены в отрыве от тех исторических процессов, которые имели место в этом регионе еще в докапиталистическую эпоху. Хотя период позднего средневековья, а также новая история стран Ближнего Востока нашли своё отражение в трудах советских и зарубежных авторов, многие характерные черты ближневосточного общества ещё не выяснены. Рецензируемая монография И. М. Смелянской во многом восполняет этот пробел.

Основная цель, которую автор преследует в своей монографии, намечена в введении: она заключается в исследовании социально-экономической структуры общества и её эволюции, проблемы демографии, аграрных отношений, городского строя, а также особенностей взаимодействия общества и географической среды. Работа основана на материалах одного региона Ближнего Востока — Сирии, Ливана и Палестины в прошлом известного под общим названием — Сирия.

В первой главе монографии дана общая характеристика природных условий Сирии, отмечено большое разнообразие рельефа, климатических и почвенных условий, выделены различные по природным условиям районы. Автор считает, что в исследуемый период переменам подверглась сама природа Ближнего Востока, что выразилось в опустынивании земель, возделывавшихся в древности и раннем средневековье, «что, возможно, было следствием общего процесса «усыхания» Азии» (стр. 29). Однако, это не означает отрицания антропогенного фактора. Хотя сокращение обрабатываемых земель в этом регионе объясняется явлениями общего экологического кризиса, однако, как правильно отмечает автор, «было бы ошибкой объяснять трансформацию земледелия Сирии, Ливана и Палестины в новое время только или преимущественно природным условиями. Этому противоречат данные, свидетельствующие о влиянии на состояние земледелия степени феодального гнета, экономической конъюнктуры и политической ситуации» (стр. 30).

В следующих главах (их всего семь) исследованы такие вопросы, как сельскохозяйственное производство, распределение прибавочного продукта и роль обмена в его перераспределении, подземельные отношения, роль сирийских городов в общественном разделении труда и тенденции социально-экономического развития, положение ремесел и вопросы социальной структуры общества.

Развитие сирийского земледелия в XVIII веке автору монографии не представляется значительным или устойчивым. В рассмотренный пе-


риод оно находилось «на стадии докапиталистической эволюции со свойственной этому отсталостью: разделение труда в крестьянской семье было половозрастным, хозяйство оставалось натуральным, сочетающим земледелие с домашней промышленностью; на больших пространствах плодородных земель велось экстенсивное кочевое хозяйство; орудия труда были примитивными» /стр. 43/. Такому положению земледелия соответствовали и социальные связи в деревне, а также система налогообложения.

В исследуемый период в Сирии, так же как во всей Османской империи, продолжался процесс деградации турецкой военно-ленной системы. В то время, когда военные лены постепенно превращались в феодальные владения, функции сипахийского ополчения всё чаще выполняли наемные вооруженные отряды, а сфера действия откупной системы расширялась. Откупщики /мультазимы/ получали публичную власть во вверенной им территории, создавали собственную администрацию и вооруженные отряды /стр. 80-82/.

Значительное место в своей монографии И. М. Смилянская уделяет вопросам городской жизни Сирии. Автор отмечает относительно высокое развитие товарно-денежных отношений, концентрацию населения в городах и объясняет это не тенденциями капиталистической трансформации, а наличием некоторых специфических черт докапиталистической сирийской общественно-экономической организации /стр. 84-104/. Рост городов происходил преимущественно за счет увеличения населения, занятого в сфере торговли и ремесла, однако, в этом процессе не следует исключать роль неэкономических факторов /стр. 117/.

Особое внимание уделено вопросу о ремеслах. Отмечается, что в сирийском ремесле разделение труда в основном сохраняло цеховой характер, и только в одной отрасли — изготовлении ткани — сложилось мануфактурное разделение труда; специализированным стало и производство орудий труда для этой отрасли. Подобная неравномерность развития ремесленного производства, по мнению автора, является ранней чертой трансформации цехового ремесла в капиталистическую мануфактуру /стр. 134/. Анализ терминов сирийских ремесел показывает наметившуюся профессиональную и имущественную дифференциацию в сфере ремесленников /стр. 127/.

Исследуемый материал позволяет автору определить функции разных социальных групп сирийского общества и выделить «правлящий слой», который состоял из верхушки военно-административной, воинской, бюрократической и улемской прослоек. Государственный аппарат был не только орудием в руках господствующего класса, но и персонифицировал его самую влиятельную часть /стр. 182/. Автор отмечает, что в военно-бюрократический аппарат часто выдвигался арабский элемент. Подтверждением этого является история семьи аль-Азм, представители которой в XVIII веке правили почти всей Сирией. Привилегированный слой составляли и улемы, которые обладали духовным авторитетом и пользовались политическим влиянием в обществе. Важную роль в политической жизни городов играли янычары, пользующиеся определенными привилегиями, что привлекало в их ряды и местных жителей. В XVIII веке потеря прежнего военного значения янычар обусловила усиление роли других наемных отрядов /стр. 167/. Что касается финансовой и канцелярской службы, то по мнению автора монографии, она была специализированной отраслью управления и зародышем подлинной бюрократии, заинтересованной в сильной государственной власти. Распространенная в Османской империи покупка должностей в XVIII веке позволила некоторым представителям крупного купечества, ростовщикам и владельцам неслужебных имений вли-



таться в состав «служебных» группировок. В худшем положении находились представители более многочисленной торгово-растопившейся и земледельческой верхушки иноверцев /христиане, евреи/; они могли «поднять свой социальный престиж и вместе с тем, хотя бы отчасти отградить себя от вымогательства со стороны властей, лишь поступив на службу к османским сановникам» /стр. 181/. Определенное отношение к власти имела также местная землевладельческая знать (айяны), которая входила в совещательный совет провинции — диван.

Подводя итог вышеотмеченным наблюдениям и указывая на замедленный темп эволюции ближневосточного общества, автор заключает, что к концу XVIII века «изучаемое общество достигло уровня зрелого феодализма, при котором уже намечались признаки его перехода к позднему феодализму». /стр. 193/.

Особенно следует отметить широкую источниковедческую базу рецензируемой монографии.

Как известно, в XVI—XVIII веках, арабская историография переживала относительный упадок. Конечно, труды по истории вновь создавались, но по форме они ничем не отличались от арабских сочинений предыдущих веков, а по качеству во многом уступали им. Подавляющее большинство арабских авторов проявляло интерес только к своему городу и к биографиям правителей, кадиев, улемов или других знатных людей, а другая часть занималась составлением хроник отдельных городов или провинций. Таким образом, за весь XVI—XVIII вв. трудно найти арабское историческое сочинение, полностью охватывающее всю Сирию. Причины такого положения арабской историографии следует искать в политических и социально-экономических условиях арабских стран периода османского владычества.¹ Однако, как уже указывалось выше, арабские исторические сочинения создавались и в XVI—XVIII веках. Скрупулезное изучение этих источников позволяет выявить полезный материал, столь необходимый для исследователя. Монография И. М. Смилянской является ярким тому подтверждением.

В рецензируемой работе использованы труды таких арабских авторов, как Мухаммад аль-Мухибби /XVII в./, Мухаммад Халил аль-Муради /XIII в./, и особенно хроника Ахмеда аль-Будайри аль-Халлака /XVIII в./ — «Хавадис Димашк аль-явмия» /«Дамасская хроника»/, изданная в 1959 году профессором университета Айн-Шамс Ахмедом Иззат Абд аль-Каримом в Каире². Для изучения положения и роли сирийских ремесел использован двухтомный «Словарь дамасских ремесел», изданный в Париже в 1960 году Зафаром аль-Касими, а также материал, собранный сирийским ученым И. Кудси /Лейден, 1883 г./.

Следует подчеркнуть, что в советской историографии эти арабские источники были широко привлечены именно в работе И. М. Смилянской. Большую трудность в исследовании истории Сирии XVII—XVIII веков долгое время создавало отсутствие документальных источников. Как известно, архивы стран Ближнего Востока сильно пострадали, однако, турецкие архивы в этом отношении представляют некоторое исключение. За последнее время многие турецкие историки сами не раз

¹ См.: А. Е. Крымский, История новой арабской литературы, М., 1971, стр. 23—24.

² С сообщением о значении этой хроники профессор Ахмед Иззат Абд аль-Карим предстал на вторую конференцию семитологов в Тбилиси в 1966 году; см. Ахмед Иззат Абд аль-Карим, Предисловие к книге «Дамасская хроника /1741—1762», М., «Наука», 1966 /АН СССР, Вторая конференция семитологов, Тб., 14-18 июня, 1963; Доклады, вып. 7, М., 1966 /на арабск. языке/.

16.01.59
310-311033

обращались к архивным материалам, а их публикации открыли к ним доступ ученым других стран.³ В рецензируемой работе учтены многие турецкие документы, изданные О. Л. Барканом и советским ученым А. С. Тверитиновой, а также документы дамасских махкаме /судов/ по интересной работе современного сирийского историка Абд-аль-Карим Рафика.

Вне поля зрения исследователя не остались и многочисленные путевые заметки русских, армянских и западноевропейских путешественников. Глубокий анализ этих источников и разнообразной научной литературы позволил автору провести некоторые исторические параллели между Западом и Ближним Востоком исследуемого периода, предоставил возможность для ценных научных обобщений и выводов.

К монографии прилагается список дамасских профессий конца XIX — начала XX в. /по Словарю аль-Касими/, который несомненно заслуживает внимания.

Отмечая достоинства рецензируемой работы И. М. Смилянкой хотелось бы высказаться по некоторым вопросам, затронутым автором.

Как явствует из заглавия монографии, хронологически она охватывает «рубеж нового времени», а в введении уточняется, что хронологическим рубежом между средневековьем и новым временем на Ближнем Востоке следует считать XVII—XVIII века /стр. 3/; однако содержание монографии показывает, что исследовательские интересы автора распространяются на весь XIX век. Следовало ожидать, что автор, хорошо осведомленный о социально-экономической структуре общества, как докапиталистического, так и позднего периода /XIX в./ на примере исследуемого региона Ближнего Востока более определенно выскажется относительно хронологического рубежа между средневековьем и новым временем, тем более, что в научной литературе по этому вопросу отмечены серьезные расхождения⁴. Неясным представляется и критерий, по которому автор определяет рубеж нового времени.

³ О значении турецких архивных материалов и о положении их исследования см.: Джаба дефтер Чалдырского эялета /1694—1734 гг./, Турецкий текст с грузинским переводом подготовила к изданию Ц. А. Абуладзе, исследованием снабдил М. Х. Сваицидзе, Иностранные источники истории Грузии, X, Тбилиси, 1979, стр. II-44 /на груз. языке, резюме на русск. языке/.

⁴ Не считая возможным детальное рассмотрение вопроса в данной рецензии, приведу только некоторые высказывания специалистов. Так, например, указывая на продолжительность развития феодализма на Ближнем и Среднем Востоке, В. Н. Габашвили предложил /в порядке рабочей гипотезы/ следующую периодизацию ближневосточного города: раннефеодальный период /VI—X вв./, период развитого, т.е. зрелого феодализма /X в.—первая половина XVIII в./ и позднефеодальная эпоха /вторая половина XVIII в.—XIX в./ По мнению ученого, только в последней четверти XIX в. новые социально-экономические условия изменили восточный город и появились признаки зарождения нового буржуазного города; см. В. Н. Габашвили, Средневековый ближневосточный город /Опыт периодизации/, —Очерки по истории городов Ближнего Востока, II, Тбилиси, 1970, стр. 58-59, /на груз. языке, Предисловие на русском языке, стр. IV—VII/.

Затрагивая вопрос о периодизации истории средневековой Турции, М. С. Мейер высказал мнение о том, что начинающийся на рубеже XVIII—XIX вв. период турецкой истории «можно было бы считать стадией позднего феодализма,—когда в недрах разлагающегося феодального способа производства начинают складываться капиталистические отношения; см. М. С. Мейер, К периодизации истории Турции эпохи феодализма, — Вестник Московского университета, серия III, востоковедение, Изд. Моск. университета, 1977, стр. 12. Однако автор тут же справедливо указал, что



В монографии затронут вопрос о значении и роли транзитной, а именно левантийской или восточной/ торговли. Предостерегая читателя от переоценки влияния транзитной торговли на развитие сирийских городов, автор высказывает мнение о том, что ритм восточной торговли не был напряженным из-за трудности судоходства, медленного передвижения караванов и др. По мнению автора, «тезис о том, что сирийские центры были обязаны своим процветанием транзитной торговле, опровергает рост Халеба и Дамаска, продолжавшийся и после кризиса транзитной торговли в XVII в.» /стр. 100/. Высокий уровень товарно-денежных отношений и развитость городской жизни Сирии в XVII—XVIII веках автор монографии связывает не с левантийской торговлей, а относит к таким факторам, как непрерывность существования с древности большинства городов /стр. 100/, статус города, как административного центра и организатора хаджа /стр. 114-115/ и развитие внутренней торговли и ремесла /стр. 115-117/.

Однако, проявляя некоторую непоследовательность в оценке роли транзитной торговли, под влиянием фактического материала автор признает, что «не следует недооценивать значение восточной караванной торговли» /стр. 99/, и далее отмечает, что даже в XVIII веке «Халеб не только оставался важным пунктом транзитной торговли, но был одним из крупнейших на Ближнем Востоке торгово-ремесленных центров с производством тканей на внешние рынки» /стр. 108/.

В течение веков, еще до появления ислама, караванная торговля между Востоком и Западом имела огромное значение для Сирии в силу ее географического положения. Многие города /и даже города — государства, как например, Пальмира в Сирийской пустыне/ возникали и процветали именно благодаря транзитной торговле, хотя препятствия для торговых сношений существовали постоянно. Со временем многие из этих городов перестали существовать или пришли в упадок вследствие войн, стихийных бедствий или перемещения торговых путей, а некоторые из них сохранили свое значение и в XVI—XVIII веках.

Непосредственная зависимость городов Ближнего и Среднего Востока от транзитной торговли подтверждается многочисленными источниками и исследованиями⁵. Безусловно, временные застои в восточной

«крайне медленное зарождение капиталистического уклада способствовало консервации феодальных порядков»... Там же, стр. 12.

Некоторые авторы не считают методически обоснованным поиск особого хронологического рубежа между средневековьем и новым временем, «поскольку уровень общественного развития стран Азии и Африки к началу нового времени как ступени всемирной истории отличался крайней пестротой»; см. Л. А. Березный, К спорам о хронологическом рубеже между средневековьем и новым временем на Востоке, — «Народы Азии и Африки», 1973, № 4, стр. 152. По мнению автора статьи, «конкретное изложение должно выявлять характер общества, существовавшего в той или иной стране Азии и Африки, с которым оно вступало в новое время»; там же, стр. 152.

⁵ Установлено, что в XVII веке международная торговля Ирана намного превосходила по товарообороту внутреннюю торговлю и обуславливала развитие городов; см. К. К. Куцня, Города и городская жизнь ссфевидского Ирана. Торговля, городские налоги, Тбилиси, 1966, стр. 55 (на груз. языке); его же Городской строй Ссфевидского государства, — Товарно-денежные отношения на Ближнем и Среднем Востоке в эпоху средневековья, М., 1979, стр. 160—161. Также с левантийской торговлей было связано выдвигание некоторых городов Восточного Закавказья; см. В. Н. Габашвили, Взаимоотношения городов феодальной Грузии с городами Ближнего Востока, — Очерки по истории городов Ближнего Востока, Тбилиси, 1966, стр. 168, 174, 185 /на груз. языке/; А. А. Абдурахманов, Азербайджан во взаимоотношениях России, Турции и Ирана в первой половине XVIII в., Баку, 1964, стр. 12-13.

торговле имели место и в XVI—XVII веках, однако постоянные при-
таки ее упадка появились только в первой половине XVIII века. Инте-
ресно отметить, что даже в период значительного уменьшения транзитной
транзитной торговли /т.е. в первой половине XVIII в./, османские го-
сударственные деятели считали ее главным источником богатства госу-
дарства⁶, а по мнению некоторых исследователей сокращение леванти-
йской торговли способствовало упадку Османской империи в XVIII—
XIX вв.⁷

Что касается высказываний автора о интенсивности внутрисирий-
ских торговых связей, и о том, что объем внутренней торговли превос-
ходил по объему транзитную торговлю /стр. 98, 99/, то они, по нашему
мнению, не подтверждаются фактическим материалом и поэтому нет
оснований говорить о значительном усилении внутреннего рынка Си-
рии в XVII — XVIII вв.

В рецензируемой работе большое место уделено исторической де-
мографии Сирии. Автор справедливо отмечает противоречивость сущес-
твующих источников в определении численности населения исследуемо-
го региона, однако не объясняет причины этих противоречий. Между
тем следовало указать, что турецкие документы /в основном налоговые
реестры, изученные О. Л. Барканом/ не охватывают часть населения
/военнослужащих, священнослужителей, рабов/, а сообщения европей-
ских путешественников основывались главным образом на устных сооб-
щениях и личных впечатлениях. Специфика мусульманского общества
и общепризнанная коррупция турецких чиновников, очевидно, также
наложили свой отпечаток на упомянутые источники.

К сказанному выше следует добавить, что демографический воп-
рос Сирии в монографии представлен в двух главах: в первой главе
исследовано положение в стране в целом, /стр. 31-34/, а в пятой главе
изучена историческая демография городов /стр. 105-117/. По нашему
мнению, демографические вопросы следовало бы объединить в одну
главу.

Высказанные выше замечания несколько не умаляют достоинства
рецензируемой работы. Все основные выводы автора о характере ис-
следуемого общества основаны на глубоком анализе фактического ма-
териала и вполне убедительны. Монография И. М. Смилянкой явля-
ется первой и по нашему мнению, успешной попыткой изучения социа-
льно-экономической структуры Сирии, Ливана и Палестины периода
османского владычества. Несомненно, она будет способствовать повы-
шению интереса ко многим отдельным вопросам, затронутым автором,
и станет надежной базой для новых исследований.

М. И. Тикадзе

6. См. С. Ф. Орешкова, Из истории посреднической торговли в Османской империи в конце XV—начале XVI в. —Товарно-денежные отношения на Ближнем и Среднем Востоке в эпоху средневековья, М. 1979, стр. 193.

7. R. Mantran, L'Empire Ottoman et le Commerce Asiatique aux 16-e et 17-e siècles. — Islam and the Trade of Asia. A Colloquium. Edited by D. S. Richards. Papers on Islamic History, Vol. II, Oxford and Pennsylvania Press, 1970, p. 176.



**ევლია ჩეღეზის „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან
თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი
ფუთურაძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ. 1971 წ., ნაკვ. II,
გამოკვლევა, კომენტარები. რედაქტორი სერგი ჯიქია, თბ. 1973 წ.**

ოსმალურ წყაროებში მეტად საყურადღებო ცნობები მოიპოვება ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია XVII საუკუნის გამოჩენილი თურქი მოგზაურის ევლია ჩეღეზის „სეიაჰათ-ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“).

ევლია ჩეღეზი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. მან კარგად იცოდა ღვთისმეტყველება, ისტორია და ლიტერატურა. დახელოვნებული იყო მუსიკაში, მხატვრობასა და ოქრომჭედლობაში. გარდა თურქულისა, მან იცოდა არაბული, სპარსული, ბერძნული, სირიული და სხვა.

ევლია ჩეღეზიმ თითქმის ნახევარი საუკუნე მოგზაურობაში გაატარა და ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა მოინახულა. მოგზაურობის შედეგად ნანახი და განცდილი აღწერა თავისი „მოგზაურობის წიგნში“. ევლია ჩეღეზის ეს თხზულება ათი ტომისაგან შედგება.


„მოგზაურობის წიგნში“ მდიდარი მასალა მოიპოვება მრავალი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული საყიდების გასაშუქებლად. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ თხზულების ნაწილები, რომლებშიაც სხვადასხვა ქვეყანა აღწერილი, მრავალ ენაზეა თარგმნილი (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, რუმინულ, უნგრულ, სერბიულ, პოლონურ, ბულგარულ, რუსულ და სხვ.). „მოგზაურობის წიგნის“ სრული თარგმანი არც ერთ ენაზე არ არსებობს.

გ. ფუთურაძემ ქართულ ენაზე თარგმნა ევლია ჩეღეზის „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომი. თარგმანი შესრულებულია 1897 წლის სტამბულის გამოცემა T-ის საფუძველზე; მასში თავმოყრილია მდიდარი მასალა ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ.

„მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომი მთლიანად არ ყოფილა თარგმნილი. ფ. კ. ბრუნმა, ი. ჰამერის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანიდან, რუსულად თარგმნა რამდენიმე ნაწყვეტი თხზულების იმ ადგილებსა, რომლებიც აზოვის ბრძოლას, შავი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობას და ამიერკავკასიის მდგომარეობას შეეხება. ა. ხ. საფრასტიანმა სომხურად თარგმნა ის ადგილები, რომლებიც სომხეთისადმი მიძღვნილი.

„მოგზაურობის წიგნის“ მასალები სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყენებული აქვთ ვ. ბარტოლდს, ვ. გორდლევისს, ს. ჯიქიას, ვ. ვაბაშვილს, ი. ყიფშიძეს, ს. აშურბეილის, დ. გულიაშვილს, გ. ანჩაბაძეს და სხვა.

„მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომი გ. ფუთურაძის მიერ თარგმნილია შესანიშნავი ქართული ენით. ცნობილია, რომ ძველი თურქული ენიდან თარ-



გმნა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გ. ფუთურიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „შუა საუკუნეების ოსმალეთში სამწერლო ენა ზუსტად მოყალიბებული არ იყო და ყოველი მწერალი თავისებურად წერდა. ეს ე. წ. ოსმალური ენა არსებითად განსხვავდებოდა სასაუბრო ენისაგან და მით უმეტეს, თანამედროვე ლიტერატურული თურქულისაგან. ოსმალური წარმოადგენდა ხელოვნურ ნარევს თურქული, არაბული და სპარსული სიტყვებისა და გრამატიკული კონსტრუქციებისა, რომელთაც ყოველი მწერალი ნებისმიერად იყენებდა. ზოგიერთი გამოთქმა, ორპარაფანი და ხატოვანი ნათქვამი, ისტორიული ფაქტი, რაც იმდროინდელი მკითხველისათვის გასაგები იყო, დღეს პეტად ძნელად გამოსაცნობია“ (ნაკ. II, გვ. 10).

სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ ევლია ჩელები სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილების, მოსახლეობის ადრე-ჩვეულებების და ენის თავისებურებების გადმოცემისას ხშირად ვერ ახერხებდა თურქულ ენაზე ზუსტად გადმოცემა ესა თუ ის გეოგრაფიული, თუ საკუთარი სახელი. გ. ფუთურიძემ წარმატებით დაძლია ეს სიძნელე და შესანიშნავი ქართული ენით აამტყვევლა ეს წყარო.


„მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომში ევლია ჩელების მიერ ძირითადად აღწერილია 1640 — 1648 წლებში ამიერკავკასიის ქვეყნებში ნანახი ადგილები.

ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ევლია ჩელების ის ცნობები, რომლებიც საქართველოს შეეხება. განსაკუთრებით მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო მასალა მოგვცემა ევლიას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან (ახალციხის საფაში) დაკავშირებით. მას აღწერილი აქვს საქართველოს ამ მხარის ციხე-ქალაქები, მოსახლეობა, სოფლის მეურნეობა, ახალციხის ფაშისა და სანჯაყ-ბეგების სახასო სამფლობელოების ყოველწლიური შემოსავალი, სანჯაყების მიხედვით ზეამეთებისა და თიმარების რაოდენობა, დასახლებულია ახალციხის საფაშიში შემავალი სანჯაყები და სხვა. ევლია ჩელები პირადად შეხვედრია ახალციხის გამგებელ საფარ ფაშას. იგი წერს, რომ „საფარ ფაშა წარმოშობით ქართველია, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო.“ (ნაკ. I, გვ. 437).

მეტად საყურადღებოა ევლიას ცნობა, რომ ფანაჯისა და ბეგუმის მოსახლეობა ქართველი აზნაურებისაგან შედგება (ნაკ. I გვ. 304). ეს ფაქტი იმაზე უფროთეხს, რომ ამ მხარის დაპყრობის დაახლოებით ასე წლის შემდეგ, აქ ძვევ ცხოვრობდნენ ქართველი აზნაურები, რომლებმაც შეინარჩუნეს გარკვეული პრივილეგიები.

მეტად მრავალმხრივია ევლიას ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, ამეგრელოში მან „სამოცამდე ქალაქის მსგავსი სოფელი ნახა“, ხოლო სამეგრელოს „მთებში კი, შენიშნავს თურქი მოგზაური, „ბალ-ვენახიანი და სახლმეული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია ზღვის-ოდენა არც რომ იქოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათ-სამდე აფთი შეიარაღებული მოსახლეობა“ (ნ. I, გვ. 96).

მშლ ცნობით, აფხაზებს მდ. ფაშიდან ანაპის ციხემდე მდებარე ტერიტორია მათ და ოცდახუთ ტომად იყოფოდნენ. ზღვისპირა აფხაზეთი ოსმალეთს მჭიდრობდა, ხოლო მთაში ოსმალეთის გავლენა ვერ აღწევდა. ევლია დასკ, რომ აფხაზები „ხარაჯას, ბალ-ვენახის აშარს არ იხდიან... ურჩი და ნეამბი ხალხია“ (ნ. I, გვ. 105—106).



„მოგზაურობის წიგნიდან“ ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს მისახლება, რიგ შემთხვევაში, ეხმარებოდა დონის კახაყებს ოსმალეთში წაღმდეგ ბრძოლაში. მეტად მდიდარი ცნობები მოიპოვება ლახების შესახებ.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ევლია ჩელები: მიერ ჩაწერილი ქართული (შავშეთის), მეგრული, ლახური და აფხაზური ენის ნიმუშები. ევლია ჩელების თხზულებიდან კარგად ჩანს, თუ როდენ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში ტყვეთა სყიდვა.

ევლია ჩელების გადმოცემით ქალაქი თბილისი „ძალიან აყვავებულა და განვებულა“, მის აღწერილი აქვს ქალაქის დირსუსსანიშნობანი. ქალაქში მის მოსწონებაა ქებული თბილასური ბანაბა, ანგარის მატყლი, წმინდა თბილისური პური და ატამი.

„მოგზაურობის წიგნი“ მოიპოვება ცნობები საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ჩაცმულობის, საჭმელ-სასმელისა და სხვათა შესახებ.

სარკვევითი წიგნის მეორე ნაკვეთში გ. ფუთურძის მიერ დახასიათებულია ევლია ჩელები როგორც მოგზაური და ისტორიკოსი.

ევლია ჩელები თავისი თხზულება დაწერა მოგზაურობის დროს შედგენილი დღიურების საფუძველზე და რიგ შემთხვევაში საისტორიო წყაროების გამოყენებით. გ. ფუთურძის დაკვირვებით, „მოგზაურობის წიგნის“ წერის დროს ევლია ჩელების გამოყენებული აქვს ისტორიული თხზულებები თურქულ, არაბულ, სპარსულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე. ქვეყნების ქალაქების, ციხეების აღწერისას ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებს მიმართავდა და სხვადასხვა ენაზე შედგენილ მატიაწევს იყენებდა. ეს ცნობები შეეხება ქალაქების ამენებისა და მათ მიერ ვადახდილი ბრძოლების, დინასტიების ისტორიას, სხვადასხვა ქვეყნებს შორის მომხდარ ომებს და სხვა. (ნ. II, გვ. 21). ამასთანავე ევლია იყენებს, აგრეთვე, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ნუმისმატიკურ მასალას, სულთნისა და დიდ მოხელეების წერილებს და სხვა.

გ. ფუთურძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ევლია ჩელების თხზულების ისტორიულ ნაწილში მთავარი ადგილი ომების ისტორიას უკავია. ევლია თავისი კლასის — ფეოდალთა კლასის შვილი იყო. მან კარგად იცოდა, როგორ ძარცვავდნენ ქვეყნებს ოსმალები და თვითონაც მონაწილეობდა ოსმალთა მიმართულ ომებსა და თავდასხმებში, ამიტომაც მას, როგორ ისტორიკოსს და როგორც ომში მონაწილეს, ბუნებრივად, კანონზომიერ გველენად მიიჩნია „ლრჯულოთა“ ქვეყნების ძარცვა-სამაგიეროდ იგი სასიკი მოწინააღმდეგეა თურქული სოფლების აწიოკებისა და სხვა. გ. ფუთურძე დასკვნის, რომ ევლია ჩელები როგორც ისტორიკოსი თავის ღია ისტორიკოსთა დონეზე დგას და ტიპიური წარმომადგენელია XVII სუჟნის ოსმალური ისტორიოგრაფიისა (ნ. II, გვ. 22 — 26).

გ. ფუთურძეს ცალკე აქვს გაანალიზებული ევლია ჩელების კობები საქართველოს შესახებ. მისი დაკვირვებით, ევლია ჩელები საქართველოს „გურჯისტანს“ უწოდებს, მაგრამ ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს: ზოგ შემთხვევაში „გურჯისტანი“ მთელ საქართველოს აღწავს, ზოგჯერ — „გურჯისტანი“ აღმოსავლეთ საქართველოს ნიშნავს, ხოლო როდესაც

საც ევლია ხმარობს „გურჯისტანის ვილაიეთს“, აქ იგი დასაეღეთ საქართველოს გულისხმობს (ნ. II, გვ. 29-33).

სარეცენზით წიგნის მეორე ნაკვეთში მოცემულა ქართული თარგმანისათვის გაკეთებული შენიშვნები, სადაც ახსნილია და განმარტებულია ევლია ჩელების მიერ ნახსენები პიროვნებები და სხვადასხვა ისტორიული ფაქტები, მუსლიმანური სამსახურისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებანი, ხატოვანი სიტყვები და სხვა. გარდა ამისა ცალკეა განმარტებულია სოციალურ-ეკონომიური, სამოხელეო, სამხედრო და სხვა ტერმინები. წიგნს დართული აქვს პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები.

გვაქვს ზოგადი ხასიათის შენიშვნები:

ვფიქრობთ, საჭირო იყო საქართველოს შესახებ ცნობების შეფასებასთან ერთად მოცემული ყოფილიყო, აგრეთვე, აზერბაიჯანის და სომხეთის შესახებ არსებული მასალის ანალიზიც, რადგან „მოგზაურობის“ მეორე ტომში თავმოყრილი ცნობები ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ქვეყნებს.


გ. ფუთურიძე სრულიად სამართლიანად წერს, რომ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ დაწერისას გამოყენებული აქვს საისტორიო წყაროები თურქულ, არაბულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. სასურველი იყო მკვლევარს ნაწილობრივ მაინც დაედგინა მეორე ტომის წყაროები. ზოგ შემთხვევაში ამის შესახებ თვით ევლიაც მიუთითებს. მაგალითად, ევლია ახალციხისა და აწყურის ციხეებთან დაკავშირებით წერს, რომ მათ შესახებ ცნობებს იძლევა „შერეფნამეს მიხედვით“ (წ. I, გვ. 286—290).

ევლიას მოტანილი აქვს ლალა მუსტაფა ფაშას წერილი ქართლის გამგებელ დაუდ ხანისადმი. ცნობილია, რომ ლალა მუსტაფა ფაშას წერილები ამიერკავკასიის მეფე-მთავრებისადმი მოთავესებულია აღის „ნუსრეთ-ნამეში“ და საფიქრებელია, რომ დაუდ ხანისადმი გაგზავნილი ეს წერილი ევლიას „ნუსრეთ-ნამედან“ უნდა ჰქონდეს ამოღებული და სხვა.

ვფიქრობთ, საჭირო იყო ევლია ჩელების ცნობები შედარებული ყოფილიყო სხვა წყაროების მონაცემებთან, მაშინ კიდევ უფრო მეტად ნათელი გახდებოდა ამ თხზულების ღირებულება.

ეს შენიშვნები არ ამცირებენ ამ გამოცემის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ამ გამოცემას დიდი ინტერესით შეხვდებიან როგორც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებული ისტორიკოსები, ისე სხვა დარგების სპეციალისტებიც.

მიხეილ სვანიძე



ზურაბ შარაშიანი, ფერეიდნელი „გურჯაბი“,

„მეცნიერება“, თბილისი, 1978

ისტორიული ავტობიოგრაფიის გამო მრავალი ქართველი აღმოჩნდა ირანში. ქართველთა განსაკუთრებით დიდ გადასახლებას ჰქონდა ადგილი 1616 წელს შაჰ აბას I მიერ კახეთის დარბევის შემდეგ: ზოგიერთი წყაროს ცნობით 100 000, ზოგიერთის მიხედვით კი-130 000 კაცი აპყარეს კახეთიდან და ჩასახლეს ირანის სხვადასხვა რაიონში (ზორასანში — აბას აბადის რაიონში, მაზენდარანში, ფარსში, ფერეიდანში). ირანში გადასახლებული ქართველების უმეტესობა გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, მხოლოდ ფერეიდანში ჩასახლებულმა ქართველებმა დღევანდლამდე შეინარჩუნეს მშობლიური ქართული ენა (რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად სახემუცვლილი), ზნე-ჩვეულებები და სხვ.

ფერეიდნელი ქართველებისადმი ინტერესი ქართულ საზოგადოებრიობაში ჩნდება ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ხოლო შემდეგ XIX ს-ის 70-იან წლებში, საქართველოში პირველი ფერეიდნელი ქართველის იოთამა თნიკაწვილის ჩამოსვლის შემდეგ ეს ინტერესი სულ უფრო და უფრო ცხოველდება (90-იან წლებში ლადო აღნაიშვილის მოგზაურობა ფერეიდანში, ფერეიდნელი ქართველების ჩამოსვლა საქართველოში, 20-იან წლებში სეიფელა იოსელიანის ჩამოსვლა საქართველოში და ამბაკო ჭელიძის მოგზაურობა ფერეიდანში და სხვ.). ქართული მეცნიერება და ქართული საზოგადოებრიობა დღესაც ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებას, ამ ინტერესის ნათელი გამოხატულებაა ირანისტი ისტორიკოსის, ისტორიოს მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ შარაშენის წიგნი „ფერეიდნელი „გურჯაბის“ გამოქვეყნება“.

სარეცენზიო წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ენარის ნაშრომია და მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობისათვის არის გათვალისწინებული.

ავტორი შესავალში იძლევა ირან-საქართველოს ურთიერთობის მოკლე ისტორიას აქემენიანთა დროიდან შაჰ აბას I ეპოქამდე. ცალკე თავში („ირანის ლომი“) იგი მოგვითხრობს შაჰ აბას დიდის ცხოვრება-მოღვაწეობას, მისი სანხედრო, ადმინისტრაციული და სავადასახლო რეფორმების, საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ. შედარებით ვრცელადაა საუბარი შაჰ აბას I კარზე, ე. წ. „ახალი არისტოკრატიის“ (ქართველები, სომხები, ჩერქეზები...) დაწინაურების და ხალხთა დიდი აყრა-გადასახლების („დიდი სურღენი“, ქართველების აყრა-გადასახლება 1616 წ...) მიზეზების თაობაზე, ხაზგასმულია, რომ ქართველების გადასახლებით შაჰ აბას I ირანის სოფლის მეურნეობის აღორძინებას ლამობდა, ხოლო სომხებს გადასახლებით კი ვაჭრობა-ხელოვნობისა.



სარეცენზიო წიგნის ცალკე თავში მოთხრობილია, თუ როგორ წინააღმდეგობას უწევდა ქართველი ხალხი ყოილბაშების მოძალდებებს (ლუარსაბ I და სიმონ I მეთაურობით ხანგრძლივი ბრძოლა ყოილბაშების წინააღმდეგ!), ამავე დროს ყურადღება ექცევა იმ გარემოებასაც, რომ ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ბრძოლაში ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ქართლას გამოყენებასაც ცდილობდა (სიმონის განთავისუფლება ალაშუთის ციხიდან, მისთვის რაყამის „ძმობით“ ბოძება და ქართლში ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნა!).

წინამდებარე წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი დიპლომატი ქალის გულჩეპრეს მოღვაწეობის აღწერას („ლეკი ლომისა სწორია...“). სიმონ მეფის შვილიშვილი გულჩეპრე თან ახლდა პაპას ჯერ ირანში, ხოლო როდესაც სიმონი ოსმალებმა შეიპყრეს, ქართველმა მანდილოსნებმა იგი ოსმალეთში გააგზავნეს, რათა სათანადოდ მოეველო სიმონისათვის.

გულჩეპრე დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ ირან-ოსმალეთს შორის გამართულ საზავო მოლაპარაკებაშიც თამაშობდა გარკვეულ როლს.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება შაჰ აბას I სამხედრო ექსპედიციებზე საქართველოში (1613, 1616, 1617, 1625 წწ), რომელთა შედეგადაც აუარებელი ქართველი გაიჟლიტა, ხოლო ასი-ასოცდაათი ათასი კაცი ირანში იქნა გადასახლებული.

ზ. შარაშენიძე, სხვადასხვა ევროპელი ავტორის მონაცემებზე დამყარებით, იძლევა ცნობებს ირანში ქართველთა განსახლების შესახებ, შემდეგ კი სპეციალურად ჩერდება ფერეიდნელ „გურჯებზე“.

„შაჰ აბასმა, როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და სახელმწიფოს განგებელმა, ქართველები კომპაქტურად დიდი რაოდენობით ჩაასახლა ფერეიდანის მალაღმთიან რაიონში იმ მიზნით, რომ ცოცხალი ზღუდე შეექმნა ბახთიარების, ლურების და ქურთების ტომებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ და შიშის ზარს სცემდნენ სეფიანთა სატახტო ქალაქ ისფაჰანს და მის გარშემო მდებარე სოფლებს“ (გვ. 57).

ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველებმა, როგორც ზევითაც ვთქვით, საუკუნეების მანძილზე გამოატარეს თავიანთი მშობლიური ენა და ზნე-ჩვეულებები. მათ შორის ცოცხლობდა აგრეთვე გადმოცემები დედა სამშობლოზე, გურჯისტანზე...

1871 წელს საქართველოში ჩამოვიდა პირველი ფერეიდნელი ქართველი იოთამა ონიკაშვილი. მის ჩამოსვლას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა.

1894 წელს ფერეიდანში იმოგზაურა ლადო აღნიაშვილმა, მან საინტერესო ცნობები ჩამოიტანა იქიდან იქაური ქართველების შესახებ, რომელთაც ჯერ კიდევ კარვად ჰქონდათ შენახული თავიანთი ქართული იერი, ზნე-ჩვეულებანი და ენა.

1896 წელს ირანიდან ლადო აღნიაშვილის დაბრუნების შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდნენ ფერეიდნელი ქართველები ყოლამ-რეზა ხუციშვილი და ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი. 1922 წელს კი საქართველოს სეიფილა იოსელიანი ეწვია.

1923 — 1929 წლებში ირანში მუშაობდა ამბაკო ჭელიძე, რომელმაც 1927 წელს იმოგზაურა ფერეიდანში და მნიშვნელოვანი ცნობები შეკრიბა



ფერეიდნელი ქართველების შესახებ. მანვე საქართველოში ჩამოიყვანა ფერეიდნელი ქართველი ბიჭი.

წინამდებარე წიგნში ყოველივე ზემოთქმული საინტერესოა და მოთხრობილი.

1965 წელს თეირანში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სამრეწველო საექსპორტო გამოფენა, სადაც საქართველოს პროდუქციაც იყო წარმოდგენილი. ამ გამოფენაზე სამუშაოდ ირანს მივლინებული იყო წინამდებარე წიგნის ავტორიც, სადაც ის შეხვდა ფერეიდნელ ქართველებს, 1967 წელს კი ზ. შარაშენიძეს კვლავ მიეცა საშუალება ირანში მოგზაურობისა, ასე რომ, სარეცენზიო წიგნის ზოგიერთი ნაწილი უშუალო შთაბეჭდილებებით არის დაწერილი.

ავტორი საგანგებო თავს უთმობს ფერეიდნელი ქართველების ენას, ზნე-ჩვეულებებს, მათ განსახლებას.

სარეცენზიო წიგნში შეტანილია ფერეიდნელი ტექსტები. ზ. შარაშენიძის წიგნი „ფერეიდნელი „გურჯები“ დაწერილია პირველწყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის მარჯვედ გამოყენებისა და უშუალო დაკვირვებების საფუძველზე. იგი საინტერესოდ, ცოცხლად და ლაკონურად აცნობს მკითხველს ირანის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, შაჰ აბას I ცხოვრება-მოღვაწეობას, ფერეიდნელი ქართველების თავგადასავალს. ამ წიგნის გამოცემით „მეცნიერებამ“ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა.

სარეცენზიო წიგნის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა:

1. მე-8 გვერდზე ავტორი წერს: „ირანში იალამის გავრცელების წლებში სამკვედრო-სასიცოცხლო ბრილა მიმდინარეობდა აღის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. ალი და მისი შვილი პოსეინი მოკლეს სუნიტებმა“.

უზუსტობაა! ალი 661 წელს ქუფას კათედრალურ მეჩეთში შესვლისას მოწამლული ხანჯლით მოკლული იქნა ხარეჯიტის მიერ, ხოლო ჰუსეინი კი 680 წელს ქერბალასთან დაიღუპა უბეიდულლას იბნ ზიადთან (ომეიადთა ადგილობრივი მმართველი) ბრძოლაში. იხ. Е. А. Беляев, Арабы, ислам и арабский халифат в раннем средневековье, Москва, 1965, стр. 161, 175; А. Масзэ, Ислам, Москва, 1962, стр. 44, 45, 46.

2. მე-16 გვერდზე ავტორი წერს: „თურქეთი ვერ ურიგდებოდა ტერიტორიების დაკარგვას და 1616 წელს განახლა ომი ირანთან, მაგრამ მას თურქეთისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. ძალაში დარჩა 1612 წლის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება, იმ განსხვავებით, რომ თურქეთის სულთანი ახლა ღებულობდა ირანიდან მხოლოდ 29 000 კილოგრამ (100 ხარვარს) აბრეშუმს“.

საჭირო იყო ავტორს მიეთითებინა, რომ პირველად ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო 1616 წელს, მაგრამ ოსმალეთის სულთანმა აჰმედ I (1603 — 1617 წწ) არ დაამტკიცა დიდევზირ მეჰმედ ფაშას მიერ შაჰ აბას I დადებული ზავი. სულთანმა მეჰმედ-ფაშა თანამდებობიდან გადააყენა. მის ადგილზე დანიშნულმა ახალმა ლიდვეზირმა ხალილ-ფაშამ ილაშქრა სამხრეთ აზერბაიჯანში. მის ევალეზობდა არდებელის დაკავება, აგრეთვე საქართველოსაკენ გაჭრა, თბილისის დაკავება და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე. მაგრამ ოსმალეთის ეს მცდელობაც მარცხით დამთავრდა. 1618 წ. სამხრეთ აზერბაიჯანში, სერაფის ველზე დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. ამ ზავის ძალით განახლდა სტამბოლია 1612 (1613!) წლის ზავის პირობები. თურქეთი ზავის პირობებით უკნაყოფილო იყო. აბას I გადაწყვიტა, რათა სულთანთანაც



შეთანხმებინა ზავის პირობები და ამ მიზნით სტამბოლს ელჩი გაავლინა. ეს ელჩი სტამბოლს ჩაეღდა 1619 წლის 19 აპრილს. ირანი და ოსმალეთი შეთანხმდნენ, რომ მათ შორის განახლებულიყო ზავი, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი კორექტივით: „ირანი ოსმალეთს უთმობდა მთელ სამცხე-საათაბაგოს („ახალციხის ეიალეთს“), ხოლო ოსმალეთი ახალციხის სანაცვლოდ ირანს უთმობდა დერნესა და დერთენგის სანჯაყებს, რომლებიც მდებარეობდნენ „ბაღდადის საზღვრებზე“. იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 344, 345.

3. მე-19 გვერდზე ავტორი წერს: „შან (შაჰ აბასა — დ. კ.) ჰრეილეგიები მიანიჭა ირანში მცხოვრებ ქრისტიანებს, რომლებიც წარმოადგენენ საიმედო დასაყრდენს ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირისათვის“.

უზუსტობაა! შაჰ აბას I მართლაც მფარველობდა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ირანში მცხოვრებ ქრისტიან სომხებს (გრიგორიანელებს) და კათოლიკებს, ხოლო მართლმადიდებელ ქართველებს კი სდევნიდა. შაჰ აბას I დამოკიდებულება ქრისტიანებსადმი შესანიშნავადაა გარკვეული პროფ. ვ. ვაბაშვილის ნაშრომში, ამიტომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. ვ. ვაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. 110, 111).

ჩვენი შენიშვნები ოდნავედაც არ ამცირებენ სარეცენზიო წიგნის ღირსებას. წინამდებარე წიგნი საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს ხელს შეუწყობს უკეთ გაიცნოს XVII ს-ის ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორია.

დავით კაციტაძე

ჯემშიდ გიუნაშვილი. საკითხავი წიგნი სპარსულში, თბილისი, 1980

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1980 წელს გამოსცა პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ შედგენილი „საკითხავი წიგნი სპარსულში“

(کتاب قرائت فارسی تالیسی ۱۹۸۰) რედაქტორი პროფ. დ. კობიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი გ. ჭიპაშვილი და გეოგრაფიის მეცნ. კანდიდატი ა. რონდელი.

„საკითხავი წიგნი“ წინ უძღვის მოკლე შესავალი „შემდგენლისაგან“ ქართულ და რუსულ ენებზე. შედგება 06—314 გვერდისაგან და მოიცავს 24 ორიგინალურ სპარსულ ტექსტს გეოგრაფიული მეცნიერების თიანჭმის ავლა სფეროდან.

წიგნი გათვალისწინებულია სტუდენტ-გეოგრაფებისათვის, მასალა შერჩეულია დიდი ველისგურითა და საჭმის ცოდნით, გათვალისწინებულია სტუდენტის შესაძლებლობანი, ირანის სბეციფიკა. ავი ერთი მხრივ, სტუდენტს აწვდის საინტერესო ინფორმაციას შესასწავლი ქვეყნის გეოგრაფიის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საინტერესო ენის დაუფლებაში, ნეტველების უნარ-ჩვევების სრულყოფასა და განმტკიცებაში.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალა გვაცნობს გეოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ საკითხებს. ესენი ვახლავთ: შინის სისტემა და დედამიწის სფერო, ადამიანი და ბუნებრივი ვარგმო, ფიზიოგრაფიული ფაქტორები. დიდი ადგილი ეთმობა ირანის სოფლია მეურნეობას, კერძოდ, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების საკითხებს. დაინტერესებული მკითხველი ნახავს მასალას წყლის რესურსებისა თუ საბადოების შესახებ. რამდენიმე ნაშრომი წარმოდგენილი ირანის ნავთობის, ნავთობქიმიური მრეწველობის, სამშენებლო და საბინაო მრეწველობის, მანქანათმშენებლობის შესახებ და სხვა. სათანადო ყურადღება ეთმობა ირანის ხელოსნობასა და კუსტარულ მრეწველობას. წიგნში შესულია მასალა მოსახლეობის ზრდისა და მუწახელის შესახებ, სტატისტიკისა და მოსახლეობის აღწერის შესახებ და სხვ. წარმოდგენილია ფრაგმენტები ნაშრომებიდან ირანული ოჯახის სოციოლოგიის საკითხებზე. შეტანილია ცნობები და გეოგრაფიული დახასიათება ირანის ორი მნიშვნელოვანი პროვინციის — ისპაჰანისა და გილანის შესახებ. აქვეა ირანის კონსტიტუციური რევილუციის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა და ზოგაერთი სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი.

როგორც ვხედავთ, „საკითხავი წიგნი“ წარმოდგენილია სოლიდური მასალა ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგადი პრობლემების, ირანის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ისტორიის საკითხებზე.



სარეცენზიო წიგნი შედგენილია ირანისტ-გეოგრაფებისათვის, მაგრამ ექვემდებარება მისი დიდი მნიშვნელობა ირანისტ-ისტორიკოსებისა და ირანულ ფილოლოგებისათვის, საქმე ეს გახლავთ, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების დღევანდელ დონეზე, როდესაც ასე გაქტიურებულია საერთაშორისო ურთიერთობანი, როდესაც ირანში დიდი ძვრები და ცვლილებები ხდება, უაღრესად გაიზარდა ინტერესი ქვეყნის თანამედროვეობის შესწავლისადმი. შესაბამისად იზრდება ირანისტების (ფილოლოგების, ისტორიკოსების, გეოგრაფების) როლიც, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, საჭირო ხდება კონტაქტის დამყარება მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლებთან, სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და სხვ. ყოველივე ამას შესაბამისი მომზადება სჭირდება, რაც სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გარეშე დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მეტიც — შეუძლებელია. მომავალი სპეციალისტები კი მოკლებულნი არიან ასეთ ლიტერატურას.

სპარსული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის საკითხი კარგა ხანია მწვავედ დგას ირანშიც. დიდია ფრანგულ-ინგლისური ვაულებები, არის ბურისტული ტენდენციებიც. ამის გამოა, რომ ხშირად ერთი ტექნიკური მოვლენის აღსანიშნავად ერთი ქალაქის ორ ქარხანაში ორი განსხვავებული ტერმინი იხმარება. ამ მომენტს არაერთი მეცნიერი მკვლევარი აღნიშნავს და გულისტკივილით დაადგატურებს თარჯიმნად ნამუშევარი ნებრსმიერი ირანისტი.

თარჯიმნობა კომპლექსური პროფესია გახლავთ და იგი შეასწავლი ქვეყნის ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის ცოდნის გვერდით გულისხმობს ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების ფლობას და თანამედროვე პირობების შესაბამისად, სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიით მარჯვედ ოპერირებისაც.

უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში კი საბუნებისმეტყველო მეცნიერება იმდენად გართულდა და დანაწევრდა, რომ მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი გახდა ვიწრო სპეციალიზაცია. ეს პროცესი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც შეეხო. ცნობილია, რომ ევროპული ენებიდან სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისას მთარგმნელთა ნაწილი მეცნიერების მხოლოდ ერთ დარგში კვალიფიცირდება, ხოლო მეორე ნაწილი სხვა დარგს ემსახურება და ა. შ. გამოდის როგორც პოლიტიკური, ისე დარგობრივი ლექსიკონები.

აღმოსავლეთმცოდნეთათვის სადღეისოდ ეს ყოველივე ფუფუნებად ჩანს, თუმცა გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, გამოცემულია ტექნიკური ლექსიკონები (ა. არენდის, ა. სამედოვის, პ. ქოროლის, პ. ალიევის, ე. მირზაბეკიანის, ჯ. გიუნაშვილის). მაგრამ ირანისტები მოკლებულნი არიან სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, ძნელად თუ ვინმეს ნიუწვდება ხელი ირანულ მეცნიერთა შრომებსა და გამოკვლევებზე. პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ შედგენილი «საკითხავი წიგნი», რომელშიც წარმოდგენილია მასალა ირანში გამოცემული საბელმძღვანელოებისა და გამოკვლევების მიხედვით, ამ მხრივ, უნიკალურია როგორც აღვნიშნეთ, უცხო ენების ცოდნის რთულ კომპლექსში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის ფლობა. ორიგინალურ სამეცნიერო ტექსტზე დაყრდნობა მეტ პროფესიულ სითამამეს სძენს სტუდენტს. წიგნში




თავმოყრილი ინფორმაცია, ფიქსირებული სტანდარტული ფორმების სისტემაში და გამოთქმები ხელს უწყობს მომავალი ირანისტის: მეცნიერისა და თარგმნის ჩამოყალიბებას, ეს კი „საკითხავი წიგნის“ უპირველეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს რამდენიმე სურვილი: ჩვენი აზრით, წიგნის პრაქტიკული ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მას რომ ერთვოდეს ლექსიკონი, რომელიც გახსნიდა გეოგრაფიულ ტერმინთა მნიშვნელობას, სისტემაში მოიყვანდა მათ და მოგვეცინდა უნიფიცირებულ თარგმანს ქართულ და რუსულ ენებზე. გარდა ამისა, სტუდენტის უზრაღდების მონილიზებასა და მიღებული ცოდნის განმტკიცებას დიდად შეუწყობდა ზღვს თითოეულ ტექსტზე დართული შესაბამისი სავარჯიშოებიც. აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნი ძალზე მცირე ტირაჟით (900) გამოიცა და მასშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ შედგენილი „საკითხავი წიგნი სპარსულში“ მნიშვნელოვანი შენახუნია ირანისტებისათვის და მისი ხელშეორედ გამოცემა დიდ სარგებლობას მოუტანს დაინტერესებულ მკითხველს.

მანანა კვაჭაძე

ვალერიან გაბაშვილი



ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლბი განიცადა: 1985 წლის 1 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ორიენტალისტი-ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვალერიან ნიკოლოზის ძე გაბაშვილი.

ვალერიან გაბაშვილი დაიბადა 1911 წლის 27 მარტს (9 აპრილს) ვოლოკდის გუბერნიის სოფ. ვერხოვაციე-

ში (პოლიტიკური გადასახლებულების ოჯახში). სწავლობდა თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე პეტრე მირიანაშვილი (ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას), ალ. გვახარია (ფილკლორს), მარიამ ბალანჩივაძე, ვერა ჭიჭინაძე (ისტორიას) და სხვ., რომელთაც მომავალ მკვლევარს გაუღვივებ ქართული კულტურისადმი სიყვარული.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. გაბაშვილი 1929 წ. შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წ. დაამთავრა. უნივერსიტეტში იგი ისმენდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ფილიპე გოგიჩაიშვილის, გიორგი გეხტმანის, ალექსანდრე ვაჩიშვილის და სხვათა ლექციებს.

1937 წ. ვ. გაბაშვილი ჩაირიცხა კავკასიამცოდნეობის (შემდეგ ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის) ინსტიტუტის ასპირანტურაში ირან-საწარაველოს ურთიერთობის სპეციალობით. ასპირანტურაში სწავლის დროს მისი საერთო ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი იყო, მეცნიერების სხვადასხვა დარგში კი ცნობილ მკვლევრებთან შეცადინებოდა: მრავალი წლის შე-



მღვ. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოგონებაში ^{ქართული ენის ისტორიის} ანი წერს: „ძველ ქართულს ნათელი ორი წლის განმავლობაში აკაკი შანიძესთან ვსწავლობდი (ნატონმა აკაკიმ „ვეფხისტყაოსნიდან“ ამომაწერინა „მცა“ ნაწილაკი, მთლიანად ვადამაწერინა ოთხთავი. ყოველკვირა ამოწმებდა ზენა რვეულებს, რომელშიაც განმარტებული იყო ძველქართული ტერმინები ან სიტყვები და ბოლოში წითელი მელნით აწერდა ხოლმე: ა. შ.), არქეოგრაფიას — მ. პოლივექტოვთან, ეთნოგრაფიას — გ. ჩიტაისთან, ნუმისმატიკას — თ. ლომოურთან, ძველ სომხურს — ილია აბულაძესთან, სპარსულს — ვ. ფურტიძესთან, თურქულს — ს. ჯიქაისთან“¹.

1940 წ. ვ. გაბაშვილმა დაამთავრა ასპირანტურა და დაიწყო მუშაობა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (პარალელურად იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე).

1942 წ. მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილება „დასტურლამაღია“ მიხედვით“. ოფიციალურმა ოპონენტებმა აკად. სიმონ ჯანაშიამ და აკად. ნიკო ბერძენიშვილმა მაღალი შეფასება მიაცეს ახალგაზრდა მეცნიერს ნაშრომს.

1945 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც ვ. გაბაშვილი, თავისი უფროსი კოლეგებისა და მასწავლებლების (გიორგი აბჯღედიანი, იუსტინე აბულაძე, გიორგი წერეთელი, ვლადიმერ ფუფურაძე, სერგი ჯიქია, მაკარ ხუბუა, ლეონ მელიქიეთ-ბეგი...) გვერდით კითხულობდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, ირანის, არაბეთის, თურქეთის ისტორიის ზოგად და სპეციალურ კურსებს.

1950 წ. ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა, რომლის გამგედაც არჩეული იქნა ვ. გაბაშვილი. იგი 23 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ კათედრას (1973 წლამდე).

1957 წ. ვ. გაბაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში“ (შედარებათა შესწავლის ცდა). 1960 წლიდან იგი პროფესორია.

1957-60 წწ-ში ვ. გაბაშვილი ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში.

1961 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელია.

1966 წლის 5 აპრილს ვ. გაბაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ ნეკანერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1974 წლის 29 მარტს იგი იარჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ვ. გაბაშვილი იყო ბევრი სამეცნიერო საბჭოს, უნივერსიტეტის წარმომადგენლის ადმოსავლური სერიის, მეცნიერებათა აკადემიის „ნაცნეს“ ისტორიის,

¹ ვ. გაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სენინარები (რამდენიმე უძრავი ასპირანტის ჩანაწერებიდან), „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1975, გვ. 159.



არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერიის, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და ქართული საისტორიო წყაროების სერიის რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სამეცნიერო-საკონსულტაციო სექციის თავმჯდომარე და სხვ. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები (ხალხთა მეგობრობის ორდენი და მედლები).


* * *

ვ. გაბაშვილი მრავალმხრივი მკვლევარი იყო. იგი ინტენსიურად მუშაობდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, არაბეთი, თურქეთი...) პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის აღმოსავლური და ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის და განვითარების, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, სპარსული და ქართული დიპლომატიის ქართული და სპარსული ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, დიპლომატიკის, კულტურის და სხვ. საკითხებზე.

1958 წ. გამოქვეყნდა ვ. გაბაშვილის მონოგრაფია „ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)“. ამ ნაშრომში ავტორმა მრავალი აღმოსავლური, ქართული, რუსული თუ ევროპული წყაროს და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეისწავლა და გაარკვია ქართული ფეოდალური ურთიერთობის და წყობილების ძირითადი საკითხები აღმოსავლურთან მიმართებაში. (ქართული და აღმოსავლური მიწისმფლობელობის ფორმები, აღმოსავლური საგადასახადო ინსტიტუტები, ირანიდან შემოსული და ქართულ სინამდვილეში დანერგილი ადმინისტრაციული ინსტიტუტები, ქართლის ვალის კარზე მიყენებული ირანული სამეთვალყურეო აპარატი და სხვ.). მაგ., ვ. გაბაშვილმა ექვემოთნაღად გაარკვია თუ რას წარმოადგენდა საგადასახადო ინსტიტუტი „ბაჯ ო ხარაჯ“, რომლის რაობა მკვლევარებს (ვ. მინორსკი, ი. პეტროშევსკი...) სხვადასხვანაირად ესმოდათ. მისი აზრით „ბაჯ ო ხარაჯს“, როგორც ხარჯს, საშუალო თუ გარდამავალი ადგილი უკავია „საურსა“ და „მალ“ — „მალუჯათს“ შორის. „საური“, „ბაჯ ო ხარაჯი“ თუ „მალ“ — „მალუჯათი“ ირან-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა (მსუბუქ, შედარებით მძიმე და უმძიმეს) ფორმას გამოხატავს².

ამავე ნაშრომში ვ. გაბაშვილმა გაარკვია, თუ რა შინაარსისაა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ნახსენები ვეზირის, მუსტოფისა და მუნშის ინსტიტუტები: ესენი არიან ირანული სამეთვალყურეო აპარატის მოხელეები, რომელნიც მიუყენეს ქართლის ვალს. მისი ამ დაკვირვების შედეგად გასწორდა ვახუშტის თხზულების იმ ადგილის წაკითხვა, სადაც ეს მოხელეები, არიან მოხსენებულნი. ადრინდელი გამოცემები (მ. ჯანაშვილი, თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი) ამ ადგილს ასე კითხულობდნენ: „კვალად ყიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში“, რაც ვახუშტის ნათქვამს გა-

² ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი, 1952, გვ. 264.



უგებარს ხდიდა. ვ. გაბაშვილიმა კი ვახუშტის ავტოგრაფის საფუძველზე ის აღგილი ასე გაასწორა: „კვალად ყიზილბაშთა რიგის შესახებ“³

ხემათაღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი საგანგებოდ უსვამს ხაზს საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს, რომლებიც საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორებთან აღმოჩნდნენ გადაჯაჭვულნი „სოფლის მეურნეობის დაქვეითება („ნაოსარ“ — „პარტახტის“ ვამრავლება), სოფლის მეურნეობის ტექნიკის ერთ წერტილზე გაყენვა, ქალაქების დაღარიბება, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა, მწარმოებელი კლასის მკვეთრი შემცირება ნაკადით გამოვლინებას პოულობენ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ვითარებაში და საქართველოს პოლიტიკური დაშლილობაც მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა“⁴.

დასახელებული მონოგრაფიის დეტალური ანალიზი ამაჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მასში ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ვ. გაბაშვილის მონოგრაფია სამაგიდლო წიგნია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ფეოდალური ხანის ისტორიაზე მომუშავე მკვლევართათვის. ცნობილი მეცნიერი პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი თავის ვრცელ რეცენზიაში წერდა: „ამჟამად უნდა ითქვას, რომ ვ. გაბაშვილის შრომა თემაზე „ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში (მედარბეთი შესწავლის ცდა)... წარმოადგენს საყურადღებო გამოკვლევას გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიისა. შრომა მთლად დამყარებულია ნაირენოვან პირველწყაროებისა, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან შესწავლასა, დაკვირვებებსა და კრიტიკულ ათვისებაზე. ავტორს ახსიათებს ღიდი ერუდიცია, ფართო აზროვნება, კვლევა უნარა, კრიტიკული აღღო, მუყაითობა და, რაც მთავარია, პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დედანში შტუდირება.“


გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ნუშაობაზე მეტად ზღეს უწყობდა მარქსისტულ-ლენინური ნეთოდოლოგიის მოძარჯვება“⁵.

ვ. გაბაშვილიმა მთელი რივი ნაშრომები გამოაქვეყნა ირანისა და საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ. ამ ნაშრომებში იგი აწვავლობს ქალაქების ტობოგრაფიას, საგარეო და საშინაო ვაჭრობას, ხელოსნობის, სოციალური მოძრაობების და სხვ. საყთაებს. ნავ, მან უურადღება მიექცია ქ. თბილისში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებს. განმარტა მნიშვნელობა ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული აღმოსავლური ტერმინებისა (რინდი, მუჰლიდი...) და დაამტკიცა, რომ ისინი იხმარება სოციალური მოძრაობების ნონაწილეთა აღსანიშნავად. „ჯამთაღმწერლის“ თხზულებაში დანოწმებული „რინდები“ მხოლოდ სოციალური რიგის მოვლენებს უნდა დაეკ-

³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება... გვ. 362—367.

⁴ იქვე, გვ. 61.

⁵ მელიქსეთ-ბეგი, რეცენზია ვ. გაბაშვილის ნაშრომზე „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 91. თბილისი, 1960, გვ. 466.



კავშირით და მათი მოქმედების სარბიელად ქალაქში მიმდინარე კლასობრივი და სოციალური ბრძოლა მივიჩნით“ — წერდა ერთგან მკვლევარი⁶.

ვ. გაბაშვილის ნაშრომები „ადრეფეოდალური ხანის ანლოაღმოსავლური ქალაქი“, „ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან“, „შუა საუკუნეების ანლოაღმოსავლური ქალაქი“, „თბილისი XVI — XVII სს აღმოსავლურ წყაროებში“, „თბილისის მმართველობა X—XI სს-ში“, „მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII სს-ში“, „თბილისის მოქალაქეთა პოლიტიკური და კლასობრივი მისწრაფებანი XVI—XVIII სს-ში“, „ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში“, „საქართველოს ქალაქების ისტორიიდან“ (არტანუჯი და უჯარმა) და სხვ. წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ურბანისტიკაში.

ვ. გაბაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული წყაროების მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად. მან თავისი კვლევის ობიექტად გაიხადა ძველი ქართული წყაროების ცნობები თურქული ტომებისა და ხალხების შესახებ, უძველეს ქართულ წყაროებში დაცული ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია, XIV ს-ის შესანიშნავი ქართული ისტორიკოსის ყამთაღმწერლის თხზულებაში და XVIII ს-ის ქართულ დოკუმენტებში დაცული მასალები ახლო აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის და სხვ.

მან ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ XI—XII სს. ქართული საისტორიო თხზულებანი საინტერესო წყაროებს წარმოადგენენ იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის; მათში ფიქსირებულია ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა: თურქ-სელჩუკთა შემოსევები და მათი სახელმწიფოს წარმოქმნა-გაძლიერება. ბიზანტიის დამარცხება-დასუსტება, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლა, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალური მოძრაობანი და სხვ. ამრიგად, დაასკვნის ავტორი, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლისას ქართული საისტორიო წყაროების გათვალისწინება ისევე აუცილებელია, როგორც აღმოსავლური წყაროებისა. ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული ცნობები ეკუთვნის აღწერილი მოვლენების „თანადამხდურ“ და „თვითმხილველ“ ავტორებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ღირებულებასა და მნიშვნელობას“⁷.

ვ. გაბაშვილმა უეჭველად დაასაბუთა, რომ XI—XII სს. ქართულ წყაროებში მოხსენიებული ტერმინი „სპარსეთი“, „სპარსი“, „სპარსული“ გვხვდება როგორც საკუთრივ ირანის (სპარსეთის) ირანელის (სპარსის) და ირანულის (სპარსულის) აღმნიშვნელად, ასევე ზოგადი მნიშვნელობითაც: ყველა მუსლიმის და მუსლიმური სამყაროს აღმნიშვნელად⁸.

⁶ ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ყამთაღმწერლას ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 152.

⁷ ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთის XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბილისი, 1968, გვ. 307.

⁸ იქვე, გვ. 275.

ნაკლავის აზრით „ამგვარ განმარტებას... ვარკვეული სინათლე შექმნის“ „გენეზისტიკოსის“ ცნობილ სტროფში „აქა ანბავი აპარსული ქართული თარგმანები“⁹.

ვ. გაბაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომები ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ გამოქვეყნებულია კრებულებში «Очерки истории и исторической науки в СССР», т. I—III, 1955-63.

მან საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა უძველეს ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ ძეგლს „შუშნაიკის წამებას“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის დიდი დამსახურება შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ვახუშტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლით იგი დიდი ხანია დაინტერესებულია: გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, ხოლო 1947 წელს მან ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც ისტორიკოსის მსოფლმხედველობას შესწავლას ძალზე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა¹⁰, რომელშიც მოცემულია ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში ვახუშტი ბაგრატიონის განსაკუთრებული როლის სათანადო შეფასება: ავტორის აზრით, ვახუშტი ცალკე დგას ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში, იგი XVIII საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის დონეს უახლოვდება. დასასრულს ვ. გაბაშვილი დაასკვნის: „ვახუშტი თავისი იატორიული შემოქმედებით მეტნაკლებად უკავშირდება XVII — XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სამივე სკოლას „ჰუმანისტურს“, „საისტორიო საეკლესიოსა“ და „ერუდიტულ-ისტორიულს“. ისტორიული ფაქტებს დალაგებით, მათი განზოგადების უნარით და ფართო ისტორიული თემატიკით კი ვახუშტი ახლო დგას XVIII ს-ის „განმანათლებელ“ ისტორიკოსთა უშუალო წინამორბედებთან“¹¹.

1969 წ. გამოქვეყნდა ვ. გაბაშვილის სამეცნიერო პოპულარული მონოგრაფია „ვახუშტი ბაგრატიონი“, რომელშიც ვახუშტის ცხოვრების, სამეცნიერო და პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა მხარე სათანადო სიღრმითაა გაშუქებული. ზემოხსენებულმა ნაშრომმა დიდი მოწონება ჰპოვა, იგი მკითხველთა ფართო ნასამ გულთბილად მიიღო.

ვ. გაბაშვილმა საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნა მისი დიდი მასწავლებლის ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას (ივანე ჯავახიშვილი როგორც აღმოსავლეთ-მცოდნე, ივანე ჯავახიშვილის სემინარები...).

ვ. გაბაშვილი ავტორია X—XVIII სს. სპარსული საისტორიო მწერლობის მიმოხილვისა, რომელიც წინ უძღვის 1972 წელს მისი რედაქციით გამოცემულ ჯ. გიუნაშვილისა და დ. კაციაძის მიერ შედგენილ „სპარსულ საისტორიო ტექსტებს“ პირველ ტომს.

მკვლევარი დაინტერესდა ირანში მოღვაწე ქართველების საქმიანობათაც. კერძოდ, მან ძალზე საყურადღებო ნაშრომში შეისწავლა უნდილაძეთა

⁹ იქვე, გვ. 275.

¹⁰ ვ. გაბაშვილი, ვახუშტი XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინთეზი, ანალები, I, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947.

¹¹ იქვე, გვ. 123.

ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა ირანში მოღვაწეობა (XVII ს-ის პირველი ნახევარი).

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ უნდღილაძეთა სახლის უფროსი წარმომადგენელი ალავერდი-ხანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVI საუკუნის უკანასკნელი წლების და XVII ს-ის პირველი ათწლეულის ირანის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო ირანის პირველი ყულარალასი, ფარსის ბეგლარბეგი, შამ აბას I-თან ძალზე დაახლოებული პირი, უმდიდრესი კაცი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აბას I-ის სამხედრო რეფორმების გატარებაში. იგი ეწეოდა დიდ სააღმშენებლო საქმიანობასაც (ფუნდუკები, ბაზრები, ხიდები; ისპაანში ახლაც მოქმედებაშია ალავერდი-ხანის აშენებული ხიდი!).

ირანში თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავათ აგრეთვე ალავერდიხანის შვილებს ვანჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგ დაუდ-ხანს და ფარსის ბეგლარბეგ იმამ-ყული-ხანს (გამოჩენილ სარდალს, ორმუხის დამპყრობს). რომლის შესახებაც სპარსულს ენაზე მხატვრული ნაწარმოებებიც დაიწერა („ჯანგ ნამა-ი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“).

სამეცნიერო ლიტერატურაში ალავერდი-ხანის გვარ-ტომობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგიერთი მკვლევარი მას წარმოშობით ქართველად მიიჩნევდა (დენისონ-როსი, დ. ლანგი, ვ. გაბაშვილი, კ. კუცია...), ზოგი კი სომხად (ვ. მინორსკი, ი. პეტრუშევსკი, მ. ივანოვი, ლ. სტროევა და სხვ.). ვ. გაბაშვილმა ევროპული, ქართული და სპარსული წყაროების ცნობებს ურთიერთშეჭერების შედეგად უცილობლად დაამტკიცა, რომ ალავერდი-ხანი წარმოშობით ქართველია. თავისთავად ცხადია, ქართველები არიან მისი შვილებიც, რომელნიც, ირანში შეძლებისდაგვარად, ქართულ საქმესაც აკეთებენ¹².


ვ. გაბაშვილი სწავლობს აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემას. პირველწყაროთა და VI საუკუნისათვის დამოწმებული ფეოდალური ტერმინოლოგიის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ „მხოლოდ ამ დროიდან (ე. ი. VI საუკუნიდან — დ. კ.) შეიძლება დავიწყოთ ადრეფეოდალური ხანა და ადრეფეოდალური სახელმწიფოს არსებობა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში“¹³.

მანვე მოგვცა აღმოსავლეთში (კერძოდ კი ირანში) ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ახლებური პერიოდიზაცია: 1. ადრეფეოდალური ხანა (VI — X სს), 2. განვითარებული, მომწიფებული ფეოდალიზმის ეპოქა (X ს — XVIII ს-ის პირველი ნახევარი) და 3. გვიანფეოდალური ხანა (XVIII ს-ის მეორე ნახევარი — XIX ს). როგორც ვხედავთ, ზემოთმოტანილი სქემის მიხედვით ფეოდალიზმის შუა პერიოდი (განვითარებული ფეოდალიზმის ხანა) განანგრძლივებულია, რის შესაბამისადაც გვიანფეოდალური ხანა იწყება XVIII ს. მეორე ნახევრიდან.

ვ. გაბაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „XV — XVI საუკუნეები აღინიშნა თურქმანების, ოსმალების და ყიზილბაშების გაბატონ-

¹² ვ. გაბაშვილი, უნდღილაძეთა ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, „მეცნიერება“, 1972, გვ. 65-69.

¹³ ვ. გაბაშვილი, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 214.



ნებით წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით გამრავლდა სომხთაბარული ელემენტი ირანში, რამაც დიდი ხნით შეაჩერა ამ ქვეყნის სულსა და პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ყოველივე ამის შედეგად მცირე აზიაში, არაბულ ქვეყნებში და შუა აზიასა და ირანში ხელოვნურად გახანგრძლივდა ფეოდალური განვითარების შუა ხანა, მომწიფებული ფეოდალიზმის პერიოდი.

გვიანფეოდალური პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შეინიშნება XVIII საუკუნის ნეორე ნაიფერიდან, ხოლო გამოკვეთილ სახეს ფეოდალური განვითარების ამ პერიოდის ნიშანთვისებები იღებენ მხოლოდ XIX—XX საუკუნეებში¹⁴.

ვ. გაბაშვილს საინტერესო გამოკვლევები აქვს გამოქვეყნებული სამართლის ისტორიიდან. მისი ნაშრომები „ქართლის სახელმწიფო წყობილება „დასტურლამალის“ მიხედვით“, „დარბაზის რიგის მიხედვითი „დასტურლამალის“ მიხედვით“, „სპარსული დასტურლამალი“, „დასტურლამალის“ 1729 წლის ხელნაწერი“, „სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიან ფეოდალურ საქართველოში“ და სხვ. მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული და სპარსული სამართლის ისტორიისათვის. ვ. გაბაშვილმა დაამტკიცა, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი „დასტურლამალი“ არ იმეორებს „კომპოზიციურად და შინაარსობრივად 1725 წელს შედგენილ „თაბჭირათ ალ-მულუქს“ („მეფეთა სახსოვარს“ ანუ სპარსულ „დასტურლამალს“) როგორც თქობნა ცნობილი ორიენტალისტი პროფ. ვლ. მინორსკი¹⁵.

საყურადღებოა აგრეთვე ვ. გაბაშვილის ნაშრომები, რომლებიც ეხება სპარსული და ქართული დიპლომატიის საკითხებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ვრცელი გამოკვლევა „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“ (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI — XVII სს), რომელშიც იმდროინდელი დიპლომატია ევროპული, ქართული და აღმოსავლური მასალების მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე, მკვლევარმა საინტერესო ნაშრომები მიუძღვნა XVIII საუკუნის ირანსა და თურქეთში მოღვაწე დიპლომატიის იოსებ ქართველის და ცნობილი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მოღვაწეობას.

ვ. გაბაშვილი სწავლობს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის საკითხებს („საქართველო-ევვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან“, „საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში“, „საქართველო და თურქული სამყარო XI—XII საუკუნეებში“, „ერთი სტრაქონი აღმოსავლური კულტურის ისტორიიდან“, „აღმოსავლეთის კულტურული შუბლი“ და სხვ. მანვე მიაქცია ყურადღება სპარსული დიპლომატიის საკითხებს.

1957 წელს ვ. გაბაშვილის თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“. ამ წიგნს საფუძვლად

¹⁴ ვ. გაბაშვილი, ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები შუა საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბილისი, 1970, გვ. 4.

¹⁵ ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXV, თბილისი, გვ. 191-220; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 38-40.

დაედო მისი და მისი მოწაფეების პირველწყაროებზე დამყარებული ნაშრომები. იგი გამოიწველი იყო როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ასევე უნდა ითქვას, რომ თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული პროფ. ბი. შაჩინაძის ღირს მცირე მოცულობის წიგნი «История восточного средневековья (Халифат и Ближний Восток)», Москва, 1944, ამგვარი სახელმძღვანელო ერთადერთი იყო მაშინ საბჭოთა კავშირში. ამ წიგნმა დადებითი როლი შეასრულა ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსების აღზრდის საქმეში. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ვ. გაბაშვილი უაღრესად ერუდირებული მეკლევარი იყო. ევროპული და აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა აფართოებს მის წყაროთმცოდნეობის ბაზას, საშუალებას აძლევს მას გაითვალისწინოს ჩვენი დროის ევროპული და აღმოსავლური ორიენტალისტიკის უახლესი მიღწევები. მას ეკუთვნის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული რეცენზიები ჩვენი დროის ევროპული ორიენტალისტიკის და ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლების კლოდ კენის, ბ. შუტლერის, სპიროს ერიონისის მონოგრაფიებზე, აგრეთვე ირანელი და თურქი ავტორების ნასროლა ფალსაფის, მუსტაფა აქდაღის, ოსმან თურანის ნაშრომებზე. მეკლევარი ყურადღებით აღევნებდა თვალს საბჭოთა ისტორიოგრაფიას, რისი დამადასტურებელიცაა მისი რეცენზიები ნ. ბერძენიშვილის, ლ. ჭილაშვილის, ა. ბაქრაძის, თ. ჩხეიძის, ს. ბ. აშურბეილის მონოგრაფიებზე, აგრეთვე ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ ირანის ისტორიის სახელმძღვანელოზე, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ქართულ, ასევე რუსულ სამეცნიერო ორგანოებში.

აღსანიშნავია აგრეთვე ვ. გაბაშვილის როგორც რედაქტორის საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ პირველი და მეორე ტომი. სამეცნიერო კრებულები (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 31, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები (2 ტ.), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან (2 ტ.), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები (2 ტ.), სპარსული საისტორიო ტექსტების ქრესტომათია, (1) და ცალკეული მონოგრაფიები (მ. სვანიძის, კ. კუციას, თ. ცეციტიშვილის, პ. თოფურაძის, გ. ჯაფარიძის, დ. კაციტაძის ნაშრომები) და სხვ.

ვ. გაბაშვილი ავტორია ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ცალკე წიგნების სახით, ასევე სტადასხვა სამეცნიერო ორგანოში.

ცალკე ხაზი უნდა გაესვას ვ. გაბაშვილის დამსახურებას აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კადრების მომზადების საქმეში. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართველ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა ძლიერი სკოლა. მისი მოწაფეები (ირანისტები, არაბისტები, თურქოლოგები...) წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ასპარეზზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის ინსტიტუტებში და სხვ. ვ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით დაცულია ბევრი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, მისი რჩევა-დარიგებით უსარგებლია ბევრ სპეციალისტს.



ვ. გაბაშვილი მკაცრი, მომთხოვნი, ამავე დროს გულსხმიერი მდგომარეობითი ხელმძღვანელი იყო. იგი სისტემატურად ადევნებდა თვალყურს თავისი მოწაფეების ნაბიჯებს მეცნიერებაში, ხელნაწერებში კითხულობდა მათ ნაშრომებს, ასწორებდა, ახალისებდა, მაგრამ არასდროს უზომოდ და გადაჭარბებით არ აქებდა მათ. ვისაც კი უმუშავნია ვ. გაბაშვილთან სემინარებში (ამ სტრიქონის ავტორს ჰქონდა ამის ბედნიერება!), დამეთანხმება, თუ რაოდენ ბევრის მოძვემი იყო იგი (საისტორიო ტექსტების კითხვა, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ტერმინებისა და ისტორიული ფაქტების ანალიზი და სხვ.). ასპირანტებსა და დამწყებ მეცნიერ მუშაკებთან მუშაობის ამგვარი მეთოდი მას თავისი დიდი მასწავლებლებისაგან ჰქონდა შეთვისებული. ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ძალზე საინტერესო მოგონებაში ბ-ნი ვალერიანი წერდა: „ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტებსა და ასპირანტებს სემინარებს ვუტარებდი. არ ყოფილა არცერთი სემინარი, რომ მე არ მეტყვას, თუ ვისგან მომდინარეობდა ტერმინზე, კონტექსტზე ან ისტორიულ ფაქტზე დაკვირვების ის ხერხები, რომლებსაც მე მათთან მუშაობის დროს ვიყენებდი“¹⁶ ჭეშმარიტად რომ ასეა!

ვალერიან გაბაშვილის სახით საბჭოთა ისტორიოგრაფიას ჰყავდა დიდი ივანე ჯავახიშვილის საქმის ღირსეული მემკვიდრე, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარი, ბრწყინვალე პედაგოგი და სპეტაკი მოქალაქე, რომელიც 45 წლის მანძილზე უმწიკვლოდ და თავგამოდებით ემსახურებოდა ეროვნული მეცნიერების განვითარების დიდსა და საბატო საქმეს.

ვალერიან გაბაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების, კოლეგებისა და ახლობლების გულში.

ლევო კაციტაძე

¹⁶ ვ. გაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სემინარები (რამდენიმე ფურცელი ასპირანტის ჩანაწერებიდან), „მაცნე“, ტ. 3, 1976, გვ. 174.

არაბული ქვეყნების ისტორიის საკითხები ვალირიან გაბაშვილის შრომებში


მრავალფეროვანია ცნობილი ქართველი ორიენტალისტის ვალერიან გაბაშვილის სამეცნიერო ინტერესები: შუა საუკუნეების საქართველოს, შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი ასახა მის გამოკვლევებში. თუ გავითვალისწინებთ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან მუსლიმური სამყაროს ხანგრძლივსა და უშუალო ურთიერთობას და ამ ურთიერთობაში არაბული ელემენტის საგრძნობ გავლენას, სავსებით გასაგები გახდება ქართველი მკვლევრის ცხოველი ინტერესი არაბული ქვეყნების ისტორიისადმი. ვ. გაბაშვილის სამეცნიერო შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი არაბულ სამყაროსაც მოიცავს, ხოლო ზოგიერთი მათგანი უშუალოდ ეხება მას.

პირველი სპეციალური ნაშრომი, რომელიც არაბთა ისტორიის საკითხებს შეეძვნა, ვ. გაბაშვილის მიერ გამოქვეყნებულია 1957 წელს მისივე რედაქციით გამოცემულ კრებულში „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“¹. ამ ნაშრომში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდაა წარმოდგენილი არაბეთის ნახევარკუნძულზე, კერძოდ ჰიჯაზში, მესამე მსოფლიო რელიგიის — ისლამის წარმოშობის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზეზები, ნაჩვენებია მედინაში პირველი მუსლიმური სახელმწიფოს ჩასახვისა და შემდგომ სახალიფოს (არაბთა თეოკრატიული სახელმწიფოს) წარმოშობის პროცესი (VII საუკუნის პირველი ნახევარი). არაბთა დამპყრობები, ვ. გაბაშვილის აზრით, დაემთხვა პოლიტიკურ კრიზისს მახლობელ აღმოსავლეთში, რაც მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გადასვლით იყო გამოწვეული. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არაბთა სამხედრო წარმატებას². შემდეგ ავტორი თანმიმდევრულად ასახავს მუსლიმური საზოგადოების ევოლუციას, ომალთა და აბასელთა სახელმწიფოების შექმნას და სპარსული ელემენტების დაწინაურებას აბასელთა სახალიფოში. ამავე დროს, ნაჩვენებია, რომ ფეოდალიზაციის პროცესმა, რომელიც არაბებმა შეაჩერეს VII საუკუნეში, კვლავ იჩინა თავი IX—X სს.-ში და ხელი შეუწყო აბასელთა სახალიფოს დაშლას³.

¹ ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანი), ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957; ვ. გაბაშვილს ეკუთვნის: არაბები (გვ. 54-57), არაბთა სახალიფო VII—VIII საუკუნეებში (გვ. 57-74), სახალიფოს ფეოდალური დაშლა (გვ. 107-116), მახლობელი აღმოსავლეთი X — XII საუკუნეებში (გვ. 116-122) და სხვ.

² იქვე, გვ. 59.

³ იქვე, გვ. 107-117.



საჭიროა შევნიშნოთ, რომ ვ. გაბაშვილის რედაქციით და უშუალოდ მონაწილეობით შექმნილი კრებული „ნარკვევები მახლობელი აზიის ისტორიიდან“ წლების მანძილზე ემსახურებოდა ჩვენს სტუდენტობას, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო და მიუხედავად იმისა, რომ კრებულის განოსვლიდან 24 წელი გავიდა, თავისი მნიშვნელობა მას დღესაც არ დაუკარგავს.

არაბთა ბატონობის დროინდელი ირანის ისტორიის საკითხებს მიეძღვნა ვ. გაბაშვილის საინტერესო რეცენზია გერმანელი ორიენტალისტის ბერტოლდ შპულერის წიგნზე „ირანი ადრესლამურ ხანაში“⁴. რეცენზიაში ნაჩვენებია აღნიშნული მონოგრაფიის პოზიტიური მხარეები და გამოთქმულია საინტერესო შეხედულებები ირანში არაბთა ბატონობის ხასიათის შესახებ. ვ. გაბაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ბ. შპულერის ნაშრომს ეტყობა მეოთხედიანი სასიათის ნაკლავანებები, მას ავლია ფაქტების საჭირო სისტემატიზაცია და უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების კანონზომიერი განვითარების ჩვენება⁵. ვ. გაბაშვილს ნიაჩნია, რომ „არ შეიძლება დამაჯერებლად და საჭირო სისრულით ვუჩვენოთ ირანის მდგომარეობის მთელი თავისებურება არაბთა ბატონობის ხანაში, თუ სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული და შეფასებული გლესთა მოძრაობანი და აჯანყებები VIII — IX სს. მანძილზე, როცა ირანელ ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები წამყვან როლს ასრულებდნენ აბასელთა სახალიფოს პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე“⁶.

ვ. გაბაშვილის აზრით, მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს ადრეული ისლამის VII — XI საუკუნეებით დათარიღება, რადგანაც ადრეული ისლამი, როგორც არაბების რელიგია, მხოლოდ 610-750 წლებში არსებობდა. უფრო გვიან, კერძოდ VIII ს. შუა წლებიდან მოკიდებული, როცა „მაფალები“ უფლებებით არაბებს გაუთანასწორდნენ, ისლამი მსოფლიო რელიგიად გადაიქცა. ამავე დროს, ისლამში ჩაქსოვილი აღმოჩნდა სხვა რელიგიების ისეთი ელემენტები, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ ადრინდელ ისლამთან და მოკაქულ მუჰამედის დროინდელ არაბთა მარტვ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციასთან⁷. აბასელთა გამარჯვების შემდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს, ირანელები და სხვა გამუსლიმებული ხალხები უპირისპირდებოდნენ არა ისლამს, არამედ არაბებს, თუმცა ეს ბრძოლა ყოველთვის რელიგიურ ელფერს ატარებდა⁸.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გაბაშვილის წვლილი შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქის შესწავლის საქმეში. მკვლევარმა შეაჯამა ადრეული შუა საუკუნეების ქალაქებთან დაკავშირებით ბიზანტინისტურ და ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულებები და გამოთქვა თავისი უაღრესად საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები.

⁴ იხ.: ვ. გაბაშვილის რეცენზია: Bertold Spuler Iran in früh islamischer Zeit, Wiesbaden, 1952 (ბერტოლდ შპულერის, ირანი ადრესლამურ ხანაში, ვიანა-დენი, 1952), — თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 407-418.

⁵ იქვე, გვ. 415.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 416.

⁸ იქვე, გვ. 415-416.



ვ. გაბაშვილმა მართებულად შენიშნა, რომ მკვლევართა მიერ ფაქტობრივად გამოყენებული თეორია ანტიკური ქალაქების არსებობის გაგრძელების შესახებ (ე. წ. „კონტინიუიტეტის თეორია“) უსაფუძვლოდ არ შეიძლება ჩიათვალოს და გარკვეულ რაციონალურ მარცვალს შეიცავს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ბიზანტიასა და მახლობელ აღმოსავლეთში განაგრძობდნენ არსებობას ძველი, ანტიკური ქალაქები, რომლებმაც ადრეფეოდალურ ხანაშიც შეინარჩუნეს ქალაქის ყველა ნიშანთვისება⁹. სახალიფოში გადმოსული მრავალი სირიული, ირანული და ბიზანტიური ინსტიტუტი მიუთითებს გენეტიკურ კავშირზე ანტიკურ და ისლამურ ქალაქებს შორის. მაგრამ როგორც ვ. გაბაშვილი თვლის, „ძნელი წარმოსადგენია, რომ ისლამური ქალაქი ანტიკური ქალაქის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდეს“¹⁰. ისლამური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესში, წინარე ელინისტური ხანაში არსებული ურბანისტული ელემენტი ორგანულად დაუკავშირდა ახალ, თვისობრივად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, კულტურას, იდეოლოგიას, სოციალურ სტრუქტურას და კლასობრივ განლაგებას ქალაქებში¹¹.

არაბული ქალაქების გენეზისთან დაკავშირებით, ვ. გაბაშვილი განიხილავს ე. წ. „გარნიზონულ თეორიას“, რომლის მიხედვით ქალაქის წარმოშობას განაპირობებდნენ არა სოციალურ-ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები. მკვლევარი შენიშნავს, რომ არაბები საქალაქო ცხოვრებას ისლამამდელ ხანაშიც იცნობდნენ, რისი დამადასტურებელიცაა თუნდაც ისეთი ქალაქების არსებობა, როგორცაა მექა და მედინა (იასრიბი) ჰიჯაზში. ქალაქები სამხრეთ არაბეთში, ლაჰმედიანთა და ჰასანიანთა სახელმწიფოებში, და ბოლოს ცნობილი პალმირა და პეტრა, რომელთაც დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდათ¹². მაგრამ, არაბთა დიდი ნაწილი, რომელიც დაპყრობილ ქვეყნებში აღმოჩნდა, ძირითადად ბედუინებისაგან შედგებოდა; მომთაბარე ბედუინები ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების მიმართ. გაურბოდნენ ზღუდეშემოვლებულ ქალაქში ცხოვრებას და უპირატესობას ანიჭებდნენ სამხედრო ბანაკს („ამსარს“), რომელიც უკეთესად პასუხობდა მათ ადრინდელ სამეურნეო ცხოვრების წესებს და ხელს უწყობდა ტომობრივი ორგანიზაციის შენარჩუნებას¹³. დროთა ვითარებაში, გარემომცველმა ქალაქებმა ცივილიზაციამ, რომელიც ხელუხლებელი დარჩა დაპყრობების შემდეგ, სამხედრო ბანაკები ქალაქებად იქცია¹⁴. ასეთი გზით გაჩნდნენ ისლამისდროინდელი ქალაქები ქუფა, ბასრა, შირაზი, ფუსტატი, რომლებიც თანდათან მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელსწიფო, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებად იქცნენ და ორგანულად დაუკავშირდნენ ფეოდალიზაციის პროცესს¹⁵.

რაც შეეხება ისეთ ქალაქებს, რომლებიც მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მიზნით დაარსდნენ (მაგ. ვასიტი და სამარა ერავში) და მოკლებული იყვნენ მყარ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს, ისინი მალე გადაგვარდ-

⁹ ვ. გაბაშვილი, ადრეფეოდალური ხანის აღმოსავლური ქალაქი, — მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 11, თბ., 1972, გვ. 7-8.
¹⁰ იქვე, გვ. 11.
¹¹ იქვე.
¹² იქვე.
¹³ იქვე, გვ. 15.
¹⁴ იქვე, გვ. 15-16.
¹⁵ იქვე, გვ. 17.



ნენ ისე, რომ არ შეუსრულებიათ მნიშვნელოვანი როლი სახლიდროსა და ეკონომიკურ განვითარებაში¹⁶.

უხეხა რა უფრო გვიანდელი ე. წ. „ახალქალაქების“ წარმოშობას, ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ ისინი გაჩნდნენ ახალ პირობებში, როცა მონათმფლობელური არისტოკრატის ინტერესების გამოძახებელი ომაელთა სახელმწიფო შეცვალა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში პირველმა ადრეფეოდალურმა სახელმწიფომ — აბასელთა სახლიდრომ. ახალი დედაქალაქი ბაღდადი ფორმითა და სოციალური სტრუქტურით, გვევლინება ტიპიურ „ახალქალაქად“, რომლის არსებობა თავისთავად ქალაქების ფეოდალიზაციის დაჩქარების მათწყებელი იყო¹⁷. ამავე დროს, განავრცობდნენ არსებობას ძველი ქალაქები, რომლებიც თანდათან ფეოდალურ იერს იღებდნენ. ქალაქები დამასკო, იერუსალიმი, ალექსანდრია, ალუპო, ამანი, რეი, ისფაჰანი, ჰამადანი, მერვი, ბაღბი, ბუხარა, სამარყანდი და სხვ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ განვითარებული ფეოდალიზმის დროსაც და გვიანფეოდალურ პერიოდშიც¹⁸.

მრავალრიცხოვან საეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების შეჯერებითა და ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, ვ. გაბაშვილმა ჩამოაყალიბა (წინასწარი მოსაზრებების სახით) ახლოაღმოსავლური ფეოდალიზმის (და მამასადამე ქალაქების) განვითარების შემდეგი პერიოდიზაცია: ადრეფეოდალური ხანა (VI—X სს.). განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (X—XVIII ს.-ის პირველი ნახევარი), და გვიანფეოდალური პერიოდი (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — XIX საუკუნე)¹⁹. შევლევარი ახსიათებს თითოეულ პერიოდს ცალ-ცალკე და აღნიშნავს, რომ ადრეფეოდალური ხანის ახლოაღმოსავლური ქალაქის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ორი პერიოდი: VI—VIII სს. და IX—X სს.; პირველ პერიოდში მიმდინარეობდა ქალაქების ფეოდალიზება, ხოლო მეორე პერიოდში კი ფეოდალურ ქალაქად ჩამოყალიბება²⁰. ასევე ორ პერიოდადაა გაყოფილი მომწიფებული (ანუ განვითარებული) ფეოდალიზმის ხანაც: X — XII საუკუნეები, როცა ადგილი ჰქონდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობას და XIII — XVIII საუკუნეები — ქალაქების დაცემა-დაქვეითების პერიოდში²¹. ვ. გაბაშვილის აზრით, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლამ და ფეოდალურმა შინაომებმა (XI — XII სს. მიჯნაზე), განსაკუთრებით კი მონღოლთა შემოსევებმა (XIII ს.), საგრძნობლად დააზარალეს ქალაქები²².

მომდევნო პერიოდი, როგორც ცნობილია, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში აღინიშნა თურქული ტომებისა და ხალხების მოძრაობითა და განსახლებით შუა აზიიდან დაწყებული ეგვიპტემდე; ხოლო XV—XVI საუკუნეებში ადგილი ჰქონდა თურქმანების, ოსმალების და ყიზილბაშების გაბატონებას წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე. ყველა ამის შედეგად — წერს

¹⁶ ვ. გაბაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ახლოაღმოსავლური ქალაქი, — მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 17.

¹⁷ იქვე, გვ. 16.


¹⁸ იქვე, გვ. 17.

¹⁹ ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქი (პერიოდიზაციის ცდა), — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 6.

²⁰ მისივე, ადრეფეოდალური ხანის ახლოაღმოსავლური ქალაქი, გვ. 19.

²¹ მისივე, შუა საუკ. ახლოაღმოსავლური ქალაქი, გვ. 34.

²² იქვე, გვ. 50-51.



ვ. გაბაშვილი — მცირე აზიაშიც, არაბულ ქვეყნებშიც, ირანშიც და აშშ-შიც ხელოვნურად გახანგრძლივდა ფეოდალური განვითარების შუა საუკუნეების მწიფებული ფეოდალიზმის ხანა²⁵.

არსებითი გარდატეხა ახლოაღმოსავლური ქალაქის განვითარებაში ვ. გაბაშვილის აზრით, შეინიშნება მხოლოდ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. კაპიტალისტური ურთიერთობანი ამ დროს შედარებით სწრაფად ვითარდებოდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში თანდათან იცვლებოდა ქალაქის გარეგანი სახე, მისი სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი განლაგება, რაც საბოლოოდ განაპირობებდა ბურჟუაზიული ქალაქის წარმოქმნას XIX — XX სს. მიჯნაზე²⁴. ამასთან ერთად, არ შეიძლება უგულებელვყოთ ის ფაქტიც, რომ თვით XX საუკუნეშიც, აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა ფეოდალიზმის ძლიერი გადანაშთებით შემოვიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო დასავლეთის სანელომწიფოების კოლონიზატორული პოლიტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებულ ურთიერთობათა კონსერვაციას²⁵.


ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა, რომლებიც შესანიშნავად იცნობენ აღმოსავლურ პირველწყაროებს, მრავალი საინტერესო გამოკვლევა უძღვნეს აღმოსავლეთის ქალაქებს, მაგრამ ამ შრომებისათვის ნიშანდობლივია აღმოსავლეთში ფეოდალიზმის არსებობის უარყოფა, რაც თავისთავად ხელს უშლის საზოგადოებრივი განვითარების პროცესების სრულყოფილ ასახვას. მხოლოდ საბჭოთა ორიენტალისტმა — ისტორიკოსებმა აჩვენეს დამაჯერებლად მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ ქალაქების სოციალური, კლასობრივი და ეკონომიკური თავისებურებანი. ამის დამადასტურებელია, როგორც უკვე დავინახეთ, ვ. გაბაშვილის ურბანისტული გამოკვლევები.

ახლოაღმოსავლური ქალაქის შესწავლისას ვ. გაბაშვილი არაერთხელ მიმართავს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის კლოდ კენის ნაშრომს „სახალხო მოძრაობანი და საქალაქო ავტონომიზმი შუა საუკუნეების მუსლიმურ აზიაში“, მაგრამ ზოგჯერ მის შეხედულებებს არ იზიარებს²⁶. ეს ეხება კერძოდ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ე. წ. „საქალაქო თვითმმართველობის“ საკითხს, რომელიც კლოდ კენის მიერაა შესწავლილი, როგორც „მოდერნისტულ-კაპიტალისტური“, ისე „უნივერსალური ფეოდალიზმის“ თეორიის პოზიციიდან. ფრანგი მეცნიერი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიას სწავლობს „ფეოდალური გარემოების და ინსტიტუტების გაუთვალისწინებლად“²⁷ და მის ნაცვლად IX—XIII სს.-ის ახლოაღმოსავლურ ქალაქში „ნახულობს მსხვილსა და საშუალო ბურჟუაზიას“²⁸. ვ. გაბაშვილის აზრით, საქალაქო თვითმმართველობისათვის აღმოსავლეთის ქვეყნებში არ არსებობდა საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პირობები. აღმოსავლეთის ქალაქებში არსებობდნენ მხოლოდ ცალკეული გაერთიანებები, ვაჭართა და ხე-

² იქვე, გვ. 4.
²⁴ იქვე, გვ. 59.
²⁵ იქვე, გვ. 55.

²⁶ იხ. ვ. გაბაშვილის რეცენზია: Claude Cahen, *Mouvements populaires et autonomisme urbain dans l'Asie musulman du Moyen Age*, Leiden, 1959 (კლოდ კენი, *სახალხო მოძრაობანი და საქალაქო ავტონომიზმი შუა საუკუნეების მუსლიმანურ აზიაში*, ლიდენი, 1959), — მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 241-248.

²⁷ იქვე, გვ. 247.
²⁸ იქვე, გვ. 247.



ლოსანთა კორპორაციები, რომლებიც სოციალურ მოძრაობათა ნიადაგზე წარმოიშვნენ და მკვეთრად განთხატულ ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდნენ, ამგვარი კორპორაციების წარმომადგენლები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება ქალაქებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი არ სვამდნენ საქალაქო მმართველობის და აღმანისტრაციული ორგანიზაციის შეცვლის საკითხს²⁹.

შუა საუკუნეების მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა რელიგიურ სამოსელში გამოხვეული აჯანყებები და გამოსვლები, რაც აღნიშნული აქვთ კიდევ უცხოელ ორიენტალისტებს, მაგრამ ყოველთვის დამაჯერებლად არაა ნახვენი ამ მოძრაობათა სოციალური საფუძველი. ფეოდალიზაციის პროცესი და აქედან გამომდინარე ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება, როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავს, თავისთავად ქმნიდნენ სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებს, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა გარეშე მტრების შემოსევები³⁰.

არაბულ და სპარსულ წყაროებში ფიქსირებულია მრავალი ტერმინი (მაგ. „აიარუნ“, „ოვბაშ“, „დუზდუნ“, „რუნუდ“, „ასას“, „ფითიან“), რომლებიც სირიის, ერაყისა, და ირანის ქალაქებში გაშლილ აჯანყებათა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს აღნიშნავდნენ. ამ ტერმინების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალური ნოარაობების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და ქალაქის დარბები³¹. ქალაქის მოსახლეობის ამვე სოციალურ ფენებს და დარბ გლეხობას ეყრდნობოდა ისმაილიტების მოძრაობაც, რომლის მთავარი მიზანი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დამხობა იყო³².

მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალური მოძრაობანი ორგანულად იყვნენ დაკავშირებული საქალაქო ორგანიზაცია „ასაბიასთან“. არაბული ტერმინი „ასაბია“ აღნიშნავდა სოლიდარული ურთიერთობით გაპირობებულ ყოველგვარ გაერთიანებას. ვ. გაბაშვილის აზრით, „ასაბია“ ქალაქის ხალხის, ქალაქის მწარმოებელი საზოგადოების ორგანიზაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა. მის ინტერესებს იცავდა და იმათ სოლიდარულ ურთიერთობას უზრუნველყოფდა, ვინც სოციალურ მოძრაობებში მონაწილეობდა³³. ეს არაბული ტერმინი დამოწმებულია XI — XII სს. ქართულ წყაროებშიც³⁴.

ანლოაღმოსავლური ქალაქის შესწავლასთან ერთად, ვ. გაბაშვილმა შეაჯამა და კრიტიკულად შეაფასა ორიენტალისტთა მიერ გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ხელოსანთა კორპორაციების ანუ „ასნაფების“ (არაბ. მხ. „სინფ“) წარმოშობასთან დაკავშირებით. მკვლევართა ერთი ნაწილი, როგორც ცნობილია, „ასნაფების“ წარმოშობას IX — XII სს. ნიაკუთვნებს, ხოლო სხვები ხელოსანთა

²⁹ იქვე, გვ. 248.

³⁰ ვ. გაბაშვილი, სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (IX — XIII სს.), — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 17.

³¹ იქვე, გვ. 24.

³² იქვე, გვ. 41-44.

³³ ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის საქალაქო ორგანიზაციების ისტორიიდან („ასაბია“), — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებას ისტორიიდან I, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 57.

³⁴ იქვე, გვ. 65-67.



კორპორაციების ჩამოყალიბებას მხოლოდ XVI — XVIII სს-ში თვლიდა³⁵.

ვ. გაბაშვილი საეჭვოდ მიიჩნევს IX — XII სს-ში „ასნაფებს“ წარმოშობას და შენიშნავს, რომ არც ერთ აღმოსავლურ წყაროში ჯერჯერობით მოძებნილი არ არის ამ პერიოდში ხელოსნური კორპორაციების არსებობის დამადასტურებელი ცნობა³⁶. მისი აზრით, „XVII საუკუნეში ჩამოყალიბებულ ამქრულ ორგანიზაციას — ასნაფს ფესვი გადგმული უნდა ჰქონოდა წინარე საუკუნეებში. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ჯერ კიდევ X — XII საუკუნეებში უეჭველია არსებობდა ამქრის მარტივი ელემენტები, ჩამოუყალიბებელი ფორმები (გავიხსენოთ ჰისბა, არიფი, ხელობათა შეთაურები...). მაგრამ ამ ელემენტების შემდგომი განვითარება უნდა დაებრკოლებინა და შეეფერებინა სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ფაქტორს, ქალაქების ვაჭრობის და ხელოსნობის განუხრელ დაქვეითებას მონღოლთა ბატონობის დროს და მომდევნო პერიოდში (XIV — XV სს.), ამქრული ორგანიზაციის მარტივი ფორმების ხანგრძლივი ევოლუცია საბოლოოდ მხოლოდ XVII საუკუნეში მთავრდება“³⁷.

ვ. გაბაშვილის მეცნიერულ გამოკვლევებში მკაფიოდ აისახა არაბული სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებიც.

დღეისათვის დადგენილია ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებს მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მმართველობის სარბიელზე ერთი და იგივე მოხელეები იყვნენ წარმოდგენილი. მათი სახელწოდებები და ფუნქციები გარკვეულია არაბული წყაროების საშუალებით და შესწავლილია ორიენტალისტების მიერ მრავალ მონოგრაფიასა და გამოკვლევაში. გასაგებია, რომ თბილისის საამიროს არსებობის პერიოდშიც, ე. ი. VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოცილებული XII საუკუნის პირველ მეოთხედიამდე, თბილისის მმართველობა და ორგანიზაცია დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც ყველგან — მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში³⁸. ამას ადასტურებენ XI — XII სს. ქართული დოკუმენტური ძეგლები, არაბული ნარატიული წყაროები და ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევები. ვ. გაბაშვილია შეავსო ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოსავლური (ძირითადად არაბული) წარმოშობის მრავალელების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებები და აჩვენა თბილისის მმართველობის ხასიათი X — XI საუკუნეებში.

X—XIII სს. ქართულ და აღმოსავლურ წყაროებში თბილისის მმართველობის სარბიელზე აღნიშნულია შემდეგი მოხელე-ხელისუფალნი: ამირა, შურტა, ამიდი, რაისი, მუჰთასაბი, მუშრიბი, ყადი, შიჰნა და ქალაქის ბერნი³⁹. მრავალი ამ აღმინისტრაციულ ტერმინთაგან თბილისის სინამდვილეში დარჩანული მთავარი ქალაქის განათვისუფლების შემდეგაც (1122 წ.), რადგანაც თბილისის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელი, სრულიად გარკვეუ-

³⁵ ვ. გაბაშვილი, ახლოაღმოსავლური ასნაფი, — საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ., 1979, გვ. 3-22.

³⁶ იქვე, გვ. 26.

³⁷ იქვე, გვ. 32.

³⁸ ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 331.

³⁹ იქვე, გვ. 340.



ლი მოსაზრებით, სასწრაფო ადმინისტრაციული ღონისძიებების შესრულებით ფართოდ დასახლებულ ქალაქში, მიზანშეწონილად არ მიიჩნევა⁴⁰.

არაბული წარმოშობის სამოხელეო სახელების მოხსენიება ქართულ საგნულაქო წყობილებს ამსახველ წყაროებში წყდება მხოლოდ XI ს-ის დამლევადან, თუმცა ტერმინი „ამირა“ (ქალაქის გამგებლის მნიშვნელობით) XVII საუკუნის დამდეგამდე იხმარებოდა ქართული „მოურავის“ პარალელურად. როგორც ჩანს, ამირას ხელისუფლებამ ვანიცადა შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები და თანდათან ქართულ საქალაქო თანამდებობად იქცა, რასაც ვერ ვიტყვიით რაისის, შუშთასიბის, ამიდის და შურტას თანამდებობაზე⁴¹. ზოგიერთი არაბულ-სპარსული ტერმინი კი (დივანი, ხარაჯა, მალი, ულუფა, და სხვ.) კარგადაა ცნობილი უფრო გვიანდელ ქართულ წყაროებშიც⁴².

ვ. გაბაშვილმა გამოთქვა საინტერესო მოსაზრება ქართულ წყაროებში მოხსენიებულ „ტფილულ ბერთა“ და „ქალაქის რაისების“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და დაადგინა მათი იდენტურობა⁴³. თბილისშიც, ისევე როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში, რაისებდ ძირითადად ვაჭრები იყვნენ, მაგრამ როგორც ვ. გაბაშვილი თვლის, „სრულიად გარკვეულ ვითარებასა და პირობებში თბილისშიც „ქალაქის რაისად“ შეიძლება გამხდარიყო არა მარტო ქალაქის ზედა ფენის, არამედ უფრო დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელიც“⁴⁴.

ქალაქების არტანუჯისა და უჯარმის მივლითზე ვ. გაბაშვილმა შეისწავლა ქართულ სინამდვილეში არაბული წარმოშობის ტერმინის „რაბადის“ დამკვიდრების საკითხი. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზემოდასახელებულ ძველ ქართულ ქალაქებთან დაკავშირებით, რაბადი გვხვდება როგორც საკუთრივ ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში⁴⁵. ურბანიტულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების შეჯამებისა და ფაქტობრივ მასალებზე დაკვირვების შედეგად, ვ. გაბაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „რაბადი“ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენა იყო და იგი, როგორც ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებული გარეუბანი, ფეოდალურ განვითარებას უკავშირდებოდა და ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებას მოწმობდა⁴⁶.

საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში „მადინას“ გვერდით „რაბადი“ გაზნდა იმ დროს, როცა მახლობელ აღმოსავლეთში სრულდებოდა ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების პროცესი (ე. ი. IX—X სს-ში)⁴⁷. რაც შეეხება

⁴⁰ იქვე, გვ. 347.

⁴¹ იქვე, გვ. 347.

⁴² ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მასალები ჟანთაღმწერლის თხზულებაში. — მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1958, გვ. 30—31.


⁴³ ვ. გაბაშვილი, თბილისის მხარეთმცოდნეობა X—XI საუკუნეებში, გვ. 346—357.

⁴⁴ მისივე, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ჟანთაღმწერლის ერთი ცნობის გასმარტება), — მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 128.

⁴⁵ მისევე, საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი, უჯარმა), — საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 3.

⁴⁶ იქვე, გვ. 6, 13.

⁴⁷ „მადინას“ და „რაბადის“ შესახებ იხ.: ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქი (მერიდიონალიზაცია ცდა), გვ. 20—33.



არაბულ გავლენას ქართულ ქალაქებზე, მას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, თბილისის სამიროს არსებობა, ხალაო, მეორე მხრივ, საქართველოს ტერიტორიის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ნიადაგზე გაჩნდნენ ჩვენთან ისეთი საქალაქო ტერმინები, როგორცაა „ისანი“ და „რაბადი“. მაგრამ, შენიშნავს ვ. ვაბაშვილი, „საქართველოს ქალაქები აღმოსავლურ ქალაქებთან თვალსაჩინო მსგავსების მიუხედავად, ამ დროსაც (ისევე როგორც ადრეც და გვიანაც) ინარჩუნებდნენ ადგილობრივ ნიადაგზე ვანეთარებულ თავისებურებებს, როგორც გარეგანი სახით, ისე განსაკუთრებით სოციალური სტრუქტურის მხრივ“⁴⁸.

ძველ ქართულ ნარატიულ ძეგლებში ხშირადაა მოხსენიებული „ეგვიპტე“ და „მისრეთი“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში კარგად იცნობდნენ ამ ქვეყანას. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ფაქტები კი XI — XII სს.-ის აღმოსავლური წყაროებიდან ირკვევა⁴⁹.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია უზრაღებდა ქართველთა მეფის გიორგი I-ის (1014 — 1027) წერილობით ურთიერთობას „მაჰმადიან მფლობელ ალ-ჰაქიმთან“⁵⁰. როგორც ვ. ვაბაშვილმა დაამტკიცა, ეს „მაჰმადიანი მფლობელი“ იყო ეგვიპტის ფატიმიანთა ხალიფა ალ-ჰაქიმი (996 — 1021).

ცნობილია, რომ მთელი XI — XII სს.-ის მანძილზე, საქართველო ენერგიულად ცდილობდა გაეკვლია გზა მახლობელი აღმოსავლეთის დიდი სავაჭრო მაგისტრალისაკენ და უზრუნველყო გაერთიანებული ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები⁵¹. ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში იგი უპირისპირდებოდა ბიზანტიას, რომელიც, თავის მხრივ, ეგვიპტის ფატიმიანთა სახელმწიფოს მეტოქესაც წარმოადგენდა. ამგვარად, საქართველო-ეგვიპტის კავშირი, მიმართული ბიზანტიის წინააღმდეგ, სავსებით რეალური ჩანდა⁵². როგორც XI ს.-ის პირველი ნახევრის არაბი ავტორის იაჰია ანტიოქელის ცნობებიდან ირკვევა, საერთო მოწინააღმდეგის — ბიზანტიის სამხედრო ძალების დაქსაქსვის მიზნით, გიორგი მეფეს რეალურად მიაჩნდა სამხედრო კავშირი ხალიფა ალ-ჰაქიმთან და ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდა მასთან⁵³. საქართველო-ეგვიპტის მოლაპარაკებამ და შესაძლებელმა სამხედრო კავშირმა დროებით შეაჩერა ბიზანტიის ექსპანსია, მაგრამ 1021 წელს, ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ საქართველო-ბიზანტიის სამხედრო შეტაკება მაინც გარღვეული გახდა⁵⁴.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი I და ხალიფა ალ-ჰაქიმის მოლაპარაკებამ რეალური შედეგი ვერ გამოიღო, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა კვლავ გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია ერთ-ერთ სპარსულ წყაროში

⁴⁸ მისივე, საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი, უჯარმა), გვ. 17.
⁴⁹ მისივე, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, — XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, შ. მუსხიას რედაქციით, თსუ შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, თბ., 1968, გვ. 56—57.
⁵⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, დამატება პირველი, გვ. 323.
⁵¹ ვ. ვაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, — თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 202.
⁵² მისივე, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 60—61.
⁵³ იქვე, გვ. 59.
⁵⁴ იქვე, გვ. 66.



(ნასირ-ი ხოსროუს „საფარ-ნამე“ — „მოგზაურობის წიგნი“) შექმნილი ცნობა მდინარე ნილოსზე ვაპართულ დღესასწაულში ქართველებს მონაწილეობის შესახებ⁵⁵.

ვ. გაბაშვილი გამოთქვა მოსაზრება XI — XII სს.-ის საქართველოში, კერძოდ თბილისის სამხარეთში (თბილისი, დმანისი, რუსთავი,) ისმიალიტობის გავრცელების შესახებლობაზე, რასაც თავისთავად საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობისთვისაც ექნებოდა მნიშვნელობა. ისმიალიტობის გავრცელება ამ დროს აწყობდა ქართველ მეფესაც, რადგანაც შიიტ-ისმიალიტები აქტიურად ებრძოდნენ როგორც თბილისის ორთოდოქს (სუნიტ) ამირას, ისე თურქ-სელჩუკებს და ამგვარად, ასუსტებდნენ გაერთიანების გზაზე დამდგარი სპარსელოს პოტენციურ მოწინააღმდეგეებს⁵⁶. როგორც ცნობილია, ისმიალიტების მოძრაობის ცენტრი იყო ეგვიპტე, სადაც 969 წლიდან მოკიდებული შიიტ-ისმიალიტთა ანუ ფატიმიანთა სახელმწიფო არსებობდა⁵⁷. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ცნობა, რომლის თანახმადაც „ფატიმიანთა ხალიფამ ნასირ-ი ხოსროუ დანიშნა ხორასანისა და საქართველოს პუჯად“⁵⁸. როგორც ვ. გაბაშვილი ფიქრობს, XII — XIV სს. საქართველოში კარგად უნდა სცოდნოდათ ვინ იყვნენ ისმიალიტები; ამის დამადასტურებელი ქართულ წყაროებში ისმიალიტების აღმნიშვნელი ტერმინი „მულიდი“⁵⁹.

XI — XII საუკუნეებში ინტენსიური უნდა ყოფილიყო საქართველო-ეგვიპტის სავაჭრო ურთიერთობანიც. მართალია, ქართულ საისტორიო წყაროებში ამ საკითხზე ვრცელი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოში კარგად იცოდნენ ეგვიპტის დიდი სავაჭრო მნიშვნელობა, ეჭვს არ იწვევს, ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსანში“ მოტანილი მრავალი ტერმინიც („ეგვიპტე“, „მისრი“, „მისრეთი“, „მეგვიპტელი“, „მისრული“) ⁶⁰. მუსლიმურ სამყაროსთან (ირანი, არაბული ქვეყნები) სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართულ სინამდვილეში არაბული სიტყვის „შუკა“ (არაბ. „სუკ“. მრ. „ასვაკ“, სპარსული „ბაზარი“) გაჩენაც. ამ მნიშვნელობით იხმარება ეს არაბული წარმოშობის ტერმინი „ვეფხისტყაოსანშიც“ („შუკისა მოდგნენ ვაჭარნი“) ⁶¹. საქართველოსა

⁵⁵ მისივე, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 69.

⁵⁶ იქვე, გვ. 76-77.

⁵⁷ შიიტ-ისმიალიტთა სეტა შეიქმნა 760 წ., როცა შიიტების მეტესე იმამა ჯაფარ ას-სადიკმა შემკვიდრების უფლება ჩამოართვა თავის უფროს ვაჟს ისმაილს. 910 წ. ისმიალიტებმა შექმნეს თავიანთი სახალხო არაბულ მდირბში (თუნისი), ხოლო 969 წ. დაიპყრეს ეგვიპტე. იმავე წელს ზათ საფუქველი ზაუყარეს ქ. კაიროს, სადაც 973 წ. გადავიდა ფატიმიანთა ხალიფა მუიზი. 1078 წ. ისმიალიტები გაიყვნენ ორ ნაწილად: ნიზარიტებად და მუსთალიდებად. 1090 წ. ნიზარიტმა ისმიალიტებმა შეიპ ჰასან იბნ ას-საბაჰის ხელმძქველობით შექმნეს ცნობილი „ასასნთა ორდენი“, რომლის ცენტრი იყო ალამუთი (ჩრდ.-დას. ირანი). 1256 წ. მონღოლებმა ასასიენები გაანადგურეს.

⁵⁸ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 72; „ჰუკა“ ანუ „ჰუკათ“ ეწოდებოდა მთავარ „დაის“ (შეიპონეს, ისმიალიტობის მქადაგებელს. მ. ტ.), რომლის მოღვაწეობა გარკვეული ტერიტორიით იყო განსაზღვრული. მის ემორჩილებოდნენ მცირე „დაიები“ („მაზუნ“), რომლებიც მთავარი „დაის“ ანუ „ჰუკას“ განაგრულებებს ასრულებდნენ; იქვე, გვ. 73.

⁵⁹ იქვე, გვ. 75.

⁶⁰ იქვე, გვ. 80.

⁶¹ ვ. გაბაშვილი, ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში, — საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 23.



და აღმოსავლეთის დიდვაჭრებს შორის არავითარი მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობდა; ერთნაირი იყო ვაჭრობისა და ხელოსნობის ტერმინოლოგია. ვ. გაბაშვილის აზრით, სწორედ ამით აიხსნება „ვეფხისტყაოსანში“ ქართულ ტერმინებთან ერთად მრავალი აღმოსავლური ტერმინების დასახელება⁶².

ისევე როგორც საქართველოს ქალაქებში, არაბული ქვეყნების დიდ სავაჭრო ცენტრებშიც XI—XII სს.-ში დიდვაჭრები უმეტესად ებრაელები იყვნენ. ამას ადასტურებენ ცნობილი გენიზას დოკუმენტები⁶³, არაბული და ქართული წყაროები⁶⁴. XII საუკუნიდან მოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ებმებთან აგრეთვე სომეხი დიდვაჭრებიც⁶⁵.

ვ. გაბაშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგაც (XV ს.) მაზლობელი და შუა აღმოსავლეთის სავაჭრო-სატრანზიტო გზებმა შეინარჩუნეს თავიანთი მნიშვნელობა, ხოლო ლევანტის ვაჭრობა მთელი რიგი ქალაქების დაწინაურების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. შემახა-თავრიზ-ალეპოს და ჰამდან-ბაღდადალექპოს სავაჭრო გზები ხელს უწყობდნენ ვაჭრობის და ხელოსნობის აღმავლობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ირანში, ოსმალეთში და არაბულ ქვეყნებში, „რომელთაგან ყველაზე მეტად სირიის ქალაქები იყვნენ დაწინაურებულნი, ხოლო სირიის ქალაქებიდან უწინარეს ყოვლისა ალექო“⁶⁶. სწორედ ალექპოს საშუალებით უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და ირანის ქალაქები დასავლეთ ევროპას⁶⁷.

როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. გაბაშვილი, აღმოსავლური ქალაქების შესწავლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ვაჭრობის ფაქტი, არამედ მისი როლიც საზოგადოებრივ განვითარებაში⁶⁸. ფეოდალური მეურნეობის სუსტი კავშირი ბაზართან, სამინაო ვაჭრობის პრიმიტიული ფორმა და ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციის შეზღუდულობა აბრკოლებდნენ მაზლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ყოველმხრივ განვითარებას. სავაჭრო ვაჭრობამ არ წარმოქმნა ერთიანი შინაგანი ბაზარი (ახალი ხანის დასაწყისის მთავარი პირობა), ხოლო ვაჭრობა-მევახშეობის გზით მიღებული ფულადი კაპიტალი წარმოებაში არ გადაიზარდა⁶⁹. სწორედ ამის გამო, დასკვნის ვ. გა-

⁶² მისივე, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, გვ. 209.
⁶³ XIX ს.-ის დამლევს კიროს გარეუბანში — გენიზაში, აღმოჩენილი იქნა ებრაული და არაბული ხელნაწერები, რომელთა დიდი ნაწილი X — XIII სს. დოკუმენტები აღმოჩნდა; იხ. მისივე, საქართველოს ქალაქების ისტორიის მასალები გენიზას დოკუმენტებში, — აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბ., 1976, გვ. 292-296.
⁶⁴ მისივე, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, გვ. 214—219.
⁶⁵ იქვე, გვ. 214.
⁶⁶ ვ. გაბაშვილი, XVI — XVIII სს. საქართველოს ქალაქები მაზლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შექმნა, — ნარკვევები მაზლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 187.
⁶⁷ XVI ს. თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ალი თბაღისს ქალაქ ალექპოს აღიარებდა, რაც თბაღისის დიდ სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მიგვიბრუნებს; იხ. ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI — XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, — თსუ შრომები, 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1962, გვ. 256.
⁶⁸ მისივე, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები..., გვ. 188.
⁶⁹ იქვე, გვ. 191.



ბაშვილი, „ქალაქებს XVI — XVII სს. ოსმალეთსა და ირანში ბრძოლა შეესრულებინათ ის როლი, რაც მათ შეასრულეს აღებულ სახელეთ ევროპასა და რუსეთში“⁷⁰.

უნდა აღინიშნოს ვ. გაბაშვილის დაინტერესება შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის საკითხებით. მკვლევარი თვლის, რომ არაბთა ბატონობის პერიოდში, განსაკუთრებით კი VIII — X საუკუნეებში, წინა აზიის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ძველი ელინისტური კულტურის ათვისებას, მის ვალრმავეებსა და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე ვადამუშავებას. მასობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურული აღმავლობა ადრეფეოდალურ ხანაში (VI — X სს.) და განვითარებული ფეოდალიზმის პირველ საუკუნეებში (XI — XIII სს.) შეპირობებული იყო იმით, რომ დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ქალაქები აქ არ ჩამკვდარან, საქალაქო ცხოვრება არ დაცემულა⁷¹. მომთაბარე ტომების მოძალებამ, განსაკუთრებით კი მონღოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა წელში გატეხეს კულტურული აღმოსავლეთი და ხანგრძლივად შეაჩერეს მისი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარება⁷². ყოველივე ამის შედეგად XIII — XIV სს.-ში ინტელექტუალურმა ცენტრმა აღმოსავლეთიდან ევროპაში ვადინაცვლა⁷³.

თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ვ. გაბაშვილი ხშირად აღნიშნავს მუსლიმური ცივილიზაციის ვავლენას საქართველოზე და მართებულად არ მიიჩნევს თვალსაზრისს იმის შესახებ, თითქოს აღმოსავლური ტერმინოლოგია ჩვენში ვრცელდებოდა აღმოსავლეთის სახელმწიფოების ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგად. საქართველოსა და მის ვარემომცველ მუსლიმურ სამყაროს შორის იყო საკმაოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდებიც, კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულება, კულტურულ ფასეულობათა ვაცვლა-გამოცვლა და ვაზიარება. სწორედ ამდროინდელი მონაპოვარია კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებული ლექსიკა⁷⁴. ამასთან ერთად, ვ. გაბაშვილი მიუთითებს, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ივ. ჯავახიშვილი, „არასოდეს არ უპირისპირებდა ერთმანეთს ქრისტიანებს და მაჰმადიანებს. პირიქით, ხაზს უსვამდა მაჰმადიანური კულტურის საქართველოში ვავრცელების მნიშვნელობას, აღნიშნავდა თვით აღმოსავლური პოლიტიკური ინსტიტუტების გამოვლენას საქართველოს „სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში“⁷⁵. უკვე თავის ადრინდელ შრომებში, ივ. ჯავახიშვილი მკაცრად აკრიტიკებდა რასისტულ თეორიებს და აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაშიც პოულობდა იმ ნი-

⁷⁰ მისივე, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები... გვ. 192


⁷¹ ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთის კულტურული შუბლი, „მნათობი“, № 4, 1973, გვ. 177-178.

⁷² იქვე, გვ. 183.

⁷³ იქვე, გვ. 183.

⁷⁴ მისივე, ერთი სტრიქონი აღმოსავლური კულტურის ისტორიიდან, — საქ. სსრ მეც. აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1978, გვ. 141; ამ ნაშრომში ავტორი ვამოთქვამს თავის თვალსაზრისს სიტყვა „გუნდი“-ს (არაბ. „ჯუნდ“-ი) სხვა ენებში ვავრცელების შესახებ; იხ. იქვე, გვ. 141-144.

⁷⁵ ვ. გაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, როგორც აღმოსავლეთმცოდნე, საქ. სსრ მეც. აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბ., 1976, გვ. 42-43.



შნებს, რა ნიშნებიც იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეების დასავლეთის ისტორიული განვითარებისათვის⁷⁶.

ასეთია მოკლედ არაბულ-მუსლიმურ სამყაროსთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებმაც სათანადო ასახვა ჰპოვეს ვ. გაბაშვილის მეცნიერულ გამოკვლევებში.

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, ვ. გაბაშვილი ღირსეულად აგრძელებდა თავისი დიდი მასწავლებლის ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებულ საქმეს. ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზი, თანამედროვე საბჭოთა და უცხოელ ავტორთა შეხედულებების ურთიერთშეჯერება და საკუთარი მოსაზრებების ლოგიკური დასაბუთება, კვლევის ვრცელი დიაპაზონი და რაც მთავარია, ისტორიული პროცესების ახსნა მოწინავე მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, ყოველივე ეს, ვ. გაბაშვილის მეცნიერული შრომების უეჭველ ღირსებად უნდა ჩაითვალოს⁷⁷.

მერაბ ტიკაძე

⁷⁶ იქვე, გვ. 44; როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის კვლევისათვის არაბული წყაროების გამოყენებას; იხ. ო. ცქიტი-შვილი, ივანე ჯავახიშვილის «ქართველი ერის ისტორიის» არაბული წყაროები, თსუ შრომები, ტ. 206, გვ. 116-130.

⁷⁷ ვ. გაბაშვილის შრომების სია (1942 — 1971 წწ.) შედგენილი დ. კაციტაძის და ო. ცქიტი-შვილის მიერ გამოქვეყნებულია მეცნიერის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით ყურნალში «Народы Азии и Африки», № 6, 1971, გვ. 217-219; აგრეთვე იხ.: დაახ. ეურნალი, № 2, 1981, გვ. 154-155.

К 70-ЛЕТИЮ ПРОФЕССОРА ИРЖИ БЕЧКА

Видный представитель Пражской школы востоковедения Иржи Бечка (родился 16 октября 1915 г.), имя которого широко известно ориенталистам всего мира, внес значительный вклад в развитие иранской филологии. Иранист широкого охвата, блестящий знаток истории и культуры Ирана, Средней Азии и Афганистана, И. Бечка создал ряд интересных работ по иранскому языкознанию, литературоведению, истории.

Перу ученого принадлежат монография по вопросам ударения в языке пушту¹, вузовский учебник по пушту². Узловые вопросы новейшей истории и литературы Афганистана рассмотрены им в работах, опубликованных в научной периодике³.

Большое место в научном творчестве И. Бечка занимает таджиковедение. Всеобщее признаниенискала фундаментальная работа ученого «Таджикская литература с XVI века до наших дней», включенная его учителем академиком Я. Рипка в изданную многократно на разных языках «Историю иранской литературы»⁴. Эта работа отдельно была опубликована в Дели в 1973 году. И. Бечка монографически исследовал многогранную деятельность и творчество основоположника таджикской советской литературы С. Айни⁵, опубликовал ряд работ о М. Турсунзаде⁶.

Особо следует отметить усилия И. Бечка в деле ознакомления западного читателя с достижениями советской многонациональной литературы и трудами наших востоковедов. Ученый является одним из инициаторов и активных участников создания «Словаря восточных литератур». В третьем томе «Словаря», изданном под редакцией И. Бечка⁷, включено 38 статей о древней и современной грузинской литературе. Ученый опубликовал ряд рецензий на труды грузинских иранистов: на

¹ A Study of Pashto Stress, Praha, 1969.

² Uvod do pasťského jazyka, Praha, 1982 (II изд.).

³ См., например, Contributions to New Afghan History, „Archiv Orientalni“, 46 1978; Socialne-ekonomiky vyvoj Afghanistanu, „Rozdilnymi cestami“, Praha, 1980;


مرجوان و جدید افغان در زبان دری، عرفان ۳-۴، ۱۳۵۹

⁴ Издание на англ. языке — Tajik Literature from the 16th century to the Present (J. Rypka. History of Iranian Literature, Dordrecht, 1968, сс. 483-605); изд. на рус. языке — Таджикская литература с XVI до начала XX века (Я. Рипка, История персидской и таджикской литературы, М., 1970, с. 325—370).

⁵ Итоговая работа — Sadriddin Ayni Father of Modern Tajik Culture, Naples, 1980.

⁶ См. статьи в жур. „Sovetskā literatura“, № 5, 1975; Praha, „Archiv-Orientalni“, 44, 1976; «Садон Шарик», № 2, 1978.

⁷ Dictionary of Oriental Literatures, III, Volume Editor J. Bečka, London, 1974.



первый том «Персидской хрестоматии» Д. Кобидзе⁸, «Персидские исторические тексты» Дж. Гунашвили и Д. Кацитадзе⁹, книги Дж. Гунашвили¹⁰, Л. Гунашвили.¹¹ В очерке И. Бечка «Ян Рипка и ирановедение в Грузии»¹² на общем фоне грузино-чехословацких культурно-научных взаимоотношений (с середины XIX в. до наших дней) отмечается то большое внимание, которое уделял Ян Рипка трудам грузинских иранистов, в особенности Д. Кобидзе.

По мнению автора очерка, созданы надежные предпосылки для дальнейшего развития научных и культурных взаимоотношений между нашими народами. Одним из компонентов плодотворных творческих взаимоотношений является широкие многоплановые контакты востоковедов. По твердому убеждению И. Бечка, на этом благородном поприще будут достигнуты блестящие результаты, если мы «будем следовать примеру двух выдающихся иранистов—Давида Кобидзе и Яна Рипки»¹³.

В заключение следует подчеркнуть, что заслуги И. Бечка значительны и показательны во всех отношениях. Отмечая 70-летие со дня рождения ученого, посвятившего всю свою сознательную жизнь благородному делу беззаветного служения науке и укреплению дружбы между народами, коллеги, друзья и почитатели его исследовательского таланта желают ему долгих лет жизни и дальнейших блистательных творческих успехов на благо науки.

К. Пагава

⁸ „Archiv Orientalni“, 32, 1964, с. 663—664.

⁹ „Archiv Orientalni“, 45, 1977, с. 85.

¹⁰ „Archiv Orientalni“, 42, 1974, с. 258; с. 96. *არქივ ორიენტალნი*

¹¹ „Orientalistische Literaturzeitung“, 70, 1975, с. 177—178; „Archiv Orientalni“, 48, 1980, с. 82—83.

¹² Jan Rypka and Iranian Studies in Georgia, «Труды» Тбилисского гос. университета, № 241, 1983, с. 173—179. См. также, Jan Rypka a Gruzii, „Slovansky prehled“, № 5, 1982, с. 396—399.

¹³ Jan Rypka and Iranian Studies in Georgia, с. 177.

ЗЕЙН ОЛ-АБЕДИН МОЪТАМЕН

ز مؤتمن سخن کذب نشنوی هرگز
هزار عیب گرش هست ، این هنر دارد

۱۳۲۵

Более сорока лет своей жизни посвятил благородному делу воспитания молодого поколения, исследованию богатого наследия классиков персидско-таджикской литературы и писательскому творчеству «малый богатырь» культуры и науки современного Ирана, скромный преподаватель словесности средней школы Зейн ол-Абедин Моътамен. Во всей его деятельности и многогранном творчестве красной нитью прослеживается «педагогический аспект» и тенденция нравственного и этического воспитания молодежи¹. З. Моътамен принадлежит к числу тех эрудированных и талантливых педагогов, которые не только приобщают своих воспитанников к формальным знаниям, ускоряют процесс самопознания подростков, но и помогают им в раскрытии своих способностей и наклонностей. Широкий научный кругозор З. Моътамена глубоко влияет на молодежь, помогает ей оценивать эстетические и моральные ценности культуры прошлого.

Тот, кому посчастливилось испытать на себе благотворное влияние Моътамена-педагога, или довелось обсуждать с ним различные научные темы, а также вопросы воспитания молодого поколения, тот навсегда сохранит в памяти это важное событие в жизни.

З. Моътамен родился 3 июня 1914 года в г. Тегеране. Предки его принадлежат к влиятельному аристократическому роду из г. Кашана. Он восходит к целой династии крупных деятелей литературы Ирана, таких как придворный поэт Насер ед-Дин шаха (последняя четверть XIX в.) Махмуд-хан Малек ош-Шоара² и его дед Сабз³ — придворный поэт Фахт Али шаха (первая четверть XIX в.). Среднее образование З. Моътамен получил в Тегеране в американском колледже, а высшее — на педагогическом факультете Тегеранского университета. Здесь читали курсы лекций видные представители гуманитарной науки Ирана, такие как Бадий оз-Заман Форузанфарр, Мехди Баяни, Реза-заде Шафак и др.

Начало литературной деятельности «хорошего прозаика»⁴ З. Моътамена совпадает с периодом формирования и развития нового, современного направления в персидской литературе и науке Ирана. Раздумья З. Моътамена над проблемами современности и прошлым родины нашли своё отражение в опубликованном в 1933—1939 гг. «заслуживающем большого внимания»⁵, «известнейшем историческом романе»⁶ «Орлиное гнездо», описывающем события XI века и взаимоотношения могущественного везира Сельджукидов Низам уль-Мулка с главой иманитов Хасаном Саббахом. В идеологическом плане автор романа «на стороне угнетенных» и «провозглашает необходимость освобождения поработенных слоев общества».⁷ По мнению В. Кубичковой,



З. Мольтамен впервые в истории развития персидского исторического романа при описании представителей дворцовых кругов рассматривает их в контексте со «всей социальной структурой»⁸ общества. «Изображение главного героя, выходца из народной массы, а не из знати к тому же в окружении целой группы исторических персонажей, составляет первое принципиальное отличие романа З. Мольтамена от многих других подобных произведений в современной литературе Ирана»⁹. По мнению специалистов, «роман «Орлиное гнездо» — произведение с показом широкого круга исторических событий, с обращением к социальной и морально-этической теме и другими несомненными достоинствами оно является одним из лучших произведений своего жанра, сыграло значительную роль в развитии персидского исторического романа в целом».¹⁰ Этот роман недавно был переиздан в шестой раз. З. Мольтамен пробовал свои силы и в области поэзии.

З. Мольтамен обстоятельно изучил наследие большого мастера газели Мирзы Мухаммеда Али Саэба Табризи (1601—1677). В 1941 году были опубликованы «Избранные стихи Саэба», снабженные обширным исследованием З. Мольтамена. В 1954 году увидел свет «Сборник Саэба», вышедший недавно третьим изданием. По мнению Амири Фирузкухи, разыскания З. Мольтамена творчества Саэба являются «глубокими и беспрецедентными»¹². Две монографии посвятил З. Мольтамен вопросам персидско-таджикской версификации и поэтики. В 1953 году была опубликована книга «Персидский стих и литература». В этой «очень интересной и полезной»¹³ работе автор в историческом аспекте рассматривает вопросы стиля и поэтических особенностей представителей персидско-таджикской поэзии. Глубиной разработки исследуемого материала, исключительной полнотой и четкостью изложения отличаются разделы книги, касающиеся вопросов газели и суфийской поэзии. Эта книга была удостоена государственной премии Ирана за 1953/4 год. Во второй монографии, «Пути развития персидского стиха», вышедшей в 1960 году, З. Мольтамен скрупулезно рассматривает разновидности персидско-таджикского стиха, в особенности газель и касыду. По широте охвата огромного фактического материала и глубине анализа исследуемых вопросов эту книгу можно сравнить с фундаментальной работой М. Бахара «Теория стиля».¹⁴ Книга З. Мольтамена была отмечена премией «Лучшая книга года».

Научный авторитет З. Мольтамена как исследователя признан многими компетентными специалистами. Исследуя творчество отдельных представителей «индийского стиля», рассматривая ряд вопросов идентификации и квалификации употребляемых мастерами слова лексем и художественно-образительных средств, ученые широко используют труды З. Мольтамена, опираясь на его авторитетное мнение.¹⁵

З. Мольтамена отличают большое трудолюбие, скромность и доброжелательность. Он убежден, что основой прогресса общества является благородное начало нравственного возвышения его членов. З. Мольтамен на всем протяжении своего творческого пути и педагогической деятельности стремится раскрыть то интересное и ценное, что было соз-

дано в персидско-таджикской литературе и передать большие знания о художественной литературе и культуре своих предков молодежи и почитателям классической литературы.

ЛИТЕРАТУРА

1. Ср. F. Machalski. *Folia Orientalia*, I, № 1, 1959, p. 155; Г. Кадыров, Современный персидский исторический роман, Душанбе, 1981, с. 50.
2. О нем см. с. 127-130 **آرین پور، از صبا تانیمآ تهران I ۱۳۵۳**
3. О нем см. J. Rypka. *History of Iranian Literature*, Dordrecht, 1968, p. 326—327.
4. V. Kubickova. *Persian Literature of the 20th Century* (J. Rypka. *History of Iranian Literature*), p. 394.
5. C. 76 **م—ع سیانلو، اعتلای رمان نویسی در ایران، کتاب جمعہ، سال اول**
6. H. Kamshad. *Modern Persian Prose Literature*, London, 1966, p. 52—53.
7. V. Kubickova. *Persian Literature of the 20th Century*, p. 394.
8. Там же.
9. Г. Кадыров, Современный персидский исторический роман, с. 49.
10. Там же, с. 57, Ф. Махальский, Персидский исторический роман XX века — В кн.: «Зарубежное востоковедение», М., 1961, с. 67.
11. См. например, сборник стихов автобиографического характера **زین العابدین مومن
برگی چند از دفتر زندگی، تهران ۱۳۴۹**
12. Предисловие, с. 45 **کلیات صائب تبریزی، مقدمه و شرح حال بقلم امیری فیروز
کوهی، تهران ۱۳۳۳**
13. F. Machalski. *Folia Orientalia*, I, № 1, 1959, p. 154.
14. См. F. Machalski. *Folia Orientalia*, III, № 1—2, 1961, p. 336.
15. См., например, J. Rypka. *History of Iranian Literature*, p. 295—296; W. Heinze. *Der indische Stil in der persischen Literatur*, 1973, S. 2, 53, 63, 79; М.—Н. Османов, Стиль персидско-таджикской поэзии IX—X вв., М, 1974, с. 267; с. 267; с. 6, 27, 141, 146. 206 **سیروس شمیسا سیرغزل در شعر فارسی ۱۳۹۲**

Р. Зиполи

Дж. Гунашвили

შინაარსი

ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმომადგენლის სიტყვათა ისტორიიდან	5
ჯ. გიუნაშვილი, სიტყვა kışdom (მორიელის) შესახებ სპარსულში	10
ნ. კილაძე, იბნ სინას ზოგიერთი ფილოსოფიური ცნება იბნ რუშდის განმარტების მიხედვით	13
მ. ჩიქოვაძე, მღვდელმთავრის სამკერდის თორმეტი ძვირფასი ქვის სახელწოდებისათვის („ძველი აღთქმისა“ და ეპიფანე კვპრელის „თუალთა“-ს ქართული რედაქციების მიხედვით)	19
კ. ფაღავა, ერთი ფურცელი მ. ფ. ახუნდოვის მოღვაწეობიდან	26
ნ. ფურცელაძე, არაბთა პოეტური ენის ერთი თავისებურებისათვის	33
ა. სილაგაძე, ენა, პოეტური სტილი და ლექსათყობა	41
ი. გოცირიძე, თანამედროვე თურქული „სოფლური რომანის“ პერსონაჟები	54
ლ. თუშიშვილი, „შა-ნამეს“ არაბული ლექსებიდან (გაგრძელება)	64
მ. გაბაშვილი, ქართული ნუმისმატიკის ისტორიიდან (XII ს. მონეტები არაბული ზედწერილებით)	67
ნ. შენგელია, სამი თურქული საბუთი თბილისის შესახებ	74
მ. გუცია, ელია კარნეცის ერთი წერილის ცნობები საქართველოს შესახებ	95
ო. ცეციტიშვილი, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგადი საკითხი ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ არაბული წყაროების მიხედვით	102
მ. სვანიძე, მიწისმფლობელობის საკითხები ახალციხის საფაშოში რუსული საარქივო მასალების მიხედვით	116
ნ. სურგულაძე, მაჭლის ნავისის სახელო სეფიანთა ირანში	117
დ. კაციტაძე, თ. გუთელია, საქართველო და სეფიანთა ირანი ნუმისმატიკის მონაცემების მიხედვით. „მეცნიერება“, 1978	124
მ. ტიკაძე, ი. მ. სმილიანსკაია, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა ახალი დროის მიჯნაზე (სირიის, ლიბანისა და პალესტინის მასალების მიხედვით), მოსკოვი, გამომცემლობა „ნაუკას“ აღმ. ლიტ. მთავარი რედ. 1979, 252 გვ.	128
მ. სვანიძე, ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნი, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიაძემ, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბ., 1971 წ., ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები. რედაქტორი ს. ჯიქია, თბ., 1973 წ.	134
დ. კაციტაძე, ზურაბ შარაშენიძე, ფერეიდუნელი „გურჯაბი“, „მეცნიერება“, თბილისი, 1978	138
მ. კვაჭაძე, ჯენშიდ გიუნაშვილი. საკითხები წიგნი სპარსულში, თბ., 1980	142
დ. კაციტაძე, ვალერიან გაბაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა	145
მ. ტიკაძე, არაბული ქვეყნების ისტორიის საკითხები ვალერიან გაბაშვილის შრომებში	155
კ. ფაღავა, პროფესორ ირეი ბეჩკის 70 წლისთავისადმი	168
რ. ზიბოლი, ჯ. გიუნაშვილი, ზეინ ალ-აბედინ მოთამენი	170



СОДЕРЖАНИЕ

С. С. Джикия, Из истории слов восточного происхождения, II	9
Дж. Ш. Гиунашвили, О слове <i>kāzdom</i> (скорпион) в персидском	12
Н. В. Квиладзе, Некоторые философские понятия Ибн Сины в толковании Ибн Рушда	18
М. Г. Чикобава, О названиях двенадцати камней на нагруднике перво-священника (по грузинским редакциям «Ветхого Завета» и трактата Епифания Кипрского)	25
К. К. Пагава, Одна страница из деятельности М. Ф. Ахундова	31
Н. Н. Пурцеладзе, Об одной особенности арабского поэтического языка	40
А. А. Силагадзе, Язык, поэтический стиль и стихосложение	53
И. С. Гоциридзе, Персонажи современного турецкого «сельского романа»	62
Л. Н. Тушишвили, Из арабской лексики «Шах-намэ»	66
М. В. Габашивили, Из истории грузинской нумизматики (Монеты XII века с арабскими надписями)	72
Н. П. Шенгелия, Три турецких документа о Тбилиси	94
К. К. Куция, Сообщения одного письма Егна Карнеци о Грузии	101
О. В. Цкитишвили, Некоторые вопросы политической истории Грузии в труде И. А. Джавахишвили «История грузинского народа» по данным арабских источников	111
М. Х. Сванидзе, Некоторые вопросы землевладения в Ахалцихском пашалыке по русским архивным материалам	112
Н. И. Сургуладзе, Должность маджлес-нависа («писарь государственного совета») в Сефевидском государстве	122
Д. В. Кацитадзе, Т. С. Кутелия, Грузия и Сефевидский Иран по данным нумизматики, «Мецнереба», 1978	124
М. И. Тикадзе, И. М. Смилянская, Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени (на материалах Сирии, Ливана и Палестины), М., Главная ред. вост. литерат. изд. «Наука», 1979, 252 стр.	128
М. Х. Сванидзе, Эвлия Челеби «Книга путешествия». Перевод с турецкого, комментарий и исследование Г. В. Путуридзе, I. Грузинский перевод, Тб., 1971, ч. II. Исследование, комментарий. Редактор С. С. Джикия, Тб., 1973	134
Д. В. Кацитадзе, З. Шарашенидзе, Ферейданские «гурджи», «Мецнереба», Тбилиси, 1978	142
М. И. Квачадзе, Джемшид Гиунашвили, Книга для чтения по персидскому, Тбилиси, 1980	145
Д. В. Кацитадзе, Жизнь и научно-педагогическая деятельность, В. Н. Габашивили	145
М. И. Тикадзе, Вопросы истории арабских стран в трудах В. Н. Габашивили	155
К. К. Пагава, К 70-летию профессора Иржи Бечка	168
Р. Зиполи, Дж. Гиунашвили, Зейн ол-Абедин Моътамет	170

CONTENTS

S. Jikia, From the History of Words of Oriental Origin, II	9
J. Giunashvili, Concerning the Word kâzdom (scorpion) in Persian	12
N. Kiladse, Einige philosophische Auffassungen von Ibn Sina in der Auslegung Ibn Ruschds	18
M. Chikobava, On the names of twelve stones of the High Priest's Breastplate (on the basis of Georgian translations of the "Old Testament" and Epiphani- Ibn Ruschds	25
K. Paghawa, Eine Etappe aus der Tätigkeit Mirza Fathali Achundows.	32
N. Purzeladse, Über eine Besonderheit der arabischen Bildersprache	40
A. Silagadze, Language, poetic style and versification	53
J. Gotschidze, The Characters of the Modern Turkish "Country Novel"	62
L. Tushishvili, Concerning the Arabic vocabulary of "Shahnama"	66
M. Gabashvili, From the History of Georgian numismatics (12 th century co- ins with arabic Legends)	72
N. Shengelia, Three Turkish Documents Concerning Tbilisi	94
K. Koutzia, Renseignements sur la Georgie dans une lettre d'EGia Karnetsi	101
O. Iskiriishvili, Some Questions of the Political History of Georgia n I. A. Ja- vashishvili's "History of the Georgian People" according to the Evidence of Arabic Sources	111
M. Svanidze, Questions of Landownership in the Akhaltsikhe Pashalic According to Russian Archival Material	116
N. Surguladze, The Institute of majles-navis ("Recorder of the Royal Assemb- ly") in the Safavid State	123
D. Katsitadze, T. Kutelia, Georgia and Safavid Iran according to the numis- matic evidences, „Metshereba“, 1978	124
M. Tikadze, I. Smilyanskaya, Socio-economic Structure of the Near Eastern Coun- tries at New Time (according to the evidences of Syria, Lebanon and Pa- lestine), „Nauka“, 1979	128
M. Svanidze, E. Chelebi „Travel Book“, Translation from Turkish, Commentary and research by G. Puturidze, I, Georgian Translation, Tb., 1971; II, Research, Commentary, Editor S. Jikia, Tb., 1973	134
D. Katsitadze, Z. Sharashenidze, Fereidan „Gurjies“, „Metsniereba“, Tb., 1978	138
M. Kyachadze, J. Giunashvili, Persian Reading-book, Tb., 1980	142
D. Katsitadze, Life, Scientific and Pedagogical activities of V. Gabashvili	145
M. Tikadze, Problems of History of the Arabic countries in the Works of V. Gabashvili	155
K. Pagrava, On the Occasion of J. Bevka's 70th birthday	166
R. Zipoli, J. Giunashvili, Zeyn ol-Abedin Motamen	170

გამომცემლობის რედაქტორები: ლ. სერებრენნიკოვა, ც. ხუთერელა

სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი

კორექტორი ც. მოლოდინი

გადაეცა წარმოებას 24. 07. 85. ხელმოწერილია დსაბეკიდან 28. XII. 87.

უც 00552. საბეჭდი ქაღალდი 70×108¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 14, 5 სააღრ.-სავაგომც. თაბახი 12,6

ტირაჟი 300. შვევეთის № 1386

უასი 2 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.